

ზურაბ კიკნაძე

ძველი აღთქმის წუთისოფელი

გაერთიანებული ბიბლიური საზოგადოებები
საქართველოს წარმომადგენლობა
თბილისი
2003

შესავალი

ბიბლია ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „წიგნებს“, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი, „ძველ აღთქმად“ წოდებული, დაწერილია ებრაულ ენაზე და ამ ენით მოგვითხრობს მისი შემქმნელი ხალხის ფიზიკურ და სულიერ თავგადასავალს. ამ წიგნებში გაცხადებული სამყარო ნაწილია ძველი აღმოსავლეთის ცივილიზაციისა; გარკვეული აზრით, ის მისი დაგვირგვინებაც არის, როგორც ერთი კერძო კაცობრიული შემოქმედების უმაღლესი გამოხატულება.

იშვიათია კულტურა, რომელიც მოქცეული იყოს ერთ წიგნში და მოწმობდეს საკუთარ თავზე უპირატესად სიტყვიერი შემოქმედების წყალობით. მართალია, არსებობს მატერიალური ძეგლები, რომლებიც, უთუოდ, ავსებენ ჩვენს ცოდნას ამ კულტურის შესახებ, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ეს მონაპოვარი არსებითს და ახალს ვერაფერს გვეუბნება. არქეოლოგიური ნაშთი, უმეტესწილად, მხოლოდ ადასტურებს იმას, რაც მოთხრობილია წიგნში. სწორედ აქ არის არსებითი განსხვავება ძველი აღმოსავლეთის (შუმერი და აქადი, ფინიკია, ხეთები, ხურიტები, ეგვიპტე...) კულტურებისაგან; ისინი, უპირატესად არქეოლოგიური, შეიძლება ითქვას, ნამარხი და აღმოჩენილი კულტურებია. ბიბლიური სამყარო კი, თამამად ვამბობთ, არასოდეს ყოფილა მიწის მტვრით დაფარული, ბორცვებადქმნილ ნანგრევებში გაუჩინარებული, რომ დალოდებოდა მეცნიერების საუკუნეს და სწავლულთა თუ სიძველეთა მოყვარულთა მეცადინეობით აღმოჩენილიყო და კვლავ ენახა სამზეო ქვეყნები, სადაც, ბიბლიის ერთი წიგნის თანახმად, ახალი არაფერი ხდება. იგი ყოველთვის არსებობდა ცოცხალი და ცხოველყოფილი სულიერი კულტურის სახით იმ ერის ყოველდღიურ ყოფაში, რომელმაც ის შექმნა, ხოლო ქრისტიანობის წყალობით დასავლური ცივილიზაციის ერთ-ერთი საფუძველი შეიქნა, რომლის გარეშე დღეს ვერავინ წარმოიდგენს მის სახეს.

თუ ძველი აღმოსავლეთის კულტურების ნაშთები დღესაც განაგრძობს არსებობას, როგორც მხოლოდ „წყალქვეშა დინებით“ შემოსული ელემენტები, ბიბლიური წიგნების კულტურა უშუალოდ და ცნობიერად არის ჩართული ქრისტიანული ცივილიზაციის ადამიანის შეგებაში. თუმცა ამ ფუძემდებლურ წიგნში ძველი ადამიანის მსოფლგანცდა და თავგადასავალია გადმოცემული, ამ მსოფლგანცდას და თავგადასავალს, მის ეთოსს – მორალურ-ზნეობრივ მრწამსს და სულისკვეთებას ჩვენამდე მოაქვს ზოგადკაცობრიული სული, რომელიც გასაგებია დედამიწის ნებისმიერი კუთხის ადამიანისთვის.

„ბიბლიური“ ჩვენში, საზოგადო წარმოდგენაში, ბადებს რაღაც მონუმენტურის, ყოველდღიურობაზე ამაღლებულის ხატს, თუმცა ამ წიგნში მოთხრობილ ამბებს არ შეუძრავს იმდროინდელი მსოფლიო. ბაბილონისა და ეგვიპტის იმპერიათა და მათთან დაკავშირებულ გრანდიოზულ მოვლენათა ფონზე აშკარად იჩრდილება ბიბლიური სამყარო: პალესტინაში მოსახლე ებრაელთა ტომი მათი მეფეებითურთ ამ სახელმწიფოთა ისტორიაში და ომებში მხოლოდ ერთი ეპიზოდია. მათ მიწა-წყალზე თვალს ვერ მოგვრავთ ბაბილონური ზიკურათებისა თუ ეგვიპტური პირამიდების მსგავს არქიტექტურულ საოცრებებს; მის საზღვრებში არ აღმოჩენილა მათი დანატოვარი მონუმენტური ხელოვნების ნიმუშები, არც წერილობითი დოკუმენტების არქივები და ბიბლიოთეკები; მათ ანალებში მოთხრობილი ამბები – აღწერილი ბრძოლები – იშვიათად გასცილებია მათი ქვეყნის საზღვრებს. ბიბლიური მონუმენტურობა და დიდებულება ნივთიერში არ არის გაცხადებული, მისი ღირსება და დიდება სხვაგან უნდა ვეძიოთ. ძველი აღთქმის ხალხი თავიანთ თავკაცებს – მოსე წინასწარმეტყველს და მეფე დავითს – არ წარმოიდგენდნენ იმგვარად, როგორც ეგვიპტელნი და შუამდინარელნი თავიანთ ფარაონებსა და მეფეებს „სამყაროს ოთხივე კუთხისა“. ბიბლიური კულტურა და, საზოგადოდ, მისეული შეგება ძალმოსილებისა არ არის მატერიალური ხასიათის. ის, პირველ ყოვლისა, სულიერი მოვლენაა, იგი თავის წმინდა გამოხატულებას სიტყვაში, სიტყვიერ შემოქმედებაში ხედავს.

ჭეშმარიტად, გაოცებას იწვევს, თუ როგორ, რა ძალით მოხდა, რომ უდაბნოდან გამოსულმა ამ მცირერიცხოვანმა ხალხმა, რომელიც თითქმის არაფრით იყო გამორჩეული მონათესავე ხალხებისგან – მოაბელთაგან, ედომელთაგან, ყამონიანთაგან, – რომელთა მეზობლად ის სახლობდა მთელი თავისი ისტორიის მანძილზე, არა მხოლოდ

გადიარჩინა თავი, როგორც ეროვნულმა მთლიანობამ, არამედ ისტორიულ ქართველებში გამოტარებულმა, ორ „გეგელეშაპურ“ სახელმწიფოს შორის მოქცეულმა, რომელთაგან ხან ერთი – ეგვიპტე დასავლეთიდან, ხან მეორე – აშურ-ბაბილონი აღმოსავლეთიდან ემუქრებოდა შთასანთქმელად, საბოლოოდ დაქუცმაცებულმა და გაფანტულმა, შექმნა წიგნი, რომელიც სულ სხვა ეპოქაში, სხვა მოდგმის ხალხში ახალი ცივილიზაციის საფუძვლად დაიდო.

ბიბლია – ებრაელი ხალხის სულიერი კულტურის ძეგლი და წარსულში მათი არსებობის მოწმობა – იქმნებოდა ძველი წელთაღრიცხვის თითქმის ათი საუკუნის მანძილზე განსხვავებულ ისტორიულ ვითარებაში, განსხვავებული სულისკვეთებით. მისი ყველაზე სრული კრებული ორმოცდათერთმეტი სხვადასხვა ჟანრის და განსხვავებული მოცულობის (უმცირესი მათ შორის, „ქებათა ქება“, მხოლოდ ასწვიდმეტ სტრიქონს შეიცავს) წიგნისგან შედგება. ორი რელიგიის – იუდაიზმისა და ქრისტიანობის – საღვთო წიგნი, ამავე დროს არის თვითმყოფადი პოეტური ქმნილება, ვრცელი ტილო, სადაც წარმოდგენილია სიტყვიერი შემოქმედების, დღესდღეობით არსებულის, თითქმის ყველა ჟანრი. იგი, შეიძლება ითქვას, თანამედროვე მსოფლიო მწერლობის უძველესი ქრესტომათიაა. აქ შევხვდებით ფოლკლორული წარმოშობის საწესხვეულებო სიმღერებს, იგაგ-არაკებს, შეგონებებს, ფილოსოფიურ ნაკვესებს, მითოსის ფრაგმენტებს, საისტორიო და საყოფაცხოვრებო დოკუმენტურ პროზას, ნოველისტურ ამბებს, გოდებებს, საღვთო საგალობლებს, საგმირო ლექსებს, სატრფიალო ლირიკას, დიპლომატიურ მიმოწერას, ორატორულ სიტყვას, პუბლიცისტიკასაც კი.

აი, ბიბლიური, კერძოდ, „ძველი აღთქმის“ წიგნები სახელდებით:

პირველ ხუთ წიგნს სათაურები ებრაულ დედანში დასაწყისი სიტყვების მიხედვით აქვს მიცემული. პირველი – „დაბადება“ (ებრაულად *ბერეშით* „თავდაპირველად“); მეორე – „გამოსვლა“ (*შემოთ* „სახელები“); მესამე – „ლევიანნი“ (*ვეიკრა* „და მოუწოდა“); მეოთხე – „რიცხვნი“ (*ბემიდბარ* „უდაბნოში“); მესხუთე – „მეორე რჯული“ (*ელლე ჰადევარიმ* „აჰა სიტყვები“). ეს არის მოსეს ხუთწიგნეული ანუ *ხუმაში*, სადაც მოთხრობილია ქვეყნის შექმნისა და ადამიანის გაჩენის ამბავი, დედამიწის პირველ მკვიდრთა განფანტვის (განსახლების) და ებრაელი ხალხის ადრეული ისტორია იმ ხანამდე, ვიდრე პალესტინაში, „აღთქმულ ქვეყანაში“ დასახლდებოდნენ.

„ხუთწიგნეულს“ მოსდევს წიგნი „იესო ნავეს ძისა“, რომელშიც ასახულია ის ხანა, როცა ხალხი ეს-ეს არის მკვიდრდება „აღთქმულ ქვეყანაში“ და ინაწილებს მიწას. „მსაჯულთა წიგნი“ მოგვითხრობს ახლად დამკვიდრებული თორმეტი ტომის, თითოეულის ცალ-ცალკე და ერთად, ბრძოლებზე ადგილობრივ მოსახლეობასთან და მეზობელ ტომებთან დვთივდადგენილი წინამძღოლების – მსაჯულების მეთაურობით. „რუთის“ წიგნში მოთხრობილია ერთი ისრაელიანი ოჯახის ძნელბედობაზე და აღორძინებაზე მსაჯულთა ხანაში.

„მეფეთა“ ოთხ წიგნში და „ნემტა“ ორ წიგნში, „პირველ ეზრაში“, „ნემიაში“, „მეორე ეზრაში“, „ტობითში“, „ივდითში“, „ესთერში“, „მაკაბელთა“ ოთხ წიგნში ბიბლია გვიამბობს მეფეთა ღვაწლზე – მათ დიდებაზე და მათ დაცემაზე, მთელი ერისა და ცალკეული ადამიანების თავგადასავალზე მეფობის გაუქმებამდე, ხალხის პირველ გადასახლებამდე „აღთქმული ქვეყნიდან“ ჯერ აშურში, მერე ბაბილონში (ბაბილონის ტყვეობა), ტყვეთა დაბრუნებაზე, თავგანწირულ ბრძოლებზე ქვეყნის მტრებთან.

„იგავნი სოლომონისა“, „სიბრძნე სოლომონისა“, „სიბრძნე ზირაქისა“ აცხადებენ ყოფაქცევის სიბრძნეს და მართალი ცხოვრების პრინციპებს.

„ფსალმუნნი“ (ებრ. *თეჰილიმ*) – საგალობელი, ღვთის სადიდებელი, ლოცვანი ღვთისადმი, ჩვენი ძველების შერქმევით „დავითნი“, რადგან მათი ავტორობა დავით მეფეს მიეწერება.

„ეკლესიასტე“ უნიკალურია ბიბლიურ წიგნთა შორის თავისი სკეპტიკური სულისკვეთებით: მეფე (ტრადიცია სოლომონს ეულისხმობს) ამაოებდა აცხადებს ადამიანურ ცხოვრებას.

„ქებათა ქება სოლომონისა“ ერთადერთი ნიმუშია სატრფიალო პოეზიისა.

„იობის წიგნი“ მართალი იობი, უსამართლოდ ჩაგარდნილი სატანჯველში, ღმერთს იწვევს სამსჯავროზე, აღიარებს და იცავს თავის სიმართლეს.

„წინასწარმეტყველთა წიგნები“ დაცემულ-დაძაბუნებული ერის მამხილებელია და სამომავლო აღორძინების იმედის შთამნერგავი შემოქმედებაა. მათ შორის ოთხი დიდ-

ნი – ესაია, იერემია, ეზეკიელი და დანიელი; და თორმეტი მცირენი – ოსია, ამოსი და სხვანი.

ეს არის ერთიანი მონუმენტური შენობა, სადაც ყოველ ნაწილს თავისი ადგილი აქვს მიკუთვნებული და ამ ადგილიდან აცხადებს ჭეშმარიტებას. ბიბლია იწყება ქვეყნის, ქვეყნიერების შექმნით და მთავრდება მისი დასასრულის ხილვებით – „მესამე ეზრას“ ანუ ეზრას გამოცხადება აბოლოვებს „ძველ აღთქმას“, როგორც იოანე ღვთისმეტყველის „გამოცხადება“ – „ახალ აღთქმას“ და მთელს ბიბლიას. ამ ორ ხილვას შორის მოქცეულია ბიბლიის ამბავთა და პერსონაჟთა ასპარეზი, მათი სამოქმედო სივრცე, როგორც ერთი წუთისოფელი, თავისი ჭირ-ვარამით, სიბრძნით და ჭეშმარიტებით, სიცრუით და გაუტანლობით, უხანობით, საცთურებით, დაცემით და ამაღლებით, ზეგარდმო მების ტყვით, ხილვებით, გამოცხადებებით, გლოვითა და ღვინით, ნგრევითა და შენებით, განფანტვითა და შემოკრებით, სასოწარკვეთილებითა და სასოებით.

ბიბლიაში მოთხრობილია უამრავი ამბავი და ეპიზოდი, როგორც მთელი ერის, ისე ცალკეულ პიროვნებათა და მათ საგვარეულოთა თავგადასავალი; მონაწილეობს ასობით პერსონაჟი, რომელთა ბედი მთელი ერის ბედისწერასთან არის გადახასკეული.

ზოგი მათგანი ცნობილია ქართველი კაცისათვის. ვის არ გაუგონია წარდგენას გადარჩენილი ნოეს სახელი, სამოთხიდან გამოდგენის ამბავი კაცთა მოდგმის წინაპართა – ადამ და ევასი, პირველი მკვლელობა ძმისა ძმის მიერ – აბელ-კაენის ტრაგიკული ამბავი, აბრაამ მამამთავრის განსაცდელი, იოსების დრამატული თავგადასავალი. ძველ საქართველოში არ იყო მიუწვდომელი ბიბლიური ამბები; მათი ცოდნა, როგორც ერთი მთავარი ელემენტი, შედიოდა ხალხური განათლების სფეროში. როგორც ჩანს, არსებობდა ხალხური ზეპირსიტყვიერი ბიბლია წერილობითი ბიბლიის გვერდით: ხალხში ტრიალებდა ლექსად გადათქმული ამბავი ადამისა და ევასი, აბრაამისა, იოსებისა. ეკლესიის კედლებს შორის ამბიონიდან მოსმენილი ბიბლიური სიუჟეტები ამდიდრებდა ხალხის სულიერ სამყაროს და კვებავდა მის ფანტაზიას.

რაღა უნდა ვთქვათ მწიგნობარზე თუ მწერალზე, რომლისთვისაც ბიბლია ყოველდღიური საკითხავი წიგნი იყო. ბიბლიური ხატები და სიმბოლოები განსაზღვრავს ძველი ქართველი ავტორის მხატვრულ აზროვნებას, ბიბლიური ეთოსი კვებავს მის სულიერებას, ბიბლიური პიროვნებები და მოვლენები ცოცხლობენ მის ხილვებში. მარტვილობათა, ჰაგიოგრაფიის თუ ჰიმნოგრაფიის სინამდვილე დახურული იქნება ჩვენთვის, დღევანდელი ადამიანისთვის, თუ მათი შთამაგონებელი პირველწყარო – ბიბლია – არ გადავშაღებთ. ქართველი ჰაგიოგრაფის (გიორგი მცირის) სიტყვებში, რომლებითაც ის აღწერს გიორგი მთაწმინდელის გარდაცვალებას – „...საბრ ე შეიმუსრა, ხოლო სირი აღფრინდა, დაუტევა ეგვიპტე, რომელ არს ცხორება ესე ნივთიერი, და წიად-ვლო არა თუ ზღუა იგი მეწამული, არამედ შავი ესე და წყუდიადი ზღუა ამის საწუთრო სა, შევიდა ქუეყანასა მას აღთქემისასა, რომელ არს ზეცათა იერუსალიმი, მთასა მას ზედა სიბრძნის-მეტყუელებს ღმრთისა თანა, წარი ადა ამლი სულისა ...“, – თუ არ ვიცით, რას ნიშნავს „ეგვიპტე“, „მეწამული ზღვა“, „ქვეყანა აღთქმისა“, რას გულისხმობს „ზეცათა იერუსალიმი“ ანდა ხაზის გახდა მთაზე ასვლისას ძველი აღთქმის ხალხის ისტორიაში და მის წინასწარმეტყველთა სიმბოლიკაში, სრულიად გაუგებარი იქნება სიღრმე იმ განცდისა (ზეციური სიხარული ადამიანის განსვლის გამო საწუთროდან), რომლის გამოხატვა სურდა ძველ ავტორს.

არა მხოლოდ სასულიერო მწერლობას ასაზრდოებდა ბიბლია; ჩვენი საერო პოეზიის გვირგვინში – „ვეფხისტყაოსანში“ – ტრიალებს ბიბლიური სული. განა ამ ეპოსის დასაწყისი „რომელმან შექმნა“ არ არის გამოძახილი ბიბლიის დასაწყისისა „დასაბამად შექმნა ღმერთმან...“? ან მისი დასასრული, გამოთქმული სასოებით „შიგან მათსა საბძანისსა თხა და მგელი ერთად სძოვდეს“, არ ეხმიანება ძველი აღთქმის (და, ცხადია, ასევე ქრისტიანულ) ესქატოლოგიურ იდეალს?

განა „დავითიანიდან“ არ გვაწვდენს თავის ძლიერ ხმას პოეტის სახელმოდგამი და სულიერი წინაპარი დავით ისრაელის მეფე? განა არ ისმის „დავითიანში“ ქვეყნის დაცემით გულშეძრული წინასწარმეტყველის მამხილებელ-მოკიცხარი ხმა? განა არ გოდებს ის ძველი აღთქმის ქადაგივით?

განა „ეკლესიასტეს“ წარუვალი სიბრძნე არ ჩანს ბარათაშვილის პოეზიაში? „ფიქრნი მტკვრის პირას“ ხომ ეხმაურება წუთისოფლის ამოუებით გულგასენილი მეფის

ფიქრებს? სხვა ვინ არის ეს მეფე, თუ არა ბრძენი სოლომონი, რომელმაც დიდების ტახტზე განიცადა „აღუესებელი საწყაულის“ უფსკრული?

როცა ილიას პოეტი ამბობს, რომ მის გულში, როგორც ღვთის საკურთხეველზე დანთებულია ციური ცეცხლი, რომ მას „ცა ნიშნავს“ და რომ ის „ღმერთთან ლაპარაკობს“, ერის საწინამძღვროდ, რომ პოეტისთვის არ კმარა „ტკბილ ხმათა“ მღერა, – განა არ გაგვახსენდება ღვთივშთაგონებული წინასწარმეტყველი, რომლის სულიერი სამშობლო ცაშია, განსაკუთრებით ღმერთთან მოლაპარაკე მოსე, რომელიც ღმერთმა დაადგინა ერის წინამძღოლად, მოსე და კიდევ სხვანი, მკვასხე სიტყვებით (არ ეცალათ მათ „ტკბილ ხმათათვის“) რომ აფხიზლებდნენ ხალხს? განა ილიას და აკაკის – „გარემოების საყვირთა“ და „შუაკაცთა“ უფლება საკუთარი ერის დაუნდობლად მხილუბისა და კიცხვისა იმავე წყაროდან არ მოდის, საიდანაც წინასწარმეტყველნი იღებდნენ შთაგონებას?

შესაძლებელია, ძველი აღთქმის წიგნებში მკითხველი ვერ შეხვდეს ისეთ წარმტაც სიუჟეტებს, ელინურ მითებში რომ ვხვდებით. ხომ დაუვიწყარია და მრავალფეროვანია ჰერაკლეს, ოდისევსის თუ იაზონის თავგადასავალნი, მაგრამ ბიბლიური ამბები თავისი ლაკონიზმით და „სიმშრალით“ ადამიანის ყოფიერების წარმოუდგენელ სიღრმეებს წარმოაჩენს. ბიბლიის შუაგულში ადამიანი დგას თავისი კერძო, განუმეორებელი ბედით. მართალია, მთავარი მოქმედი პირი ბიბლიური სამყაროსი არის ღმერთი, მაგრამ მის წინაშე, მის პირისპირ დგას მისი მოპაექრე ადამიანი, მოწამე თავისი დიდებისა და დამცრობისა. „მე ჭია ვარ და არა კაცი“ (ფსალმ. 21:7) ამბობს დაცემული ადამიანი, მაგრამ ეს სიტყვები ისეთი სიმალლიდან არის ნათქვამი, სადამდისაც არ ასულა ელინური არც აზრი, არც განცდა. თუ სადმე, რომელიმე წიგნშია გატარებული პირუთენელი, მოუსყიდველი აზრი ღმერთზე, ადამიანზე, ერზე, ქვეყანაზე, ასეთი წიგნი, პირველ ყოვლისა, ბიბლიაა. იგი რელიგიური წიგნია, მისი ავტორები მისდევენ ჭეშმარიტებას, სიმართლეს, არც ცდილობენ შეაფერადონ, შეალამაზონ სინამდვილე; არ ამლევენ შეღავათს ადამიანს – თვალს არ უხუჭავენ, არ ჩქმალავენ მის არც ერთ ზნეობრივ ნაკლს, თუნდაც იგი ღვთის რჩეული იყოს; არ პატიობენ თავის ერს ცოდვებს, პირში მიახლიან მხილუბის სიტყვებს, თუმცა დარწმუნებულნი არიან მის ღვთივრჩეულობაში.

ბიბლიის – „ძველი აღთქმის“ მკითხველის წინაშე ჩაივლის ცალკეულ ადამიანთა თავგადასავალი და ერის ისტორია; ერის ჩამოყალიბებისა და აღზრდის, მისი თვითშეგნების განუწყვეტელი ქმნადობის პროცესი, პერიოდები მისი ამალღებისა და დაცემისა, მისი განფანტვისა და შემოკრებისა. თუმცა ეს წიგნი ერთი კონკრეტული ხალხის ისტორიულ ბედზე მოგვითხრობს, მაგრამ ყოველ ერს შეუძლია მასში საკუთარი თავის ამოცნობა. ამ მხრივ, ბიბლია სამაგალითო წიგნია.

„ძველი აღთქმის წუთისოფელი“, რამდენადაც მისი შეზღუდული ფარგლები იძლევა საშუალებას, მკითხველს აცნობს ბიბლიური ხალხის, ბიბლიური ისტორიის სუბიექტის, თავგადასავალს და იმ ადამიანთა ინდივიდუალობებს, რომლებიც ჟამიდან ჟამზე უძღვებოდნენ მას. თუმცა წიგნი პოპულარული ხასიათისაა (იგი არ წარმოადგენს სამეცნიერო გამოკვლევას), მაგრამ ის არ არის გამიზნული ბიბლიაში სრულიად გაუცნობიერებული მკითხველისთვის. „ძველი აღთქმის წუთისოფელი“ მოითხოვს მკითხველისგან ბიბლიური წიგნების მინიმალურ ცოდნას მაინც.

კაცობრიობის წარსული სამყაროს შექმნა

ბიბლია, როგორც მემკვიდრე ძველი შუამდინარული ტრადიციებისა, ადამიანის, კაცობრიობის, ქვეყნის ისტორიას მთელი სამყაროს – უნივერსუმის შექმნით იწყებს. მაგრამ რაოდენ განსხვავდება ბიბლიური შესაქმე შუემრულ და ბაბილონურ კოსმოგონიებისგან, სადაც ქვეყნის შექმნა წარმოდგენილია ბრძოლად შემოქმედ ღმერთსა (დემიურგსა) და ზღვაური ქაოსის ურჩხულს შორის. მატერიალური სამყარო, მთელი ბუნება, კოსმოსი ურჩხულის ანუ გველეშაპის ძლევის შედეგია. გველეშაპი მარცხდება დემიურგთან ორთაბრძოლაში, განიწვალება და მისი განწვალებული სხეულისგან იქმნება ცა და მიწა. ბიბლიურ ტექსტში აქა-იქ არის შემორჩენილი ამგვარი კოსმოგონიის კვალი. „შენი ძალით გააპე ზღვა, თავი გაუხეთქე ზღვის გველეშაპს, თავი გაუჭკეჭე ლევიათანს...“ (ფსალმუნი, 74, 13–14), „შენ დაამხე რაჰაბი განგმირულივით...“ (ფსალმ. 89, 11). ასეთი ქმედება არის ძველი აღთქმის ღმერთის – იაჰვეს, შეიძლება ითქვას, „წარმართული“, პრესტორიული წარსული ანუ ხსოვნა ამ წარსულისა, როგორც სამყაროს შექმნის შორეული მეტაფორა. მოხმობილ ფსალმუნთა აეტორის შეგნებაში, ზღვაური გველეშაპის – რაჰაბისა თუ ლევიათანის ძლევა მხოლოდღა გამოხატულებაა ღმერთის სიძლიერისა, მისი დაუსაზღვრელი ძლევაამოსილებისა; ძველი კოსმოგონიური მითოსი – პოლითეისტური რელიგიური აზროვნების ნაყოფი დაწნეხილია ამ ფსალმუნებში, როგორც ანდაზა. ბიბლიურ წიგნებში მას აღარ განუცდია ხელახალი სიუჟეტური გაშლა.

წყალი (წყლები *მათ*), რომელიც გამოჩნდება „დაბადების“ წიგნის მეორე მუხლშივე, აღარ არის ცოცხალი არსება, როგორც მითოლოგიური პირი – კოსმოგონიური დრამის პერსონაჟი, არამედ უსიცოცხლო, ინერტული მასა. წყალი ის მატერიაა, რომლისგანაც „დასაწყისში ღმერთმა შექმნა ცა და მიწა“, გვამცნობს „დაბადების“ პირველი მუხლი; ანუ წყალი, როგორც დედრული წიაღი, ატარებდა ცისა და მიწის ჩანასახს. ეს ცა და მიწა არის ის ერთიანობა, ის ყველაფერი, რომელიც წინ უძღვოდა ჩვენი ხილული ცისა და მიწის არსებობას. სხვა არის ის დასაბამიერი ცა-და-მიწა და სხვა – ეს ცა და ეს მიწა. როგორი იყო ის მიწა? „მიწა იყო უსახო და უდაბური“, გვამცნობს „დაბადების“ მეორე მუხლი. ქართული სიტყვები ოდნავადაც ვერ გადმოგვცემს იმ შთაბეჭდილებას, რის გამოსახატავად ებრაული დედნის სიტყვებია მოწოდებული. „მიწა იყო *თოჰუ-ვა-ბოჰუ*“ – ამბობს დედანი. ამ სიტყვებით მინიშნებულია ქვეყნიერების ქაოტური მდგომარეობა. ეს უაზრო სიტყვებია, ისინი არ არიან მოხმობილი რაიმე გარკვეულის, საზღვარჩენილის გამოსახატავად. პირიქით, ძველი მკითხველის განცდაში მათ უნდა აღეძრათ იმ „რადაცის“ ხატი, რომელიც შექმნამდე არსებობდა და არც არსებობდა. სიტყვა, მართალია, უძღვრია შექმნამდელის თუ ჯერაც შეუქმნელის გამოსახატავად, სიტყვამ თითქოს უნდა დაკარგოს სახე, რომ გამოხატოს „უსახო სახე“, – ასეთია *თოჰუ* – ნახევარსიტყვა და *ბოჰუ* ნახევარსიტყვა, რომელთა ერთიანობა უღვიძებს კაცს წარმოდგენას უქმნაღზე. *თოჰუ-ვა-ბოჰუს* ბგერები ესმოდა იმ ხალხს, რომელმაც ცხოვრების გზაზე, ამოსულმა ეგვიპტის ოაზისიდან, კვლავ ოაზისში შესასვლელად, გაიარა უდაბნოს სტიქიონი, ჯერაც მოუწყობელი ნაწილი მიწისა, მართლაც „უ-სახ-ო და უ-დაბ-ური“; ხალხი აღიქვამს თავის წარსულს, როცა ის ჯერ კიდევ შუშდებოდა და იწრთობოდა, როგორც *თოჰუ-ვა-ბოჰუს*, რომელიც ამავე დროს დედამიწის და ცის წარსულიცაა, რასაც ჯერ არ შეხებია შემოქმედის ხელი. ღმერთმა იმ უსახობას სული (*რუახ*) შთაბერა და შექმნა მისგან ცა და მიწა, მაგრამ მიწაზე, ადგილ-ადგილ, უდაბნოც დარჩა და ასე დარჩება ქვეყნის დასასრულამდე, როგორც წუთისოფლის უსრულობის ნიშანი. როცა ბიბლიურ წინასწარმეტყველს სურს აღძრას მსმენელში ახალი, მეორედ შექმნილი ანუ გარდაქმნილი სამყაროს ხატი, ის მოუხმობს აყვავების მოლოდინში მყოფი უდაბნოს სურათს: „გაიხარებს უდაბნო და ტრამაღლი, გამხიარულდება უდაბური მიწა და აყვავდება როგორც შროშანი“, კკითხულობთ ესაიას წინასწარმეტყველებათა წიგნში (35:1).

იმავე მუხლში, სადაც მოცემულია სახე შეუქმნელი დედამიწისა და ცისა, ნათქვამია: „ბნელი ეფინა უფსკრულს და სული ღვთისა იძვროდა წყლებზე“. ამ მუხლში შეფარვით, ერთ უნიკალურ სიტყვას შეფარებული, გატრუნულია ის, დასაბამიერი გველეშაპი, რომელიც, ძველადმოსავლური კოსმოგონიების მიხედვით, განასახიერებდა პირველყოფილ ქაოსს. ეს სიტყვა – „უფსკრული“ *თჰომ* – მისი საკუთარი სახელია

და მომდინარეობს ბაბილონური ზღვაური ურჩხულის სახელიდან *თი(კ)ამათ*, რომელიც „ზღვასაც“ ნიშნავს ამ ენაში. მაგრამ იმ მითოლოგიური პერსონაჟიდან მხოლოდ სახელი შემორჩა ბიბლიის ამ მუხლში. მკითხველი მასში ვეღარ ხედავს სამყაროს შემოქმედის მტერს, რომელსაც ძველ მითოსში ებრძოდა იგი კოსმოსის შესაქმნელად. ბიბლიური „სული ღვთისა“ (*რუახ ელოჰიმ*) არ ებრძვის წყალს, არამედ, როგორც კრუხი, დაბუდებულია მასზე, რათა წიწილივით გამოჩეკოს სამყარო. ეს ბნელში ხდება, ნათელი ჯერ არ არის გაჩენილი.

ნათელის გაჩენაზე ლაპარაკია მესამე მუხლში: „თქვა ღმერთმა: იყოს ნათელი! და იქმნა ნათელი“. ღმერთი არ იბრძვის – ვის უნდა ებრძოდეს? მისი შექმნილია ისიც, რისგანაც სამყაროს ქმნის, – ის ქმნის თავისუფალი ნებით, არა იძულებით, ძველი კოსმოგონიების დემიურგისგან განსხვავებით, რომელიც შექმნილისგან არის წარმოშობილი, თავად არის შექმნილი და არა აქვს არჩევანი – უნდა შეეხება გველეშაპს, რათა იხსნას თავი, რადგან გველეშაპი, როგორც პირაშემული უფსკრული, შთანთქმით ეშუქება მას. „თქვა ღმერთმა: იყოს... და იქმნა“ აი, შესაქმნის ფორმულა, რომელიც შვიდგზის გაისმის „დაბადების“ პირველ თავში ნათელის გაჩენიდან დაწყებული, ცხოველთა სამყაროს შექმნით დამთავრებული. ვერც მკლავმოღერებულს, ვერც მახვილით ხელში ვერ წარმოიდგენს ბიბლიის მკითხველი ბიბლიურ კოსმოგონიურ გმირს შესაქმნის დასაბამში. თუ რამ ფიზიკური ქმედება წარმოუდგება მას თვალწინ, ეს იქნება ბაგეთა ძვრა შემოქმედებითი, ჭეშმარიტად ქმედითი სიტყვის წარმოსათქმელად. სამყაროს შემოქმედის „განკარგულებაშია“ სული (სული ღვთისა) და სიტყვა – თაურსახე სიტყვიერი შემოქმედებისა პირველად ადამში და მერე ყოველ ადამიანში. ოღონდ პირველი სიტყვა, ღვთისგან წამოთქმული, შეუზღუდველი, უსასრულო ძალისაა, რადგან ღვთის აქტივობაში ერთია თქმა და ქმნა.

ბიბლიური კოსმოგონია გრძელდება ექვს დღეს – ექვს პერიოდს. რა მიაჩნია მის ავტორს აღნიშვნის ღირსად ქმნილებათა შორის? ან რას ანიჭებს იგი ბუნებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას? რა შეიქმნა პირველად, რაზეც ითქვა, „იყოს?“ ეს არის, როგორც ზემოთ ითქვა, „ნათელი“. როცა ნათელი შეიქმნა, მასში გამოჩნდა „ბნელიც“, რომელიც, როგორც ვიცით, თავდაპირველადვე „ეფინა უფსკრულს“. სიბნელე არ შექმნილა, ის დასაბამიერია, რომლის ფონზე ნათელი აჩენს თავის დიდებას. ეს მოხდა პირველ დღეს.

მეორე დღეს ღმერთმა განკვეთა (ეს ძველი დემიურგის ქმედების კვალია, როცა ის შუაზე კვეთდა გველეშაპს) ერთიანი წყალი ზემო და ქვემო წყლებად, და საზღვარს, მათ შორის გაავლებულს, უწოდა ცა.

მესამე დღეს შეიქმნა მიწა. მიწა ეწოდა იმ „მშრალს“ (*იაბაშაჰ*), რომელიც გამოჩნდა ქვემო წყლების ერთად შემოკრების შემდეგ, როცა „თქვა ღმერთმა: შეგროვდეს ერთგან ცისქვეშეთის წყალი“. ერთგან შემოკრებილ წყალს ეწოდა ზღვა. ასე რომ, მიწა ზღვამ გამოაჩინა და დააპირისპირა თავის თავთან. ამავე დღეს შექმნა ღმერთმა მიწის საფარველი: მცენარეულობა – ბალახი და ხე. მოაწყო ისე, რომ ყოველ მათგანს შეძლებოდა, თავადვე წარმოეშვა და დაეგდო მიწაზე, თავისივე გვარის მცენარის შემცველი თესლი, რათა მისგან კვლავ – შეუქმნელად – აღმოცენებულიყო.

მეოთხე დღეს შექმნა ღმერთმა მზე და მთვარე, და ვარსკვლავები – პირველ დღეს შექმნილი ნათელის ნივთიერი გამოვლინებანი.

მეხუთე დღეს იქმნება სულდგმულთა სამყარო – წყლის ბინადარნი და ცის ფრინველები.

მექვსე დღეს ღმერთმა გააჩინა ცხოველთა სამყარო – მიწის სულდგმული: გარეული ცხოველები, შინაური პირუტყვი (ან უკეთ: ის ცხოველები, რომელთა ბუნებაშიც იმთავითვე ჩადებული იყო ადამიანთან სიახლოვის შესაძლებლობა) და ქვეწარმავალი. ამ დღეს შეიქმნა კაციც ყოველივე მანამდე შექმნილის პატრონად.

მეშვიდე დღეს არაფერი შეუქმნია ღმერთს: ექვს დღეში შექმნა მან მთელი ბუნება – მისი სამივე საფეხური: მინერალური სამყარო, მცენარეულობა, ცხოველთა სამყარო; მეშვიდე დღეს კი დაისვენა მან და აკურთხა და წმიდაჰყო მეშვიდე დღე – შაბათი (*შაბათ* „შეწყვეტა“, „გასრულება“).

ყოველი შექმნა აღინიშნება მნიშვნელოვანი ფრაზით: „დაინახა ღმერთმა, რომ კარგია“. ხუთგზის აღინიშნება, რომ კარგია, ხოლო მეექვსედ, შესაქმნის ბოლო დღეს, შექმნილის მთლიანობაში მოხილვის შემდეგ, როგორც შეჯამება შემოქმედებითი აქტების-

სა, აღმატებით ხარისხშია ნათქვამი: „დაინახა ღმერთმა ყოველივე, რაც შექმნა, და, აჰა, ძალიან კარგია“. *ტობ* ნიშნავს „კეთილსაც“ და „მშვენიერსაც“ – ქართული კარგი მოიცავს ორივე მნიშვნელობას. ამრიგად, ღვთის შექმნილ სამყაროში, ბიბლიური კოსმოლოგიის თანახმად, განხორციელებულია ზნეობრივ-ესთეტიური პრინციპი, რომელიც ანდაზურად გამოხატა რუსთაველმა: „ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს“.

თუმცა ძველი აღთქმის ენაში არ მოიპოვება ბერძნული *კოსმოსის* სემანტიკურად მონათესავე ცნება, მაგრამ ის თვალთახედვა, რამაც ჩამოქნა იგი – *კოსმოს* „მშვენიება“, „სამკაული“, „წესრიგი“, „სამყარო“, – არ ყოფილა უცხო ბიბლიურ წიგნთა ავტორებისთვის. განა შორს არის ელინური მსოფლგანცდისგან ეს სიტყვები „გასრულდა ცა და მიწა მთელი მათი მორთულობითურთ“?

ადამი

მიუხედავად იმისა, რომ ბიბლია არსებითად რელიგიური წიგნია და მისი მთავარი მოქმედი პირი, მასში მოთხრობილ ამბავთა და მოვლენათა წარმმართველი არის ღმერთი, მაინც იგი არის წიგნი ადამიანის და ხალხის შესახებ – ამბავი მის წარმოშობაზე, აღზრდაზე, ზნეობრივ ჩამოყალიბებაზე, მის ბედზე ამ წუთისოველში, მის განსაცდელზე, მის ტანჯვა-წვალებებზე და საბოლოო იმედზე. ადამიანის თავგადასავალი სამყაროს შესაქმნეს ებმის უშუალოდ და ამ კონცეფციაში, რომელიც სიუჟეტურად ცხადდება, მნიშვნელოვანი აზრია ჩაქსოვილი. თუ რაიმე შექმნილზე ითქვა, რომ კარგია, ეს ადამიანზეც, პირველ ყოვლისა, იმ არსებაზე ითქვა, რომელიც ღმერთმა თავისი შემოქმედების დამაგვირგვინებელ, მეექვსე დღეს შექმნა. ადამიანი ბიბლიის ავტორების ყურადღების შუაგულშია მოქცეული და, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს წიგნები ადამიანით იწყება და ადამიანითვე სრულდება.

ბიბლიური თვალსაზრისით, რაც შექმნა ღმერთმა, ყველაფერი ადამიანისათვის შექმნა. „თქვა ღმერთმა: შევქმნათ კაცი ჩვენს ხატად, ჩვენს მსგავსებად. ეპატრონოს ზღვაში თევზს, ცაში ფრინველს, პირუტყვს მთელს დედამიწაზე და ყველა ქვემძროსს, რაც კი მიწაზე დახობავს. შექმნა ღმერთმა კაცი თავის ხატად, ღვთის ხატად შექმნა იგი...“ (დაბ. 1:26-7). ამრიგად, გამზადებულ სამყაროში იქმნება ადამიანი შექმნილის პატრონად და მეფედ ბუნებისა. მაგრამ, რაც მთავარია, პირველად ამ წიგნში და, შესაძლებელია, მხოლოდ აქ, ადამიანი მიჩნეულია ღვთისდარ არსებად, ხაზგასმულია მისი მაღალი ღირსება დაბადებითვე, თუმცა ის, როგორც „დაბადების“ წიგნის მეორე თავიდან ჩანს, მიწის მტვერისაგან არის შექმნილი. „გამოსახა ღმერთმა კაცი (ადამი) მიწის მტვერისაგან და შთაბერა მის ნესტოებს სიცოცხლის სუნთქვა და იქცა ადამი ცოცხალ არსებად“ (დაბ. 2:7). ადამი შეიქმნა ღვთის „ხატად, მსგავსებად“, მაგრამ ის გამოსახა მოკვდავი მატერიისგან, როგორც უკვდავი იდეის ხორცშესხმა. სიცოცხლის სუნთქვამ (იგივე *რუახ ელოჰიმ* „სული ღვთისა“) ცოცხალ არსებად აქცია ადამი, რომლის სახელი „მიწის“ სახელს (ადამაჰ) უკავშირდება. იმავე სულმა, რომელიც წყლის ბნელ უფსკრულზე დაბუდრებული „ჩეკავდა“ სამყაროს, შექმნა ადამი სულიერ არსებად.

ღვთის ხატად და მსგავსებად შექმნა, კერძოდ, იმას ნიშნავს, რომ ადამი შეიქმნა თავისუფალ არსებად, თავისუფალი ნების მყოფელად და შემოქმედად მსგავსად თავისი გამჩენისა. ადამის უპირატესობაზე ქმნილებათა შორის მოწმობს მისი ადგილ-სამყოფელი, რომელიც მას გამჩენმა მიუჩინა. „უფალმა ღმერთმა ბაღი გააშენა ედემში, აღმოსავლეთში, და დასვა იქ ადამი, რომელიც გამოსახა“ (დაბ. 2:8). როგორც მომდევნო აღწერილობიდან ჩანს, ედემის ბაღი, თუმცა ის აღმოსავლეთში მდებარეობს, ქვეყნის შუაგულია (მისი წიაღიდან დასაბამს იღებს ოთხი მდინარე, რომლებიც დედამიწის ოთხივე კუთხისაკენ მიედინებიან), ამავე დროს ის უმაღლესი ადგილია დედამიწის ზურგზე. „აიყვანა უფალმა ღმერთმა ადამი და დაასახლა ედემის ბაღში მის დასამუშაველად და დასაცავად“ (დაბ. 2:15). ამრიგად, ღმერთმა ადამი საუკეთესო ადგილზე დაასახლა, ქვეყნიერების წალკოტში, სადაც მას უნდა გაეგრძელებინა სამყაროს შემოქმედის მიერ დაწყებული საქმე; აქ უნდა განხორციელებულიყო მისი თავისუფალი შემოქმედება. ედემის ბაღში ცხოვრება, როგორც „დაბადების“ წიგნის მეორე თავში ჩანს, არ მოითხოვდა ადამიანისაგან არსებობისათვის ბრძოლას, ოფლის ღვრას თავის გამოსაკვებად. „დაასახლა ედემის ბაღში მის დასამუშაველად და მის დასაცავად“ არ გულისხმობს საღუკმაპურო შრომას, იმგვარ მუშაკობას, რომელიც მოუხდა ადამს ედემის კარიბჭის გარეთ – წუთისოველში, არამედ შემოქმედებას, რომლის მიზანი მასშივეა და რომლის განსახორციელებლად შრომა მხოლოდ საშუალებაა. ბუნების პატრონობა (და არა ბატონობა მასზე) შემოქმედების ტოლფასი უნდა ყოფილიყო.

„გამოსახა უფალმა ღმერთმა მიწის ყველა ცხოველი და ცის ფრინველი და მოჰგვარა ადამს, რომ ენახა, რას დაარქმევდა. რომელ სულდგმულს რასაც დაარქმევდა ადამი, მისი სახელიც ის იქნებოდა. დაარქვა ადამმა სახელი ყველა პირუტყვს, ცის ყველა ფრინველს და ველის ყველა ცხოველს...“ (დაბ. 2:19-20). ადამი აგრძელებს უფლის შემოქმედებას; თავის, ადამისეულ წვლილს სდებს უფლის დაბადებულში. ის თითქოს ხელახლა ქმნის უკვე შექმნილს ანუ ადამურს, ადამიანურს ხდის მას, რადგან ძველების რწმენით სახელის დარქმევა, სახელდება რაიმეს გაჩენის ბადალია. „რასაც დაარქმევდა ადამი, მისი სახელიც ის იქნებოდა“. ცხადია, რომ აქ სახელდება უმაღლესი

შემოქმედებითი პრინციპია – განმეორება სიტყვით შექმნის ღვთიური აქტისა. სახელთა დარქმევით, სახელდებით, ადამს არსებითად შემოქმედებითი სიახლე შემოაქვს სამყაროში, რომელიც მას დახვდა, და ეს სიახლე ადამისეული ბეჭედი უფლის ქმნილებაზე, რასაც ვერავინ წაართმევდა ადამს.

როგორც ვხედავთ, ადამი თავისუფალია თავის შემოქმედებაში, რაც არსებათა სახელდებაში გამოიხატა. ღმერთი, აბსოლუტური ნების მწველი ელის ადამისგან სიტყვის წარმოთქმას, ის არ ერევა ამ აქტში, არ ზღუდავს ადამის თავისუფალ ნებას – „...რომ ენახა, რას დაარქმევდა... რასაც დაარქმევდა, მისი სახელიც ის იქნებოდა“. ადამისეულ სახელდებას შესწორება და ღვთისგან სრულყოფა არ უნდა დასჭირებოდეს. ღმერთი არ ჩარეულა სახელდებაში ცოცხალ არსებათა, რომელთაც ადამის სამწყვსო უნდა შეედგინათ, როგორც არ ჩაერია მაშინაც კი, როცა საკუთარი ნებით დაჰყვნენ ადამი და ევა გველის, „ყველაზე ცბიერი“ არსების რჩევას, ეჭამათ აკრძალული ხის ნაყოფი, რათა თვალი ახელოდათ და ღმერთებივით გამხდარიყვნენ.

ედემი ქვეყნიერების შუაგული იყო, ხოლო ამ შუაგულის შუაგულში იზრდებოდა ორი ხე – „ხე სიცოცხლისა“ (ანუ უკვდავებისა) და „ხე კეთილისა და ბოროტის შეცნობისა“. მთელი ედემის ბაღი მისი ნაყოფებითურთ ეკუთვნოდათ ადამს და ევას. კაცობრიობის პირველ წვეილს მიცემული ჰქონდა უფლება ყოველი ნაყოფის გემოსხილვისა, გარდა ერთისა, რომლის ჭამასაც უკრძალავდა ღმერთი... „გააფრთხილა უფალმა ღმერთმა ადამი და უთხრა: ყველა ხის ნაყოფი გეჭმევა ამ ბაღში. მხოლოდ კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხის ნაყოფი არ შეჭამოთ, რადგან, როგორც კი შეჭამ, მოკვდები“ (დაბ. 2:16-7). ადამს უნდა შეეჭამა უკვდავების ხის ნაყოფი, რომ უკვდავი ყოფილიყო ედემის ბაღში; უკვდავების ხილი უნდა ყოფილიყო მისი ერთადერთი საზრდელი, მისი ფიზიკურ-სულიერი სიმრთელის წყარო. მაგრამ ისწრაფა გველმა და მისი შეგონებით მან მეორე ხის ნაყოფი აირჩია და მოკვდა. ადამი არა იმდენად იმის მიზეზით მოკვდა, რომ „სიკეთისა და ბოროტების შეცნობის ხის“ ნაყოფი შეჭამა, არამედ უფრო იმ მიზეზით, რომ ვერ მოასწრო უკვდავების ნაყოფის შეჭმა.

„სიკეთისა და ბოროტების“ ნაყოფის გემოსხილვამ არსებითად შეცვალა ადამის ბუნება. „დაუძახა უფალმა ღმერთმა ადამს და უთხრა: ადამ, სადა ხარ? მიუგო: შენი ხმა შემომესმა ბაღში და შემეშინდა, შიშველი რომ ვარ, და დავიმალე. უთხრა (ღმერთმა): ვინ გითხრა, შიშველი რომ ხარ? იმ ხის ნაყოფი ხომ არ გიჭამია, მე რომ ავიკრძალე?“ (დაბ. 3:9-11). ადამს თვალი კი აეხილა, როგორც გველი ჰპირდებოდა, მაგრამ რა იხილა, გარდა თავისი სიშიშვლისა? ადამმა დაკარგა უბიწოება, ბუნების უშუალო განცდა. მისმა ახელილმა თვალმა იხილა, უფრო სწორად, შექმნა სიკეთედ და ბოროტებად გახლეჩილი სინამდვილე, როგორც სურდა ყოფილიყო სამყარო კაცობრიობის მტერს, გველის სახით გამოცხადებულს. კიდევ რომ არ განდევნილიყო ადამი ედემიდან, მას უკვე დაკარგული ჰქონდა ედემში ცხოვრების ძალა. ის უკვე იყო ნაკლოვანი არსება, რომელიც აღარ შეესაბამებოდა ედემის სრულყოფილებას. „აეხილათ თვალი ორივეს და მიხვდნენ, რომ შიშველები იყვნენ. შეკრეს ლეღვის ფოთლები და არდაგები გაიკეთეს“ (დაბ. 3:7).

ბიბლია მოგვითხრობს ორი ადამის – სამოთხეში მყოფის და სამოთხიდან განდევნილი ადამის ამბავს. სამოთხის ადამს, ერთი არაბიბლიური თქმულების თანახმად, ნათლის სამოსელი ემოსა, რომელიც აეხადა აკრძალული ნაყოფის გემოსხილვის შემდეგ. ამრიგად, ის ფიზიკურადაც შეიცვალა, ნათელი მის სხეულში ბნელმა შეცვალა: „გაუკეთა უფალმა ადამს და მის დედაკაცს ტყავის სამოსელი და შემოსა“ (დაბ. 3:21). აქ მინიშნებულია ედემიდან განდევნილი ადამის ფიზიკური სახეცვლილება – ეს ნიშანი მისი „ტყავის სამოსელია“, რომელიც სიშიშვლეს და მისგან გამოწვეულ სირცხვილს ფარავს. სირცხვილი იმის ნიშანი იყო, რომ მაღალმა არსებამ, როგორც ადამი იყო (და ის გრძნობდა ამას), დაინახა თავისი ფიზიკური მსგავსება ცხოველებთან. ადამს შეიძლება მოჩვენებოდა, რომ მან დაკარგა ღვთის ხატი, მაგრამ არ იყო ასე. ღვთის ხატი კი შეინარჩუნა, მაგრამ ის მოსწყდა ღვთის კალთას, მფარველობას. ადამი გრძნობდა, რომ დაეცა, რომ ეცემოდა, მაგრამ მასში გაჩენილმა სირცხვილის გრძნობამ შეაჩერა დაცემა ცხოველად, და ასეა ღმერთი.

უკვდავის ხელით შექმნილი ადამი და ევა თავადაც უკვდავნი უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ მათ იმ ნაყოფის გემოსხილვით თავიანთ ბუნებაში მოკლეს ის, რაც უკვდავე-

ბის მატარებელი იყო. ამიერიდან, თუკი ისინი შექმნიდნენ რასმე ან შობდნენ, მათი გაჩენილი მხოლოდ მოკვდავი შეიძლებოდა ყოფილიყო.

კაენი და აბელი

სამოთხეში ჩადენილი ცოდვა თავისი დამღუპველი შედეგით გამოჩნდა კაენში, ადამის პირმოში, ედემის გარეთ დაბადებულ პირველ ადამიანში (ადამიანი ნიშნავს „ადამის ძეს“ – ბენ ადამ). კაენი დაიბადა როგორც მოკვდავი, მაგრამ შესაძლებელი შეიქნა, რომ ის მკვლელად დაბადებულიყო. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამის ძე არა მხოლოდ უნდა მოკვდეს, არამედ შეიძლება მოიკლას, ანუ დაიღვაროს მისი სისხლი. ბიბლია გვეუბნება, რომ პირველი მკვდარი იყო მოკლული, ის თავისი ბუნებრივი სიკვდილით არ მომკვდარა. ბიბლია იმასაც გვეუბნება, რომ პირველი დაღვრილი სისხლი ძმის ხელით იქნა დაღვრილი. მოიკლა ძმა ძმის ხელით – ძმათა ომის პირველი თესლი დაითესა ველზე, სადაც კაენმა გაიყვანა თავისი უმცროსი ძმა აბელი. „უთხრა კაენმა თავის ძმას, აბელს: გავიდეთ ველად. და, როცა ველად იყვნენ, დაეცა კაენი აბელს და მოკლა“ (დაბ. 4:8).

დაიღვარა აბელის სისხლი ისევე, როგორც იღვრებოდა იმ მსხვერპლის სისხლი, რომელსაც აბელი სწირავდა ღმერთს, რადგან აბელი მწყემსი იყო. სისხლი სისხლის წილ? კაენი მიწის მუშაკი იყო, „ვეგეტარიანელი“, და მიწის ნაყოფები მიჰქონდა მსხვერპლად, უსისხლო მსხვერპლი. კაენს არასოდეს შეუსვრია ხელი შესაწირავზე, მაგრამ ძმის სისხლით კი შეისვარა ხელი და წაიბიღწა ის მიწაც, რომელიც ნაყოფს აძლევდა მას. აბელი – სისხლიანი მსხვერპლის შემწირველი თავად შეიწირა როგორც სისხლიანი მსხვერპლი. რას გვეუბნება ბიბლია ამ ტრაგიკული ეპიზოდით?

იყო ორი ძმა – ერთი მწყემსი, მეორე მიწის მუშაკი, და იყო მათ ზემოთ ღმერთი, რომლისთვისაც თითოეულ მათგანს მიჰქონდა თავისი შესაწირავი, მიწის მუშაკს – მიწის ნაყოფები, მწყემსს – „თავისი ფარის ნათავარი და რჩეული პირუტყვი“. მაგრამ ერთხელ მოხდა ისე, რომ „მოჰხედა უფალმა აბელსა და მის ძღვენს, ხოლო კაენსა და მის ძღვენს არ მოჰხედა. ძალზე გამწარდა კაენი და თავი ჩაღუნა“ (დაბ. 4:4-5). როგორც ვხედავთ, აბელ-კაენის ტრაგიკულ ამბავში ერთმანეთს დაუპირისპირდა არა ორი ძმა, როგორც ძმა – უმცროს-უფროსი, არამედ ორი, ერთმანეთთან შეუთავსებელი კულტურა – მწყემსობა და მიწათმოქმედება. ეს წინააღმდეგობა, რომელიც მკვლელობით დასრულდება, ბიბლიური თქმულების თანახმად, დასაბამიერია, რადგან ის კაცობრიობის გარიჟრაჟიდანვე დაიწყო, ადამის მეორე თაობაში. ცხადია, ეს არ იყო უბრალო შურით გამოწვეული მკვლელობა. შური აქ მხოლოდ საბაბია, ფსიქოლოგიური მოტივი იმის აღსასრულებლად, რაც უნდა აღსრულებულიყო.

უფალი უარყოფს მიწათმოქმედს და ირჩევს მწყემსს. მიწათმოქმედი მიწის მკვიდრია, მწყემსი – მოხეტიალე, მიწათმოქმედი მზის შემყურეა, მწყემსი – მთვარისა. ღმერთმა შეიყვარა აბელი მწყემსი და, რაკი შეიყვარა, მის საქმიანობას და ცხოვრების ნორსაც დასცა დასტური, კაცობრიობას დაუსახა იგი ყოფის იდეალად. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ხეტიალი – მწყემსური მიმოსვლა (და არა წრიალი დედამიწის ზურგზე, რომელიც სასჯელად დაუწესა უფალმა კაენს), მიხნეულია კაცობრიული ცხოვრების იდეალად. უფალი არ სცემს დასტურს მკვიდრ ცხოვრებას, თუმცა საბოლოოდ კაცობრიობა ვერ ასცდება მიწაზე მყარად დამკვიდრებას. ეს ერთგვარი ანტინომიაა ძველი აღთქმის ხალხის ცხოვრებაში. უფალმა რჩეული ერის წინაპრად აირჩია მოხეტიალე აბრაამი, რომელიც გამოიყვანა მან მთვარის ქალაქიდან, ახეტიალა ის ქანაანში, არადა არ დაამკვიდრა, მხოლოდ მის შთამომავლობას ჰპირდებოდა დამკვიდრებას. ასევე ახეტიალა იაკობი ქანაანიდან არამში (სირიაში), სირიიდან ქანაანში, ქანაანიდან ეგვიპტეში, მხოლოდ მისი ძვლები დაამკვიდრა აღთქმულ ქვეყანაში. დავით მეფეც ახეტიალა, აწრიალა უცხოობაში და დევნილებაში და როცა დაამკვიდრა, მაშინ შეექმნა მეფეს საცთურის საშიშროება, მაშინ დაეცა. ასევე ახეტიალებდა იგი მთელს რჩეულ ერს და ეს ხეტიალი – ეს ხანა, მისი სიჭაბუკის ხანად იყო შერაცხილი. დაბოლოს, ხეტიალობდა ტომიდან ტომში ისრაელის სიწმიდე – რჯულის კიდობანი, ვიდრე არ დაამკვიდრეს ერთ ადგილზე, სადაც აუგეს მას ტაძარი და სწორედ აგების „მეორე დღიდანვე“ შეირყა რწმენა, რასაც სოლომონის მეფობის მეორე, ტაძრისშემდგომ პერიოდში ვხედავთ.

აშკარაა, რომ უფალი უპირატესობას ანიჭებს მოხეტიალე ცხოვრებას, – მეც ხომ კარავში, მუდამ კარავში ვიმყოფებოდიო, პასუხობს უფალი, როცა ტაძრის აგებას ჰპირდებოდნენ, – აქ ხედავს ის თავისუფლების სულს, ასეთი ცხოვრება სხვა სულდგმულთა საზოგადოებაში აურჩია მან და უკურთხა ადამიანს იმ საბედისწერო დღეს, როცა აბელის მსხვერპლს იწონებდა. მაგრამ იღუპება მწყემსი და კაცობრიობა ერთხელ კიდევ (სამოთხის ბაღში ადამის არჩევანის შემდეგ) ირჩევს თავისი ნებით გზას – მიწათმოქმედებიდან ქალაქთა შენებისკენ. „გააშენა კაენმა ქალაქი და უწოდა ამ ქალაქს შეილის სახელი – ხანოქი (დაბ. 4:17). ეს იყო პირველი ქალაქი, რომელსაც ახსენებს ბიბლია, და ის მკვლელის ხელით იყო აშენებული. მკვდარია რჩეული და კურთხეული აბელი, ცოცხალია უფლისგან დაწყევლილი კაენი. აბელი უმემკვიდროდ გადაშენდება მიწის პირისაგან (მისი სახელი ჰაბელ აღნიშნავს „ქროლვას“, „სუნთქვას“, „ამაოებას“; ჰაბელ ჰაბალიმ „ამაოება ამაოებათა“, ნათქვამია „ეკლესიასტეს“ წიგნში), კაენი კი თავისი შთამომავლობით ჩაებლუჯება მიწის პირს და, როგორც ნიშანსვეტი მისი მოდგმის დეგრადაციის გზაზე, კვლავ მკვლელობაა: „ჰო, მოკვალი კაცი ჩემდა სატკივარად და ყმაწვილი – ჩემდა ჭირად. თუ შეიდეგზის მიეზღვება კაენის გამო, ლამექის გამო სამოცდაჩვიდმეტგზის მიეზღვებათ“ (დაბ. 4:23-24).

საბოლოო საფეხური, რომელსაც ახსენებს ბიბლია კაენიანთა მოდგმაში, თუბალ-კაენის ხანაა (აქ აღდგა მკვლელის სახელი!), რომელიც სახელდებულია „რვალისა და რკინის ყოველგვარ საჭურველთა მჭედლად“ (დაბ. 4:22). ასე დადგა ტექნიკის საუკუნე და ბიბლია ღუმს თუბალ-კაენის შთამომავალთა ბედზე.

წარღვნა

„დაბადების“ ამ მე-4 თავში ბიბლია კვლავ უბრუნდება ადამის ხანას და უშუალოდ ადამისგან გამოჰყავს კაენიანთაგან განსხვავებული, უმჯობესი კაცობრიობა.

„კვლავ შეიცნო ადამმა თავისი ცოლი. შვა ქალმა ვაუი და უწოდა სახელად შეთი, რადგან: მომადლო უფალმა სხვა ნაშიერი ნაცვლად აბელისა, კაენმა რომ მოკლა“ (დაბ. 4:25).

შეთი მესამე ადამიანია ანუ ძე ადამისა, რომელიც სამოთხიდან განდევნის შემდეგ იშვა. მის მშობლებს იმედი ჰქონდათ, რომ შეთი დაღუპული აბელის სანაცვლო იქნებოდა და განახორციელებდა მისი ცხოვრების წესს, აღდგებოდა აბელური ყოფა-ცხოვრება, რომელიც უფალმა მოიწონა. მაგრამ დაღუპული იყო არა კერძოდ აბელი, არამედ ის დვრიტა, რომელიც აბელურ ცივილიზაციად უნდა გაფუჭებულიყო. იქნებ აბელის გზა იქნებოდა უმოკლესი გზა დაკარგული ედემის კარიბჭისაკენ. მაგრამ ადამის პირველჩადენილი ცოდვა, როგორც ჩანს „დაბადების“ მე-6 თავში მთელი სიძლიერით ამოქმედდა შეთის მოდგმაში, რომელსაც ახალი კაცობრიობა უნდა დაეფუძნებინა. ადამიდან მეთე თაობა (ეს იყო თაობა ნოესი) იმკის დასაბამში დათესილის მოსავალს. „დაინახა უფალმა ღმერთმა, რომ იმატა ადამიანთა უკეთურებამ ამქვეყნად... ინანა უფალმა, რომ შექმნა ადამიანი ამქვეყნად, და შეწუხდა“ (დაბ. 6:5-6).

კაცობრიობა ხომ დაეცა, – მასში გაფუჭებულმა ადამის ცოდვამ დასცა იგი, – მაგრამ მასთან ერთად დაეცა ცხოველთა სამყაროც, რომელიც ადამიანისთვის და ადამიანის საპატრონოდ იყო შექმნილი. „თქვა უფალმა: მიწის პირისაგან აღვეგი ადამიანს, რომელიც შევქმენი, ადამიანიდან მოყოლებული პირუტყვამდე, ქვეწარმავლამდე, ცის ფრინველამდე, რადგან ვნანობ, რომ გავაჩინე“ (დაბ. 6:7). ბიბლია გვეუბნება, რომ ადამის ცოდვამ ბუნებასაც უწია, რომ მასთან ერთად დაეცა მთელი ფიზიკური სამყარო, რომლის მეფე ადამიანი უნდა ყოფილიყო. „გადმოხედა ღმერთმა მიწას და, აჰა, წარყვნილიყო იგი, რადგან გაერყვნა ყოველ ხორციელს თავისი ზნე ამ მიწაზე“ (დაბ. 6:12). ბიბლია ამბობს, – როგორი ზნეცა აქვს ხორციელ სულდგმულს ამ მიწაზე, ისეთივე სახე ექნება მიწას.

ასეთი განაჩენი გამოუტანა ღმერთმა მიწას და ყველაფერს, რაც მას აესებს; რაკი „წაირყვნა მიწა ღვთის წინაშე“ და ყოველი მისი მკვიდრი. ერთადერთი გამოსავალი მისი განადგურება უნდა ყოფილიყო, რათა ახალი მიწა და ახალი კაცობრიობა, ახალი ხორციელობა აღმოცენებულიყო. ნუთუ სრულიად უნდა მოსპობილიყო ყველაფერი, რაც გააჩინა ღმერთმა, ნუთუ ყველაფერი თავიდან უნდა შექმნილიყო, ნუთუ უნდა განმეორებულიყო შესაქმის დღეები და ყოველი დღის ბოლოს გაჩენილის ხილვისას თქმულიყო – კარგია? ნუთუ ის თავდაპირველი კარგი ისე წარიხოცა კაცობრიობიდან,

რომ მას ველარაფერი გადაარჩენდა? ბიბლია გვეუბნება, რომ ყოველთვის არის ხსნა და ხსნის იმედი შეიძლება ერთ ადამიანზე იყოს დამყარებული. როგორც მარილის ზოდს შეუძლია ააცილოს ხრწნილება ნივთიერებას, ასევე ერთ მართალ ადამიანს ძაღუძს იხსნას კაცობრიობის არსებობა. თუნდაც ის იყოს ერთადერთი ადამის ძეთა შორის, ის მაინც ხომ ინახავს ღვთის ხატს თავის თავში. ამიტომაც ღირს მისი სახით კაცობრიობის თესლის გადარჩენა.

ამ საყოველთაო გადაგვარებაში და გახრწნილებაში ერთადერთი ნოე იყო, რომელიც გამოარჩია უფალმა. „მხოლოდ ნოეს ეპოვა მადლი უფლის თვალში. ეს არის ამბავი ნოესი: მართალი, სრული კაცი იყო ნოე თავის თაობაში, ღმერთთან დადიოდა ნოე“ (დაბ. 6:8-9). „სრული“ ნოეს დახასიათებაში ნიშნავს, რომ მის ბუნებას არ შეხებოდა წუთისოფლის ბიწი, რომ ის იყო შენახული როგორც საღი ნაყოფი ამ საყოველთაო ხრწნილებაში. „ღმერთთან დადიოდა“ ნიშნავს, რომ ნოე იქცეოდა ადამიანის დაცემული ბუნების საწინააღმდეგოდ, რომ ის წუთისოფლის საწინააღმდეგო დინებით მიდიოდა; რომ მისი ზნეობა – გზა (დერეხ) იყო აღმასვლა ღვთისაკენ, სრულყოფისაკენ, ედემისკენ; „ღმერთთან სიარული“ ნიშნავს არსებობას განსხვავებულ ზნეობრივ ყოფაში, არა იქ, სადაც „გაერყვნა ყოველ ხორციელს თავისი ზნე („გზა“ დერეხ) მიწაზე“. სიმართლისათვის, სისრულისათვის და სწორ გზაზე სიარულისათვის ღმერთმა წარმხოცველი წარღვნის წყლებში ცოცხლად გამოატარა ნოე და შექმნა იგი განახლებული კაცობრიობის მამამთავრად. ამავე დროს, ნოე არის პირველი რჩეული უფლისა, რომელსაც ხსნის აღთქმა დაუღო უფალმა: „შენ კი აღთქმას დაგიდებ და შეხვალ კიდობანში შენ და შენი შვილები, შენი ცოლი და შენს ძეთა ცოლები. ყოველგვარი ცხოველი, ყოველგვარი ხორციელი, ყველა წყვილ-წყვილად შეიყვანე კიდობანში, რათა შენთან ერთად გადარჩნენ. დედალ-მამალი იყოს! ყოველი გვარის ფრინველი, ყოველი გვარის პირუტყვი, ყოველი გვარის ქვეწარმავალი, ყველა წყვილ-წყვილად შეიყვანე კიდობანში, რათა გადარჩნენ“ (დაბ. 6:18-20).

ამრიგად, უფლის რჩევით ნოეს მიერ აშენებული კიდობანი უნდა ყოფილიყო ხსნის ჭურჭელი; ამავე დროს, კიდობანი იყო ყველაფრის შესაკრებელი, რაც ღმერთმა გააჩინა ცისქვეშეთში; მასში უნდა შენახულიყო ადამიანი და ყველაფერი, რაც ადამიანისთვის იყო გაჩენილი. როგორც ადამს ედო წილი მათ შექმნაში მათთვის სახელების შერქმევით, ახლა ნოე, რომელიც ადამის მონაცვლეა ამ საბედისწერო მიჯნაზე, მონაწილეობას იღებს მათ გადარჩენაში.

კიდობანი ცისქვეშეთის განსახიერებაა. კიდობანი აგრეთვე წარმოადგენს საშოს, საიდანაც წარღვნის დამთავრების შემდეგ ხელახლა უნდა შობილიყო დაბადებული ძველი ქმნილება. წარღვნის წყლები, რომელმაც აატივტივა და ასორმოდგაათი დღის განმავლობაში დაატარებდა კიდობანს, წარმხოცველი წყლები ინარჩუნებენ განმწმედელ ძალას. წყალმა გარეცხა მიწა, მოაშორა, წარხოცა მისგან ყოველი ბიწი და, განახლებული კვლავ ამოზიდა სამზოხზე წყლების დაკლებისას. რომ შეძლებოდა ნოეს ამ ასორმოდგაათი დღის მანძილზე კიდობნიდან გამოხედვა, ის დაინახავდა სამყაროს შექმნის სურათს, იმ ქაოსს, რომელიც უძლოდა წინ უფლის სიტყვას „იყოს ნათელი!“ რის შემდეგაც „იქმნა ნათელი“, როცა „გააჩინა ღმერთმა მყარი და გაჰყარა ერთმანეთისგან წყალი, რომელიც არის მყარს ქვემოთ, და წყალი, რომელიც არის მყარს ზემოთ“ (დაბ. 1:7). ნოე იხილავდა ერთმანეთისგან განუყოფელ წყლებს და მათში „უსახოს და უდაბურს“ რასმე, მომავალი დედამიწის ემბრიონს, რასაც *თოჭუ-ვა-ბოჭუდ* სახელდებს ბიბლია. ამიტომ არის, რომ წარღვნის მოვლინება შესაქმმდელი ქაოსის მობრუნების, ხოლო წარღვნის დასასრული სამყაროს შექმნის სიმბოლური სახეა.

ხოლო ის ორი მოვლენა, რისი ხილვაც შეეძლო ნოეს, ასევე სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს ძველი აღთქმის ხალხის შეგნებაში – ზეთისხილის ნედლი რტოთი მობრუნებული მტრედი ნიშანია წარღვნის დასრულებისა და მშვიდობის დასადგურებისა ცისქვეშეთში, ხოლო ცისარტყელა ნიშანია აღთქმისა, რომელიც დაუღო უფალმა გადარჩენილ ნოეს, რომ აღარასოდეს მოახდენდა წარღვნას ქვეყნის დასადუპავად. ცისარტყელა ხომ წვიმის გადაღების ნიშანია და რომელ მოვლენას შეეძლო მასზე უკეთ გამოეხატა შინაარსი იმ მსასოებელი აღთქმისა, უფლის ბაგეებიდან რომ მოისმინა ნოემ? აი, ეს სიტყვები, რომლითაც ბიბლიამ სიმბოლური აზრით დატვირთა ცისარტყელა – ეს მანათობელი ხიდი, ცასა და მიწას შორის გადებული:

„ვედებ ჩემს ცისარტყელას ღრუბელში ნიშნად აღთქმისა ჩემსა და მიწას შორის. როდესაც მიწას ღრუბლით დაფარულა და გამოჩნდება ღრუბელში ცისარტყელა, მაშინ გავიხსენებ აღთქმას ჩემსა და თქვენს შორის, ყოველ ხორციელ სულდგმულს შორის, და აღარ გადაიქცევა წყალი წარღვნად ყოველი ხორციელის დასადუჰად. გამოჩნდება ჩემი ცისარტყელა ღრუბელში, დავინახავ მას და გავიხსენებ მარადიულ აღთქმას ღმერთსა და ყოველ ხორციელ სულდგმულს შორის, რაც კი არის ამჟვენად“ (დაბ. 9:13-16).

„ბაბილონის გოდოლი“

ბიბლიას შემოუნახავს ხსოვნა ერთიან კაცობრიობაზე, ხსოვნა იმ ხანაზე, როცა ადამის მოდგმა ერთ ენაზე მეტყველებდა, ერთად ხეტიალობდა, ერთი იმედით საზრდოობდა და ერთი შიშით იყო შეპყრობილი – არ გაფანტულიყო დედამიწის ზურგზე და არ გამქრალიყო, როგორც ქრება უდაბნოში დაღვრილი წყალი. ძენი ადამისნი, – ესენი იყვნენ ნოეს შთამომავალნი, – ამ ერთიანობის რღვევის წინათგონობით აღძრულნი, ერთიანი ძალით აშენებდნენ საერთო სამკვიდრებელს, რათა უსაფრთხოდ და იმედიანად ეგრძნოთ თავი. აი, რას მოგვითხრობს „დაბადების“ მე-11 თავი:

„ერთპირი იყო მთელი ქვეყანა და ერთ ენაზე მეტყველი“. როცა დაიძრნენ აღმოსავლეთიდან, ჰპოვეს ველი შინყარის ქვეყანაში და იქ დამკვიდრდნენ. უთხრეს ერთმანეთს: მოდი, მოვიხლოთ თიხა და გამოვწვათ. აბა, ავაშენოთ ქალაქი და გოდოლი, და ცას მივუწვდინოთ მისი თავი. აღვმართოთ ნიშანსვეტი, რომ არ გავიფანტოთ დედამიწის ზურგზე“ (11:1-4).

რა იყო იმაზე ბუნებრივი, რასაც ეს ხალხი აკეთებდა? ველზე გასულებს, თუკი აქ ისინი დამკვიდრებას გადაწყვეტდნენ, უნდა „აღმოეჩინათ“ სამყაროს შუაგული, სადაც ააშენებდნენ ქალაქს და აღმართავდნენ წარმოსახვით სვეტს, ცისა და მიწის შემაერთებელს. ამგვარი ნიშნის გარეშე განა მათ შეეძლოთ დამაგრებულიყვნენ ამ თვალუწვდენელ ტრამალზე? მაგრამ ღმერთს არ მოეწონა ხალხის საქმიანობა. მათ საქციელში ღმერთმა იმ ურჩობის გამოვლინება დაინახა, რისთვისაც მათი წინაპრები განდევნა სამოთხიდან. ურჩობას აქ, ქალაქისა და გოდოლის შენებისას, კადნიერების სახე აქვს: ეს ხალხი ღვთის შემწეობისა და სასოების გარეშე იკაფავს გზას ცისკენ, რათა „აიღოს“ ცა და გაუტოლდეს ღმერთს. ამ საქმეზე კი, რადგან ეს ჯანყია, ღმერთი არ სცემს დასტურს. ბიბლია გვეუბნება ამ თქმულებით, რომ ეს კაცობრიობა ამზადებდა რაღაც მკრეხელურს და საშინელს, რაკი უფალმა გადაწყვიტა დაერღვია მათი ერთობა, რომ ვეღარ ეშენებინათ ქალაქი და გოდოლი. „აბა, ჩავაღ და ენას ავურევ მათ, რომ ვერაფერი გააგებინონ ერთმანეთს. გაფანტა ისინი უფალმა იქიდან მთელს დედამიწის ზურგზე და მათაც შეწყვიტეს გოდოლის შენება“ (დაბ. 11:7-8).

ამრიგად, უფალმა ძირშივე აღკვეთა იმ კულტურის გეზი, რომელიც ადამიანურ სიამაყეს და ამპარტუნობას ეფუძნებოდა. მართალია, „ენათა აღრევა“ (უფრო სწორად, ენათა გათავთავადება) დასაბამი მისცა ხალხთა და კულტურათა მრავალფეროვნებას, ბიბლია გვეუბნება „ბაბილონის გოდოლის“ თქმულებით, რომ ეს ადამიანის დაცემისა და მასზე დაკისრებული სასჯელის შედეგი იყო და არა გარდაუვალი მიმართულება კაცობრიობის განვითარებისა.

ერის სიყრმე

„მერე დაიძრა აბრაამი...“

იმავე თავში, სადაც მოთხრობილია ბაბილონის გოდოლისა და ენათა აღრევის, ანუ ერთიანი კაცობრიობის დაშლის ამბავი, ვეცნობით ნოეს პირველი შვილის შთამომავლობას. სემის მოდგმა კაცობრიობის ერთ-ერთი შტოა, რომელზეც ყურადღებას აყენებს ბიბლია, რადგან აქედან არის წარმოშობილი მისი ავტორების უშუალო წინაპარი – აბრაამი. თუმცა გენეალოგიაში დასახელებულია ვინმე ებერი (დაბ. 19:25), რომელსაც აბრაამი თვლიდა თავისი ტომის – ებრაელების წინაპრად, მაგრამ ბიბლიას მისი სახე არ ახსოვს. თუმცა მისი სახელი (სრული გამოთქმით *ყებერ*) მისი მნიშვნელოვანი ნაბიჯის – „მდინარის გადალახვის“ ხსოვნას ინახავს, რაც მისი შორეული შთამომავლების თავგადასავალში რამდენჯერმე მოხდა.

აბრაამი ის ადამიანია, ვინც თავისი განუმეორებელი ინდივიდუალობით და ბედით პირველად გამოჩნდა ძველი აღთქმის ისტორიაში, როგორც პიროვნება. გაუგებარია,

რისთვის გამოარჩია ის ღმერთმა მისი სანათესაოდან, ან რა იყო უშუალო მიზეზი მისი აყრისა „ქალდეველთა ურიდან“ (ებრ. *ურ ქაშდით*) და ჩრდილო შუამდინარეთის ქალაქში, ხარანში დასახლებისა (კულტურულ-ისტორიული აზრით კი, აქ ჩანს ძველი აღთქმის კულტურის კუთვნილება შუამდინარული ცივილიზაციისადმი, და, შეიძლება ითქვას, მისგან „ხორციელი“ წარმომავლობა). რა ვიცით მასზე იმ დირსშესანიშნავ და საბედისწერო შემთხვევამდე, როცა მოესმა ხმა, რომელმაც ახალი მიმართულება მისცა მის ცხოვრებას? თითქმის არაფერი. ის ამოდის უცნობობიდან, როგორც ახალი დინასტიისა თუ მოდგმის ყოველი დამწყები. ცნობილია მხოლოდ, რომ ის იყო ძე თერახისა, ქალდეველთა ურის მკვიდრისა, რომლის სახელში შეფარულია მთვარის სახელი (*თერახ – იარეახ „მთვარე“*). მთვარის თაყვანისმცემელი თერახი სტოვებს ურს, შუამდინარული მთვარის ღვთაების მთავარ ქალაქს და მკვიდრდება ხარანში, რომელიც აგრეთვე მთვარის საკულტო ქალაქი იყო. სახელი ამ ქალაქის ხარან აქადურ ენაზე ნიშნავს „გზას“ (მასზე გადიოდა საქარავნო გზა), მაგრამ თერახისათვის და მისი მონაგრისათვის ეს იყო დასასრული გზისა. ამ მონაგარში გამონაკლისი იყო აბრაამი, რომელსაც წინ ედო გზა, გაწვეტილი მამის მიერ, გზა ქანაანის ქვეყნისაკენ.

„უთხრა უფალმა აბრაამს: წადი შენი ქვეყნიდან, შენი სამშობლოდან, მამაშენის სახლიდან იმ ქვეყანაში, რომელსაც მე გაჩვენებ. გაგხდი დიდ ხალხად, გაკურთხებ და განვადიდებ შენს სახელს და კურთხეული იქნები“ (დაბ. 12: 1-2). ტრანსცენდენტური (მთელი სამყაროს გარეთ მყოფი), ჯერეთ გამოუცნობი ღვთის მოწოდებას ის თავის შიგნით ისმენდა და მიჰყვებოდა. მას უნდა გამოეცვალა სამშობლო და მოექცენა ახალი ქვეყანა, რომელიც მისი მოდგმის სამშობლო უნდა გამხდარიყო. მას უნდა გამოეცვალა აგრეთვე რჯული, რომელიც მისი მონაგრის რჯული უნდა გამხდარიყო. ღვთის სიტყვებზე, რომელიც მას ჩაესმა, დაფუძნებულია ერის ისტორია და მისი მამათავრის, აბრაამის მნიშვნელობა იუდაურ-ქრისტიანული ესქატოლოგიის (დასასრულის მოძღვრების) სიმბოლიკაში. აბრაამიდან უნდა გამოსულიყო ურიცხვი ხალხი – ასეთი იყო აღთქმა ღვთისა – და ამრიგად, იგი კაცობრიობის წიალი უნდა შექმნილიყო – „წიალი აბრაამისა“, საითკენაც უნდა მიქცეულიყო მიწიერთა მოდგმა.

როგორც „მრავალი ხალხის“ მამას, მას სახელი უნდა გამოცვლილიყო. ახალ სახელში უნდა ასახულიყო მისი მატარებლის მისია. მამამ დაარქვა აბრაამ ღმერთმა კი – აბრაამამ „მამა მრავლისა“ (დაბ. 7:5).

ამრიგად, გამოეყო აბრაამი თერახს – თავის მამას და მთვარის ხალხს და გაჰყვა უცნობი ღვთის ძახილს უცნობი ქვეყნისაკენ. „...წავიდა აბრაამი, როგორც უბრძანა მას უფალმა... თან წარიტანა აბრაამმა სარაი, თავისი ცოლი, ლოტი, თავისი ძმისწული, მთელი დოვლათი, რაც კი მოხვეჭილი ჰქონდა და ყოველი ყმა, რომელიც კი ხარანში შეიძინეს; დაადგინა ქანაანის ქვეყნის გზას და მივიდნენ ქანაანის ქვეყანაში“ (დაბ. 12:4-5). აბრაამის ნიშანი უსამშობლოობაა: ის მწირობდა იმ მიწაზე, რომელიც მისი შორეული შთამომავლების სამშობლო უნდა გამხდარიყო. მწირობდა არა მხოლოდ აბრაამი, არამედ მწირობდნენ მისი უშუალო შთამომავლებიც – ისაკი და იაკობი, ვიდრე რამდენიმე საუკუნის შემდეგ, სხვა თაობაში, რომელმაც ხელახლა მოიპოვა თუ გაიხსენა მამა-პაპის ღმერთი, საბოლოოდ არ დაიმკვიდრებდა აღთქმულ მიწას, რისთვისაც მამათავარმა დატოვა მთვარის ქვეყანა. აბრაამი მთელი თავისი ცხოვრებით გამოხატავს მწირობა და მოხეტიალე ადამიანის სახეს; იმ ქვეყანას, სადაც ის ცხოვრობს, „მდგმურობის ქვეყანა“ ეწოდება, თუმცა იმედიანი აღთქმა აქვს მოცემული: „მოგცემ შენ და შენს შთამომავლობას შენი მდგმურობის ქვეყანას სამარადისო საკუთრებად...“ (დაბ. 17:8). აბრაამის მდგმურობას ქანაანის ქვეყანაში აშკარად აქვს სიმბოლური სიღრმე: ეს ქვეყანა, როგორც წუთისოფელი, მისი დროებითი სამყოფელია; ქანაანი წუთისოფლის ხატია, აბრაამი კი მისი მდგმურია, ის სტუმარია, როგორც ყოველი ადამიანი. მაგრამ უფალი ჰპირდება, რომ ამ წუთისოფელს, ქანაანში განხორციელებულს, სამარადისო სამკვიდრებლად შეუქმნის მას.

აღბათ ბიბლია არის ერთადერთი წიგნი ძველ სამყაროში, სადაც გაცნობიერებულია „სამშობლოს“ იდეა. „სამშობლო“ – მშობელთა ქვეყანა, შობის ადგილი, მამის სახლი, „მამული“ – გარკვეული ცნებებია ძველ აღთქმაში და რაც განსაკუთრებულია, გვხვდება იმ ადგილას, სადაც ადამიანს ევალეება მიატოვოს ის. „წადი შენი ქვეყნიდან, შენი სამშობლოდან, მამაშენის სახლიდან...“ – ეუბნება უფალი აბრაამს. ეს ხმა განსაკუთრებულ მდგომარეობაში აყენებს მას – მან უნდა გაწვეტილს დასაბამიერი ტრა-

დიცია და საფუძველი დაუდოს ახალ ტრადიციას. ის გზაჯვარედინზე დგას, როგორც ზღაპრის გმირი, რომელსაც ასევე შინაგანი ხმა ეწევა უცნობი ქვეყნისაკენ. აბრაამის ისტორიიდან ირკვევა, რომ სამშობლო იწყება არა მაშინ, როცა ადამიანი იბადება, არამედ როცა კვდება. სამშობლო დაიწყო ქანაანის ქვეყნის იმ უმცირესი მონაკვეთიდან, სადაც პირველად დაიფლა ადამიანი – წინაპარი. ეს იყო თესლი სამშობლოსი. ბიბლიური წარმოდგენით, რაც აბრაამის ცხოვრების გადამწყვეტ მომენტში აისახა, სამშობლოს განცდა საფლავით იწყება. იმ ადგილიდან, რომელიც აბრაამმა ადგილობრივ მკვიდრთაგან იყიდა თავისი ცოლის – სარას დასამარხავად, იწყება ქანაანის გამშობლიურება, რომლის მოსაპოვებლად მის შთამომავლობას სისხლი უნდა დაეღვარა.

მას უნდა გაეთხარა პირველი საფლავი უცხო მიწაზე, რომ იქ სამშობლოს თესლი დაეთესა; მკვდარი მიბარებოდა უცხო მიწას, როგორც მსხვერპლი, რომელიც მომავლის ქვეყნის საფუძველი გახდებოდა. აი, რა მისია ეკისრა მკვდარს ამ მდგმურისას, რომელმაც შთაგონების ძალით დატოვა წინაპართა ქვეყანა, რათა თავად სხვაგან გამხდარიყო წინაპარი. მან სთხოვა, იმ ქვეყნის წესისამებრ, ქვეყნის მკვიდრთ საფლავისთვის ადგილი. მათ თავიანთი სამარხი შესთავაზეს, – სადაც გენებოს, იქ დამარხე შენი მკვდარი. უთხრეს, ვინ იქნება, რომ საფლავის მიწა დაგიკავოსო. ისიც უთხრეს, რომ მათ მკვდრებს შორის დაემარხა თავისი მკვდარი. მაგრამ მდგმურს ასე არ უნდოდა: არ უნდოდა უსასყიდლოდ მიეღო მიწა ან მათ შორის ჰქონოდა სამარხი, როგორც ერთ მათგანს. მას უნდა შეეძინა სამარხი მიწა საკუთრებად და შეიძინა კიდევ. იგი მხოლოდ მღვიმეში იხდიდა საფასურს, მაგრამ ქვეყნის მკვიდრმა, ვის ადგილზეც მდებარეობდა ეს მღვიმე, მინდორიც გაატანა მღვიმესთან ერთად. „არა, ბატონო, მომიმინე, – ეუბნებოდა ეფრონ ხეთელი აბრაამს, – მინდორიც მომიცია და მღვიმე, იქ რომ არის: ჩემი ხალხის თანდასწრებით მომიცია. დამარხე შენი მკვდარი“ (დაბ. 23:11). აბრაამი ერთ გამოუსადეგარ მღვიმეს ყიდულობდა სამარხად და მღვიმეს მინდორიც, შესაძლოა, ასევე გამოუსადეგარი, მოჰყვა. მაგრამ ვერც მდგმური და ვერც ქვეყნის მკვიდრი ვერ იფიქრებდნენ, რა მოჰყვებოდა მომავალში ამ უბრალო გარიგებას. აქედან ჩანს, რომ აქ განგების ხელი იყო ჩარეული. დღევანდელი მინდორი, რომელიც ასე ადვილად დათმო პატრონმა (მასში ოფლი ჯერ არ ჩაღვრილიყო) და, იქნებ, აბრაამსაც არაფრად სჭირდებოდა, ხვალ შეიძლება, და ასეც მოხდა, გადაქცეულიყო ყანად, სადაც ოფლი დაიღვრებოდა. ჩანს მდგმურმა შეიძინა ის მიწა, საიდანაც უნდა წარმოქმნილიყო ქვეყანა, რომელშიც წუთისოფლის მანძილზე დაიბადებოდნენ მისი შთამომავლები, იშრომებდნენ და დაიმარხებოდნენ როგორც ქვეყნის მკვიდრი. მანამდე კი აბრაამისთვის სამშობლო ქვეყნის მხოლოდ ვიწრო თვალსაწიერი ჩანდა: „...მინდორი მახველაში, მამრეს წინ რომ არის, მინდორი და იქ მდებარე მღვიმე, ყოველი ხე, რომელიც კი ამ მინდორზე და მის საზღვრებში დგას ირგვლივ...“ (დაბ. 23:17).

უფრო ადრე აბრაამს ჰქონდა სხვა ხილვა და სიტყვის გამოცხადება. კარვიდან გამოსულმა დაინახა ცაში ვარსკვლავები და ჩაესმა ხმაც, რომელიც ეუბნებოდა, რომ მისი წიაღიდან ურიცხვი ხალხი გამოვიდოდა. ან შეიძლება სწორედ ამ ხმამ გამოიყვანა კარვიდან და ვარსკვლავებისკენ აახედა. მაშინ მან დაინახა ის, რასაც კარავში ანუ თავის თავში ჯერ ვერ იხილავდა, არამედ უნდა ერწმუნა (ვარსკვლავებით სავსე ცის ანალოგია არწმუნებდა) – ეს იყო საკუთარი წიაღი, რომელიც მომავლით იყო სავსე, მაგრამ ამ წიაღიდან უნდა გამოსულიყო ჯერ ერთი ვინმე. ეს იყო ისაკი – აღთქმული იმ სამი სტუმრის მიერ, რომლებიც ეწვივნენ მას მამრეში, მუხასთან, როცა „კარვის კართან იჯდა დღის პაპანაქებაში“ (დაბ. 18:1). ეს კაცები, რომლებიც უფლის ანგელოზები (ანუ მაცნენი) აღმოჩნდნენ, სოდომის დასასჯელად მიდიოდნენ. აი, რა დროს აღუთქვეს ხანგადასულ მასპინძელს მემკვიდრის შობა.

აბრაამის წინაშე დადგა მისთვის დაუძლეველი, როგორც მამისთვის, პრობლემა. ჰყავდა ორი შვილი – ერთი ძე მხევლისა, ისმაელი; მეორე ძე ქალბატონისა, ისაკი, „სიბერის შვილი“. არჩევანი, რომელიც გაუძნელდა მას, ისევე ქალმა – სარამ გააკეთებინა. მან უთხრა: „გააგდე ეს მხევალი და მისი შვილი, რადგან ვერ დაიდებს წილს ამ მხევლის შვილი ჩემს შვილთან, ისაკთან ერთად“ (დაბ. 21:10). აბრაამმა გულისტკივილით გააკეთა არჩევანი: „მეტისმეტად შეაწუხა აბრაამი ამ ამბავმა თავისი შვილის, ისმაელის გამო“ (დაბ. 21:11). გარდა სარას დედობრივი მიკერძოებისა, აქ მთავარი ის იყო, რომ ისაკი ცოლ-ქმრისათვის იყო დანაპირები შვილი, „ძე აღთქმისა“, რომლის

გზითაც უნდა შესრულებულიყო აღთქმა ცის ვარსკვლავებით ურიცხვი შთამომავლობის მოცემასზე. ხომ აშკარად იყო თქმული, რომ აბრაამს – თუმცა მას ჰყავდა უკვე პირველი ისმაელი, „ისაკით დაეწყო შთამომავლობა“ (დაბ. 21:12) და არა ისმაელით. „ძე აღთქმისა“ უნდა ყოფილიყო შვილი დედოფლისა და არა მხევლისა; და სარასაც ამიტომ შეეცვალა სახელი – ერქვა „სარა“, დაერქვა სარაჲ, რაც აბრაამის თავდაპირველი სამშობლოს ენაზე, ბაბილონურად, ნიშნავდა „დედოფალს“. ამრიგად, უპირატესობა მიენიჭა უმცროსს უფროსის წინაშე, რაც ბედისწერად დაჰყვა აბრაამის მოდგმას ყველა თაობაში – უმრწემესის უპირატესობა თითქოს აუცილებელიც შეიქნა.

ისაკით, „აღთქმული ძით“, უნდა შესრულებულიყო აღთქმა, ვარსკვლავიან ღამეში მიცემული. მასში, როგორც „სიბერის შვილში“, იყო აბრაამის მთელი სასოება, მომავლის იმედი, რადგან ისმაელი განდევნილი და უარყოფილი იყო (თუმცა ითქვა წინასწარმეტყველება, რომ ისიც გახდებოდა ურიცხვი ხალხი, მაგრამ ეს ხალხი არ იქნებოდა „რჩეული ერის“ – ძველი აღთქმის ისტორიის სუბიექტი). შიში ამ უკანასკნელი იმედის დაკარგვისა, შეიძლება ითქვას, „გასაგნებულია“ ერთ საიდუმლოებრივ ეპიზოდში, რომელიც „დაბადების“ 22-ე თავშია მოთხრობილი უკიდურესი, ბიბლიური თხრობისათვის ნიშანდობლივი „სიმშრალით“. ამ ეპიზოდში გამოვლინდა ერთხელ კიდევ აბრაამის პიროვნება. ისევე უყოყმანოდ, როგორც მან წინაპართა ქვეყანა მიატოვა უფლის ერთ დაძახილზე და გასწია უცნობი ქვეყნისაკენ, ასევე უყოყმანოდ, სიტყვის უთქმელად შეუდგა უფლის სასტიკი ბრძანების შესრულებას. ამბის მოთხრობელმა იცოდა, რომ უფალს აბრაამის გამოცდა სურდა, აბრაამმა კი ეს არ იცოდა. მან გაიარა საშინელი განსაცდელი, როგორც იშვიათად თუ ვისმე გაუვლია.

„ამ ამბების შემდეგ იყო, რომ გამოსცადა აბრაამი ღმერთმა და უთხრა: აბრაამ! მიუგო: აქა ვარ. უთხრა: მოჰკიდე ხელი შენს შვილს, შენს მხოლოდშობილს, რომელიც გიყვარს, ისაკს, და წადი მორიას ქვეყანაში. იქ შესწირე აღსავლენ მსხვერპლად ერთ მთაზე, რომელსაც მე გიჩვენებ. ადგა დილაადრიაანად აბრაამი, შეკაზმა სახედარი, თან წაიყოლა ორი მსახური ბიჭი და ისაკი, თავისი შვილი; დაჩეხა სამსხვერპლო შეშა, ადგა და წავიდა იმ ადგილისაკენ, რომელიც ღმერთმა მიუნიშნა“ (დაბ. 22:1-3). ბიბლიური ავტორი, საზოგადოდ, არ გამოხატავს ადამიანის შინაგან სამყაროს, მის განცდებს. მისი გმირი მღუმარედ დგას ტრაგიკული განსაცდელის წინაშე. არ ბობოქრობს აბრაამიც, ის დუმს, მაგრამ მის დუმილში ცხადდება წუთისოფლის წარმავალობა, სიმყოფე, რაღაც იღუმალის წინათგრძნობაც, გაისმის იობისეული „უფალი იძლევა, უფალს მიაქვს“ (იობ. 1:21) და ისიც, რომ – იობისავე სიტყვებით – „სატანჯველად იბადება ადამიანი“. მთელი ტრაგიზმი ამ ეპიზოდისა იმაში მდგომარეობს, რომ ისაკის სახით ეს ეული მდგომარი უცხო ქვეყნისა სწირავდა არა მხოლოდ საყვარელ შვილს, არამედ მთელი თავისი სიცოცხლისა და ცხოვრებისა სასოს, რისთვისაც, როგორც შემდეგ გაირკვა ვარსკვლავიან ღამეში გამოცხადებისას, დატოვა წინაპართა ქვეყანა. რადგან ეს ნანატრი შვილი აღთქმული ქვეყნის ანუ მომავლის ცოცხალი სიმბოლო იყო, რადგან დაპირებული შვილი და აღთქმული ქვეყანა ერთი მომავლიდან აფენდა შუქს მის აწმყოში.

ამ ღირსშესანიშნავ ეპიზოდს უმართებულოდ იყენებენ თითქოს უძველესი საკულტო პრაქტიკის – ადამიანის მსხვერპლშეწირვის ცხოველთა შეწირვით შენაცვლების „ისტორიული“ მომენტის საიდუმლოტრაგიოდ. ასეთი თვალსაზრისი სრულიად უგულებელყოფს ამ ეპიზოდის ზნეობრივ აზრს. ამავე დროს, იჩქმალება ის ფაქტი, რომ ეს არის განსაკუთრებული შემთხვევა აბრაამის ცხოვრებაში – მისი ინდივიდუალური განსაცდელი. უსიტყვო მორჩილება ამ უღმობელი და გაუგებარი მოთხოვნისადმი, ერთი მხრივ, არის რეაქცია ადამის დამღუპველი ურჩობის მიმართ (რაც წითელ ხაზად გასდევს მთელ ბიბლიას), ხოლო, მეორე მხრივ, დასტური აბრაამისა და მისი უფლის მჭიდრო ურთიერთობისა, ღვთისგან მიუტოვებლობისა. ეს ეპიზოდი უნდა გავიანროთ როგორც ადამიანისა და მისი ღვთის დიალოგის ახალ ფაზაში შესვლა, რაც არ შეიძლება არ ყოფილიყო აღნიშნული ტრაგიკული ნიშნით. თუ ადრე ღმერთი მას ეჩვენებდა მწყალობელისა და აღმთქმელის სახით, ახლა ევლინება მას თავისი საშინელი სახით, რომელიც თავისი მოულოდნელი მოთხოვნით აუქმებს თავის მიერვე მოცემულ აღთქმას. მაგრამ აბრაამის რწმენის სიძლიერე (ის ითვლება ქრისტიანულ მწერლობაში „რწმენის მამად“) იმაში მდგომარეობს, რომ ის უშიშრად შედის განსაცდელში, უსიტ-

ყვოდ ეცდებიან ღმერთს, განიცდის რა ამ საშინელ მოთხოვნას ადრე მიღებული აღ-
თქმის პარადოქსულ გაგრძელებად და, შესაძლოა, განმტკიცებად.

აბრაამი დაკლავდა ისაკს, სრულად დასაწველ მსხვერპლად აღუვლენდა უფალს და
დაკარგავდა ყველაფერს – პირმშოსაც, იმ ურიცხვ ხალხსაც, თუმცა მისთვის უცნობს,
რომელიც ისაკის მეშვეობით უნდა გამოსულიყო მისი საზარდულიდან; მაგრამ სრუ-
ლიად მარტოდ მყოფი ადამიანთა შორის, ამ არაადამიანური საქმის ჩამდენი, დარჩე-
ბოდა უფლის ახლობლად და მეგობრად (როგორც იწოდა იგი. ის. 2 ნეშ. 20:7), დარჩე-
ბოდა ღვთის ანაბარა, ამ გამოთქმის დასაბამიერი მნიშვნელობით, და თუმცა კრინტი
არ დაუძრავს დანითა და ცეცხლით ხელში სამსხვერპლო მთისაკენ მიმავალს, მისი
სულის მოძრაობა შეგვიძლია მასავით ღმერთს მინდობილი იობის სიტყვებით გამოფ-
ხატოთ: „კიდევ რომ მომკლას, მისი იმედი მაქვს – მაინც დავიცავ ჩემს გზებს მის
წინაშე. ისიც ხსნა იქნება, რომ უღვთო კაცი არ მივა მის წინაშე“ (იობ. 13:15-16).

დანიელი მოაზროვნე სორენ კირკეგორი, რომელსაც აბრაამის ამ საქციელმა შთაა-
გონა პარადოქსული მოძღვრება ადამიანის ტრაგიზმზე და ხსნაზე, მიმართავს „მამას
მრავალთა“, თითქოს განუმარტავდეს მისი ბედის განუმეორებლობას: „ღირსეულო წი-
ნაპარო აბრაამ, მორიას მთიდან დაბრუნებულს აღარ დაგჭირდა ქება-დიდება, რათა
შენი დანაკარგის გამო ნუგეში გცემოდა; შენ მოიხვეჭე ყველაფერი და შეინარჩუნე
ისაკიც. განა ასე არ არის? უფალმა აღარ მოისურვა შენი გამოცდა და შენც შევებით
მიუჯექი სუფრას მასთან ერთად შენს კარავში, და ასე გრძელდება უკუნისამდე...“

იაკობი და ესავი

თუ აბრაამი ის მამაა, რომელსაც დანა ჰქონდა აღმართული შვილის დასაკლავად,
ისაკი არის ის შვილი, რომელმაც ადრეულ ყრმობაში საკუთარი ზურგით ზიდა შეშა,
მის დასაწველად რომ უნდა დადებულიყო სამსხვერპლოზე. ისაკი უნდა შეწირულიყო
ისეთი მსხვერპლშეწირვის წესით, რომელიც ითვალისწინებს მსხვერპლის მთლიანად
დაწვას უფლისათვის, როცა მსხვერპლი მთლიანად ეკუთვნის უფალს, კვამლად აღის
მისკენ. ეს არის ე.წ. „აღსავლენი“ (ებრ. ყოლაჰ) მსხვერპლი. ისაკი უნდა შეწირულიყო,
როგორც უფლისადმი აღსავლენი მსხვერპლი. გარკვეული აზრით, აღსავლენი მსხვერ-
პლი ზეგარდმო წყალობის შესატყვისია. შეშაც დაიღო და დანაც აღიმართა მის თავ-
ზე. თუმცა მსხვერპლად უფლის მიერ სასწაულებრივ მოვლენილი ვერძი იქნა შეწირუ-
ლი ისაკის სანაცვლოდ, მაგრამ ის ღმერთი, რომელმაც მამას აღარ დაანება შვილის
დაკვლა, „შიშის“ სახით შთაიბეჭდა მის შეგნებაში და ასე გადავიდა მომდევნო თაო-
ბის ცნობიერებაშიც; ყოველ შემთხვევაში, იაკობისთვის მამაპაპეული ღმერთი, რომე-
ლიც პირველად აბრაამს გამოეცხადა, არის „ღმერთი მამაჩემისა, ღმერთი აბრაამისა,
შიში ისაკისა“ (დაბ. 31:42).

როგორც ვხედავთ, ეს განსაცდელი ისაკის ყრმობაში დაკავშირებულია რელიგიურ
გამოცდილებასთან. აბრაამს გამოეცხადა ღმერთი აღთქმის სიტყვებით, ისაკს კი –
სიკვდილ-სიცოცხლის ზღურბლზე, ბავშვობაში, საშინელი განსაცდელით, როგორც
მხოლოდ მსხვერპლშეწირვის დროს თუ არის შესაძლებელი. ამ ეპიზოდმა სხვა ბეჭე-
დი დაასვა ისაკის პიროვნებას... ის გამოირჩევა აბრაამისაგან და იაკობისაგან პასიუ-
რობით, ინიციატივის უქონლობით; მისთვის არ არის დამახასიათებელი აბრაამისა და
იაკობის ქმედითობა და, შეიძლება ითქვას, სიცოცხლისუნარიანობა; მის ბედს განაგე-
ბენ არა მხოლოდ ღმერთი, მისი შიში, არამედ მშობლები და, შეიძლება ითქვას, შვი-
ლებიც კი. საკმარისია გავისხენოთ მისი ქორწინებისა (დაბ. 24, მამა-პაპის ქვეყნიდან
მას მოპვრიან ცოლს, მაგრამ მისი ძე იაკობი იმავე ქვეყნიდან თავად მოიყვანს ცო-
ლებს) და შვილებთან ურთიერთობის ეპიზოდები. აშკარაა, რომ მამის – აბრაამის ავ-
ტორიტეტი უპირატესობს მასზე. ის იყო იარაღი მის ხელში, როგორც მსხვერპლი
ღვთისადმი მორჩილებისა და ერთგულების, თვითუარყოფის დასადასტურებლად, რი-
თაც აბრაამის პიროვნებამ პატივი მოიპოვა ღვთის თვალში, ხოლო ისაკი დაიწრდილა.
თუ ისაკზე გადმოდის აღთქმა და კურთხევა, აბრაამის გამო გადმოდის. „გამოეცხდა
იმ ღმერთი უფალი (ისაკს) და უთხრა: მე ვარ აბრაამის, მამაშენის ღმერთი. ნუ გეში-
ნია, რადგან შენთანა ვარ. გაკურთხე, გაგიმრავლებ შთამომავლობას აბრაამის, ჩემი
მსახურის გამო“ (დაბ. 26:24). აქედან ჩანს, რომ ისაკი იყო საშუალება, ხიდი, რომლის
წიად გადასვლით აბრაამი უნდა შექმნილიყო ურიცხვი ხალხის მამამთავრად. შეიძლე-
ბა ითქვას, რომ მას „მიბარებული“ ჰქონდა მხოლოდ თესლი აბრაამისგან, რომ შემ-

დეგ თაობაში (როგორც მოხდა) განხორციელებულიყო აღთქმა. ის არის შეაღწეული, გარდამავალი რგოლი რჩეული მოდემის გენეალოგიაში, თითქოს არათავისთავადი, როგორც ამას წარმოაჩენს დანტე ალიგიერი, როცა ის „ჯოჯოხეთის“ IV კანტოში ლაპარაკობს ძველი აღთქმის დროს გარდაცვლილთა სულების ამოყვანაზე ჯოჯოხეთიდან; იქ, სხვათაშორის, ნათქვამია, რომ ქრისტემ „ამოიყვანა ისრაელი (იგივე იაკობი) თავისი მამით და თავისი მონაგრით“, მამა ისაკი არც არის სახელდებით ხსენებული, ის თითქოს „მიწერილია“ იაკობს, თავის შვილს, მის შთამომავლობასთან ერთად; ამრიგად, თითქოს ისაკი იაკობით არის განსაზღვრული (აქ გვახსენდება ვერგილიუსის „ენეიდას“ გმირი ენეასი, რომელსაც მამა ანქიზე ზურგზე მოკიდებული გაჰყავს აღმოდებული ილიონიდან).

ისაკის არასრულყოფილება, ნაკლებობა გამოიხატა იმაშიც, რომ მართებულად ვერ აირჩია მემკვიდრე, რომელშიც უნდა გადასულიყო „აღთქმის ძეობა“ მისი. როგორც აბრაამმა აირჩია, მართალია, სარას შეგონებით და სწავლებით, ისაკი (უკუაგლო რა მხეველის ძე) ასევე ისაკს უნდა აერჩია, მაგრამ მისი არჩევანი გართულებული იყო იმით, რომ მისი ორი ძე – ორივენი კანონიერი ცოლის საშოდან იყვნენ გამოსულნი, ტყუპები – ესავი და იაკობი, მაშასადამე, ორივენი თავისუფალნი. მაგრამ ჯერ ბუნებამ (ამაში მდგომარეობდა ალბათ ისაკის „ბიოლოგიური“ დანაშაული) დაუშვა შეცდომა, როცა ამ ტყუპთაგან პირველად დაიბადა ესავი, რომელიც დაბადებიდანვე ტყავფუხით იყო შემოსილი – ასეთი იყო პირმშო ისაკისა, ხოლო იაკობი იშვა სრულყოფილ კაცად. „დაბადების“ 25-ე თავში ამგვარად არის დახასიათებული ეს ორი ძმა: „წამოიზარდნენ ყმაწვილები, შეიქნა ესავი მარჯვე მონადირე, ველების კაცი. იაკობი კი იყო სრული კაცი, კარგებში მცხოვრები“ (დაბ. 25:27). როცა იაკობზე, უმცროსზე, ნათქვამია, რომ ის იყო „სრული“, ამით ისიც არის ნათქვამი, რომ ესავი „უსრულია“, თუმცა მისი პორტრეტი საკმაოდ მეტყველებს მისი, როგორც ადამიანის, დაუმთავრებელ ბუნებაზე. ის არის ფაჩნეირი, როგორც ნახევარკაცი ენქიდუ (იხ. „გილგამეშიანი“) და მისდევს უძველეს საქმიანობას – მონადირეობას, მაშინ, როცა მამა-პაპა მწვემსები იყვნენ, თითქოს ის აგრძელებს წინაისტორიული ნებროთის (დაბ. 10:8-9), არა აბრაამის ხაზს. მის საწინააღმდეგოდ იაკობი იშვა როგორც „კარგებში მცხოვრები“ ანუ მკვიდრი კაცი („კარავი“, აქ ცხადია, სახლის სინონიმია). სწორედ ასეთი კაცი უნდა ყოფილიყო პირმშო, პირველშობილი ძე, რათა მას მიეღო რჩეული დინასტიის მემკვიდრეობა. მაგრამ, ბუნებამ, როგორც ვხედავთ, შეცდომა დაუშვა, რომ პირველად ესავს გამოადებინა საშოს კარი. განგებამ, რომელიც ამზადებს „ურიცხვ ხალხს“ ერთი წინაპრისაგან, უნდა გამოასწოროს ეს შეცდომა. იმის ნათელ დადასტურებად, რომ „ფაჩნეირი“ ესავი, მონადირე, არ გამოდგებოდა ხალხის ერთ-ერთ წინაპრად, დაბადების 25-ე თავში მოთხრობილია ამბავი, თუ როგორ იყიდა იაკობმა პირმშოება ესავისგან ერთი კერძი შეჭამადის წილ. „მოამზადა იაკობმა შეჭამადი და ესავიც დაბრუნდა ველიდან დაღლილი. უთხრა ესავმა იაკობს: შემახვრებიანე წითელი, ეგ წითელი, რადგან დაღლილი ვარ. ამიტომაც ეწოდა სახელად ედომი (წითური). უთხრა იაკობმა: ახლავე მომიყიდე შენი პირმშოება. თქვა ესავმა: სიკვდილის პირას ვარ და რაღად მინდა პირმშოება. უთხრა იაკობმა: ახლავე შემომფიცე. შეჰფიცა და მიჰყიდა იაკობს პირმშოება. მაშინ მისცა იაკობმა ესავს პური და ცერცვის შეჭამადი. ჭამა, სვა, ადგა და წავიდა. არად ჩააგლო ესავმა პირმშოება“ (დაბ. 25:29-34).

არაბიბლიურ ტრადიციაში ეს ეპიზოდი განსხვავებული, უფრო შთამბეჭდავი რედაქციით არის წარმოდგენილი. პირმშოებას აქ ცვლის უფლება საფლავეზე. იაკობი – უმცროსი ძმა უცხოებაში მონაგები ოქროთი გამოისყიდის უფროსისაგან წინაპართა სამარხს. „რად მინდა საფლავე? – კითხულობს ესავი – ყველგან მოიძებნება საფლავის ადგილი“. ის მიიღებს ოქროს და დატოვებს წინაპართა ქვეყანას. აქ ცხადდება ჭეშმარიტება: ვინც უარს ამბობს წინაპართა საფლავეზე, მას აღარ ეკუთვნის ეს ქვეყანა. კაცი მთელი თავისი ახალგაზრდობის ნაჭირნახულევს (ის თოთხმეტი წელიწადი შრომობდა სხვისთვის) გაიღებს იმისთვის, რათა გამოისყიდოს წინაპართა მიწა, მათ საფლავეებში განსხეულებული, რომ ეს მიწა მისი საკუთარი მიწა გახდეს, მისი სისხლი და ხორცი, როგორც პირველწინაპრის – ადამის მიწა (ადამაჰ), საიდანაც ის აღებული იყო.

ამ არჩევანში დადასტურდა იაკობის თანდაყოლილი (თუმცა არაბიოლოგიური) ღირსება პირმშოებისა და მკვიდრობის უნარი. როცა „სრული კაცი, კარგებში მცხოვ-

რები“ სამარხის უფლებას ყიდულობდა, ის მომავლისკენ იხედებოდა, მაგრამ სიკვდილის წინ (ის უცხო ქვეყანაში კვდებოდა) წარსულში იყო გადასული; ის უანდერძებდა თავის შვილებს: „მივიღივარ ჩემს ხალხთან; დამმარხეთ ჩემი მამა-პაპის გვერდით, მღვიმეში... მახფელას მინდორში რომ არის, მამრეს პირდაპირ, ქანაანის ქვეყანაში, აბრაამმა რომ იყიდა ეფრონ ხეთელისგან მინდორთან ერთად საკუთარ სამარხად. იქ დამარხეს აბრაამი და მისი ცოლი სარა, იქ დამარხეს ისაკი და მისი ცოლი რებეკა. იქ დავმარხე მე ლეა... ეს მინდორი და მღვიმე...“ (დაბ. 29:29-32). იაკობი ამ სიტყვებით უნებურად განსაზღვრავდა სამშობლოს ცნებას: ის იმეორებდა აბრაამის სიტყვას და საქმეს; მასში ერთი თაობის წიად გადმოვიდა სამშობლოს ცოდნა – „მინდორი და მღვიმე“ – ანუ მინდორი და საფლავი, აი, სამშობლო, ადამიანთა სიკვდილ-სიცოცხლის ასპარეზი. „იქ დავმარხე“ ამით ეუბნება შთამომავლობას, რომ ისინიც იქ დამარხავდნენ თავისიანებს, რომ ისინი იქ იცხოვრებდნენ და დაიმარხებოდნენ; მახფელას მღვიმე იყო ის აკვანი, სადაც ჩაწვებოდა, თუნდაც უცხოობაში მომკვდარიყო, მისი შთამომავალი. ასეთი იყო ძველი თქმულება ბიბლიის სულისკვეთებით შექმნილი, – თუნდაც ათასი წლის შემდეგ. ქვეყნის დასასრულამდე იგორებდა ქვეყნის მკვიდრის თავის ქალა და გორვა-გორვით მაინც მიადწვევდა მახფელას მღვიმეს, „მამრეს პირდაპირ რომ არის“, და შეეხლებოდა წინაპართა ძვლებს. ასეთ შეგნებას ატარებდა უმცროსი იაკობი და არა ესავი – რომელიც, როგორც პირმშო, უნდა ყოფილიყო აღთქმის მემკვიდრე.

იაკობისა და ესავის ამბავი იმეორებს, ერთი მხრივ, აბელისა და კაენის ამბავს, ხოლო მეორე მხრივ, ისაკისა და ისმაელის ამბავს. ყველგან კურთხეულია უმცროსი ვაჟი, რაც ეხმაურება ზღაპრის ეთოსს (არ არის გარკვეული, არსებობს თუ არა ზღაპარი თავისი კლასიკური სახით ძველი აღთქმის ხანაში). უარყოფილია კაენი, უარყოფილია ისმაელი, უარყოფილია ესავი, მაგრამ ესავი – პირმშო უყვარს მამას, ისაკს. „უყვარდა ისაკს ესავი, რადგან ნანადირევი იყო მისი საჭმელი...“ (დაბ. 25:28). ეს იყო ისაკის სისუსტე, რითაც მას ჰგავს მისი პირმშო ესავი, რომელმაც საყვარელი შეჭამადისთვის დათმო პირმშოება. იმისთვის, რომ იაკობს მიეღო მემკვიდრეობა და კურთხევა მამისაგან, განგებამ ქალის ხელი აამოქმედა. „უყვარდა ისაკს ესავი... ხოლო რებეკას იაკობი უყვარდა“. რებეკამ გადაწყვიტა რჩეული ხალხის მომავალი, როცა მოტყუებით აკურთხებინა ისაკს იაკობი; ისაკის „სისუსტე“ ფიზიკურად თვალის ჩინის დაკლებაში გამოიხატა: მამა აკურთხებდა თავის შვილს, მაგრამ ვერ ხედავდა მას. დედის რჩევით იაკობმა ხელები და უბალნო კისერი თიკნის ტყავით დაიფარა, რომ ესავს დამსგავსებოდა, რომელსაც მამისათვის მისი საყვარელი კერძი უნდა მიერთმია. „უთხრა ისაკმა იაკობს: მომიახლოვდი, ხელი მოვისვა, შვილო, მართლა ჩემი შვილი ხარ თუ არა. მიუახლოვდა იაკობი მამამისს, ისაკს, მან ხელი შეავლო და თქვა: ხმა იაკობის ხმაა, ხელები კი ესავის ხელებია. ვერ იცნო, რადგან ხელები თავისი ძმის, ესავის ხელებით ბანჯგვლიანი ჰქონდა, და აკურთხა იგი“ (დაბ. 27:21-23). იაკობი ესავად გარდაისახა, ისაკის საყვარელ შვილად, რომ მიეღო კურთხევა. ამრიგად, აღსრულდა ნება არა ისაკისა, არამედ ნება განგებისა, რომელიც ეძებდა რჩეული ხალხის უკეთეს წინაპარს და არჩევანში, როგორც აბრაამის დროს, დედაკაცს ჰქონდა გადაწყვეტილი ხმა.

ერთი მნიშვნელოვანი თვისება ჩანს იაკობის პიროვნებაში, რაც შემდეგ მის უმრწემეს ძეში – იოსებში გადადის მემკვიდრეობით. მართალია, იაკობი მამისაგან იღებს აუცილებელ კურთხევას (რომელიც ფაქტიურად აბრაამისგან მოდის), მაგრამ ის თავიდან იწყებს ყველაფერს, თითქოს არც ჰყოლოდეს წინაპარი. შეიძლება ითქვას, ის თავისი აქტივობით სჭედს საკუთარ ბედს, როცა ერთი არგნის ამარა გადის მამის სახლიდან იმ მიზეზით, რომ გაეცალოს მოტყუებული, კურთხევადაკარგული ესავის რისხვას. ის, უპირველეს ყოვლისა არის მსხემი – სახლიდან გასული, უცხო ქვეყანაში დავაჟაკცებული, მსგავსად უმცროსი ვაჟიშვილისა, რომელიც გამარჯვებული და დოფლათით სავესე ბრუნდება შინ. ის, დედის შვილი უპირატესად, ვიდრე მამისა, გაავზაგნა დედამ ხარანში თავის ძმასთან, ლაბანთან, რათა ესავის შურისძიებისაგან დროებით დაეფარა თავი. მამამ კი იმ მიზნით გაავზაგნა ხარანს, რომ წინაპართა ჩვეულები-სამებრ იქაური ქალი – სანათესაოდან მოეყვანა ცოლად. „ადექი და წადი შუამდინარეთში, დედაშენის მამის ბეთუელის, სახლში და მოიყვანე იქიდან ცოლად დედაშენის ძმის, ლაბანის ასული. ყოველადღიური ღმერთი გააკურთხებს, ნაყოფიერს გაგხდის, გა-

გამრავლებს და ხალხთა კრებულის მამამთავარი შეიქნები. მოგვცემს აბრაამის კურთხევას შენ და შენს შთამომავლობას შენთან ერთად, რათა დაიმკვიდრო შენი მდგომარობის ქვეყანა, რომელიც აბრაამს მისცა ღმერთმა“ (დაბ. 27:2-4). როგორც ვხედავთ, იაკობს თან სდევს განსაკუთრებით აბრაამის კურთხევა, მაგრამ მას თან ახლავს, როგორც ირკვევა მომავალში, „ღმერთი აბრაამისა და შიში ისაკისა“, რომელიც შეუცთომლად წარმართავს მის ნაბიჯებს. გზად მიმავალს, მას ჰქონდა ისეთი გამოცდილება, როგორც არ შეიძლება ჰქონოდა მის ძმას ესავს, „ველების კაცს“. მართალია, არა ცხადში, როგორც ჩვეულებრივ ღმერთი ეცხადებოდა აბრაამს და ესაუბრებოდა, მასაც ჰქონდა ჩვენება ღვთისა სიზმრად, როცა ერთ უდაბურ ადგილზე ჩაეძინა. „ესიზმრა, – მიწაზე კიბე დგას და თავით ცას სწვდება; უფლის ანგელოზები ადიჩამოდინ კიბეზე. აჰა, უფალი დგას კიბეზე და ეუბნება: მე ვარ უფალი, ღმერთი აბრაამისა, მამაშენისა, და ღმერთი ისაკისა. ეს მიწა, რომელზედაც წევხარ, შენთვისა და შენი შთამომავლობისათვის მომიცია... აჰა, შენთანა ვარ და ყველგან დაგიფარავ, სადაც კი წახვალ, კვლავ დაგაბრუნებ ამ მიწაზე, არ მიგატოვებ, ვიდრე არ აგისრულებ ყველაფერს, რაც გითხარი. გამოიფხიზლა იაკობმა ძილისაგან და თქვა: ნამდვილად უფალია ამ ადგილას, მე კი არ ვიცოდი! შეშინდა და თქვა: რა საშიში ყოფილა ეს ადგილი! სხვა რა უნდა იყოს, თუ არა უფლის სახლი. ეს ცათა კარიბჭეა! ადგა დილაადრინად იაკობი, აიღო ლოდი, სასთუმლად რომ ედო, აღმართა სვეტად და ზედ ზეთი დაღვარა...“ (დაბ. 29:12-18). ასეთი გამოცდილება შეიძლება მხოლოდ მამამთავარს ჰქონოდა, ისეთ კაცს, რომელიც აფუძნებს არა მხოლოდ ახალ შთამომავლობას, არამედ რელიგიას (ასევე წმიდა მიწაზე მოხვდა სინაის მთაზე ასული მოსე – მამა-პაპის ღმერთის აღმდგენელი და გამახსენებელი თავისი ხალხისათვის).

მეორე განსაცდელი იაკობს მოეწვინა, როცა ის ორი ცოლით, ორი მხევლით და თერთმეტი შვილითურთ უკან ბრუნდებოდა. მდინარე იაბოკის ფონთან, როცა გაღმა გადაიყვანა თავისი მონაგარი, მას შეება უფლის ანგელოზი, რომელსაც სძლია იაკობმა. „მარტო დარჩა იაკობი და ერკინებოდა მას კაცი ვინმე გათენებამდე. როცა შეატყუო, რომ ვერ ერეოდა, შეეხო იგი მის თეძოს სახსარს, და ედრძო იაკობს თეძოს სახსარი მასთან შერკინებისას. უთხრა: გამიშვი, უკვე თენდება. უთხრა: არ გაგიშვებ, სანამ არ მაკურთხებ. უთხრა: რა გქვია? მიუგო: იაკობი. უთხრა: ამიერიდან აღარ ითქვას შენს სახელად იაკობი, არამედ ისრაელი, რადგან ღმერთს და ადამიანებს შეებრძოლე და სძლიე. ჰკითხა იაკობმა: მითხარი შენი სახელი. უთხრა: რისთვის მეკითხები სახელს? და იქვე აკურთხა. უწოდა იაკობმა იმ ადგილს სახელად ფენუელი, რადგან თქვა: პირისპირ ვიხილე ღმერთი და გადავრჩი. ამოუვიდა მზე როგორც კი ფენუელს გასცდა. და კოჭლობდა იგი ცალი თეძოთი“ (დაბ. 32:24-31).

ძველი აღთქმის ამ ღირსშესანიშნავ ადგილს მიიჩნევენ ღმერთმებრძოლობის იდეის ერთ-ერთ უძველეს დადასტურებად. მაგრამ ეს აზრი არ არის მართებული. ამ ეპიზოდის ავტორს, ან იმას, ვინც ეს თქმულება ხალხის პატრიარქზე შეიტანა ერის ისტორიაში, არ ამოძრავებდა ეს იდეა. იაკობი აქ გადის გამოცდას, ის იცდება როგორც ხალხის მამამთავარი. აქ ჩანს იაკობის უშიშრობა, „ვითარცა უხორცოსი“ (ის ხომ უხორცო ანგელოზს ებრძოდა), შეუპოვრობა, რომლის ბადალი სულიერ-ზნეობრივ სფეროში გამოიჩინა მრავალტანჯულმა იობმა (იხ. იობის წიგნი), როდესაც მან ღმერთს გაუმართა სასამართლო და გამართლდა. ეს მომენტი გამომდინარეობს ძველი აღთქმის თეოლოგიიდან, მისი საერთო ღვთისშემეცნებითი იდეოლოგიიდან, ისევე, როგორც იაკობის სიტყვები ბრძოლის ადგილის სახელდების შემდეგ: „პირსპირ ვიხილე ღმერთი და გადავრჩი“.

იაკობს მუდამ ახლავს ღვთის დავლათი, ის უფლის ხელშენახებია, რისი ნიშანიც არის მისი კოჭლობა. დავლათი ახლავს მას გზაში, შრომაში, ადამიანებთან ურთიერთობაში, კერძოდ, ანგარიშსწორებაში, როცა გონიერებით სძლია თავის ცბიერ სიმამრს ლაბანს, რომელიც თოთხმეტი წლის განმავლობაში ატყუებდა მას. ეს თოთხმეტი წელიწადი განსაკუთრებულია მის ცხოვრებაში; გარდა იმისა, რომ ეს არის უცხოობაში გატარებული წლები მოთმინებისა და სიყვარულისა. იაკობი ბიბლიის ერთადერთი პერსონაჟია (ყოველ შემთხვევაში, ის ამით განსხვავდება სხვა მამამთავრებისაგან), რომელიც ავლენს სიყვარულის ძლიერ გრძნობას, თუმცა ეს ამბავი – ამბავი მისი სიყვარულისა რახელისადმი, ბიბლიური სტილისამებრ, საკმაოდ ძუნწად არის მოთხრობილი.

აბრაამიდან იაკობამდე ბიბლია ერთი ოჯახის ისტორიას, თავგადასავალს მოგვითხრობს. იაკობის ხანა გარდამავალი ხანაა – მისი თორმეტი შვილი მისი ოჯახის წევრებიც არიან და ამავე დროს მომავალი ერის სურათია მათში მოცემული. იაკობი ანუ ისრაელი არის უშუალო წინაპარი ხალხისა, რადგან სწორედ მისი წიაღიდან („საზარდულიდან“) გამოსულმა თორმეტმა ძემ შეადგინა ებრაელთა ტომი, რომელიც ბიბლიურ მატრიანეებში ატარებს ისრაელიანთა, ისრაელის ძეთა (*ბენ ისრაელ*) სახელს. ასევე „იაკობის სახლი“ დამკვიდრდა მთელი ერის, მისი განუყოფელი და თანაც დანაწილებული სხეულის სახელწოდებად („ასე უთხარი იაკობის სახლს და ძეთა ისრაელისა...“). იაკობმა არა მხოლოდ შვა ისინი, არამედ დაუსაზღვრა მათ – თითოეულს საკუთარი ბედი, როცა „თითოეული მისი კურთხევით აკურთხა“. ამ კურთხევებში გამოხნდა მათი წარსული და გამოისახა მომავალიც, როგორც უნდა ყოფილიყვნენ ისინი, და რა ადგილი უნდა სჭეროდა თითოეულ მათგანს თორმეტტომოვანი ერის სხეულში.

ძეთა კურთხევა

„მოუხმო იაკობმა შვილებს და უთხრა: შეიკრიბეთ, რომ გაგიმხილოთ, რა შეგემთხვევათ მომავალ დღეებში. თავი მოიყარეთ და ისმონეთ, იაკობის ძენო! ისრაელს, მამათქვენს, უსმინეთ!

რეუბენ! პირმშო ხარ ჩემი, ძალი ჩემი და სათავე ჩემი კაცობისა, შეუდრეკელი და შეუპოვარი. ზღვასავით ბობოქარობ, მაგრამ არ აღზევდები, რადგან ახვედი მამის საწოლზე, მაშინ შებღალე ჩემი სარეცელი.

სიმონ და ლევი! ღვიძლი ძმები, ძალადობის ჭურჭელია მათი გული! მათ თათბირზე ნუმც მისულა სული ჩემი, მათ საკრებულოს ნუმც ზიარებულა ღირსება ჩემი! რადგან რისხვით მოკლეს კაცი და ბოროტი ნებით გამოძარღვეს ხარი. წყეულიმც იყოს მათი რისხვა, რადგან შეუპოვარია, და მათი გულისწყრომა, რადგან სასტიკია! დავაქუცმაცებ მათ იაკობში და მიმოფანტავ ისრაელში.

იუდა! გადიდებენ ძმები; მტრების ხერხემალს დათრგუნავ ხელით. გეთაყვანებიან მამაშენის ნაშვირნი. ღომის ბოკვერია იუდა! წამომართულხარ, შვილო, ნადავლით ხელში. წაიხარა, გაწვა ღომივით, ვინ გაბედავს მის წამოგდებას? არ წაერთმევა კვერთხი იუდას, არც არგანი ფერხთა შუიდან, ვიდრე არ მოვა მისი მფლობელი და ის იქნება ხალხების სასო. ვაზზე უბია თავისი ჩოჩორი, ვენახის ღერწზე – თავისი ვირის ნაშვირნი; ღვინოში რეცხავს თავის სამოსელს და ყურძნის სისხლში – თავის ტანსაცმელს. თვალები მისი – ღვინის უწითლესი, კბილები მისი – რძის უთეთრესი.

ზებულონი ზღვის პირას იმკვიდრებს, ნავსაყუდელთან ექნება სადგომი, ციფონს მისწვდება საზღვარი მისი.

ისაქარი – ძვალმსხვილი ვირი, ბაკში მწოლარე. ხედავს კარგა მოსვენება, მიწა – საამური. ქედი წაუხრია ტვირთის წასაღებად, ხარკისთვის შრომობს.

დანი – მსაჯული თავისი ხალხის, როგორც ერთი შტო ისრაელისა. გველი იქნება დანი გზაზე, უნასი – ბილიკზე, დამგესლავი ცხენის ქუსლისა, გადაექანება უკან მხედარი...

გადს მოადგებიან ურდოები, თავადაც კვალში ჩაუდგება.

აშერისგან – პური ნოყიერი და გასცემს იგი სამეფო ნუგბარს.

ნაფთალი ფეხმარდი ირემი, სასიკეთო სიტყვათა მომტანი.

ნაყოფიერი ნერგი *იოსები*, ნაყოფიერი ნერგი, წყაროსპირს დარგული, რტოებით გაღავანზე გასული. გაამწარეს, დაისრეს, მტრობდნენ მოისარნი. შეურჩა მშვილდის ძლიერება, არ მოსდუნებია ხელის ძარღვები, იაკობის ღმერთისგან ძალამოცემული. აქედან არის მწყემსი, კლდე ისრაელის. მამაშენის ღმერთი შეგეწიოს და გაკურთხოს ყოვლადძლიერმა ზეცათა კურთხევით ზეგარდმო, უფსკრულის კურთხევით, ქვეგანთხმულისა, ძუძუთა და საშოს კურთხევით, მამაშენის კურთხევით, რომელიც უფრო ძლიერია, ვიდრე კურთხევა ჩემი მშობლებისა, ვიდრე მადლი საუკუნო მათა. იყოს ეს იოსების თავზე და ძმათაგან გამორჩეულის თხემზე.

ბენიამინი მგელია მტაცებელი, დილით ჭამს, საღამოთი იყოფს ნადავლს.

ყველა ესენი ისრაელის თორმეტი რტოა. ეს უთხრა მათმა მამამ, როცა აკურთხა ისინი, თითოეული მისი კურთხევით აკურთხა“ (დაბ. 49:1-28).

გზა უდაბნოში. მოსე

აბრაამის მოდგმისაგან, საკუთრივ, იაკობის ძეთაგან, შექმნილი ერის თავგადასავალში ცენტრალური ადგილი უჭირავს ეგვიპტიდან გამოსვლას. ამას მოგვითხრობს ბიბლიის მეორე წიგნი – „წიგნი გამოსვლისა“. ეგვიპტიდან გამოყვანა ხალხისა არის ბიბლიური ღმერთის ძირითადი ქმედება; ეს იგივე ღმერთი იყო, რომელმაც სამყარო შექმნა და გამოეცხადა ხალხის მამა-პაპას; იგივე ღმერთი, რომელიც იღწვოდა თავდაპირველად, როცა „ცას და მიწას ქმნიდა“, აცხადებს თავს ხალხის ისტორიაში მისი ცხოვრების გადამწყვეტ ჟამს, რითაც ის ძირეულად განსხვავდება ქანაანელთა ბაალისაგან, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ბუნებაში მოქმედებს, ხშირად როგორც მისი ტყვე, დამორჩილებული წელიწადის ბრუნვას.

როგორ მოხვდა ძველი აღთქმის ხალხი ეგვიპტეში? ეს შემთხვევა დაკავშირებულია იაკობის უმცროსი ვაჟის – იოსების განსაკუთრებულ ბედთან, რომელიც თავისი უჩვეულობით ამოვარდნილია ბიბლიური პატრიარქალური ყოფიდან. მაგრამ, გარკვეული აზრით, ის თავისი დაცემისა და აღზევების რიტმით წარმოსახავს იაკობის სახლის საერთო ბედს. იოსები იყო იაკობისა და რახელის პირმშო, იმ ქალისა, ვისთვისაც იაკობმა გაწირა საუკეთესო წლები – თოთხმეტი წელი ემსახურა თავის ცბიერ სიმამრს. თუ ისაკი იყო აბრაამის აღთქმის შვილი, იოსები იყო იაკობის სიყვარულის შვილი. ეს კი განსაკუთრებულ მდგომარეობაში აყენებს მას: მამის გადამეტებული სიყვარულის გამო ათი ძმა შურით აღიძვრება იოსების მიმართ. ამას ისიც ემატება, რომ თავისი ბუნებითი სიწრფელითა თუ ნორჩი ასაკისათვის ჩვეული გულუბრყვილობით ის ყველას გასაგონად ყვება სიზმრებს, რომლებიც მეტისმეტად გამჭვირვალე სიმბოლიკით (ისე, რომ ახსნაც არ სჭირდება) მოასწავებენ მის განსაკუთრებულ ხვედრს და გამორჩეულობას დანარჩენ ძმებს, სხვა დედის შვილებს შორის.

„დაესიზმრა იოსებს სიზმარი და უამბო თავის ძმებს და კიდევ უფრო შეიძულეს ის ძმებმა. უთხრა მათ: მოისმინეთ ეს სიზმარი, რომელიც მესიზმრა. აჰა, ძნებს ვკონათ უშავულ ყანაში. აჰა, წამოდგა ჩემი ძნა და აღიმართა, გარსშემოადგნენ თქვენი ძნები და თაყვანისცეს ჩემს ძნას. უთხრეს ძმებმა: ნუთუ ჩვენზე იმეფებ? ნუთუ პატრონად გაგვიხდები? და კიდევ უფრო შეიძულეს იგი მისი სიზმრისა და სიტყვების გამო. კვლავ დაესიზმრა სხვა სიზმარი და უამბო ძმებს და უთხრა: აჰა, მზე და მთვარე და თორმეტი ვარსკვლავი მცემენ თაყვანს. უამბო მამას და ძმებს და გააკიცხა ის მამამ და უთხრა: რა არის ეს სიზმარი, რომ დაგესიზმრა? ნუთუ მე და დედაშენი და შენი ძმები უნდა გაეხლოთ და თაყვანი გცეთ?...“ (დაბ. 37:5-11). არ შეიძლება აქ არ გავიხსენოთ ერთი კოლხური მითოსური შინაარსის ლექსი, რომლის გმირი თითქოს იოსების სიზმარს მღეროდეს: „მზე დედაა ჩემი, მთვარე მამა ჩემი, მოჩახჩახე ვარსკვლავები და და ძმაა ჩემი“.

ბოლოს ძმებმა სამწყვსურში, მამისაგან შორს, მოიხელთეს იოსები და მიჰყიდეს ეგვიპტეში ჩამავალ ვაჭრებს. მისი ჭრელი სამოსელი, მამის ნაჩუქარი, თხის სისხლში ამოსვარეს და მიუტანეს იაკობს, რომელმაც „იცნო კვართი და თქვა: ჩემი შვილის კვართია! ნადირს შეუჭამია, ნადირს დაუგლეჯია იოსები! ტანზე შემოიხია იაკობმა, ჯვალს შემოირტყა წელზე და დიდხანს გლოვობდა შვილს“ (დაბ. 37:33-34).

თუ შთამომავალთაგან ვისმე გადაეცა მამა-პაპის დავლათი, – ჯერ აბრაამისა, რადგან ის სვიან კაცად ითვლებოდა (დაბ. 23:6) და მერე თავად იაკობისა, – ეს იოსები იყო. იოსების დავლათი, პირველ ყოვლისა, იმაში გამოვლინდა, რომ ის ბოროტება, რაც ძმებმა უყვეს, სასიკეთოდ შემოუტრიალდა მას (როგორც ზღაპრის ობოლს, რომელსაც დედინაცვლისგან მიყენებული სატანჯველი სადღეოფლოდ ამზადებს) და მთელ მოდგმას – ისრაელს. „უფალი იყო იოსებთან და ყველაფერში ხელი ჰქონდა მომართული“ (დაბ. 39:2). და გადაკარგეს შურთანმა ძმებმა შორეულ ქვეყანაში (ჯერ ჭაში ჩააგდეს, რომ იქიდან ვეღარ ამოსულიყო), რომ უკან ვეღარ დაბრუნებულიყო, მკვდრებში აგულებინეს მისი თავი მამას, რომელსაც „არ სურდა ნუგეში და ამბობდა: მგლოვიარე ჩავალ ჩემს შვილთან შავეთში“ (დაბ. 37:35). ეგვიპტეშიც თითქოს სამუდამოდ გამოკეტეს დიღეგში უდანაშაულოდ, ცილდაწამებული, რომ დღის სინათლე ვეღარ ეხილა, მაგრამ ის აღდგა მკვდრეთით უცხო მხარეში, ეგვიპტეში, აღზევდა და მისი ხელმწიფის (ფარაონის) მარჯვენა ხელი შეიქნა. იოსები დავლათმა იხსნა, რომელიც მისი მამა-პაპის ღვთისაგან იყო მასზე გადმოსული; მაგრამ მას ჰქონდა ერთი თვისება, რომელიც მხოლოდ მას ეკუთვნოდა. იოსები იყო ერთადერთი ძველი აღთქ-

მის ადამიანთა შორის, რომელიც ახორციელებდა მაღალზნობრივ პრინციპს, შემდგომ ქრისტიანობის ქვაკუთხედად ქმნილს – „გიყვარდეს მტერი თქვენნი და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქვენთა“. მსოფლიო შიმშილობის დროს ეგვიპტეში პურის საშოვრად ჩასულ ძმებს, რომელთაც ის გაყიდეს, იოსები – ეგვიპტის გამგებელი ეუბნება: „ამიერიდან ნუღარ წუხსართ და ნურც რისხავთ თქვენს თავს, რომ აქ გამყიდეთ...“ (დაბ. 45:5). იოსებმა აპატია ძმებს დანაშაული თავისი პიროვნული გულმოწყალების ძალით, თუმცა ეს პატიება აუცილებელიც იყო, ისევე, როგორც აუცილებელი გამოდგა მისი ეგვიპტეში გადაკარგვა. „თქვენ ბოროტი განიზრახეთ ჩემთვის, – ეუბნება ძმებს, – ხოლო ღმერთმა სიკეთედ მოაქცია, რათა ისე მომხდარიყო, როგორც მოხდა: მრავალი ხალხის სიცოცხლე ეხსნა“ (დაბ. 50:20). ასე გადაეჭდო ერთმანეთს იოსების პიროვნული ბედი და იაკობის სახლის ანუ მთელი ხალხის ბედი. „თქვენი სიცოცხლის სახსნელად გამომგზავნა ღმერთმა. – ეუბნებოდა შეხვედრისას ძმებს, როცა თავი გამოუცხადა. – ...გამომგზავნა ღმერთმა თქვენს წინაშე, რომ გიხსნათ ამ ქვეყნად, სიცოცხლე შეგინარჩუნოთ და მოგიტანოთ დიდი სახსარი...“ (დაბ. 45:5-7). იოსებმა ჩაახედა ძმები განგების სადუმლოში და ამით წარხოცა მათ შეგნებაში ძველი დანაშაული და სამომავლო იმედი ჩაუნერგა, სასო იმისა, რომ მამა-პაპისადმი ღვთისგან მიცემული აღთქმა არ გაცუდდებოდა.

ეგვიპტეში ჩასვლით, სადაც ის სიცოცხლის სახსარს ეძებდა, გამრთვლდა იაკობის სახლი: ძმებმა კვლავ ჰპოვეს მათგან განწირული ძმა, მამას დაუბრუნდა მკვდრეთით აღმდგარი საყვარელი შვილი. ძმების შეხვედრის და შერიგების სცენა უნიკალურია; ის ესქატოლოგიურ უღერადობას იძენს, როგორც „გილგამეშიანის“ აფორიზმი „განა სამუდამოდ იყრებიან ძმები?“ ან ფსალმუნის „ეჰჰ, რა კარგია, რა საამური ძმათა დამკვიდრება ერთად!“ (ფს. 132:1).

ბიბლიურ მსოფლგანცდაში პარადოქსულად აისახა ეგვიპტის მოვლენა: ეგვიპტე რომ არა, სადაც იოსებმა პურის მარაგი შექმნა, შიმშილით ამოწყდებოდა იაკობის სახლი. მაგრამ ეგვიპტეში სიცოცხლის სახსრის საძიებლად ჩასული იაკობის სახლი, რომელიც რამდენიმე თაობის შემდეგ უკვე აღარ იყო ერთი ოჯახი, არამედ მთელი ხალხი, თორმეტი ტომისაგან შემდგარი, დაიმონა ეგვიპტეში. თუმცა ის ხომ ეგვიპტეში გადაურჩა ფიზიკურ გადაშენებას და აქვე შეიქნა მრავალრიცხოვან ერად, თანახმად აღთქმისა.

ზნობრივ პარადოქსზეა აგებული იოსების თავგადასავალი. მისი რჩეულობა, სიკეთე და გულწრფელობა ხდება უცხო მხარეში გადაკარგვისა და ტანჯვის მიზეზი. ეგვიპტის დიდები (როგორც ზოგადად ეგვიპტე), სადაც ის ჩაადგეს, გახდება მისი აღზევების საწყისი, შეიძლება ითქვას, მეორედ შობის ადგილი და, რამდენადაც ღრმა იყო დაცემა, იმდენადვე მაღალი იყო აღზევება. ეს რიტმი პოულობს რელიგიურ-ფილოსოფიურ განზოგადებულ გამოხატულებას ერთ ებრაულ სიმღერაში: „რისთვის, რისთვის ილტვის სული უფსკრულებიდან მწვერვალებისაკენ? რისთვის, რისთვის ილტვის სული მწვერვალებიდან უფსკრულებისკენ?“ იაკობის სახლი – ისრაელი გამრავლდა აღთქმისაებრ, მაგრამ ეს გამრავლება ხდება მიზეზი მისი სატანჯველისა. ეგვიპტელი ჩაგრავეს თავის ქვეყანაში გამრავლებულ უცხოთესლს, „მაგრამ რაც უფრო ჩაგრავენ, მით უფრო მრავალრიცხოვანი ხდებოდა და ვრცელდებოდა ხალხი...“ (გამ. 1:12). ჩაგვრამ გააძლიერა გამრავლების იმპულსი – გადარჩენის ერთადერთი სახსარი ამ უცხო ქვეყანაში. მაგრამ ხალხის ისტორიის ამ მომენტში მთავარი ის იყო, რომ ამ დროს აღდგა დაკარგული ღვთის შემეცნება, რაც საერთო გააზრებით ერის თვითგამორკვევის შესატყვისია. უკიდურეს გასაჭირში ხალხს აღმოხდა კენესა და მათი მამა-პაპის ღმერთმა მოძებნა ისინი უცხო ქვეყანაში. „მოესმა ღმერთს მათი კენესა და გაიხსენა ღმერთმა აბრაამთან, ისაკთან და იაკობთან დადებული აღთქმა. მოხედა ღმერთმა ისრაელიანებს და იცნო ისინი ღმერთმა“ (გამ. 1:24-25).

ამ დროს გამოჩნდა ერის წინამძღოლი და სჯულმდებელი მოსე და განდა ეგვიპტიდან გასვლის იდეა, როგორც ერის ხსნის ერთადერთი სახსარი. მართალია, ღმერთმა გაიხსენა თავისი ხალხი და იცნო უცხო ქვეყანაში, მაგრამ იმისთვის, რომ ხალხს ეცნო თავისი ღმერთი, ხალხი უნდა გასულიყო ეგვიპტიდან და მის გარეთ უნდა ეცა თავყვანი მისთვის. ეს იქნებოდა ეგვიპტიდან – ფარაონის ხელიდან დაღწევის საბაბი და, ამავე დროს, ღვთის შემეცნების პირობაც: თავისი ღმერთი ხალხს უნდა ეხილა წმიდა, ხელუხლებელ, ფეხდაუდგმელ მიწაზე და არა ბილწი ღმერთებით აღსავსე ეგვიპტეში. ასეთი ადგილი იყო უდაბნო.

„მწყემსავდა მოსე თავისი სიმამრის, მიდიანელი მღვდლის, ითროს ცხვარს. წაასხა ცხვარი შუაგულ უდაბნოში და მიადგა ღვთიურ მთას – ხორებს. გამოეცხადა უფლის ანგელოზი ცეცხლის ალად შუაგულ მაყვლოვანში. ხედავ, ცეცხლი უკიდია მაყვლოვანს, მაგრამ არ იწვის მაყვლოვანი. თქვა მოსემ: მივალ, ვნახავ ამ ღიღებულ სანახავს, რატომ არ იწვის მაყვლის ბუჩქი. დაინახა უფალმა, რომ მოდის მოსე სანახავად და დაუძახა ღმერთმა შუაგულ მაყვლოვანიდან: მოსე! მოსე! მიუგო: აქა ვარ. უთხრა (უფალმა): ახლოს ნუ მოხვალ. გაიძვრე ფეხსამოსი, რადგან ეს ადგილი, სადაც შენ დგახარ, წმიდა მიწაა...“ (გამ. 3:1-5). ასე შემოვიდა უდაბნო ხალხის ცხოვრებაში, მის ცნობიერებაში, მის მსოფლგანცდაში, მის რელიგიაში. „გაუშვი ჩემი ხალხი, რომ დღესასწაული გამიმართონ უდაბნოში“ (გამ. 5:1), მოსეს პირით უთვლიდა ხალხის ღმერთი ფარაონს, რომელსაც არ უნდოდა ხალხის გაშვება ეგვიპტის ტყვეობიდან.

ეს უდაბნო, სადაც აღმართული იყო სინაის მწვერვალი ხორები – ღვთის გამოცხადების ადგილი, აუცილებლად უნდა გაეველო ეგვიპტიდან გამოსულ ხალხს. ის უნდა მისულიყო თავის ქვეყანაში არა იმ საქარავნო გზით, რომლითაც ჩაიყვანეს ეგვიპტეში გასაყოფად ტყვე იოსები ან რომლითაც დამშეული იაკობის სახლი ჩადიოდა, არამედ უდაბნოს უკაცრიელი გზით და ამაში დიდი აზრი იყო ჩამარხული. უდაბნო იყო არა უბრალოდ გზა, რომელიც გაიარა სამშობლოსკენ მიმავალმა ხალხმა, არამედ მთელი ეპოქა მის ისტორიაში. ხალხის ისტორიულ შეგნებაში ის ჩაბუჭდილია როგორც ადგილი და ხანა, სადაც და როდესაც ხალხი იშვა, ჩამოყალიბდა და შედგა ერთიან ერად. ეგვიპტიდან ამოვიდა ბრბო, ჭრელი ხალხი, რომელმაც არ იცოდა ღმერთი და დავიწყებული ჰქონდა თავისი წარსული, – უდაბნოში „მას ჟამს“ კი იშვა ხალხი თავისი რჯულით და წარსულით; ეგვიპტიდან ამოვიდა დამონებული ხალხი, – უდაბნოში კი იშვა თავისუფალი ხალხი. ეს პერიოდი, რომელიც უძველეს საგაზაფხულო დღესასწაულს შეერწყა, სიყმაწვილის ხანად აისახა ხალხის ცნობიერებაში. უდაბნოში გატარებული სიყმაწვილის ხატი ცოცხლდება წინასწარმეტყველთა ნაქადაგარში, როცა მათ ხალხის მომავალ ბედზე უხდებოდათ ქადაგება. „აჰა, დავიყოლიებ მას, უდაბნოში წაიყვან და მოვინადირებ მის გულს. იქ მივცემ ვენახს და ყაქორის (მწუხარების) ველს იმედის კართან. და იქ იმღერებს ის, როგორც თავის ყმაწვილქალობისას, როცა ეგვიპტელთა ქვეყნიდან გამოდიოდა“ (ოს. 2:16-17). ღვთისა და მისი რჩეული ერის ურთიერთობა უდაბნოში მეფე-დედოფლური საქორწინო ურთიერთობით დაიწყო. უფალი – მეფე, პერიოდულად ახსენებს თავის ხალხს – დედოფალს წინასწარმეტყველთა პირით მისი ცხოვრების გაზაფხულს, როცა პირველად გაინასკვა მათი კავშირი. „მე მახსოვს შენი ყმაწვილური ერთგულება, პატარძლური სიყვარული, როცა უდაბნოში – დაუთესველ მიწაზე მომყვებოდი...“ (იერ. 2:1). მართალია, უდაბნო მწირი და უკაცრიელი იყო, მაგრამ ის იდეალური ქვეყნის ხატი შეიქნა, რადგან მასში იმ ხანას ხედავდნენ, როდესაც ისრაელი ღვთის წინამძღოლობით შეუცდომლად დადიოდა და ცხოვრობდა; ის იყო სასწაულთა ხანა, როდესაც მათ შეეძლოთ ეთქვათ, – მაშინ ჩვენს შორის იყო... „უფალი, რომელმაც ეგვიპტიდან ამოგვიყვანა, გვატარებდა უდაბნოში – შიშველ და დამსკდარ მიწაზე, გვაღვინა და პირქუშ ქვეყანაში, სადაც კაციშვილს არ გაუვლია, სადაც ძეხორციელს არ უცხოვრია“ (იერ. 2:6). ამ დროს უფალს ის „ხელში ჰყავდა აყვანილი და დიდხანს დაატარებდა, როგორც შვილს დედა“ (ეს. 63:9). ამ დროს ხალხს აწვიმდა ზეციური პური – მანანა (ებრ. მან), სახე სულიერი საზრდოსი და მაშინ გადმოიცა რჯული და დაიდო ხელახალი აღთქმა განთავისუფლებულ ხალხთან.

მაინც რეალურად უდაბნოში გატარებული ორმოცი წელიწადი (ერთი თაობის განმავლობა) მძიმე, სასტიკი განსაცდელი იყო ხალხისათვის, რომელიც მიჩვეოდა „მონობის სახლში“ უსაფრთხო და მაძღარ ცხოვრებას. მას ზურგი უნდა შეექცია ასეთი აწმყოსათვის უხილავი მომავლის იმედით, რასაც უფალი ჰპირდებოდა მოსეს პირით, მაგრამ ხალხი ნატრობდა ხორციით სავსე ქვაბებს: „ნეტავ უფლის ხელით გაემწყდარიყავით ეგვიპტის ქვეყანაში, როცა ხორციით სავსე ქვაბებს ვუსხედით და გაძლომამდე ვჭამდით პურს! მოგვიყვანე ამ უდაბნოში, რომ შიმშილით ამოგვწყვიტო მთელი კრებული!“ (გამ. 16:3).

ხალხი, რომელმაც სიხარულით და ტრიუმფით დაადწია თავი ეგვიპტეს, გზაში მოუთმენლობას და სულმოკლეობას იჩენდა; ის „ქედფიცხელი“, ჯიუტი და თვითრჯული აღმოჩნდა და მოსე ხშირად მზად იყო, სასოწარკვეთილს უარი ეთქვა თავის მისიაზე.

„უთხრა მოსემ უფალს: რისთვის ტანჯავ შენს მსახურს? რისთვის ვერ ვპოვე მაღლი შენს თვალში, ტვირთად რომ დამაკისრე ეს ხალხი? მე ხომ არ მიტარებია მუცლით მთელი ეს ხალხი? მე ხომ არ მიშობია, რომ მეუბნები, შენი უბით წაიყვანეო, – როგორც გამზრდელი ატარებს ძუძუთა ბავშვს, – იმ მიწისკენ, რომელიც მის მამა-პაპას აღუთქვი ფიცით? სადა მაქვს ხორცი, რომ მივცე მთელს ამ ხალხს? რადგან შემომტირიან და ამბობენ: მოგვეცი ხორცი, რომ ვჭამოთ! მარტო მე ვერ წავიყვან მთელ ამ ხალხს, რადგან მიძიეა ჩემთვის. თუ ასე მექცევი, მომკალი ბარემ, თუ მაღლი მიპოვინია შენს თვალში, რომ არ ვუყურებდე ჩემს სატანჯველს“ (რიცხ. 11:11-15).

მოსეს უძიძიდა ამ რჩეული ხალხის წინამძღოლობა და თავისი რჩეულობაც. რატომ მაინც და მაინც მოსე აირჩია უფალმა ხალხის წინამძღოლად? ის ხომ უცხო იყო თავისი ხალხისათვის, ის ხომ ფარაონის კარზე იზრდებოდა, მშობლიური ხალხის წი-
ალს მოწყვეტილი? ხალხი უცხოდ თვლიდა მას, არავინ იცნობდა მას; „ის კაცი მოსე“, – ასე იხსენიებდნენ. შესაძლებელია, მან თავისი ხალხის ენაც არ იცოდა სრულყოფილად (ალბათ ამაზე უნდა მიგვანიშნებდეს მისი ენაბრგვილობა. ის, შეიძლება სრული-
ად გათქვეფილიყო ეგვიპტელებში, როგორც მთელი მისი ხალხი; მაგრამ მან დატოვა ფარაონის კარი, ფუფუნება, რაც მთელი ხალხის ეგვიპტიდან გამოსვლის საწინდარი უნდა ყოფილიყო. მან თავის თავზე გამოსცადა ხალხის სიმდაბლე და გაუტანლობა). თვისტომის გამოსარჩლებისას მას ეგვიპტელი შემოაკვდა და თვისტომმავე წამოაძახა ეს მკვლელობა. ის მაინც უფლის შთაგონებით ცხვრის ფარასავით მირეკავდა მათ სა-
უკეთესო საძოვრებისაკენ, ხოლო თვისტომნი ურჩობდნენ, უკან, ეგვიპტისკენ იწვედნენ სულმოკლეობით. ის კი იტანდა მათ სიჯიუტესა და ქედფიცხელობას, მზად იყო ხში-
რად თავიც გაეწირა მათი გულისთვის. „ახლა მიუტევე ცოდვა, – ემუდარებოდა უფალს, – არადა, ამომშალე შენი დაწერილი წიგნიდან“ (გამ. 32:31). თუმცა ამბობდა, მე ხომ არ მიშობია ეს ხალხიო, მაგრამ ეს ხალხი სწორედ მას უნდა ეშვა სულიერად.

მოსე იყო მოვლენილი სული, რომელსაც უნდა გაეღვიძებინა ამ ხალხში ეროვნუ-
ლი შეგნება და მიეწვდინა მათთვის მათი მამა-პაპის ღვთის სიტყვა. აქ იხენს თავს უდაბნოს ერთი ასპექტი, რომელმაც განსაზღვრა ხალხის ეთნოგენეზი და მომავალი. უდაბნო იმისთვის იღო მათ გზაზე, რომ მარტო დარჩენილიყვნენ თავის თავთან, რომ შეეცნოთ საკუთარი თავი არა სხვა ხალხების გარემოცვის ფონზე, არა მათთან შედა-
რებით, არამედ უშუალოდ, აბსოლუტურად ისევე, როგორც აბსოლუტური, შეუდარებე-
ლი, ერთადერთი იყო ის ღმერთი, რომლის იდეალების მისაღებად უნდა გარდაქმნი-
ლიყო მისი შეგნება. ის ისევე უნდა დარჩენილიყო მარტოდმარტო უხილავი ღვთის წი-
ნაზე, როგორც თავის დროზე აბრაამი, რომლის ცხოვრებაში იყო გამოსვლის გადამწ-
ვეტი ეპიზოდი (ოლონდ ინდივიდუალური – გამოსვლა ქალდეველთა ურიდან), და როგორც მოსე, მათი თანამედროვე (განსაცდელი სინაის მთაზე. გამ. 3).

უდაბნო, როგორც გზა („ზნეობა“), სულიერებით იყო აღბეჭდილი და უპირისპირდე-
ბოდა ხორციელ ეგვიპტეს, რომელშიც ქრისტიანულმა ტრადიციამ წუთისოფლის სიმ-
ბოლო დაინახა. „საბრხე შეიმუსრა, ხოლო სირი აღფრინდა, დაუტევა ეგვიპტე, რომელ
არს ცხოვრება ესე ნივთიერი... და შევიდა ქუეყანასა მას აღთქუმისასა...“ წერდა ერ-
თი ქართველი ათონელი პაგიოგრაფი ქართველი მოღვაწის გარდაცვალებაზე. ხალხს
უნდა „ჩამოეფერთხა“ ეგვიპტის ხორცი, რომ შესულიყო აღთქმის ქვეყანაში მის და-
სამკვიდრებლად.

მსაჯულნი

„და რა და-მე ვთქვა? რამეთუ დამაკლებს მე ჟამი ესე მოთხრობად
გედეონისთ ს, ბარაკისთ ს და სამსონისთ ს და იფთაქისთ ს...“

(ებრ. 11:32)

მსაჯულთა ხანა არსებითად განსხვავდება წინამავალი ხანისაგან, ძლიერი ხანისა-
გან, რომელიც მთავრდება მოსეს საქმის გამგრძელებლის, იესო ნავეს ძის სიკვდი-
ლით. ამ დროს ვედარ ვხედავთ უფლის მაგარ ხელს, რომელიც წინათ ყველას – მთე-
ლი ისრელის კრებულის თვალწინ მოქმედებდა. იმ წინა თაობაში უფლის ხელი გა-
ნუწყვეტილივ, აუღებელივ იყო აღმართული ხალხს ზემოთ და ხალხი, ყოველ შემთხვე-
ვაში, მისი წინამძღოლნი, განიცდიდნენ ამას. შეიძლება ითქვას, რომ მოსეს თაობაში

ისრაელის კრებული განიცდიდა უფლის განუწყვეტელ გამოცხადებას: ეს იყო უდაბნოში, იმ ძნელ და უვალ გზაზე, და მერე ახლადდასამკვიდრებელ ქვეყანაში; აქ იყო საჭირო მუდმივი წინამძღოლობა, როგორც უფლის, ასევე მიწიერი ბელადის მხრივ; რომ ეგვიპტიდან დაწყებული საქმე ბოლომდე მიყვანილიყო; რომ გათავისუფლებული („ამოსული“) ხალხი გზას არ აცდენოდა, გზაში არ გამქრალიყო, როგორც ქვიშაში დაღვრილი წყალი.

დასრულდა მისია მოსესი და მისი მსახურის, მისი გაზრდილის იესოსი. ხალხი დამკვიდრდა ქვეყანაში, თითოეულ ტომს თავისი წილხვედომილი ერგო, თუმცა ზოგიერთი ტომის ნაწილი მსაჯულობის ხანაშიც ეძებდა თავის წილხვედომილს, საიდანაც ჯერ კიდევ არ იყო ძირძველი მოსახლეობა აყრილი. ახალ დროში, იორდანეს გაღმა, დასავლეთით დამკვიდრებულ ხალხს უნდა მოეგერიებინა მტერი, რომელიც მრავლად ერტყა გარშემო, როგორც მკვიდრი მოსახლეობა, ისე მომთაბარენი.

თუ იმხანად, უდაბნოში მოხეტიალე ხალხი უფლის მუდმივი თვალყურის ქვეშ იყო და ნაკლებად ჰქონდა გასაქანი მის ბუნებრივ ურჩობას და გარეშე მტერიც არ ჩანდა, ამ ახალ ხანაში მთელი პერიოდები ხალხის ცხოვრებისა ისე გადიოდა, რომ არ ჩანდა გამოცხადება. ხალხიც მიიღრია ბუნების ღმერთების – ბაალების თაყვანსაცემად და დაივიწყეს უფალი. იესოს შემდგომი ხანა ამგვარად არის დახასიათებული „მსაჯულთა წიგნში“:

„მოკვდა იესო ნავეს ძე, უფლის მორჩილი, ას ათი წლისა... მთელი ის თაობაც გადავიდა მამა-პაპასთან; მოვიდა სხვა თაობა, რომელსაც არ გაეგონა უფალი, არც მისი საქმენი, ისრაელისთვის რომ აღასრულა. უკუღმართად იქცეოდნენ ისრაელიანები უფლის თვალში და ემსახურებოდნენ ბაალებს, დაივიწყეს უფალი, თავიანთი მამა-პაპის ღმერთი, რომელმაც ეგვიპტიდან გამოიყვანა ისინი, მიიქცნენ უცხო ღმერთებისკენ, მეზობელ ხალხთა ღმერთებისკენ და თაყვანს სცემდნენ მათ. დაივიწყეს უფალი და ემსახურებოდნენ ბაალებსა და აშთართებს. აღიგზნო უფლის რისხვა ისრაელიანთა მიმართ, ხელში ჩაუგდო ისინი მძარცველებს და აძარცვინა. ხელში ჩაუგდო გარშემორტყმულ მტერს და ვეღარ უმკლავდებოდნენ მათ. სადაც არ უნდა წასულიყვნენ, აგბედითად წარმართავდა მათ უფლის ხელი, როგორც უთხრა მათ უფალმა და დაემუქრა მათ უფალი. დიდად შეაჭირვა ისინი. დაუდგინა მათ მსაჯულები, რომლებიც მძარცველებისაგან იფარავდნენ მათ, მაგრამ არც მსაჯულებს უჯერებდნენ, უზნებოდნენ უცხო ღმერთების კვალზე. თაყვანს სცემდნენ მათ და მალევე უხვევდნენ იმ გზიდან, რომლითაც დადიოდა მათი მამა-პაპა, უფლის მცნებათა მორჩილი. ესენი იმათ მსგავსად არ იქცეოდნენ. მას შემდეგ, რაც მსაჯულები დაუდგინა მათ უფალმა, უფალი იყო მსაჯულთან და მტრებისაგან იფარავდა მათ მსაჯულთა სიცოცხლეში, რადგან ებრალებოდა ისინი უფალს, როცა ესმოდა, როგორ გმინავდნენ მჩაგვრელთა და შემავიწროებელთა ხელში. მაგრამ მოკვდებოდა თუ არა მსაჯული, მამებზე უარესს ჩადიდებდნენ, მიიქცეოდნენ ღმერთებისკენ და თაყვანს სცემდნენ მათ. არ ეშვებოდნენ თავიანთ ბოროტ საქმეს და ურჩობის გზას არ სტოვებდნენ“ (მსაჯ. 2:8–20).

როგორც ამ ადგილიდან ჩანს, იყო დრო, როდესაც გაწყვეტილი იყო კავშირი წინა თაობასთან, იმ თაობასთან, რომელმაც განუწყვეტელი ტრადიციის ძალით იცოდა უფალი და ის საქმეები, რომლებიც მან მოიმოქმედა ხალხის გადასარჩენად. უნდა გამართლებულიყო ტრადიციის გაწყვეტილი ჯაჭვი, ამისთვის კი საჭირო იყო ხელახალი გამოცხადება, ხალხისთვის მისი ვინაობის კვლავ გახსენება. შექმნილი ვითარება არ იყო უნიკალური ისრაელის ცხოვრებაში: ეგვიპტის ხანა სწორედ ამ დავიწყების ნიშნით იყო აღბეჭდილი, ხალხი გმინავდა ეგვიპტის მონობაში და არ იცოდა, რომ ჰყავდა უზენაესი პატრონი – თავისი მამა-პაპის ღმერთი (აბრაამის გამომყვანი ქალღმრეველთა ურიდან); ამ ხალხს, მონობაში მყოფს, დავიწყებული ჰქონდა ზეციური მამაც და მიწიერი მამა-პაპაც. მაშინ გამოუჩნდა მათ მოსე, მაგრამ მის გამონჩენას წინ უძღოდა ხალხის თვითშეგნების, თუნდაც მბუჭტავის, გაღვიძება; რომ არ გაკეცებულიყო მათში ეროვნული თვითშეგნების ნაპერწკალი, ხალხი ვერ შეძლებდა იმ უბრალო, ბუნებრივ აქტსაც კი, რაც მოიმოქმედა: ხალხმა შეჰღალადა უფალს და სწორედ ამ დროს ჩავარდა მათ წიადში ხსნის თესლი, უფალმა იცნო ისინი და მოუვლინა მათ მოსე.

ამ ხანაშიც, ახალ ქვეყანაში მოხვედრილი ხალხი, რომელიც ეს-ეს არის დამკვიდრდა მიწაზე, როგორც მიწათმოქმედი ხალხი, გარეშე მტრებისგან შეწუხებული, მუდ-

მივ შიშში მყოფი, შეჭლადლებს უფალს და ეს იქნება სწორედ გაწყვეტილი ტრადიციის ერთგვარი გამრთლება, თითქოს ხელახლა უნდა გამოცხადებულიყო დაიწყებული რჯული, რომელსაც გამოუცხადებს მათ მოვლენილი უფლის ანგელოზი. უფლის მაცნე გამოჩნდა ყველას თვალწინ და ლაკონურად გამოკვეთა რჯულის არსებითი მცნებანი.

„მოვიდა უფლის ანგელოზი გილგალიდან ბოქიმში და ბეთელში ისრაელის სახლთან და თქვა: ასე ამბობს უფალი: გამოგიყვანეთ ეგვიპტიდან და მოგიყვანეთ ამ ქვეყანაში, რომელიც თქვენი მამა-პაპისთვის მქონდა აღთქმული. ვუთხარი, არ დავარღვევ მეთქი თქვენთან დადებულ აღთქმას უკუნისამდე. ოღონდ ნუ შეკრავთ-მეთქი კავშირს ამ ქვეყნის ხალხთან, ნუ იწამებთ მათ ღმერთებს, დაამსხვრიეთ მათი კერპები, დაანგრიეთ მათი სამსხვერპლოები. თქვენ კი არ ისმინეთ ჩემი... როცა უფლის ანგელოზი ამ სიტყვებს ეუბნებოდა ისრაელიანებს, ხმამაღლა ტიროდა ხალხი. ამიტომ უწოდეს ამ ადგილს სახელად ბოქიმი („მტირალნი“). მსხვერპლი შეწირეს აქ უფალს“ (მსაჯ. 2:1-2).

აი, რა გაახსენა უფლის ანგელოზმა შეშინებულ ხალხს. ეს ტირილიც, ცხადია, მათი ქვადატყეული გულების სასიკეთოდ შემობრუნების ნიშანი უნდა ყოფილიყო. ძველი აღთქმის წიგნებში ხშირად ვერ შევხვდებით ტირილს (არ ვგულისხმობ უბრალო დატირებას), მაგრამ როცა ვინმე ტირის, უნდა დარწმუნებული ვიყოთ, რომ ადამიანის სულში იღვიძებს რაღაც ახალი და რომ ის გარდაქმნის ზღვარზე იმყოფება. აქ ატირდა მთელი ხალხი, რადგან მას გაახსენდა ყველაზე სანუკვარი რამ, რაც მოდიოდა მისი წარსული ცხოვრების ყველაზე ძლიერი ხანიდან, რადგან ის მისი სიყმაწვილის ხანა იყო. იმდენად ძლიერი იყო ეს წუთები, ეს განცდა ისტორიული მესხიერების გაცოცხლებისა, რომ ის აღიბეჭდა მიწაზე ტოპონიმის სახით – უსახელო ადგილს შეერქვა სახელი.

უფლის ანგელოზმა ხალხს გაახსენა ეგვიპტიდან ამოსვლა, აღთქმის რეალური შინაარსი და მცნება, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო და როგორ არ უნდა მოქცეულიყო. ამ მცნებათა შესრულება-არშესრულებით განისაზღვრა ისრაელის მთელი ისტორიის რიტმი და, კერძოდ, მისი ცხოვრება მსაჯულთა ხანაში.

ვინ იყო მსაჯული, რა ფუნქცია ეკისრა მას ხალხის ისტორიულ ბედში? მსაჯული არ იყო არც წინასწარმეტყველი, არც მეფე, მაგრამ ის იყო რაღაც შუალედური მათ შორის. ის არ იყო რჯულის მასწავლებელი, მაგრამ უფლის სული გადმოსული იყო მასზე და ის მოქმედებდა უფლის სულით აღძრული. ის არ იყო ცხებულის, როგორც მეფე, მაგრამ ის იყო ერის წინამძღოლი უკიდურესი შეჭირვებისას. მსაჯული, რომელსაც ევალდებოდა ქვეყნად და ხალხში სიმართლისა და სამართლის აღდგენა, იერთებდა თავის თავში ფუნქციებს წინასწარმეტყველისა და მეფისა ამ გარდამავალ ხანაში. „იმ დროს ისრაელს მეფე არ ჰყავდა...“ ასე იწყება „მსაჯულთა“ მე-18 თავი, სადაც მოთხრობილია ერთი უსამართლობის ამბავი; „იმ დროს, როცა ისრაელს მეფე არ ჰყავდა...“ იწყება მე-19 თავი, სადაც მოთხრობილია არნახული შემთხვევა ისრაელის ცხოვრებაში.

„იმ დროს ისრაელს მეფე არ ჰყავდა და ვისაც რა უნდოდა, იმას სჩადიოდა“ (მსაჯ. 17:6). აი, ფორმულა მსაჯულთა ხანისა. ეს სიტყვები ამგვარადაც შეიძლება გავიგოთ: ისრაელის შეგნება, სინდისი, არ ცნობდა მეფეს ან მის ცნობიერებაში გამქრალი იყო მეფის სახელი; ცხადია, იგულისხმება უფალი, ანუ იაჰვე – მათი ღმერთი. მკაცრი აზრით, მხოლოდ იაჰვე უნდა ყოფილიყო და იყო კიდევ მთელი წარსული ისტორიის მანიძლე, საბედისწერო თავგადასავალში, ისრაელის მეფე; ყველა სხვა მეფე კი მის მიერ დაყენებული, მხოლოდ მისი სახელმოდგამი იყო, რომელიც მხოლოდ პირობითად თუ იწოდებოდა მეფედ. ის მეფე, რომელიც სინაის მთაზე გამოეცხადა მოსეს ჭეკა-ჭუხილში, ირჩევს ამქვეყნიურ მეფეს, რომელსაც მხოლოდ წარმავალი არსებობა ჰქონდა, მეფობა მისთვის მიმადლებული იყო მხოლოდ და არ იყო მისი შინაგანი ბუნება.

აქაური მეფე აცხადებს იქაური მეფის ნებას და აძლევს ხალხს გზას, მიმართულებას; მუდმივად ახსენებს მცნებას, მიჰყავს ის, დაატარებს მას სწორი გზით. როცა ვკითხვლობთ ტექსტში, რომ „იმ დროს ისრაელს მეფე არ ჰყავდა“, მეფეში არ იგულისხმება მაინც და მაინც მეფობის ინსტიტუტი, რომელიც მხოლოდ მსაჯულთა ეპოქის დასასრულს გახდა შესაძლებელი თუ აუცილებელი. მეფეში გულისხმობს ყოველ უფლის რჩეულს, რომელსაც გამოარჩევს უფალი თავისი ერიდან და დააკისრებს ხალხის ხსნას, რადგან არჩევა მხოლოდ მაშინ ხდება, როცა გადასაწყვეტია მნიშვნე-

ლოვანი საქმე, ხოლო ერის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი სხვა რა უნდა ყოფილიყო, თუ არა ხსნა.

ხსნა ძირითადი კატეგორიაა ისრაელის ისტორიისა; მისი რიტმი გასდევს მთელს მის თავგადასავალს. ხსნის, გათავისუფლების იმედით არის აღვსილი წინასწარმეტყველთა ხილვები და გამოცხადებანი. მაგრამ ყველაზე თვალსაჩინოდ მისი რიტმი იგრძნობა მსაჯულთა ხანაში. „სიკვდილამდე ისრაელის მსაჯული იყო აოდი... მან იხსნა ისრაელი“, „დაისვენა ქვეყანამ ორმოცი წელი“, „და მერე დაისვენა ქვეყანამ ორმოცი წელი გედეონის სიცოცხლეში“ – ასეა აღნიშნული ხსნის პერიოდები „მსაჯულთა წიგნში“. ხსნის ძალა მემკვიდრეობით არ გადადიოდა მსაჯულიდან მსაჯულში, როგორც სამეფო მემკვიდრეობა; რადგან წინამძღოლობის პრინციპი, უნარი, არ იყო მოქცეული ფიზიკურ თესლში, რომელსაც ის შეეძლო გადაეტანა მამიდან შვილში. პირველცხებულები მეფის, დავითის მადლი გადადიოდა მის თესლში – მოდგმაში, თუმცა ისინი აკნინებდნენ ამ მადლს, რადგან თავად თესლი იყო გამოცხადებული მეფური პრინციპის მატარებლად (ასე იყო მეფეთა ხანაში), მაგრამ ყოველი მსაჯული უშუალო შთაგონებას იღებდა უფლისგან, როგორც ქარიზმას (მადლს), რომლის მემკვიდრეობით გადაცემა შეუძლებელი იყო, რადგან ის არ იყო მისი, ასე ვთქვათ, სუბსტანციური უნარი; ამავე დროს, ის იყო მისი პიროვნული ნიჭი, უფრო ტვირთი, და არ ვრცელდებოდა მის მოდგმაზე. ქარიზმა, ჩვენებურად დავლათი, ტოვებდა მას სიკვდილის შემდეგ. დავლათი მიებარებოდა მას, როგორც ხსნის იარაღი მის ხელში და წაერთმეოდა, როცა ხსნა აღსრულდებოდა. „უფალი იძლევა, უფალსვე მიაქვს“, – აღმოხდა ამოძრკვეულ, სახლკარდაქცეულ იობს. ასეთივეა დავლათიანის განცდა, ტრაგიკულია მისი ბედი.

როგორც ითქვა, მსაჯულის გამოჩენა კრიზისულ ვითარებაში ხდება, როცა ხალხს თავისი ძალით არ შეუძლია იხსნას თავი გარეშე მტრისაგან, რადგან მას დავიწყებული ჰყავს მხსნელი. ხოლო თავის მხრივ, ეს კრიზისული ვითარება – მტრის მოპაღეპა სწორედ უფლის დავიწყების შედეგია. როგორც სასჯელი ანუ შედეგი: ხალხმა ზურგი შეაქცია თავის უფალს და უცხო ღმერთებს დაუწყო სამსახური. იქმნება მოჯადოებული წრე, საიდანაც გამოსავალი არ ჩანს. მაგრამ უნდა გაირღვეს ეს წრე. ამ წრეს გაარღვევს მსაჯული, რომელიც ერთიანი აქტით უკუაქცევს ხალხს უცხო ღმერთებისაგან მამა-პაპის უფლისაკენ და გარეშე მტრებისაგან იხსნის მას. მაგრამ ვიდრე მსაჯული გამოჩნდებოდა, ქვეყნის გასაჭირმა უკიდურეს ზღვარს უნდა მიაღწიოს და ხალხმა გაიხსენოს, რომ არის უფალი. პირველი, სახელით ცნობილი მსაჯულის გამოჩენა ასეა აღწერილი „მსაჯულთა წიგნის“ მე-3 თავში: „... მაშინ შეჰღაღადეს ისრაელიანებმა უფალს და გამოუჩინა მათ მხსნელი, რომელმაც იხსნა ისინი: ღოთონიელი... უფლის სული იყო მასში და შეიქმნა იგი ისრაელის მსაჯული... დაისვენა ქვეყანამ ორმოცი წელი. მერე მოკვდა ღოთონიელი, კენაზის ძე. კვლავ უკუღმართად იქცეოდნენ ისრაელიანები უფლის წინაშე და ამძღაურა უფალმა ისრაელზე ყველონი, მოაბის მეფე, რადგან უკუღმართად იქცეოდნენ ისინი უფლის თვალში“.

როგორც ამ ნაწევრიდან ჩანს, ხსნის პერიოდი არა მხოლოდ ხალხის ფიზიკურად გადარჩენის და მტრის ძლევის პერიოდია, არამედ ის არის უფლის წინაშე სიმაღლით ცხოვრების ხანა, რომელიც გრძელდება, ვიდრე მსაჯული ცოცხალია. მსაჯულს უჭირავს ეს ხანა, ეს არის მისი სიცოცხლის დრო, როდესაც მის მიერ მოხდენილი ხსნის სასწაულები ხალხის შეგნებაში ამტკიცებენ რწმენას, რომ უფალი მყოფობს მათ შორის, რომ ეგვიპტისდროინდელი მხსნელი და ახლანდელი მხსნელი ერთი და იგივე უფალია. ასე რომ, მსაჯული არის ერთსა და იმავე დროს გმირიც და რელიგიურ-ზნეობრივი წინამძღოლიც, ხალხის ზნეობის გამსწორებელი. ის მოქმედებს უფლის სახელით, გრძნობს თავის თავზე მისი სულის ქროლვას და თავის თვისტომებსაც აგრძნობინებს.

როგორ ირჩევს უფალი მსაჯულს? რა ნიშნით გამოარჩევს სამსაჯულოდ კაცს თავისი წრიდან? „მსაჯულთა წიგნში“ მსაჯულად არჩევის ცხრა შემთხვევაა დადასტურებული – თითოეულს თავისი ინდივიდუალობა აქვს იმისდა მიხედვით, თუ ვინ არის ასარჩევი მსაჯულად. მაგრამ მემატიაზე არასოდეს ამზადებს მკითხველს ამ შემთხვევისთვის: მსაჯული მოულოდნელად შემოდის ასპარეზზე (ერთადერთი გამონაკლისია სამსონი, რომელიც დაბადებამდე „ნახორეველად“, მოწმიდარად იყო შეწირული მშობლებისაგან უფლისათვის). ვინ გამოჩნდება მხსნელად, ყოველთვის გაუთვალისწინებ-

ლია, არ მოეღის ხალხი და არც თავად ის, ვინც აირჩევა. გარკვეული აზრით, ყოველ ისრაელიანშია შესაძლებლობა მსაჯულად გახდომისა, რადგან ამისათვის არ არის აუცილებელი რაღაც განსაკუთრებული თვისებები ადამიანში. მსაჯულმა უნდა იმოქმედოს არა თავისი პირადი ფიზიკური ძალით, არამედ უფლის სულის მეოხებით, ის უნდა იყოს იარაღი მის ხელში და, რაც უფრო „შეუხედავი“ იქნება ეს იარაღი, რაც უფრო უძლურ შთაბეჭდილებას სტოვებს იგი, მით უფრო აშკარა ხდება უფლის გამარჯვება (აღლი ცაცია იყო, მაგარმა სახრით გაიმარჯვა გადამწყვეტ შეტაკებაში, სამსონმა შემთხვევით ნაპოვნი ვირის თავებით დახოცა ათასი კაცი); აქამდე სრულიად შეუმჩნეველ ადამიანს „ასწევს“ უფლის სული, რაც უპირველეს ყოვლისა, უადრესად პირადული განცდაა. უფრო ხშირად ან, როგორც წესი, უცაბედი და მოულოდნელი, დაუჯერებელიც კი (როგორც ეს ნახვენებია გედეონის მაგალითზე). ამ ზეგარდამო შთაგონების გამოსახატავად შემუშავებულია სტერეოტიპული გამოთქმა: „უფლის სული იყო მასზე და შეიქნა ის ისრაელის მსაჯული“ (3:10).

„მსაჯულთა წიგნში“ ნახსენებ ცხრა მსაჯულს შორის მხოლოდ ოთხია მკვეთრად გამოკვეთილი ინდივიდუალური ნიშნებით და ბედით. დანარჩენებზე ან სრულიად არაფერია შემორჩენილი ხსოვნაში ან უმნიშვნელო, თითქოს არაფრისმთქმელი ფრაგმენტები: აღლი ცაცია იყო, მაგრამ სწორედ ამ ნაკლმა გაამარჯვებინა მას; მაგარის შესახებ ხსოვნაში შემონახულია მხოლოდ ის ფაქტი, რომ უფლის სულმა მის ხელში სახრე ძლევადასილ იარაღად აქცია: „(აღლის) შემდეგ იყო მაგარი, ანათის ძე, რომელმაც სახრით დახოცა ექვსასი ფილისტიმელი, და მანაც იხსნა ისრაელი“ (3:31). გავცნოთ ამ ოთხ მსაჯულს, რომელთა ამბავი საგმირონი კონკრეტული ეპიზოდების სახით შემონახა მატიანეში.

დებორა

„იმჟამად ისრაელის მსაჯული იყო წინასწარმეტყველი დებორა, ლაფიდოთის ცოლი. დებორას ფინიკის ქვეშ ცხოვრობდა იგი რამასა და ბეთელს შორის, ეფრემის მთაში, და მოდიოდნენ მასთან ისრაელიანები რჯულის საქმეზე“ (4:4-5).

დებორა, რომლის სახელი ნიშნავს „ფუტკარს“, იყო ერთადერთი ქალი მსაჯულთა შორის. საგულისხმოა, რომ ის თავისი მოწოდებით წინასწარმეტყველიც იყო და, ალბათ სწორედ ამის გამო ის ოჯახისაგან განცალკევებით ცხოვრობდა, როგორც ღვთის მოწმიდარები. მისი ღვაწლი შემონახა სიმღერამ – ებრაული პოეზიის ერთ-ერთმა უძველესმა ნიმუშმა, რომელიც ცნობილია „დებორას სიმღერის“ სახელით, და ადგილის სახელმა – „დებორას ფინიკმა“ (*თომერ დებორაჰ*). ამავე სიმღერამ შემონახა მისი წოდება, ერთად ერთი მთელს ძველ აღთქმაში, „დედა ისრაელში“, რომელიც, შესაძლებელია, დედა-ფუტკრის ასოციაციით იყოს განხილული: მან, როგორც დედა-ფუტკარმა, შემოიკრიბა თავის გარშემო ისრაელის მთელი სკა და ამ შემოკრებით იხსნა იგი. მემბტიანე არ ლაპარაკობს დებორას მსაჯულად არჩევაზე უფლის სულის გარდამოსვლით; მისი აღძვრა მსაჯულად და მხსნელად გადმოცემულია მისივე სიტყვებით „დებორას სიმღერაში“, რომელიც მას მიეწერება. ის მღერის გადაშენებამდე მისულ ისრაელის სკაზე და თავის თავზე: „სიცოცხლე ჩამკვდარი იყო ისრაელის დაბა-სოფლებში, ჩამკვდარი იყო, ვიდრე არ აღვდექი მე, დებორა, ვიდრე არ აღვდექი მე დედა ისრაელში“ (5:7).

განსხვავებით სხვა მსაჯულთაგან, დებორა არ იბრძვის უშუალოდ, არამედ ის აღძრავს სხვას, ვისმა ხელმაც უნდა მოიტანოს ხსნა. ფინიკის ქვეშ მან მიიღო შთაგონება, როგორც მსაჯულმა და წინასწარმეტყველმა, და იმის რწმენა, რომ ხსნა უსათუოდ იქნება, ვისი ხელითაც არ უნდა აღსრულდეს იგი. დებორას ჰქონდა უფლის გამოცხადება, რომ ბარაკ აბინოამის ხელით უნდა ძლეულიყო მტერი – ქანაანის მეფის ლაშქარი მხედართმთავარ სისარას წინამძღოლობით; მაგრამ ბარაკს არ ჰქონია ამის შინაგანი რწმენა, რადგან მას არ ჰქონია უფლის გამოცხადება; ამიტომაც გმართლებულია ბარაკის სიტყვები, რომლითაც ის მიმართავს მსაჯულ ქალს: „თუ წამომყვები, წავალ; თუ არ წამომყვები, არ წავალ, რაკი არ ვიცი, რა დღეს მომივლენს უფალი თავის ანგელოზს“ (4:8). ბარაკი მართალია, მაგრამ მართალია დებორაც, რომელმაც უთხრა: „წამოყოლით წამოგყვები, ოღონდ, იცოდე, შენი აღარ იქნება დიდება ამ გზაზე, რომლითაც მოდიხარ, რადგან უფალი დიაცის ხელში ჩააგდებს სისარას“ (4:9).

მართლაც ისე მოხდა, როგორ უწინასწარმეტყველა ბარაკს დებორამ. მტერი, მართალია, იძლია, მაგრამ საბოლოო გამარჯვება მაინც წაუვიდა ხელიდან ბარაკს; ბარაკი დაედევნა ჩამოქვეითებულ მხედართმთავარ სისარას, სრულიად მარტო დარჩენილს, ედვენებოდა მოსაკლავად, რომ მოეხვეჭა დიდება და მისით დაგვირგვინებულიყო ეს უფლისმიერი ძლევა მტრისა, მაგრამ სისარა ქალის კერძი გახდა, ხებერ კენიელის ცოლის, იაყელისა, რომელმაც სტუმარმასპინძლური წმიდა წესის შელახვით მოკლა მის კარავში შემოხვეწილი სისარა, დანდობილად შემოხვეწილი, რაკი იცოდა, რომ მის მეფესა და ხებერ კენიელის სახლს შორის მშვიდობა და კეთილგანწყობილება სუფევდა. „აჰა, მოდის ბარაკი სისარას კვალზე. გაეგება იაყელი და უთხრა: „შემობრძანდი, დაგანახო ის კაცი, შენ რომ ეძებ.“ შევიდა და, აჰა მკვდარი აგდია სისარა, პალო აქვს გარტობილი საფეთქლებში“ (4:22).

სასტიკი და, ალბათ უღვთო იყო ხებერ კენიელის ცოლის მოქმედება, მაგრამ ამ სისასტიკით შეძლება გაიზომოს ის უკიდურესი შეჭირვება, რაც ადგა ხალხს იაბინ ქანაანის მეფისგან. ამ ეპიზოდზე წყდება დებორას მსაჯულობის ამბავი. ამ ერთმა ბრძოლამ, როგორც ჩანს, განუთქვა მას სახელი. მაგრამ დებორა არ იყო მხოლოდ მსაჯული, არც მხოლოდ წინასწარმეტყველი, არც მხოლოდ მხსნელი, ხალხში მეომრული სულის ჩამდგმელი; ის იყო ამასთანავე, ჩვენი სიტყვით რომ ვთქვათ, პოეტიც, როგორც ხშირად იყვნენ წინასწარმეტყველნი, ღვთის სიტყვის ქადაგნი და სწორედ სიტყვიერ-შემოქმედებითი უნარით აღწევდნენ მიზანს. იმ ძლევის ამბავი, რომელიც დებორას შთაგონებით და გამხნევებით მოახდინა ისრაელმა, ორგზის არის მოთხრობილი „მსაჯულთა წიგნში“, ერთხელ პროზაულად მეოთხე თავში, მეორეგზის – სიმღერით მეხუთე თავში. ეს სიმღერა ეკუთვნის თავად დებორას.

დებორას სიმღერა

ასე იმღერა იმ დღეს დებორამ, და ბარაკმა, აბინოამის ძემ: „ამხედრდნენ დიდებულნი ისრაელში, თავი გამოიდოო ხალხმა; აკურთხეთ უფალი! ისმინეთ, მეფენო, ყური მომაპყარით მთავარნო! ეს მე ვარ, მე ვუმღერი უფალს, მე ვუგალობ უფალს, ისრაელის ღმერთს! როცა სეყირიდან გამოხვედი უფალო, როცა ედომის ველზე გაიარე, მიწა შეირყა, ცაც კი გადმოიღვარა, ღრუბლებიც კი წყლად იღვრებოდნენ; მთები მოიდრიკნენ უფლის წინაშე, თავად ეგ სინაიც კი, უფლის წინაშე, ისრაელის ღვთისა. მამგარის ხანაში, ანათის ძისა, იაყელის ხანაში დაცარიელდა შარაგზები, სწორზე ველარავინ ბედავდა სიარულს, შორიდან არჩევდნენ შემოვლას. სიცოცხლე ჩამკვდარიყო ისრაელის დაბა-სოფლებში, ჩამკვდარიყო იგი, ვიდრე არ აღვდექი მე, დებორა, ვიდრე არ აღვდექი მე, დედა ისრაელში. ახალი ღმერთები აირჩიეს, ამიტომაც შემოადგნენ კარიბჭეს. თუ უჩანს ფარ-შუბი ორმოცი ათასს ისრაელში? ისრაელის მთავრებს ჩემი გული, ხალხში თავგამოდებულებს! აკურთხეთ უფალი! თეთრ სახედრებზე ამხედრებულნო, ხალიჩებზე ფეხმორთხმულნო, გზებზე ქვეითად დამავალნო, თქვით საგალობელი! იქ, სადაც დასარწყულებლად თავს უყრიან ნახირს, უფლის სიმართლეს იმღერებენ, ისრაელის წინამძღოლთა სიმართლეს! კარიბჭესთან მოხდევად მაშინ უფლის ერი.

აღიძარ, აღიძარ, დებორა! აღიძარ, აღიძარ, თქვი საგალობელი! აღდექ, ბარაკ, და ატყვევე შენი დამატყვევარი, აბინოამის ძეო! მაშინ ძლიერთა ნატამალს დაუმორჩილა მან ხალხი; უფალმა დამიმორჩილა ვაჟკაცები. ეფრემიდან მოვიდნენ ყამალეკში დამკვიდრებულნი, ბენიამინიც შენთანაა, შენს ხალხს შორის. მაქირიდან მოვიდნენ თავკაცები, ზებულონიდან – წინამძღოლთა კვერთხის მპყრობელნი. ისაქარის მთავარნიც დებორასთან არიან; ბარაკის კვალდაკვალ მოიჭრა ველზე ისაქარი; რეუბენის წყაროებთან დიდი თათბირია. რას დამჯდარხარ საჩიხეთა შორის და უსმენ ნახირის ბღავილს? რეუბენის წყაროებთან დიდი თათბირია. გალაადი იორდანეს გაღმა დავანებულა; რატომ შეყუჟულა დანი ხომალდებში? ზღვის პირას დამჯდარა აშერი და თავის სანაოებთან დავანებულა. არად მიაჩნია სიკვდილი ზაბულონის ხალხს, ტრამაღის ზეგნებზე ნეფთალია.

მოვიდნენ მეფენი, შეიბნენ. მაშინ შეიბნენ ქანაანის მეფენი თანაახში, მეგიდოს წყლებთან, მაგრამ მცირედი ვერცხლიც ვერ ჩაიგდეს ხელში. ციდან ებრძოდნენ, თავიანთი გზებიდან ებრძოდნენ ვასკვლავები სისარას. კიშონის ხევმა წაიღო ისინი, ძველმა ხევმა, კიშონის ხევმა. დათრგუნე, სულო ჩემო, მძღავრობა! მაშინ სრბოლისაგან იმსხვრეოდნენ ცხენთა ფლოქვები, მისი ვაჯკაცების სრბოლისაგან! „დაწყველეთ, მე-

როზი“, ამბობს ანგელოზი უფლისა, დაწყევლეთ მისი მკვიდრნი, რადგან არ გამოვიდნენ უფლის საშველად, უფლის საშველად ვაჟკაცებთან ერთად!

კურთხეულ იყოს დიაცთა შორის იაყელი, ხებერ კენიელის ცოლი! კარავში მცხოვრებთა შორის კურთხეულ იყოს! წყალი მოსთხოვა და რძე მიართვა, სეფეთასით მიართვა მოუხდელი რძე. მარცხენა ხელით პალოს დასწვდა, მარჯვენით – უროს; მოუქნია სისარას, თავში დაჰკრა, გაუპო, საფეთქელი შეუღლეწა. მის ფეხებთან ჩაიკეცა, დაეცა, ვეღარ ადგა; მის ფეხებთან ჩაიკეცა; სადაც ჩაიკეცა, იქვე დაეცა განგმირული. სარკმლიდან იყურება, კანკელიდან გაჰკივის სისარას დედა: „რატომ იგვიანებს მისი მხედრობა, ბორბლები მისი ეტლისა რამ შეაფერხა?“. პასუხობენ გონიერი სეფექალები და თავადვე ამბობს თავისი სიტყვების პასუხად: „ნადავლს იშოვნიდნენ და იყოფენ: თითო მხევალი, ორ-ორი მხევალი – თითო მეომარს; ნააღაფარი ფერადი სამოსელი – სისარას, ნააღაფალი ფერადი სამოსელი, ორხოულად ნაქსოვი, მტრის ტანზე შემოძარცვული!“.

ყველა მტერი ასე დაგელიოს, უფალო! უფლის მოყვარულნი ამომავალ მხესავით გაძლიერდნენ!“

და დაისვენა ქვეყანამ ორმოცი წელი.

გედეონი

გედეონის მსაჯულობა ქარიზმატული რჩეულობის მკაფიო მაგალითია. ეჭვი არ უნდა იყოს, ისრაელში ბევრი იქნებოდა მაგარი ვაჟკაცი, პიროვნული მამაცობითა და სიმხნევით სავსე; მაგრამ უფალმა მოისურვა ერთი უჩინარი და სხვათაგან გამოურჩეული კაცის ხელით მოეხდინა ხსნა.

„მოვიდა უფლის ანგელოზი და დაჯდა აბი-ყეზრელი იოაშის მუხის ქვეშ, ყოფრაში, როცა მისი ვაჟი გედეონი საწნახელში ცეხავდა ხორბალს მიდიანელთაგან ფარულად. გამოეცხადა უფლის ანგელოზი და უთხრა: უფალი შენთანაა, მაგარო ვაჟკაცი!“ (მსაჯ. 6:11-12).

ეს ის დრო იყო, როცა მიდიანელთა და სხვა მომთაბარე ტომების შიშით დაბეჩავებულ ისრაელს ვერ გაეებდა სააშკაროდ მშვიდობიანი შრომა. მსაჯულის გამოჩენას, როგორც წესი, წინ უძღვის უკიდურესი ძნელებელობა, რაც თავის მხრივ გამოწვეული იყო უფლის სარწმუნოების დაცემით ხალხში: „უკუდმართად იქცეოდნენ ისრაელიანები უფლის წინაშე და უფალმა მიდიანის ხელში ამყოფა ისინი შვიდ წელიწადს. დამძიმდა მიდიანის ხელი ისრაელზე, იხიზნებოდნენ ისრაელიანები მიდიანისაგან მთებში, გამოქვაბულებში და მიუვალ ადგილებში. როგორც კი მოამთავრებდა ისრაელი ხვნათევას, მოვიდოდნენ მიდიანი, ყამალეკი და კედემი და მოედებოდნენ ისრაელს. ჩამოსახლდებოდნენ მათ მიწაზე, გააჩანაგებდნენ მთელს მოსავალს დაზამდე, აღარაფერს უტოვებდნენ ისრაელს თავის სარჩენად – არც ცხვარს, არც ძროხას, არც სახედარს. მოდიოდნენ ჯოგებიან-კარგებიანად, მოდიოდნენ კალიასავით ურიცხვნი, თვლა არ ჰქონდათ არც მათ და არც მათ აქლემებს. შეეყოფდნენ და აჩანაგებდნენ ისრაელის ქვეყანას“ (მსაჯ. 6:1-5).

ამ დროს ეს „მაგარი ვაჟკაცი“ (გიბორ ხაილ), როგორც მას უწოდა უფლის ანგელოზმა, მტრის თვალს მოფარებული შრომობდა თავისთვის და ფიქრადაც არ მოსდიოდა, რომ შესაძლებელი იყო ხსნა; მითუმეტეს, ვერ წარმოიდგენდა, თუ ხსნა მისი ხელით უნდა აღსრულებულიყო; არც იმას, რა თქმა უნდა, რომ მისი ხელით უნდა დანგრეულიყო ბაალის საკურთხეველი და ხალხი უფლისკენ შემოებრუნებინა. უფლის ანგელოზის გამოცხადებამდე გედეონი ვერ გრძნობდა თავის თავში განსაკუთრებულ ფიზიკურ ძალას, ვერც უჩვეულო რელიგიურ მოწოდებას და ვერც თავის საგვარეულოში ხედავდა რაიმე განსაკუთრებულ ღირსებას. უფლის ანგელოზის სიტყვებზე: „წადი მაგ შენი ძალით და იხსენი ისრაელი მიდიანის ხელიდან“, მთელი გულწრფელობით, და აღბათ, სინანულის გრძნობით პასუხობს: „ვაგლახ, ბატონო, მე როგორ უნდა ვიხსნა ისრაელი? ჩემი საგვარეულო ყველაზე მცირეა მენაშეს ტომში, მე კი მამაჩემის სახლში ყველაზე უმცროსი ვარ“ (მსაჯ. 6:14-15). აქ უნდა დავძინოთ, რომ თავად მენაშე ყველაზე უმცროსი ტომი იყო ისრაელში.

გედეონისთვის სრულიად დაუჯერებელია, რომ ესოდენ კინი კაცი, როგორადაც თავი მიაჩნდა აქამდე, „გუშინ და გუშინწინ“, რომელიც არაფერს განსაკუთრებულს არ გრძნობს თავის თავში, აირჩია უფალმა. გედეონი ითხოვს უფლის ანგელოზისგან,

რომელიც ვერ იცნო მან უფლის ანგელოზად, ნიშანს იმის დამადასტურებელს, რომ ეს კაცი ნამდვილს ლაპარაკობს, რომ ის ნამდვილად უფლის გამოგზავნილია. მას ესაჭიროება შინაგანი დარწმუნებულობისათვის უხილავი წოდების ხილული ნიშანი. ნიშნის მოლოდინში გედონი ძღვენს გამოუტანს სტუმარს – ასრულებს სტუმარმასპინძლობის საყოველთაო ჩვეულებას (როგორც აბრაამი იმ სამი სტუმრის მიმართ): გამოაქვს მისთვის ხორცი და ხმიადები, რასაც ტექსტში ეწოდება „ძღვენი“ (*მინა* –საკულტო ტერმინი), რადგან ეს სასტუმარმასპინძლო „პურმარილი“ სტუმრისაგან, რომელიც ნამდვილად უფლის ანგელოზია და უფლის ნებით მოქმედებს, შეიწირება როგორც ძღვენი, შესაწირავი. ეს მოხდება გედონის თვალწინ. ის, რაც უხილავად ხდება მსხვერპლშეწირვისას, ხილულ სახეს იღებს გედონის წინაშე. „გაიშვირა უფლის ანგელოზმა კვერთხი, რომელიც ხელთ ეპყრა, და მერე წვერი ხორცსა და ხმიადებს შეახო, ავარდა კვიდან ცეცხლის ალი და შთანთქა ხორცი და ხმიადები. მერე თვალს მიეფარა უფლის ანგელოზი“ (მსაჯ. 6:21). ამრიგად, გედონის თვალწინ გაცხადდა მსხვერპლშეწირვის საიდუმლო, რომელიც არც ერთ მღვდელმთავარს აარონიანთაგან არ გამოცხადებია; ამ სასწაულმა დაუდასტურა მას არა მხოლოდ ეჭვიმუტანლობა სტუმრის მისიისა, არამედ შეაცნობინა თავის თავში რელიგიური წინამძღოლობის უნარი, რომელსაც დასაბამი მოსეს პიროვნებაში აქვს. სასტუმრო სუფრა გადაიქცა სამსხვერპლო ტრაპეზად და გედონი მოველინა თავის ტომს და მთელს ისრაელს დავიწყებული მამაპაპეული კულტის აღმდგენელად, იმ დიდი მოსეს ხატად ამ დაკნინებულ ხანაში. გედონმა გაბედა, შეიქნა „მკადრე“ იმისა, რასაც სხვა დროს, „გუშინ და გუშინწინ“, ვერ იკადრებდა – მან დაანგრია ბაალის სამსხვერპლო და ააშენა უფლის სამსხვერპლო, რომელზეც შესწირა კურატი ალბათ დიდი ხნის დავიწყებულ აღსაფლენ „სრულადდასაწველ“ მსხვერპლად. ეს უჩვეულო ამბავი იყო, უკიდურეს კადნიერებად აღიქმეს გედონის მოქმედება მისმა თვისტომებმა:

„ადგნენ დილით ქალაქის მკვიდრნი და რას ხედავენ: ბაალის სამსხვერპლო დანგრეულია, გვერდით რომ ხემხვივანი იდგა, მოჭრილია და აღსაფლენი კურატი იწვის ახლადაგებულ სამსხვერპლოზე. უთხრეს ერთმანეთს – ვინ ჩაიდინა ეს საქმე? მიმოდგნენ, გამოიკითხეს და თქვეს: „გედონს ჩაუდენია, იოაშეს ძეს“. უთხრეს ქალაქის მკვიდრებმა იოაშს:

„გამოგვიყვანე შენი ვაჟი, სიკვდილით უნდა დაისაჯოს, რადგან დაუნგრევია ბაალის სამსხვერპლო და გვერდით რომ ხემხვივანი იდგა, მოჭრილია“. უთხრა იოაშმა ყველას, ვინც მას მიუხდა: რა თქვენი დასაცავია ბაალი, რა თქვენი საპატრონოა? მისი დამცველი ამ დილითვე სიკვდილით დაისჯება. თუ ღმერთია, თავად დაიცვას თავი, რადგან გედონის დანგრეულია მისი სამსხვერპლო. უწოდეს იმ დღიდან (გედონს) იერობაალი, რადგან თქვეს: თავად გაუსწორდეს ბაალი თავისი სამსხვერპლოს დანგრევისათვის“ (მსაჯ. 6:28-32).

გედონის ახალი სახელი, რა აზრიც არ უნდა იდოს მასში (თითქოს: „ბაალი დავობს“), მისი ფერისცვალების გამოხატულებაა, ახალი სახელი ყოველთვის ნიშნავს ადამიანის ახალ დაბადებას. ამ კერძო შემთხვევაში იმასაც მოწმობს, რომ ხალხმა დაადასტურა მისი განახლება; ანუ გედონის შინაგანი რწმენა, დარწმუნებულობა, განცდა რჩეულობისა, ობიექტურ აღიარებას პოულობს. ახალი სახელი, რომელიც თუმცა ხალხმა შეარქვა მას და არა უფაღმა, დაგვირგვინებია ყოველივე იმისა, რაც მოხდა მანამდე საწინახელთან, რაც ჩაიდინა, გაბედა გედონმა, როცა იტვირთავდა რჯულმდებლის ფუქციას. აქ ისიც ნიშანდობლივია და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ძველი აღთქმის კონცეფციით, რომ ხსნა მხოლოდ მაშინ მოხდება, როდესაც ხალხი ზურგს შეაქცევს ბაალს, რწმენა-წარმოდგენათა და საკულტო წესთა თუ ზნეჩვეულებათა მთელს ერთობლიობას, რაც ბაალის ქანაანურ კულტშია დაუნჯებული, და როცა, რაც მთავარია, გამოჩნდება, „აღდგება“, როგორც გამოთქვამს ტექსტი, კაცი, უფლის სულით აღძრული, და დარაზმავს ხალხს ბაალისა და მომხდური მტრის წინააღმდეგ.

ქარიზმატული ბელადი მხოლოდ მაშინ გადის ბრძოლაში, როცა ის შინაგანად გრძნობს უფლის სულის მყოფობას თავის თავში; როცა უფალი იძლევა ისეთ ნიშანს, რომელიც თავისი დამარწმუნებლობით აღემატება ყოველგვარ სასწაულს ფიზიკურ პლანში. „უფლის სულმა მოიცვა (ანუ „შეიმოსა“) გედონი, ბუკსა ჰკრეს და გამოვიდნენ აბიყეზერელნი მის დაძახილზე“ (მსაჯ. 6:34). აქ უნდა ითქვას, რომ ხსნის ბელა-

დის ქარიზმატულობის პირობა მისი ბუნებრივ-ადამიანური უძღურებაა, ისევე როგორც გარეშეთა თვალში გამოურჩევლობა აპირობებს უფლის რჩეულობას, რაც შეადგენს ძველი აღთქმის სამსხნელო მოძღვრების თავისებურებას. ეს ამგვარად გამოიხატება: უფალს სურს მოახდინოს ხსნა უძღურის ხელით და მცირერიცხოვანი მხედრობით, ზოგჯერ სრულიად უმნიშვნელო რაზმით, რისთვისაც მას საკმარისი საფუძველი აქვს. მას შემდეგ, რაც გედეონი „მოიცვა უფლის სულმა“ და ოთხი ტომის ხალხი – მებრძოლენი, ოცდათორმეტი ათასი კაცი, დაბანაკებული იყო ბრძოლის მოლოდინში, უფალი გამოეცხადა გედეონს და ეუბნება: „ძალზე ბევრი ხალხი გყავს. არ ჩავადებ ამათ ხელში მიდიანს, რომ არ გამიდიდგულდეს ისრაელი, არ თქვას, ჩემმა ხელმა მიხსნაო“ (მსაჯ. 7:2).

წარმატებისგან თვითგანდიდების არაერთი მაგალითი შეიძლება დავადასტუროთ ძველ აღთქმაში. განსაკუთრებული წარმატება, რაც ხშირად სასწაულს უდრის, გამოჩენილი პიროვნების ტრაგიზმის მიზეზი ხდება. გამონაკლისი არც მსაჯულები არიან, მათ შორის არც გედეონი, მაგრამ მის პიროვნებაში დაძლეული თუ მიჩქმალული თვითგანდიდება მის შთამომავლობაში გადადის და იქ ქმნის ტრაგიზმს. ამ კერძო შემთხვევაში, რაც გედეონის მისიას შეეხება, უფალს სურს, რომ ისრაელმა უმნიშვნელო მხედრობით სძლიოს მიდიანს, რათა გამოჩნდეს უფლის დიდება და მისდამი რწმენა გამყარდეს ხალხში. ასე რომ ეს ბრძოლა ფაქტიურად რელიგიური ომია, რომლის აღსასრულმა რელიგიურ-ზნეობრივი აღმავლობა უნდა მოუტანოს ხალხს. ხსნა გულისხმობს არა მხოლოდ და არა იმდენად ხალხის ფიზიკურ გადარჩენას, რამდენადაც ზნეობრივ გადახალისებას. ამიტომაც ხსნა, თუნდაც ასეთი ეფემერული და უმნიშვნელო მასშტაბში აღსრულებული, ესქატოლოგიურია თავისი არსით. სხვანაირად თუ ვიტყვით, ეს ხსნა მიდიანელთა ხელიდან იმ საყოველთაო მეტაისტორიული ხსნის ანარეკლია ამ წუთისოფლად ისტორიულ ხანაში.

საბოლოოდ გედეონი, თუმცა უფლის რჩეულია, მაგრამ მისი ხელი, როგორც კერძო კაცისა, არ არის გამმარჯვებელი: ის მხოლოდ იარაღია უფლის ხელში, იმავე „მაგარ ხელში“, რომელმაც ეგვიპტიდან იხსნა ხალხი; „ხელი“ უფლის სულის მეორე სახელია. იმ სულისა, რომელმაც „მოიცვა გედეონი“. გედეონის მხრივ აქ არ უნდა ყოფილიყო გაუგებრობა, რომ უფლის სული თავის საკუთარ სულად, მასში ბუნებრივად დაბადებულ მხნეობად მოჩვენებოდა; რადგან მხნეობა თანდათანობით არ წარმოიშვება მისი გულის სიღრმეში, არამედ ეს იყო როგორც მოვარდნილი ტალღა ან ძლიერად მობერილი ნიაქარი, რომლის წინააღმდეგობა შეუძლებელია. გედეონი მინდობილია მასში მობერილ სულს, ხალხი კი დანდობილია მასზე და თითქმის აიგივებს მას უფალთან. გედეონის სახით ის ხედავს უფალს, უფლის „მაგარ ხელს“, ამიტომაც არის შესაძლებელი თითქოსდა მკრეხელური ძველი აღთქმის რელიგიის ფონზე სიტყვები „უფლისათვის და გედეონისათვის!“, რომელთაც გაიძახის საბრძოლო ყოინად ის მცირე რაზმი, უფალმა რომ გამოარჩევინა და დაუტოვა გედეონს.

იმდენად მცირეა ადამიანის ფიზიკური ძალის წვლილი უფლისმიერ ხსნაში, რომ მტერზე გამარჯვებას გროტესკული სახე აქვს მიცემული: გედეონის ლაშქარი იმარჯვებს ბუკისცემით და ანთებული კვარებით, რომლებიც დოქებში ჰქონდა დამალული სამას მებრძოლეს. სამასი ანთებული ჩირაღდნის მოულოდნელმა გამოჩენამ სამასი ბუკის ხმაზე იმდენად დააბნია მიდიანის ბანაკი, რომ მათ ერთმანეთზე აღმართეს მახვილი და მერე უწესრიგოდ გაიფანტნენ სხვადასხვა მხარეს. გროტესკულია ის ნიშანიც, რომლითაც შეიქნა სამასი მებრძოლი საომრად შეკრებილი ათი ათასამდე ისრაელიანიდან. თავის მხრივ, ეს ათი ათასი კაცი ოცდაორი ათასიდან დარჩა. როცა უფლის სიტყვამ გამოაცხადა, რომ ვისაც ომის შიში ჰქონდა, უკან გაბრუნებულიყო. ასე რომ, ეს ათი ათასი რჩეული, გულადი მეომრები იყვნენ. მაგრამ ათი ათასიც ბევრი იყო უფლის თვალში. „მანინც ბევრია ხალხი, ეუბნება უფალი გედეონს; წყალზე ჩაიყვანე და იქ გამოვირჩევ მათ. ვისზეც მე გეტყვი, გამოგყვეს-მეთქი, ის გამოგყვეს; ვისზეც გეტყვი, ნუ გამოგყვება-მეთქი, ნუ გამოგყვება“ (მსაჯ. 7:4).

როგორც ვხედავთ, საბოლოო არჩევანი უფალზეა: მან უნდა ამოარჩიოს საუკეთესო, ის ნარჩევი, რომლის საშუალებით უნდა განხორციელდეს ხსნა. მაგრამ ირჩევს კი უფალი თავის საყმოდან საუკეთესოს, როცა მას სურს უძღურში გააცხადოს თავისი დიდება? იყო თუ არა საუკეთესო არჩევანი, როცა მან აირჩია გედეონი, რომელიც თავადვე ადასტურებდა თავის უღირსობას და უმნიშვნელობას; ან როცა აირჩია მოსე,

რომლისთვისაც ასევე მოულოდნელი იყო ეს არჩევანი და ისიც უღირსად გრძნობდა თავს (ასეთი იყო მათი შინაგანი განცდა და არ უნდა მივაწეროთ ის თავმდაბლობას ან ყალბ თავპატივს მათი მხრიდან)? ნიშანდობლივია, რომ როგორც წინამძღოლს არ ირჩევს საკუთარი არჩევანით ხალხი, ასევე მეტროპოლიტიც არ არიან მისი არჩეულნი; გედეონიც უფლის კაცია და ის სამასიც, რომელიც უცნაურად გამოარჩია ათიათასიდან უფალმა.

უფლის სიტყვისამებრ, გედეონმა „ჩაიყვანა ხალხი წყალზე. უთხრა უფალმა გედეონს: ვინც ენით შესვლევს წყალს, როგორც ძაღლები სვლეპენ, ცალკე დააყენე, აგრეთვე ისინიც, ვინც ჩაიმუხლებს და ისე დაღვეს. ენით მსვლეპელთა რიცხვი სამასი იყო, დანარჩენმა ხალხმა ჩაიმუხლა და ისე დაღია წყალი. უთხრა უფალმა გედეონს: სამასი მსვლეპელი გიხსნით და ხელში ჩაგაგდებინებთ მიდიანს; დანარჩენი ხალხი შინ წავიდეს“ (მსაჯ. 7:5-7).

ათი ათასი კაციდან სამასი კაცი – ისიც მსვლეპელი! რა მოტივით? იქნებ იმის გამო, რომ მსვლეპელში ნაკლებად ივარაუდება ადამიანური (გავისხენოთ ველური, ნახევარკაცი ენქიდუ, რომელიც გარეულ მხეცებთან ერთად პირით ეწაფება წყალს) და უფრო მეტად მხეცური, რაც თითქოს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში წარმატების საწინდარი უნდა ყოფილიყო. მაგრამ ეს სამასი ხომ თავის ძალით და მხეცური გაბედულებით (რომელსაც სოკრატე განარჩევს ნამდვილადადამიანური სიმამაცისაგან) არ იმარჯვებს; არამედ ბუკისცემით, დაღვეილი ქოთნების გრიალით და მოულოდნელად გამოჩენილი ცეცხლით; ყოველივე ამას ისინი – ეს მსვლეპელნი ასრულებენ გედეონის დარიგებით. აქ არც მათი ძალა ჩანს, არც მხედრული სული, არც განსაკუთრებული სიმამაცე, არც გონიერება და არც ბრძოლაში გამოსადეგი გამჭრიახობა. ისინი მხოლოდ მსვლეპელნი არიან და მეტი არაფერი, შესაძლოა, უარესი ნარჩევი ანუ უნარჩევესი იმ ოთხი ტომიდან ისრაელისა, რომლებიც შეკრებილნი იყვნენ გალაადის მთაზე.

მიდიანის ძღვევამ, რომელიც გედეონის ხელით მოხდა – თუმცა მეტისმეტად კუროლხული, სრულიად არა მეომრული საშუალებით, თითქოს ზღაპრული ხერხით (როგორც ზღაპრებში ხდება, როგორც ნაცარქექია ამარცხებს დევს ნაცრის ბუქით), – დიდი შთაბეჭდილება დატოვა ხალხის ხსოვნაში. ეს ისტორიული მოვლენა, რომელიც შემონახულია მთელი თავისი კონკრეტულობით, წინასწარმეტყველთა ქადაგებებში იგავურ მნიშვნელობას იძენს. წინასწარმეტყველ ესაიას ხანაში (ძვ.წ. VIII ს.) მიდიანელთა მტრობა, ცხადია, არ იქნებოდა აქტუალური, სამაგიეროდ, „მიდიანის დღე“ (ეს. 9:3), „მიდიანის ძღვევა“ (ეს. 10:26), გაარღვევს რა ვიწრო დრო-ჟამულ ფარგლებს და ისტორიულ კერძობას, ესქატოლოგიური მომავლის სიმბოლო ხდება – საბოლოო მტრის უკანასკნელი ძღვევის ნიშანი. ამავე დროს, „მიდიანის დღე“, როგორც დღე ხსნისა, გათანაბრებულია ხალხის ეგვიპტიდან გამოხსნის გენეზისურ დღესთან, როცა მსხნელმა „კვეთხის მოღერებით“ გააპო მეწამული ზღვა, როგორც დასაბამიერი ურჩხული, და გზა-სავალი გაუხსნა ხალხს. ამ აზრით „მიდიანის ძღვევას“ ესაიას წინასწარმეტყველებაში კოსმოგონიური შეფერილობაც აქვს.

როდესაც ისრაელიანები ეუბნებიან გედეონს, „შენ გვიხსენი მიდიანის ხელიდან“, ამ ნათქვამში უფრო მეტია ნაგულისხმევი, ვიდრე დღევანდელმა მკითხველმა შეიძლება დაინახოს. საქმე ის არის, რომ ხსნა, როგორც ვიცით, ისრაელის ღმერთის, როგორც სამყაროსა და ისტორიის შემოქმედის, მთავარი ატრიბუტია: ის არის მსხნელი – *მოშიაყ* – უპირატესად, ამ წოდებაშია მოქცეული მთელი მისი ღვაწლის შინაარსი. ის არის მსხნელი კაცთა მოდგმისა ურჩხულისაგან – კოსმოსის მტრისგან და ისრაელისა მისი ისტორიის გარიჟრაჟზე ეგვიპტის ტყვეობიდან. ამგვარი შეგნებით და *მოშიაყის* ამგვარი გააზრებით, გედეონის, როგორც მსხნელის, პიროვნება ხალხის თვალში ზეადამიანური ღირსებით უნდა შემოსილიყო. ამ შეგნებას სავსებით გამოხატავდა სომარი ყიჟინა, რომლითაც სამასი მსვლეპელი ჩაება ბრძოლაში: „უფლისათვის და გედეონისათვის!“ ხალხი არ იქნებოდა კმაყოფილი, რომ მისი მსხნელი ჩვეულებრივ ადამიანად (რიგით ისრაელიანად) დარჩენილიყო, საკუთარი ხელით მომკილი პურის მცხეველად საწნახელში, ან ეფემერულ მსაჯულად, რომლის ფუნქცია მხოლოდ უკიდურეს გასაჭირში თუ იქნდა თავს. გედეონი მათ თვალში ერთი თავით უნდა ამადლებულიყო. ხალხი ფიქრობდა, რომ მან ეს დაიმსახურა მიდიანის ძღვევით. ის მეფე უნდა გამხდარიყო. ამავე დროს, ხალხს სურდა მისი მეფედ ცხებით მოეპოვებინა მუდმივი

მხსნელი ეფემერული მსაჯულის ნაცვლად, რაც მას მუდმივ უსაფრთხოების გარანტიას შეუქმნიდა. მაშინ მის პიროვნებაში შეერთდებოდა ორი პრინციპი წინამძღოლობისა: ერთი, რასაც გულისხმობს *მოშიაყ* (მხსნელი) და მეორე, რასაც გულისხმობს *მაშიახ* (მესია, ცხებული). ხალხს სურდა ერთ პიროვნებაში ეხილა ამ ორი ფუნქციის დამთხვევა, რომელიც ისედაც არსებობდა ამ ორი სიტყვის ფონეტიკაში.

გედეონი განსაცდელის, უფრო საცთურის, წინაშე იდგა და მან სძლია საცთურს. „უთხრეს ისრაელიანებმა გედეონს: იბატონე ჩვენზე შენც და შენმა შეილმაც, რადგან შენ გვისხენი მიდიანის ხელიდან. გედეონმა უთხრა: მე ვერ ვიბატონებ თქვენზე და ვერც ჩემი შეილი იბატონებს თქვენზე. უფალი ბატონობს თქვენზე“ (მსაჯ. 8:22-23). ამ პასუხში გამოჩნდა გედეონის სიმტკიცე და ერთგულება უფლისადმი, პირდაპირ უნდა ითქვას, მისი თეოლოგიური მრწამსი, ღვთისშემეცნება. საქმე ის არის, რომ მეფობის ინსტიტუტი, რომელიც ისრაელიანებმა გარშემო ხალხების წაბაძვით შემოიღეს, ჩათვლილია მათ ეროვნულ ცოდვად, დალატად უხენაესი პატრონისადმი, რადგან მათი ერთადერთი მეფე (*მელეხ*) უფალი ღმერთი უნდა ყოფილიყო. გედეონის პასუხში მეფობის უარყოფით დადასტურდა მისი სიწრფელე, მაგრამ მას ჰქონდა მეორე განსაცდელი და ცთუნება, მან ჩაიღინა საქციელი, რომელზეც ნათქვამია, რომ ის „მახედ ექცა გედეონს და მის სახლს“. გედეონის მოქმედება, რაზეც ახლა გვექნება საუბარი, აშკარად მოგვაგონებს „ოქროს ხბოს“ შექმნის ეპიზოდს, რომელიც მოუშორებელ წყევლად გასდევს ერის რელიგიურ შეგნებას აარონის ხანიდან მოყოლებული. მაშინ სტიქიური რელიგიური შურით აღვსილმა ხალხმა, რომელსაც სურდა ეხილა ეგვიპტიდან გამოძევანი ღმერთის სახე, აიძულა აარონი ხალხში მოკრებილი ოქროულობისაგან ჩამოესხა მათთვის ხბოს ქანდაკება. ცხადია, ეს იყო უკანგადადგმული ნაბიჯი იმ გზაზე, რომელზეც მოსეს მიჰყავდა ხალხი. ამ ხალხს სურდა ეხილა უხილავი ღმერთი და იხილა ის ხბოს სახით. მართალია, გედეონს ხალხისთვის არ მიუცია მათი ღვთის ზომორფული სახე, მაგრამ უფლის ხატის შექმნა მასაც ცოდვად ჩაეთვალა და არა მხოლოდ პიროვნულად მას.

როდესაც გედეონმა უარი თქვა მეფობაზე იმ სიმართლით, რომ „უფალი ბატონობს მათზე“, მას გაუჩნდა იდეა უფლის რაღაც ნიშანი მიეცა ხალხისთვის. ეს ნიშანი ოქროსი უნდა ყოფილიყო უღაბრიდან გამოყოფილი ტრადიციით. აარონის კვალზე გედეონმა აკრიფა ხალხში ნადავლად ჩაგდებული მიდიანელთა ოქროულობა, გააკეთა მისგან ეფოდი და თავის ქალაქში, ყოფრაში, გამოფინა (მსაჯ. 8:24-27). გედეონს არ გაუკეთებია ოქროს ხბო, არც სხვა სახის რამ კერპი, რომ ხალხისათვის ღვთის სახე დაენახებინა. მან შექმნა ეფოდი, სამღვდელმთავრო შესამოსელი – ოქრომკედლი, ლურჯი, ძოწეული და მეწამული ძაფებით მოქსოვილი (თითოეულ ფერს თავისი სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა), რომელიც მღვდელმთავრის ღვთისმსახურებას გამოარჩევდა ჩვეულებრივი კულტმსახურებისაგან. ეს იყო ყველაზე წმიდა სამოსელი, თავისი ოქროს ბრწყინვალეობით უფლის დიდების გამომხატველი, ურომლისოდაც მღვდელმთავარი წმიდათა წმიდაში ვერ შევიდოდა. გედეონს არ ჩამოუსხამს კერპი აარონით, მაგრამ ეფოდი – წმიდა საგანი, შექმნა კერპად, როცა გამოფინა ის თავის ქალაქში, რომ გამარჯვებულ ისრაელიანებს თაყვანი ეცათ მისთვის. ეს, ცხადია, კერპთაყვანისმცემელურ მოქმედებას ჰგავდა: „უხნეობდა იქ მთელი ისრაელი მის (გედეონის) კვალზე და მახედ ექცა ეს გედეონსა და მის სახლს“.

გედეონს არ შეუმოსავს ეფოდი, არ გამოუყენებია ის თავისი პირდაპირი დანიშნულებით, რაც უთუოდ მღვდელმთავრის ფუნქციის უზურპაცია იქნებოდა; მაგრამ დანაშაული ეფოდის კერპადქცევაში მდგომარეობდა; ის, რაც დაფარული იყო ერის თვალთაგან, გარეშეთაგან, და მხოლოდ წმიდათა წმიდაში სანთლების შუქზე იხილვებოდა უფლის მიერ, ახლა საყოველთაოდ იქნა მზის შუქზე გამოფენილი, გამოქვეყნებული. ამ სახით არსებული ეფოდი დაუპირისპირდა ისრაელის ერთადერთ სიწმიდეს – რჯულის კიდობანს ანუ ღვთის კიდობანს, რომელიც უტადრობის ხანაში (ასეთი იყო მსაჯულთა ხანა) სილოამში, იმჟამად ისრაელიანთა ერთადერთ საკრებულო ადგილზე იმყოფებოდა. გედეონის მშობლიური ქალაქი ყოფრა, სადაც მან ეფოდი გამოფინა სათაყვანოდ, დაუპირისპირდა სილოამს, როგორც საღვთო ადგილი. გაჩნდა ორი საღვთო ადგილი, რომელთაგან ერთ-ერთი ყალბი უნდა ყოფილიყო, სახელდობრ, ის, რომელიც არ იყო ქარიზმატული არჩევის შედეგი. საღვთო ადგილი საფუძველს აცლიდა მოსეს რჯულს და მონოთეიზმს, რომელიც არა მხოლოდ ერთღმერთიანობაში, არამედ ერთი წმიდა ადგილის აღიარებაში მდგომარეობდა. საბოლოოდ, ეს იყო ერთი რელიგიური

შუაგულიდან განდგომა და თვითნებური შუაგულის შექმნა, ძველი აღთქმის ენით „უზნეობა“, „გარყენილება“ (ზონაჰ), რაც მახედ ექცა გედეონს და მთელს მის სახლს.

„მსაჯულთა წიგნი“ არაფერს ამბობს იმის თაობაზე, თუ რა კონკრეტული გამოხატულება ჰქონდა ამ „მახეს“ გედეონისათვის, ყოველ შემთხვევაში, გედეონზე ნათქვამია, რომ ის მოკვდა „კეთილ სიბერეში“, რაც იმას მოწმობს, რომ მას სამაგიერო არ მიზღვია ეფოდის გაკერპებისთვის. მაგრამ მისი სახლის ბედი კი უკუღმა დატრიალდა: იერუბაალ-გედეონის სამოცდაათი კანონიერი ვაჟიშვილი „ერთ ქვაზე“ დახოცა მისი ხარჭის ნაშობმა აბიმელექმა, რომელიც ამის შემდეგ მეფედ დასვეს ისრაელზე არა მსაჯულად, როგორც მამამისი, არამედ მეფედ. შესაძლებელია, მეფობის უზურპაცია, ღვთის ნების გარეშე გამეფება, იყო მისთვის მახე, რადგან აბიმელექი კვდება არა როგორც მეფეს შეშვენის, არამედ როგორც ერთი ვინმე უკანასკნელი მდაბითაგანი: ერთ-ერთი ქალაქის ალყის დროს, ვიდაც ქალმა გალაგნიდან დოლაბის ნატყხით თავისქალა ჩაუშტვრია მას (მსაჯ. 9:53).

იფთახი

გედეონის ხანიდან რამდენიმე თაობის შემდეგ მსაჯულად გამოჩნდა იფთახი (ძე. ქართ. იეფთაე), გალაადელი, როგორც ჩანს, იმავე მენაშეს ტომიდან, რადგან გალაადის მხარეში ჰქონდა სამკვიდრო ისრაელიანთა ამ შტოს. თუ გედეონს ერცხვინებოდა მენაშეს ტომობა და თავისი საგვარეულო ყველაზე კინიხე მიაჩნდა ამ ტომში, რა უნდა ეთქვა საეჭვო წარმომავლობის იფთახს, რომელიც როგორც მეძავის შვილი, სამშობლოდან განდევნეს მისი მამის შვილებმა, რათა მემკვიდრის წილი არ ჰქონოდა მამისეულ ქონებაში. არც მამა იყო ცნობილი კაცი, რომლის სახელიც კი არ ახსოვს მატიანეს. იგი იწოდება გალაადად, იმ ვრცელი მხარის სახელით, რომლის მკვიდრი იყო.

მართალია, იფთახი ამბის დასაწყისშივე იხსენიება როგორც „მაგარი ვაჟკაცი“ (გიბორ ხაილ), მაგრამ მის სიმაგრეს ხელი არ შეუშლია ნახევარმეზობისთვის, მოეშორებინათ იგი თავიდან. იფთახმა დაკარგა ყველაფერი, რაც შეიძლება მას მამისაგან გადმოცემოდა; არ შერჩა არც მამული, არც მამისეული რჯული, რადგან იძულებული შეიქნა გალაადის განაპირა მხარეში გადასახლებულიყო და თარეშით ერჩინა თავი. მატიანეში ნათქვამია, რომ მის გარშემო თავი მოიყარა „ცარიელმა ხალხმა“ და იწყეს მასთან ერთად სათარეშოდ გასვლა გალაადის საზღვრებს გარეთ. „ცარიელი“ კარგად გამოხატავს ამ უმკვიდრო, მამულიდან ალბათ სხვადასხვა მიზეზით დევნილი ხალხის მდგომარეობას. ამ ხალხს არაფერი ებადა ამ ქვეყანაზე გარდა საკუთარი მკლავისა და დავლათისა, რომელსაც ხანგამოშვებით უფალი უწყალობებდა მათ. ტრადიციულ საზოგადოებაში წარმოდგენილი იქნებოდა უფრო დაბალი დონე დაცემისა, როგორც დაცემულნი იყვნენ, ცხადია, სოციალურად, ეს „ცარიელი ხალხი“ – ანაშიმ რეკიმ. მარტოობისა და საზოგადოებისგან მოწყვეტილობის წყველა იყო მათზე და მათ, შესაძლოა, გაურბოდნენ კიდევ როგორც კეთროვნებს. ეს სიტყვა „ცარიელი“ – რეკ – საგინებელი სიტყვა უნდა ყოფილიყო იმხანად, რომლის კვალმა ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნემდე მოაღწია. ყოველ შემთხვევაში, სახარება იცნობს სიტყვას რაკა სალანძღავ სიტყვად: „რომელმან პრქუას ძმასა თ სსა რაკა (რომელ არს საძაგელ), თანა-მდე არს იგი კრებულისაგან განსლვად“ (მ. 5:22).

მაგრამ მაშინ, მსაჯულთა ხანაში, განიდევნა არა ის, ვინც თავის მოყვასს უთხრა რაკა, არამედ ის, ვისაც უთხრეს, რომ უმემკვიდრო ყოფილიყო მამისეული ქონებისგან. ამ კაცს თავიდან უნდა დაეწყო სახლის შენება, თუმცა უდაბნოში, სადაც ის სათარეშოდ გადიოდა, სახლს ვერ ააშენებდა. ის თავს ირჩენდა როგორც ველური კანჯარი, რომელიც ადრე თუ გვიან უნდა დაღუპულიყო (შუამდინარული იგავის თანახმად, კანჯარი ადამიანური ცხოვრების ანტიპოდი). ცარიელ-ტარიელად დარჩენილი იფთახისთვის ნამდვილად ხსნა იყო გალაადის უხუცესთა წინადადება – გამხდარიყო ისრაელის მსხნელი ყამონელთაგან, რომლებიც იმხანად პრეტენზიას აცხადებდნენ გალაადის ებრაელთა მიწა-წყალზე. გალაადის უხუცესებმა წინასწარ იგრძნეს, რომ იფთახი, ეს „ცარიელი კაცი“, რომლის გარშემო თავს იყრიდა იმ არემარის ყველა „ცარიელი“ (ანაშიმ რეკიმ), უფლის სულით უნდა ავსებულიყო. ამაში დარწმუნებულობის საფუძველს იძლეოდა იფთახის დავლათი, რომელიც აშკარად შეეწეოდა მას, თავის „კანჯარულ“ ცხოვრებაში. ის უკვე იყო თავკაცი, თუნდაც მის მიერ გაძლიერდნენ მამა-

სავით ცარიელნი ყოფილიყვნენ. ხოლო თავკაცი, წინამძღოლი, როგორც მსაჯული, აქლდა ისრაელს, არ ჩანდა იმხანად ხალხში. იფთახის დაგლათი და წინამძღოლობა ისრაელის ხსნის საქმეს უნდა მოხმარებოდა. ასეთი იყო გალაადის უხუცესთა გეგმა, როცა ისინი ეწვივნენ იფთახს წინადადებით: „მოდი, გახდი ჩვენი წინამძღოლი და შევებრძოლოთ ყამონელებს“ (მსაჯ. 11:6). ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ გალაადის უხუცესობა სრულიად დაჯერებულია, რომ იფთახის წინამძღოლობა გამარჯვების უეჭველი გარანტია იქნება; წინააღმდეგ შემთხვევაში, ცხადია, ისინი არ დაიმცირებდნენ თავს და თხოვნით არ მიმართავდნენ იმ კაცს, რომლის განდევნაში მათაც მიუძღოდათ ბრალი, რადგან იფთახის ნახევარძმები მათი დასტურის გარეშე ვერ განდევნიდნენ ძმას.

უფრო მეტად, ცხადია, თავად იფთახია დაჯერებული გამარჯვებაში, რომ მისი მეშვეობით უნდა აღსრულდეს ხსნა. ეს არის მისი შინაგანი დარწმუნებულობა, რადგან მას ჰქონდა დაგლათის მოსვლის გამოცდილება. მაგრამ იფთახს სურს დარწმუნებული იყოს იმაშიც, რომ გამარჯვების შემდეგ ის გალაადის მცხოვრებთა წინამძღოლადვე დარჩება ანუ მუდმივად შეასრულებს მსაჯულობას. იფთახმა უკეთ უწყის, რომ ქარიზმა – უფლის სულის გადმოსვლა ეფემერულია. სული მოქმედებს მასში მხოლოდ ბრძოლის დროს და გამარჯვების შემდეგ დატოვებს მას, მუდამუამ არ არის მასზე დადგრომილი. ამიტომ ის იმ პირობით თანხმდება გალაადში დაბრუნებაზე და ყამონელთა წინააღმდეგ წინამძღოლობაზე, თუ მას მაშინაც აღიარებენ წინამძღოლად, როცა უფლის სული არ იქნება მასთან და მხოლოდ საკუთარი მხნეობისა და მკლავის იმედი ექნება. „თუ დამაბრუნებთ ყამონელებთან საბრძოლველად და უფალმა მომცა მათი თავი, კიდევ ვიქნები თქვენი წინამძღოლი?“ გამოსთხოვს იფთახი გალაადის უხუცესებს პირობას. ისინი პასუხობენ: „უფალი იყოს მოწმე ჩვენს შორის, რომ შენი სიტყვისაებრ მოვიქცევით“ (მსაჯ. 11:9-10).

მართალია, იფთახი უხუცესობამ და ხალხმა თავის წინამძღოლად და მსაჯულად დაადგინა და ეს, როგორც ჩანს, რიტუალურად გაფორმდა უფლის წინაშე ფიცის წარმოთქმით გალაადის ქალაქ მიცფაში, მაგრამ ის მსაჯულისგან განსხვავებით პოლიტიკურ ბელადად და დიპლომატად ევლინება ისრაელს. პირველი მისი მოქმედება წინამძღოლად დადგინების შემდეგ ქვეყნის მეფის მოქმედებაა და არა მსაჯულისა: იფთახი მოლაპარაკებას გამართავს ყამონელთა მეფესთან, როგორც ტოლი ტოლთან. ის ლაპარაკობს არა როგორც მსაჯული ან კერძო კაცი, მეომარი, არამედ წარმოადგენს მთელს ისრაელს, მთელს მის ისტორიას ეგვიპტიდან გამოსვლის დროიდან მის ხანამდე. იფთახი ავტორიტეტულად იწყებს, თითქოს მისი პირით მეტყველებს ისტორიული ჰემმარიტება: „უთხრას: ასე ამბობს იფთახი: ისრაელს არ მიუტაცებია მოაბელთა ქვეყანა და ყამონელთა ქვეყანა. როცა ეგვიპტიდან გამოსულმა უდაბნოში იარა მეწამულ ზღვამდე და კადემს მიაღვა...“ (მსაჯ. 11:15-16). ამას მოჰყვება მოკლე გადმოცემა ისრაელის მოძრაობისა ადგილიდან ადგილზე, მისი მარშრუტისა იმ ტერიტორიამდე, რასაც ყამონელთა მეფე ედავება მას. ისტორიული ფაქტების მოშველიებით იფთახი უმტიციებს ყამონელთა მეფეს ისრაელის სიმაღლეს. მაგრამ, როგორც ამ დიპლომატიური დოკუმენტის დასკვნაში ჩანს, ეს სიმაღლე არ არის ადამიანური სიმაღლე, არამედ ღვთაებრივია:

„ხოლო ფლობ იმას, რაც დაგიმკვიდრა ქამოშმა, შენმა ღმერთმა? ჩვენც ვფლობთ ყველაფერს, რაც უფალს, ჩვენს ღმერთს, დაუმკვიდრებია ჩვენთვის“ (მსაჯ. 11:24). ეს არის უკანასკნელი ძლიერი არგუმენტი: ისრაელს საკუთარი ნება-სურვილით არ აურჩევია თავისი ტერიტორია, ისევე როგორც ყამონელები არ დასახლებულან საკუთარი ნებით თავიანთ ქვეყანაში. ერთს იაჰვემ აურჩია სამკვიდრებელი, მეორეს – ქამოშმა. ეს ერთადერთი ადგილი უნდა იყოს მთელს ძველ აღთქმაში, როცა ისრაელის ღმერთი თანაბარი უფლებით არის ნახსენები სხვა ღმერთის გვერდით. მით უმეტეს, თუ ეს სხვა ღმერთი მტრული ქვეყნის მფარველია. არავითარი უპირატესობა აქ არ ჩანს. არ ჩანს იფთახის განცხადებაში, რომ იაჰვეს ნების წინაშე უნდა დაიხიოს ქამოშმა, რომ იაჰვე ერთადერთია. ქამოში ისევე თავგამოდებულია თავისი ხალხისთვის, როგორც იაჰვე. იფთახი ვერ მოიტანს თავისი სიმაღლის დასადასტურებლად იაჰვეს ერთადერთობას, მის ძლევა მოსილებას. იფთახი მტერს დიპლომატიის ენაზე ელაპარაკება – მისი არგუმენტები ისტორიული ხასიათისაა. იფთახმა უნდა გაიხსენოს ის ვითარება, თუ როგორ მოხდა, რომ ისრაელს უჭირავს სადავო ტერიტორია. იფთახმა უნდა გაიხსენოს გამოსვლათა ხანა, როცა ისრაელის ერი შემოდიოდა ქვეყანაში. იფთახი დღეს ვერ შეაში-

ნებს იაჰვეთი ყამონის ქვეყანას. მაგრამ ის მაინც იმოწმებს იაჰვეს: ის ტერიტორია, რომელიც სადავო გამხდარა ყამონელთა და ისრაელიანთა შორის, იაჰვემ დაუმტკიცა ისრაელს, აჰყარა რა იქიდან ამორეველები, რომელთაც ისრაელი არ გაატარეს თავინთ მიწაზე. იფთახი არ ამბობს, ჩვენ, ისრაელის ხალხმა დავიპყართო ეს ტერიტორია. არა, ის ამბობს, იაჰვემ დაგვიმკვიდრაო. გარდა ღვთაებრივი ავტორიტეტისა, აქ მოქმედებს დროის ავტორიტეტიც, სიძველის ავტორიტეტი: „სამასი წელია, რაც ცხოვრობს ისრაელი ხეშბონში და მის სოფლებში, ყაროყერში და მის სოფლებში, ყველა ქალაქში არნონის გაღმა-გამოღმა. რატომ იმთავითვე არ დაიბრუნე ისინი?“ (მსაჯ. 11:26). აი, როგორ პასუხობს იფთახი ყამონელთა ულტიმატუმზე და როგორ აბოლოებს თავის დიპლომატიურ სიტყვას: „უფალი (იაჰვე) იყოს ახლა მსაჯული ისრაელიანებსა და ყამონელებს შორის!“ (მსაჯ. 11:27).

ამიტომ ბრძოლა ამ ორ, მონათესავე, თუმცა სულისკვეთებით განსხვავებულ ტომს შორის, რომელთაც განსხვავებული ბუნების ღმერთები მფარველობენ, საბოლოოდ წარმოდგენილია ბრძოლად ორ ღმერთს შორის – იაჰვესა და ქამოშს შორის. იფთახი იარაღია იაჰვეს ხელში, რომლის მეშვეობითაც მან უნდა დაამტკიცოს თავისი ძლევა-მოსილება და ამ კერძო შემთხვევაში, უპირატესობა ქამოშის წინაშე. იაჰვემ თავისი ქვეყნიდან განდევნილი, მოძულეებული კაცის ხელით უნდა მოუტანოს გამარჯვება თავის ხალხს.

მაგრამ იფთახი არ ყოფილა ცარიელ-ტარიელი ამ ქვეყანაზე. როგორც ირკვევა ცნობილ ტრაგიკულ ეპიზოდში, მას ჰქონდა რაღაც თავის ქვეყანაში, რომელიც ყველაფერს ერჩია. მართალია, იფთახი გრძნობდა, რომ უფლის სული გადმოვიდოდა მასზე, როცა მცირე რაზმით შეებრძოლებოდა ქამოშის ხალხს – ყამონელებს, – „გადმოვიდა უფლის სული იფთახზე და მან გაიარა გალაადი და მენაშე, გაიარა გალაადის მიცფა და გალაადის მიცფადან წავიდა ყამონელებზე...“ (მსაჯ. 11:29), მაინც იფთახი დგამს საბედისწერო ნაბიჯს – გამარჯვების შემთხვევაში, თუ მას გაამარჯვებინებს უფალი, აღუთქვამს უფალს აღსაველენ მსხვერპლად იმას, ვინც პირველი გამოეგებება სახლის ჭიშკრიდან ბრძოლიდან დაბრუნებულს. „უფლის იყოს, ამბობს იფთახი, და შეეწირავ აღსაველენ მსხვერპლად“ (მსაჯ. 11:31).

რატომ აღუთქვა იფთახმა უფალს ასეთი უცნაური აღთქმა? რას გულისხმობდა პირველ შემხვედრში? ვინ უნდა გამოეგებებოდა იფთახს, რომელსაც არავინ ჰყავდა, გარდა ერთადერთი ასულისა? უფრო ნაკლებს მსხვერპლს არც აკადრებდა იფთახი უფალს გამარჯვების საზღაურად, თუმცა ალბათ მას ფიქრადაც არ მოუვიდოდა, რომ ერთადერთი ასულის შეწირვას აღუთქვამდა უფალს. მაინც ვინ უნდა ყოფილიყო შეწირული, ვინ იქნებოდა ასულზე ძვირფასი? მაინც ხომ ყველაზე ძვირფასი და ერთადერთი, როგორც ისაკი აბრაამისთვის, უნდა შეეწირა უფლისათვის, სხვანაირად რა გამართლება ექნებოდა აღთქმას და მსხვერპლს? გულის სიღრმეში იცოდა იფთახმა გამარჯვების საზღაურის ფასი, მაგრამ მთელი ტრაგიზმი ამ მსხვერპლისა მაშინ გაიზარა, როცა, თითქოს ახდენილ სიზმარში ყოფილიყო, შინმობრუნებულს „როკით გამოეგება თავისი ასული დაირით ხელში“ (მსაჯ. 11:34).

მაგრამ სიდიადე ამ ეპიზოდისა არ მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ იფთახმა არ გადათქვა უფლისადმი კრიზისულ წუთებში მიცემული აღთქმა („ბაგე გავხსენი უფლის წინაშე და ვერ გადავად სიტყვას“), არამედ თავად განწირული ასულის მზადყოფნაში, აღსრულებულიყო მამის მიერ დადებული აღთქმა და იმის შეგნებაში, რომ არის რაღაც მეტი თავისი ღირებულებით, ვიდრე ადამიანის სიცოცხლეა:

„მამაჩემო, რაკი ბაგე გავხსენი უფლის წინაშე, მიყავი ის, რაც შენმა ბაგემ წარმოთქვა, როცა უფალმა სამაგიერო მიაგო შენი ხელით შენს მტრებს, ყამონელებს“ (მსაჯ. 11:36).

ყოველი უჩვეულო, პირველქმნილი საქციელი ანდრეზის ძალისაა. ის აფუძნებს, დასაბამს აძლევეს ჩვეულებას, რომელიც რიტუალით არის განმტკიცებული თაობების ხსოვნაში. თუმცა სახელი იფთახის სახელგანთქმული ასულისა არ შემოინახა ხალხის ხსოვნამ, მაგრამ ისრაელის ასულნი თავიანთი მოქმედებით ინახავენ მის ხსოვნას. „წესად დაიდო ისრაელში, რომ წელიწადში ერთხელ, ყოველ წლისთავზე, წავიდოდნენ ისრაელიანი ქალიშვილები და ოთხი დღე დასტიროდნენ იფთახ გალაადელის ასულს“ (11:40).

სამსონი

სახელგანთქმული სამსონი უკანასკნელია იმ მსაჯულთა შორის, რომელთა საქმენი საგმირონი შემოინახა „მსაჯულთა წიგნმა“. იგი უკანასკნელია და თითქოს აბოლოებს მსაჯულთა რიგს, მაგრამ მისი პიროვნება, მისი ცხოვრება და ბედი ფოლკლორული ნიშნებით არის შეთხზული. ის თითქოს არც არის ისტორიული პირი, არ არის განსაზღვრული რომელიმე ისტორიული დროით და ის ბრძოლები, რომლებიც მან გადაიხადა თავისი ხალხის ხსნისათვის ფილისტიმელთა მძლავრობისაგან, ზღაპრული ბუმბერაზების ბრძოლებს უფრო ჰგავს, ვიდრე რეალურ გალაშქრებებს მტრის წინააღმდეგ. თავად ჩასახვა მისი დედის მუცელში როგორც აღთქმული შვილისა (ასეთები იყვნენ, როგორც ვიცით, ძველ დროში ისაკი და სამუელი) გამოარჩევს მას სხვა მსაჯულებისაგან, რომლებიც მოწიფულ ასაკში სრულიად მოულოდნელად იღებდნენ მხსნელის ქარიზმას. სამსონის ჩასახვა და მხსნელად მოწოდება კი ერთდროული აქტი იყო.

მის ბერწ დედას (დედის ხანგრძლივი სიბერე, როგორც წესი, მოასწავებს შობილის დიდებას და განსაკუთრებულობას) გამოეცხადება უფლის ანგელოზი და აღუთქვამს: „აჰა, დაორსულდები და ვაჟი შეგეძინება; სამართებელი არ უნდა მიეკაროს მის თავს, რადგან ღვთის მოწმიდარი იქნება დედის მუცლიდანვე და შეუდგება ისრაელის დახსნას ფილისტიმელთა ხელიდან“ (მსაჯ. 13:5). რომ დაერწმუნებინა უფლის ანგელოზს აღთქმის ჭეშმარიტებაში ცოლ-ქმარი – მანოახი და მისი ბერწი ცოლი, რომლის სახელს არ ახსენებს „მსაჯულთა წიგნი“ ავტორი, მან სასწაული მოახდინა მათ თვალწინ: სამსხვერპლო ცეცხლი თავისთავად აიგზნო საკურთხეველზე და შთანთქა შეწირული მსხვერპლი და, რაც ყველაზე უფრო შთამბეჭდავი და ზარდამცემი იყო, „უფლის ანგელოზი ზეაჰყვა სამსხვერპლო აღს“ და ცაში გაუჩინარდა. აი, ასეთ ვითარებაში ემცნო მათ, რომ მათი შვილი უფლის მოწმიდარი უნდა ყოფილიყო დედის მუცლიდანვე.

უფლის მოწმიდარობა, ჩვეულებრივ, თავად ადამიანის ნებაზეა. მისი რჯული ანუ წესები „რიცხვთა წიგნშია“ განმარტებული: „თუ კაცმა ან ქალმა აღთქმა დადო, რომ უფლის მოწმიდარი გახდება, ღვინისა და თაფლუჭისაგან უნდა იშვიდოს; არც ღვინის ძმარი და არც თაფლუჭის ძმარი არ დალიოს, არც ყურძნის წვენი არ დალიოს, არც ახლადმოკრეფილი ყურძენი და არც ჩამიჩი არ ჭამოს. თავისი მოწმიდარობის მთელ დროს ყურძნისაგან დამზადებული არაფერი ჭამოს – წიპწიდან კანამდე. მოწმიდარობის აღთქმის მთელ დროს სამართებელი არ უნდა შეეხოს მის თავს. ვიდრე უფლის მოწმიდარობის ვადა არ გაუვა, წმიდაა იგი. თმა უნდა მოიზარდოს თავზე. უფლის მოწმიდარობის მთელ დროს მკვდარს არ მიეკაროს. არ უნდა გაუწმიდურდეს მამის, დედის, ძმისა და დის გამო – მათ გამოც კი მათი სიკვდილის შემთხვევაში, რადგან მისი ღმერთის მოწმიდარობაა მის თავზე. თავისი მოწმიდარობის მთელ დროს უფლის წმიდაა იგი“ (რიცხ. 6:2-8).

მოწმიდარობა ისრაელიანის შინაგანი მოთხოვნილებაა – აღთქმა, დადებული შეგნებულად მოწიფულობის ასაკში. ადამიანი გრძნობს, რომ რაღაც მნიშვნელოვანი საქმის აღსასრულებლად არ არის საკმარისი სულიერი და ფიზიკური მონაცემები, უნარები; რომ აუცილებელია თავის მოზღუდვა უფლის მიერ მომადლებული (რაკი ყველაფერი უფლისაგან მოდის) უნარების შესანარჩუნებლად. მოწმიდარობა ისრაელიანის რჩეულობის გარეგანი გამოხატულებაა. როგორც მთელი ისრაელი, ერთიანი ერი არის გამორჩეული მის გარშემო ხალხებში, ასევე ერთი კერძო ისრაელიანი, როცა ის მოწმიდარობის აღთქმას დებს, გამორჩეული ხდება თავის წრეში, თავის ხალხში. მოწმიდარი თავისი ცხოვრებით ცოცხლად ატარებს და ახორციელებს იმ პრინციპს, რითაც ისრაელი განსხვავდება იმ ხალხებისაგან, რომლებიც მას დახვდა აღთქმულ ქვეყანაში, ქანაანში, ეგვიპტიდან გამოსვლისას, თუმცა ეს ხალხები მისი მონათესავენი იყვნენ და მის მონათესავე ენაზე ლაპარაკობდნენ. შემთხვევითი და ნებისმიერი არ არის მცენარეული საკვების, განსაკუთრებით კი ღვინისა და სხვა მაგარი სასმელების აკრძალვა. უდაბნოში შობილი ისრაელი მოწოდებით მწყემსი იყო და ქანაანში შესვლისას უნდა დაპირისპირებოდა ქვეყნის მკვიდრთა სამიწათმოქმედო კულტურას, რათა თავისთავადობა შეენარჩუნებინა. უდაბნოში შეცნობილი ტრანსცენდენტული ღმერთის იდეა არ უნდა შებღალულიყო ორგიასტული კულტით, რომელიც ბუნებაში განზაგებული ღვთაებების თაყვანისცემას გულისხმობდა. მართალია, ისტორიულ ხანაში ისრაელი მიწას ამუშავებდა, თესდა, ვენახს აშენებდა, – მისი სიმბოლოც კი იყო ვაზი, უდაბნოში ნაპოვნი (იერ. 2:21), – ღვინოს წურავდა, სვამდა, მაგრამ მაინც მწყემსობა

იყო მისი იდეალური ყოფა, ამიტომაც უფლის მოწმიდარი, როგორც ისრაელიანის უმაღლესი ტიპი, რჩეულთა რჩეული, ამ საწყისს უნდა ახორციელებდეს.

სამსონის ბედი, როგორც მოწმიდარისა, განსაკუთრებულია. მისი მოწმიდარობა არ არის მისი ნებით არჩეული, არამედ თანდაყოლილია; შობითგანვე მას თან დაჰყვება საიდუმლო, რომელსაც ისევე ესაჭიროებოდა შენახვა, როგორც მოწმიდარობას მარხვა. თმის მოზრდა მოწმიდარობის ერთ-ერთი პირობაა, მაგრამ სამსონისთვის ეს უფრო მეტია, ვიდრე პირობა: მის თმაშია განივთებული მისი ფიზიკური ძალა, რომელიც უფალმა მისცა მას ფილისტიმელთა დასამარცხებლად. ეს გამოცდაც იყო და განსაცდელიც. საიდუმლო მისი ძალისა, რომელიც მის თმაშია დამარხული, იცინა მისმა მშობლებმა, იცის მანაც და სწორედ ეს ცოდნა შეიქნა საბედისწერო მისთვის. ცოდნის ანუ საიდუმლოს გაცემა, როცა არსებობს აკრძალვა, აუცილებელი ეპიზოდია ზღაპრული გმირის ცხოვრებაში. ზღაპრული გმირი არღვევს აკრძალვას, რათა დაკარგოს ძალა, მაგრამ კვლავ დაიბრუნოს იგი. ეს არის მისი გამოცდილება. სამსონიც კარგავს ძალას და კვლავ იბრუნებს, რათა ამ ძალით საბოლოოდ მტერთან ერთად საკუთარი თავიც გაანადგუროს. მას უსათუოდ – ეს იყო მისი ბედისწერა – უნდა გაეცა საიდუმლო, ჩასახული ჯერ კიდევ მის დაბადებამდე დედის საშოში. დედამ აღთქმული ძის ჩასახვამდე იცოდა ეს საიდუმლო და წილიც კი ჰქონდა მის შექმნაში, რაკი მუცლადღებულს თავი მოწმიდარად უნდა შეენახა. „...ვაჟი შეგეძინება, – უთხრა მას უფლის ანგელოზმა, რომელმაც სახელის გაცხადება არ ინება, – ოღონდ ფრთხილად იყავი, არ დალიო ღვინო და თაფლუჭი, უწმიდურიც არაფერი ჭამო“ (მსაჯ. 13:3-4). დედა ფრთხილად იყო, მაგრამ ვაჟი არ იყო ფრთხილად და ეს შეიქნა მისი ტრაგიკული აღსასრულის მიზეზი: რამდენადაც მაღალი უნდა ყოფილიყო მოწმიდარის დიდება, იმდენად ღრმა იყო მისი დაცემა (თუმცა მან საკუთარი სიცოცხლის ფასად მაინც შეძლო თავისი ადამიანური ღირსების დაცვა).

სამსონის ცხოვრებაში საბედისწერო როლი ითამაშეს ქალებმა. თიმნა, ღაზა, სორეკისხევი – აი, ადგილები, საითკენაც ის მიისწრაფოდა როგორც ნადირი ხაფანგისაკენ. აქ ჰქონდა მას განსაცდელი, ცთუნება, რომელიც უნდა დაეძლია, მაგრამ ვერ დაძლია.

როდესაც ის მიდის თიმნაში, ფილისტიმელთა ქალაქში ცოლის სათხოვრად, ის სრულიად არ იქცევა ისე, როგორც შეეფერება მსაჯულს, რომელიც „უფალმა აკურთხა“ (მსაჯ. 13:24); ის მიდის როგორც კერძო კაცი, თავისუფალი თავის არჩევანში, რომელსაც მოეწონა ფილისტიმელი ქალი. მშობლები უშლიან („ქალი დაიღია შენს საგვარტომოში და მთელს შენს ერში, წინდაუცვეთელ ფილისტიმელთაგან რომ თხოულბ ცოლს?“), მაგრამ ავტორი ამართლებს სამსონის არჩევანს, თითქოს ეს „უფლისაგან იყო“, თითქოს ამ ქორწინებით უნდა შეეღწია სამსონს ფილისტიმელთა წიაღში და გაემარჯვა. მაგრამ აქ ვხედავთ (ეს იყო მისი პირველი გასვლა) დამარცხებულ სამსონს: აქ, თიმნაში, განიცადა მან პირველი ხელის მოცარვა, აქ პირველად გამოჩნდა, რომ მას არ შეძლება საიდუმლოს შენახვა. რა იყო ეს საიდუმლო? ეს იყო იგავი, რომელიც სამსონს თიმნასკენ მიმავალ გზაზე შეემთხვა.

ქალის დასანიშნად მიმავალს გზად ღომი შემოეყრება. უიარაღო სამსონი, უფლის სულით მოცული, შუაზე გახლენს ღომს. რამდენიმე ხნის შემდეგ მშობლებთან ერთად იმავე გზაზე გავლისას, ამჯერად უკვე საქორწინოდ მიმავალი, გაუხვევს იმ ადგილისკენ, სადაც ღომი მოკლა; ხედავს, ღომის გვამში ფუტკარი დაბინავებულია და თაფლი გაუკეთებია. სამსონმა შეჭამა თაფლი და მშობლებსაც აჭამა, რომლებმაც არ იცოდნენ საიდან იყო გამოღებული თაფლი. ამ შემთხვევამ სამსონის გონებაში დაბადა იგავი-გამოცანა, რომელიც მას, როგორც სასიძოს, უნდა მიეტანა გამოსაცნობად, წესისამებრ, ქალის მაყრებისთვის. „მჭამელიდან საჭმელი გამოვიდა, ძლიერიდან ტკბილი გამოვიდა“ – ასე უცნაურად გარდასახა ეს საკვირველი შემთხვევა სამსონმა, რომლის შემსწრე მხოლოდ თავად იყო. გამოცანა თავისებური ორთაბრძოლა იყო, რომელიც სამსონმა შესთავაზა ფილისტიმელ მაყრებს. მისი ამოცნობა ოცდაათი ხელი ტანისამოსით იყო შეფასებული ქალის მაყართა რიცხვის მიხედვით, თუმცა ამოცნობა უფრო ღირსების საქმე უნდა ყოფილიყო – აქ ებრძოდა ერთმანეთს ორი მოწმიდარი ტომი, ისრაელი და ფილისტიმელი, და რა უნდა ყოფილიყო უფრო შესაფერი სარბიელი ამ ბრძოლისა, ვიდრე ქორწილი? სამსონმა მაყრებს შვიდი დღე მისცა გამოცანის ამოსაცნობად, შვიდი დღე ქორწილისა. ეს შვიდი დღე სამსონისათვის ღვი-

ნის დღეები უნდა ყოფილიყო, მაგრამ მას, როგორც გამოცანის შემთავაზებელს და ამ შეთავაზებით ფილისტიმელთა გამომწვევეს, განსაცდელად ექცა.

ოცდაათი მაყარი ქალს აიძულებდა გამოეტყუებინა სამსონისთვის იგავის საიდუმლო, ქალი კი, თავის მხრივ, „შვიდი დღე შესტიროდა სამსონს, რამდენ ხანსაც ღვინი გრძელდებოდა“. ბოლოს, მეშვიდე დღეს სამსონმა გაუმხილა პასუხი; მზის ჩასვლამდე კი ეს უკვე იცოდნენ ფილისტიმელმა მოყმეებმა. ასეთი იყო გამოცანის პასუხი: „რა არის თაფლზე ტკბილი და ღომზე ძლიერი?“ დამარცხდა სამსონი და ეს თავისი მარცხი კვლავ იგავურად გამოთქვა: „ჩემი ფური რომ არ გეხნათ, ვერ გამოიცნობდით ჩემს გამოცანასო“. „ფური“ ანუ თავისი არჩეული საცოლვე საცთურად ექცა მას: მისი ფურით ამოთხარეს ფილისტიმელებმა მისი საიდუმლო.

ღირსების შესანარჩუნებლად სამსონს ისღა დარჩენოდა, რომ სანაძლეო გადაეხადა მაყრებისათვის: ჩამოერიგებინა ოცდაათი კაცისთვის თითო ხელი ტანისამოსი. ქორწინება კი ჩაიშალა, მაგრამ სამსონმა გადაწყვიტა, შური ეძია ფილისტიმელებზე – სამასი მეღაერთმანეთს გადააბა კუდით, თითო მაშხალა მიაბა და მიუშვა ფილისტიმელთა სავარგულებზე, გადაბუგა ძნები, სამკალი, ვენახები, ზეთისხილის ბაღები. აქდან დაიწყო აშკარა მტრობა სამსონსა და ფილისტიმელებს შორის. ისინი უკვე სდევნიდნენ სამსონს და ცდილობდნენ მის ხელში ჩაგდებას, რადგან უფლის ძალას ხედავდნენ მასში. თუ მას ბოლოს მოუღებდნენ, ებრაელობაც კარგა ხანს ძლეული იქნებოდა. სამსონი იძალევა იუდას ტომის მიწა-წყალზე, ეტამის ესში, ხოლო ფილისტიმელები შეესევინან იუდაელებს და აწიოკებენ, მოითხოვენ სამსონს. სამასი იუდაელი მივიდა ეტამის ესთან და სამსონიც ჩაბარდა მათ, რათა მისით გამოესყიდათ ფილისტიმელთაგან მშვიდობა.

აუხსნელია, რატომ მოხდა ასე, რატომ გახდა აუცილებელი სამსონის გაცემა. სამასი კაცით, სამასი „მსვლეპელით“, როგორც გვახსოვს, გაიმარჯვა მსაჯულმა გედეონმა მიდიანელებზე, რომლებიც ჭარბობდნენ მათ რიცხვით. ესენიც სამასნი იყვნენ, იუდას ხალხი, და ჰყავდათ მსაჯულად დაუოკებელი ფიზიკური ძალის მქონე კაცი, დედის მუცლიდანვე მოწმიდარი, რომლის დაგლათიანობა არ შეიძლება არ ჰქონოდათ გაგებული იუდას ტომში, რომლის მეზობლადაც ესახლა დანის ტომი. როგორ არ უნდა მისწვდნოდა იუდას ყურს მისი ამბავი, როცა „უფლის სულმა იწყო მისი აღძვრა დანის ბანაკში, ცორასა და ეშთაოლს შორის“ (მსაჯ. 13:25), როცა დაიწყო ჩენა მისმა ქარიზმამ. სამასი კაცი ერთი მსაჯულის წინამძღოლობით მოუტანდა მშვიდობას იუდას მხარეს, მაგრამ ამ სამასმა კაცმა ორმაგი ახალი თოკით შეკრა სამსონი და მიუგდო ფილისტიმელებს.

აქ ისმის კითხვა: როგორ მოახერხეს იუდაელებმა შეებოჭათ სამსონი, რომლის ძალა დაუსაზღვრელი იყო, რადგან ის უფლის წყაროდან მოედინებოდა? ან რა აუცილებელი იყო მისი შებორკვა, როცა მას შეეძლო თამამად წასულიყო ფილისტიმელთა წინააღმდეგ – ერთი ათასზე, როგორც მოხდა შემდეგ? პასუხად შეიძლება ითქვას, რომ სამსონი გამუდმებით ვერ გრძნობდა ზებუნებრივ ძალას თავის თავში. ძალა უფლისა იყო და უფალი მაშინ ამოქმედებდა მას, როცა საჭიროდ დაინახავდა. ძალა თითქოს ყოფილიყო დენით, რომლის აფეთქებას ნაპერწკალი სჭირდება. ეს ნაპერწკალი კი უფლისგან მოდის და არავინ იცის, როდის მოვა. ამ ნაპერწკლის გარეშე სამსონი ჩვეულებრივი ადამიანია, რომელიც არაფრით განსხვავდება თითოეულისგან იმ სამასში, რომელიც მას ბორკავდა. უიმნაპერწკლოდ რომ თავის დაცვა არ შეეძლო სამსონს, ეს მათ შორის გამართული მოკლე დიალოგიდანაც ჩანს: „უთხრეს (იუდაელებმა): მოვედით, რომ შეგიპყროთ და მიგკეთ ფილისტიმელებს. სამსონმა უთხრა: შემომფიცეთ, რომ არ მომკლავთ“ (მსაჯ. 15:12). ეს არ არის იმ კაცის სიტყვები, რომელიც გამუდმებით გრძნობს ძალას. მართალია, მას განუცდია „აღძვრა“ უფლის სული-საგან, ძალის მოწოლა, მაგრამ ახლა ამ განცდის ნატამალიც არ იყო მასში, შესაძლოა, არც მოლოდინი; შესაძლოა, განწირულადაც თვლიდა თავს; მზად იყო შებოჭილს გაეტარებინა მთელი სიცოცხლე ტყვეობაში, ოღონდ არ მოეკლათ.

აი, დგას უძლეური სამსონი მარტოდმარტო გამძვინვარებული, შურისგებით აღძრული მტრის წინაშე. უფლის განგებამ მოაწყო ისე, რომ ის მარტო აღმოჩენილიყო ათასის წინ; მარტოს – არა სამასი კაცის წაძლოდით, როგორც იქცეოდა მისი წინამორბედი მსაჯული – მოეტანა ხსნა. მაგრამ ჯერ თავად უნდა გადარჩენილიყო, ჯერ მას უნდა მოვლენოდა ხსნა, რომელსაც არ ელოდა (ეს განსაცდელიც – განცდა უმწეობი-

სა უნდა გადაეტანა); უნდა დახსნილიყო საგულდაგულოდ დაგრეხილი თოკები, მისმა სულმოკლე თანამემამულეებმა რომ შემოახვიეს. უფალი არ მიატოვებდა, სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მიუსწრებდა თავის მოწმიდარს.

„ლექთან რომ მივიდა (სამსონი), ყიყინით შემოეხვივნენ ფილისტიმელები და უფლის სული გადმოვიდა მასზე, თოკები, რომლებითაც ხელები ჰქონდა შეკრული, დამწვარი სელივით შეიქნა, და დასცვივდა საკვრელები ხელებიდან. ვირის ახალი ყბა იპოვა, ხელით დასწვდა, აიღო და ათასი კაცი დახოცა იმით“ (მსაჯ. 15:14-15).

ეს გამარჯვება, რომელიც უფრო ზღაპრული გმირის გამარჯვებას გვაგონებს, როცა უბრალო საგანი რამ სასწაულებრივ საბრძოლო იარაღად იქცევა მის ხელში, ასეთი სიტყვებით უკვდავო სამსონმა:

ბილესი ჰახამორ ხამორ ჰახამორათაიმ

ბილესი ჰახამორ ჰიქეთი ელეფ იშ (მსაჯ. 15:16).

რომლის ქართული თარგმანი დაახლოებით ასეთი იქნება: „ვირის ყბით ვირთა დასი, ვირის ყბით ვხოცე ათასი“. ეს სიტყვები რომელიმე ძველისძველი, დაკარგული პოემის ფრაგმენტად მიანიათ. მაგრამ ისინი მას აღმოხდა როგორც საკუთარი შემოქმედება, როგორც თიმნასკენ მიმავალ გზაზე გამოცანა და მისი პასუხი. და როცა აღმოხდა როგორც დასკვნა გადახდილი ბრძოლისა, ხელიდან გააგდო ნაბრძოლი ყბა – ლეხი და უწოდა იმ ადგილს რამათ-ლეხი („ბორცვი ყბისა“ ან, ხალხური ეტიმოლოგიით, „ნაგდები ყბა“, რაკი აქ დააგდო სამსონმა ყბა). ასე აღიბეჭდა მისი ღვაწლის კვალი იუდას მიწა-წყალზე.

ამ გამარჯვების შემდეგ სამსონს კვლავ ფილისტიმელთა ქალაქში ვხედავთ. ეს არის დაზა, ხალხმრავალი ქალაქი და საკულტო ცენტრი, სადაც სამსონი ერთი მეძავის სახლში ათევს ღამეს. შურისმაძიებელი დახელები ქალაქის გარეთ, კარიბჭესთან უდარაჯებენ სამსონს, დილით ვარაუდობენ მის გამოსვლას. სამსონი კი შუალამისას გამოვიდა ქალაქიდან, მაგრამ თან გაიყოლა კარი თავისი ბჭეებითურთ და ერთ მადალ მთაზე აიტანა, დაზიდან შორს, იუდაელთა ქალაქ ხებრონს იქით. რაღაც საარაკო და გაუგონარი უნდა ჩაედინა სამსონს, რომ ასეთი დაუჯერებელი ეპიზოდით შემორჩენილიყო მისი გმირობის ამბავი. ფიქრობენ, თითქოს აქ სამსონი მზის როლში გვევლინებოდეს (მისი სახელი *შიმშონ* ხომ „მცირე მზეს“ ნიშნავს): ის იმეორებს თითქოს მზის მითოსურ გზას ქვესკნელიდან (რომლის განსახიერება დაზაა, მტრის ქალაქი), როცა მზე გამოლევწავს შიგნიდან შავეთის კარიბჭეებს და სამშვიდობოზე გავა ქვეყნის გასანათლებლად.

დაზაში აჩვენა სამსონმა ქვეყანას – თავისას და მტრისას საარაკო ძალა და დაზა-შივე მიიყვანა იგი საბოლოოდ ბედისწერამ, რათა ტრაგიკულად გასრულებულიყო მისი დაუოკებელი სიცოცხლე. დაზაში ელოდა მას საპყრობილე, შავეთი – აქ წაართვეს მას თვალისჩინი და აქვე გაბრწყინდა საბოლოოდ მისი დიდება.

„ამის შემდეგ ერთი ქალი შეუყვარდა (სამსონს) სორეკის ხევში, სახელად დალილა“ (მსაჯ. 16:4). ფილისტიმელებს შეეძლოთ დარწმუნებით ეფიქრათ, რომ სამსონი უკვე მათ ხელში იყო. ოღონდ მათ უნდა „ეხნათ მისი ფურით“, რომლის ტყვეობიდან ის თავს ვერ აღწევდა. როგორც მაშინ, ქორწილის დღეებში, ქალის ხელით რომ გამოსტყუეს სამსონს მისმა მამრებმა იგავის პასუხი, რომლის ამოცნობა მხოლოდ ღირსების საქმე იყო, ახლაც ამავე გზას დაადგნენ ფილისტიმელი მთავრები: ათას-ათას ვერცხლს დაჰპირდა თითოეული მის ახლანდელ ფურს – დალილას, რომ გამოეტყუებინა მათთვის სამსონის ძალის საიდუმლო, რათა შეეკრათ კაცი და დაემორჩილებინათ. საიდუმლოს გამოტყუების პროცესი პირწმინდად ზღაპრულია. ასე გამოსტყუებენ გულუბრყვილო დევებს ადამიანთაგან მოტაცებული ცოლები მისი სასიცოცხლო სულის ადგილსამყოფელს. დევი სამგზის ტყუის, მეოთხეგზის წამოსცდება სიმართლე. შეუჩნდა სამსონს დალილა და მოსვენება არ მისცა, სანამ სწორი პასუხი არ მიიღო. გაიმართა ძნელი ბრძოლა, უფრო ძნელი, ვიდრე ოდესმე გადაეხადა სამსონს, ორთაბრძოლა, როცა ადამიანს აიძულებენ „სხვათა მსგავსი“ გახდეს, ადამიანი კი ცდილობს შეინარჩუნოს განსაკუთრებულობა. სხვათაგან გამორჩეულობა; ჯერ არ ტყდება, არ სურს გასცეს მიბარებული, არ უღალატოს საკუთარ თავს, მაგრამ... უმჯობესია წავიკითხოთ ეს საბედისწერო ეპიზოდი.

„უთხრა სამსონს დალილამ: მითხარი, საიდან გაქვს ეს დიდი ძალა? რითი უნდა შეგკრას კაცი, რომ დაგიმორჩილოს? უთხრა სამსონმა: შვიდი ახალთახალი, ნეღლი ლარით უნდა შემკრა, დავძაბუნდები და სხვათა მსგავსი შევიქნები. მოატანინა ფი-

ლისტიმელთა მთავრებს შვიდი ახალთახალი, გამოუმშრალი ღარი და იმით შეკრა დალილამ სამსონი. ოთახში კი ხალხი ჰყავდა ჩასაფრებული. უთხრა სამსონს დალილამ: სამსონ, ფილისტიმელები მოდიან შენზე! ისე დაწვევით სამსონმა ღარები, როგორც ძენძის ძაფი წყდება ხოლმე, ცეცხლი რომ დაეწოსავს. და ვერ ამოიცნეს მისი ძალა. უთხრა სამსონს დალილამ: აჰა, ხომ მომატყუე და გამაბრევე, ახლა მაინც მითხარი, რითი შეიძლება შენი შეკვრა? უთხრა სამსონმა: ახალთახალი, უხმარი თოკებით უნდა შემკრან, დავაბუნდები და სხვათა მსგავსი შევიქნები. აიღო დალილამ ახალთახალი თოკები, შეკრა იგი და უთხრა: სამსონ, ფილისტიმელები მოდიან შენზე! ოთახში ეს ხალხი იყო ჩასაფრებული. ძაფებით შემოიწვევითა მკლავებზე. უთხრა სამსონს დალილამ: აქამდე ხომ მატყუე და მაბრევე. მითხარი, რითი შეიძლება შენი შეკვრა? მიუგო: თუ ჩემი თმის შვიდ კოწოლს საძახველში ჩაგრეს. პალო დაასო და უთხრა: ფილისტიმელები მოდიან შენზე, სამსონ! გამოეღვიძა სამსონს და ამოგლიჯა საძახველის პალო ნაძახვიანად. უთხრა დალილამ: როგორღა მეუბნები, მიყვარხარო, თუ გულისთ არა ხარ ჩემთან? აჰა, სამჯერ მომატყუე და არ გამიმხილე, საიდან გაქვს ეგ დიდი ძალა. რაკი ყოველდღე ამ სიტყვებს ჩასწინებდა და საშველს არ აძლევდა, სიცოცხლე მოსძულდა სამსონს. გამოუტყდა და უთხრა: სამართებელი არ გაჰკარებია ჩემს თავს, რადგან დედის მუცლიდან ღვთის მოწმიდარი ვარ. თავი რომ გადამაპრსონ, ძალა გამომეცლება, დავაბუნდები და სხვათა მსგავსი შევიქნები. დაინახა დალილამ, რომ გული გადაუხსნა მან. შეუთვალა ფილისტიმელთა მთავრებს: ახლა კი ამოდით, გამომიტყდა. ამოვიდნენ ფილისტიმელთა მთავრები და ვერცხლიც ამოიტანეს. კალთაში ჩააძინა იგი დალილამ, კაცი იხმო და მისი თმის შვიდივე კოწოლი მოაპარსვინა. იწყო სამსონმა დაბაბუნება, გამოეცალა თავისი დიდი ძალა. უთხრა დალილამ: ფილისტიმელები მოდიან შენზე, სამსონ! გამოეღვიძა და იფიქრა: ავღებები და წინანდებურად დავიხსნიო თავს, მაგრამ არ იცოდა, რომ ღმერთმა პირი იბრუნა მისგან...“ (მსაჯ. 16:6-20).

გულისხმობდა თუ არა სამოწმიდარო პირობები ამ საიდუმლოს შენახვას? ამის თაობაზე გარკვევით არაფერია ნათქვამი. მაგრამ, როგორც ამ დრამატული ეპიზოდის ბოლოში გამოჩნდა, სწორედ ეს დუმილი საიდუმლოს შესახებ უნდა ყოფილიყო საფუძველი მოწმიდარობისა, მისი თავი და თავი, რადგან ეს იყო ღვთის საიდუმლო ადამიანში, რომელიც უნდა შენახულიყო როგორც თვალისჩინი. „ღმერთმა პირი იბრუნა მისგან“, ამიტომ არის ნათქვამი, თმა კი მხოლოდ ნიშანი იყო ამ საიდუმლოსი. ღმერთმა სახე შეაქცია მას არა იმის გამო, რომ თმა აღარ ჰქონდა, არამედ იმ მიზეზით, რომ საიდუმლო გასცა.

დაუძლურებული, „სხვათა მსგავსად“ შექმნილი სამსონი „შეიპყრეს ფილისტიმელებმა და თვალები დასთხარეს, ჩაიყვანეს ღაზაში, სპილენძის ხუნდები დაადეს და იყო სატუსაღოში მეხელსაფქავედ“ (მსაჯ. 16:21). თვალისჩინი წაართვეს მას, ვინც ატარებდა მზიურ სახელს (*შიმშონ*); მტრული ქალაქი ღაზა შავეთად ექცა და, მართლაც, განასახიერებდა ქვესკნელში ჩამავალ, ჩამქრალ მნათობს. ბორკილდადებული უფლის მოწმიდარი მონად ემსახურებოდა ფილისტიმელებს, რომელთა ხელიდან ქვეყნის ხსნისათვის დედის საშოშივე იყო მოწოდებული. მაგრამ უფალს ბოლომდე არ მიუტოვებია თავისი მოწმიდარი:

„ამასობაში იწყო თმამ წამოზრდა მის გადაპარსულ თავზე“ (მსაჯ. 16:22). – ავტორს ამ ფრაზით მხოლოდ იმ უბრალო ფაქტის აღნიშვნა როდი სურს, რაც თმის მოზრდაში მდგომარეობს. თმა, ცხადია, ბუნებრივად წამოიზრდებოდა. მას იმის თქმაც სურს ამ ტევადი ფრაზით, რომ სამსონი იკრებს ძალას. ავტორს კიდევ იმის თქმა სურს და, შესაძლოა, ეს იყოს მისი ძირითადი სათქმელი, – რომ უფალმა მონახულა უსინათლო მონა მის შავეთში, რომ მან შეუნდო შეცოდება, დალატი, დაცემა; რომ მისცემს სახსარს გამოსყიდვისა. ამის ნიშანია თმის მოზრდა.

სამსონის აღსასრული – ტრაგიკული ტრიუმფი დაემთხვა ფილისტიმელთა მთავარი ღვთაების – დაგონის დღესასწაულს. გამოიყვანეს სამსონი ტაძართან შეკრებილი ხალხის წინაშე გასამახსრებლად და დაგონის სადიდებლად, რომელმაც, მათი ფიქრით, ხელში ჩაუგდო მათი ქვეყნის ამოხრებელი. სამსონი ორ სვეტს შუა იდგა, სახელი კი სავსე იყო ფილისტიმელებით და ელოდნენ მის გაპამპულებას. ახლა მის ძალას მტრების ხელში ჩავარდნილი და სამახსროდ აგდებული კაცის ღირსება უნდა დაეცვა, ღირსება ისრაელიანისა, მით უმეტეს, მოწმიდარისა, წინდაუცვეთელი ფილის-

ტიმელების წინაშე; რადგან სამსონის ორი დავსებული თვალი მხოლოდ მის საკუთარ უბედურებას არ გამოხატავდა, ისინი ისრაელისა და მისი უფლის დამცირებისა და სირცხვილის ნიშანიც იყო. სამსონმა განიცადა, შეიცნო წამის განუმეორებლობა და შეჰღაღადა უფალს, რომ ამ ერთხელაც და უკანასკნელად გაექლიერებინა იგი. უფალმაც არ დააყოვნა და, როცა სამსონმა იგრძნო თავის თავში ძალა, ხელგაპყრობით მოსინჯა ორი სვეტი, რომლებზედაც სახლი იყო დაყრდნობილი, და განწირული ძახილით „მოკვდი, სულო ჩემო, ფილისტიმელებთან ერთად!“ მიაწვა მათ. სახლი ჩამოიქცა და ქვეშ მოიყოლა სამსონი და შიგმოყოფი ხალხი.

„იგი ოცი წელი იყო ისრაელის მსაჯული“ – ამ სიტყვებით მთავრდება სამსონის ამბავი. ის იყო უკანასკნელი მსაჯული, რომლის ხსოვნა შემოინახა „მსაჯულთა წიგნმა“.

მეფენი

წინასწარმეტყველი სამუელი

მსაჯულობა არ იყო შთამომავლობითი, ვერც იქნებოდა იმ მიზეზით, რომ იგი ქარიზმატული იყო, დამოკიდებული იყო დავლათზე, რომელიც უფლისაგან მოდიოდა. ქარიზმა, დავლათი შეილზე არ გადადიოდა, ისევე, როგორც ყოველი პირადი თვისება, თუ უფალი ამას არ მოისურვებდა. გედეონმა უარი თქვა ერის წინადადებაზე, მათი მეფე გამხდარიყო: არა, მე ვერ ვიმეფებ თქვენზე. ეს იყო ჭეშმარიტი ისრაელიანის სიტყვები, რომელიც განიცდის ციურ წინამძღოლობას თავის ერზე და გამსჭვალულია იმ სულისკვეთებით, რომ მისი ერი გამორჩეული არის და არ უნდა ჰგავდეს არაფერში სხვა ხალხებს. იმ ხალხებს, რომლებიც ქანაანში, ისრაელის დასამკვიდრებელ ქვეყანაში ცხოვრობდნენ, ყველას ჰყავდა მეფე – *მელეხ*, რომელიც მართავდა მათ. თავის სირთულესთან ერთად, რაც მეფის ცნების განსაზღვრაში მდგომარეობს, ყველაზე ცხადი ნიშანი მეფისა ის არის, რომ იგი შთამომავლობითია, ის გადადის მამიდან შვილზე. ასე რომ, ის არ ჰგავს არც ერთ წინამძღოლობას, რომელიც კი განუცდია ისრაელის ხალხს. მას ახსოვდა, რომ უდაბნოში, იმ დინამიური ცხოვრების დროს, როცა იგი დადიოდა, მას ჰყავდა მოსე და მერე იესო (იეშუა), რომელმაც გამოიყვანა ისინი იორდანეზე და დაამკვიდრა ქვეყანაში. მაგრამ არც მოსე, არც იესო, მეფეებად არ იწოდებოდნენ. როცა ხალხი იქმნებოდა, მისი წინამძღოლი იყო წინასწარმეტყველიც, იყო მსაჯულიც, იყო ღვთისმსახურიც (შუაკაცი ღმერთსა და ხალხს შორის), იყო სარდალიც, მაგრამ არ იყო მეფე, რომელიც გულისხმობს მემკვიდრეობით გარდაცვალ ძალაუფლებას და მოითხოვს პირად პატივს.

უმეფობა თითქოს ამ ხალხის განსაკუთრებული, თანდაყოლილი თვისება უნდა ყოფილიყო. როცა ის იქმნებოდა, თითქოს იმგვარად იქმნებოდა, რომ მთელი თავისი ისტორიის მანძილზე არ უნდა დასჭირვებოდა მეფე, რადგან ის ღმერთი, რომელმაც ისინი ეგვიპტიდან გამოიყვანა, მათი ერთადერთი მეფე უნდა ყოფილიყო. სწორედ ამ შეგნებით გასცა პასუხი მეფის მოსურნე ხალხს მსაჯულმა გედეონმა, მიაჩნდა რა თავისი თავი ქარიზმის დროებით მატარებლად, ქვეყნის დროებით მსაჯულად. გასაგებია ხალხის სულისკვეთება: მას სურს, რომ ჰყავდეს მუდმივი წინამძღოლი და არ იყოს დამოკიდებული ქარიზმაზე, დავლათზე, რომელიც მსგავსად სულისა და ქარისა არავინ იცის საიდან და როდის უბერავს და ქრის. ხალხს სურდა დამსგავსებოდა სხვა ხალხებს, რომ დამშვიდებული ყოფილიყო, რადგან მისთვის აუტანელი იყო სხვათაგან გამორჩეულის მარტოობა.

გედეონმა უარი თქვა მეფობაზე, მაგრამ მისმა შვილმა აბიმელექმა მამის სიკვდილის შემდეგ თვითნებურად გამოაცხადა თავი მეფედ. შუამავლად არ ყოფილა არც წინასწარმეტყველი, არც სხვა ვინმე, რომ გამოეთხოვა უფლის თანხმობა. ამიტომაც მისი მცდელობა გამეფებისა კრახით დამთავრდა: მან ვერ დაადგინა დინასტია. თუ უფალი არ იქნებოდა მომხრე მისი მეფობისა, რა იმედი ჰქონდა გედეონის ძეს, გარდა მამის ავტორიტეტისა, მეფედ გამოეცხადებინა თავი? ამას გაბედვა სჭირდებოდა და აბიმელექმაც გაბედა: მან ამოხოცა თავისი სამოცდაათი (!) ნახევარძმა და ამით „დაამტკიცა“, რომ მეფეა. სისხლი იყო ის მირონი, რომელიც მან იცხო, რათა მეფის უფლებები მოეპოვებინა. მაგრამ მასზე გადმოვიდა არა კურთხევა, არამედ მხოლოდ წყევ-

ლა. სამი მკრეხელური უზურპატორობის შემდეგ, ის დედაკაცის ხელით გადმოგორებულია დოლაბმა მოკლა (მსაჯ. 9).

აბიმელექის გამეფებაში უფლის ხელი არ ერია, ამიტომაც ასე სამარცხეინოდ დაასრულა მან სიცოცხლე და კვლავ, როცა ისრაელმა იგრძნო გადაუდებელი საჭიროება მუდმივი წინამძღოლობისა, მან მიმართა წინასწარმეტყველს, დაესვა მათთვის მეფე: „დაგვიდგინე ახლა მეფე, რომ სხვა ხალხების წესისამებრ განგვესჯიდესო“ (1მეფ. 8:5).

ვინ იყო ეს წინასწარმეტყველი, რომელსაც ისრაელის უხუცესობამ ასეთი თხოვნით მიმართა?

როგორც ყოველთვის, ასეთი კაცი კრიზისულ ხანაში იბადება, ის იქნებ არც გაჩენილიყო ამქვეყნად, რომ მის უნაყოფო დედას, ხანას (ანას) წლიდან წლამდე მხურვალე ლოცვა-ვედრება არ აღევილებინა იმის წინაშე, ვინც იძლევა პირშოს. ჯერ დედას სურდა ჰყოლოდა თავისი საშოს ნაშიერი; მერე მას შვილი იმისთვისაც სურდა გასჩენოდა, რომ არ დაეკარგა ქმრის სიყვარული და ამავე დროს აეცილებინა წყევლა უნაყოფობისა და სირცხვილი თავის ქმრის მეორე ცოლის წინაშე, რომელიც ამცირებდა მას მისი სიბერწის გამო. შესაძლოა, ხანას რაღაც სასო გასჩენოდა სარასა და რახელის გახსენებისას, რადგან ეს ორთავენი ქმრების საყვარელი ცოლები იყვნენ, თუმცა ბერწნი გარვეულ დრომდე. სარამ სამი სტუმარი ანგელოზის დაპირებისამებრ შვა ისაკი – აღთქმის შვილი, ხოლო რახელმა იოსები – ისრაელის ტომის მხსნელი ეგვიპტეში.

სამუელიც – ასე ერქვა იმ წინასწარმეტყველს, მეფობის დაწესება რომ სთხოვა ხალხმა – აღთქმის შვილი იყო. ის ჩაისახა სასოწარკვეთილი ქალის საშოში, როგორც უფლის წყალობა, და ამიტომაც დედამ, როგორც კი მოსხლიტა იგი, უფლის საწმიდარს დაუტოვა ანუ შესწირა სილოამში, სადაც იმხანად მღვდელმთავრობდა წმიდა კაცი, სახელად ელი, და მღვდლებად იყვნენ მისი გარყვნილი შვილები, რომლებმაც „არც უფალი იცოდნენ და არც მღვდლობის მოვალეობა ხალხის წინაშე“ (1მეფ. 2:12-13).

რაც დრო გადიოდა, ნათქვამია მატთანში, უფრო და უფრო სცოდავდნენ ელი მღვდელმთავრის შვილები უფლისა და ერის წინაშე, – მათი საქმე უკვე გადაწყვეტილიყო ცაში, – „ყრმა სამუელი კი იზრდებოდა და მშვენდებოდა, უფლისა და ერის თვალში“ (1მეფ. 2:26).

ამ ზნეობრივი დაცემისა და პოლიტიკური გასაჭირის ხანაში, – ფილისტიმელები კვლავ მძლავრობდნენ ქვეყანაზე და, როგორც ჩანს, მსაჯულიც არ ჰყავდა ხალხს, – როცა თითქოს ცაც დახურული იყო ბერწი ქალივით – „უფლის სიტყვა იშვიათი იყო იმ ხანებში, ხილვები არ იყო ხშირი“ (1მეფ. 3:1), გამოჩნდა სამუელი, ჯერ კიდევ ყრმა, რომლის მეშვეობით უფალმა დაიწყო გამოცხადება და მხილება, და წინასწარმეტყველება და „ფუჭად არ ჩაუვლია არც ერთ მის სიტყვას, და შეიტყო მთელმა ისრაელმა, დანიდან ბერ-შებამდე, რომ სამუელი უფლის წინასწარმეტყველად იქნა დამტკიცებული“ (1მეფ. 3:19-20).

სამუელის პიროვნებაში შეერთდა წინასწარმეტყველი და მსაჯული – მისი მსაჯულობით ისრაელმა საბოლოო გამარჯვება მოიპოვა ფილისტიმელებზე, დაიბრუნა წართმეული ქალაქები და „უფლის ხელი იყო ფილისტიმელებზე სამუელის სიცოცხლეში“ (1 მეფ. 7:13). მაგრამ ის იყო უკანასკნელი მსაჯული, რომლის სიცოცხლეშივე გადაგვარდა მსაჯულობის ინსტიტუტი. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მან მოინდომა მსაჯულობა მემკვიდრეობით გადასულიყო მისსავე სიცოცხლეში: როცა მოხუცდა, „ისრაელის მსაჯულებად თავისი შვილები დაადგინა“ (1 მეფ. 8:1); მეორეც ის, რომ ისეთი ღირსეული კაცის შვილები, როგორიც იყო სამუელი, არ გამოდგნენ მსაჯულებად: „არ გაჰყვნენ შვილები მამის გზას, ანგარებას მისდევდნენ, ქრთამს იღებდნენ და სამართალს ამრუდებდნენ“ (8:3).

მისი შვილების უღირსი მსაჯულობა იყო საბაბი იმისა, რომ ხალხმა სამუელს მოსთხოვა მეფე. ხალხს არ შეეძლო თავისი საკუთარი არჩევანით გამოერჩია მეფე თავისი წრიდან. ხალხი არც სამუელისგან მოელოდა, რომ ის თავისი ნებით აირჩევიდა ისრაელიანთაგან მეფეს. სამუელი ღმერთს უნდა დაჰკითხებოდა ან ხილვაში უნდა მიეღო ნიშანი იმ ისრაელიანზე, რომლის მეფობასაც ღმერთი ინებებდა.

მაინც რას წარმოადგენდა მეფე ძველი აღთქმის იდეოლოგიის თანახმად, როგორ ესახებოდა მეფობის ინსტიტუტის არსი ძველი აღთქმის საზოგადოების იდეოლოგს?

პირველ რიგში, რამდენადაც უფალი იყო ერთადერთი ჭეშმარიტი მეფე, რომლის მორჩილება მართებდა ყველას, ვინც ეგვიპტიდან იყო ამოყვანილი და ახლადმოპოვებულ ქვეყანაში ჰქონდა წილი, ყოველი ხორციელი მეფე უნდა შერაცხულიყო იმ უხილავი, ტრანსცენდენტული მეფის ხილულ და ამქვეყნიურ გამოხატულებად. ეს კი სხვა არაფერი იქნებოდა, თუ არა კერპთაყვანისცემა იმავე „ოქროს ხბოსი“, რომელიც უდაბნოში მყოფმა ხალხმა თავისი უფლის ხატად იგულვა. რჯული ამბობდა, რომ ხალხს არ უნდა ჰყოლოდა კერპები და მხოლოდ ზეციურ უფალს უნდა დამორჩილებოდა. ამიერიდან კი ხალხი უნდა დამორჩილებოდა ხორციელ მეფეს. ამას გულისხმობდა უფლის პასუხი სამუელისადმი, რომელმაც ჩივილითა და გულისწყრომით აცნობა მას ხალხის სურვილი: „შეისმინე ხალხის ყოველი სიტყვა, რასაც გატყვის, რადგან შენ კი არ უარგყვეს, არამედ მე უარმყვეს თავიანთ მეფედ“ (1მეფ. 8:7). ეს მოთხოვნა უარყოფა კი არა, უგულვებელყოფა მაინც იყო თეოკრატიისა, როცა ხალხი უშუალოდ ღვთის სიტყვას უნდა დამორჩილებოდა და არა იმას, ვინც ამ სიტყვას უცხადებდა მას. მაგრამ უფალმა მიიღო ხალხის სურვილი, წინ არ აღუდგა მის ნებას, რადგან თავისუფალ ხალხად ჰყავდა შექმნილი და გამოზრდილი თავისი უნჯი ერი. ოღონდ ხალხს უნდა სცოდნოდა, როგორ უღელში ებმებოდა მეფობის დაწესებით. სამუელის პირით ძველი აღთქმა, როგორც ყოველთვის, დაუფარავად ამხილებს მეფობის უარყოფით მხარეებს. აი, მეფობის რა საიდუმლო განუცხადა ხალხს სამუელმა:

„უთხრა: აი, რა უფლებები ექნება მეფეს, რომელიც იმეფებს თქვენზე: წაიყვანს თქვენს შვილებს და თავის ეტლებთან და ცხენებთან დააყენებს; ირბენენ ისინი მისი ეტლის წინ. დანიშნავს მათ ათასისთავებად და ორმოცდაათისთავებად, თავისი ყანის მოსახნავად და თავისი სამკალის მოსამკელად, თავისი საბრძოლო საჭურველისა და ეტლების საკეთებლად. აიყვანს თქვენს ასულებს მენელსაცხებლებად, მზარეულებად და პურის მცხოვლებად. წაგართმევთ საუკეთესო ყანებს, ვენახებსა და ზეთისხილის ბაღებს და თავის მსახურებს დაურიგებს. მეთედს აიღებს თქვენი ნათესებიდან და ვენახებიდან და თავის კარისკაცებსა და მსახურებს უწყალობებს. წაგართმევთ საუკეთესო ყმებს, მხეველებს, მსახურ ბიჭებს, სახედრებს და თავის საქმეზე ამსახურებს. წაიღებს მეთედს თქვენი ფარიდან და თქვენც მისი ყმები გახდებით. მაშინ მოჰყვებით წუწუნს თქვენს არჩეულ მეფეზე, მაგრამ არ მოგისმენთ უფალი“ (1მეფ. 8:11-18).

ხალხმა მოისმინა ეს სიტყვები, მაგრამ ყველაფრის ფასად მოითხოვა მეფე. მთავარი მაინც ის იყო, რომ მას სურდა სხვა ხალხებს დამსგავსებოდა:

„არა და არა, მეფე უნდა გვესვას: ჩვენც ისეთები უნდა ვიყოთ, როგორც სხვა ხალხები არიან. ჩვენი მეფე განგვსჯის ჩვენ, წინ წავგიძღვება და ჩვენი გულისთვის იბრძოლებს“ (1მეფ. 8:9-20).

ახლა გადასაწყვეტი იყო, ვინ უნდა ყოფილიყო ისრაელის მეფე ანუ უფლის ხორციელი ნაცვალის ქვეყანაზე. მაგრამ განა შეიძლებოდა ადამიანის ნებით გადაწყვეტილიყო, თუ ვინ იქნებოდა კონკრეტულად მეფე? საიდან, რომელი ტომიდან, რა ჩამომავლობისა? ან ჰქონდა თუ არა მნიშვნელობა შთამომავლობას, წინაპრებს, სიმდიდრეს ან პირად თვისებებს, ფიზიკურ ძალას თუ სულიერ სიმამაცეს? რაც უნდა ბრძენი და შორსმჭვრეტელი ყოფილიყო სამუელი, ის თავისი საკუთარი არჩევანით ვერ გამოძებნიდა მეფეს. აქ კვლავ უფლის ხმისთვის უნდა ესმინა მას.

უფლის შთაგონებით სამუელმა სამეფოდ გამოარჩია ისრაელიანთაგან ის შტო, სახელდობრ, ბენიამინისა, რომელიც ყველაზე ნაკლებად ელოდა ამ ღირსებას. თუმცა ის, ვინც არჩეულ იქნა, ობიექტურად – არა მხოლოდ სამუელის ფიქრით – საუკეთესო ნიშნებით არის წარდგენილი ძველი აღთქმის მკითხველის წინაშე: კიშს „ჰყავდა ვაჟი, გამორჩეული და მშვენიერი, სახელად საული. ისრაელიანთა შორის მასზე უკეთესი არავინ იყო: ერთი თავით მაღალი იყო მთელ ხალხზე“ (1მეფ. 9:2), მაინც არჩეულს, როცა გარკვევით ეცნობა მას ზეგარდმო მონიჭებული მისიის შესახებ, თავი არ შეურაცხავს მეფობის ღირსად. მისი პასუხი ისეთივე იყო სამუელისადმი, როგორც პასუხი გედეონისა უფლის ანგელოზისადმი, რომელმაც მსაჯულობა მიულოცა მას. სამუელის სიტყვებზე, „ვის ეკუთვნის ისრაელის მთელი საუნჯე, თუ არა შენ და მამაშენის მთელ სახლსო“, ყრმა საული უპასუხებს: „მე ხომ ბენიამინელი ვარ, ისრაელის უმცროსი ტომის კაცი? ჩემი საგვარეულოც ხომ უმცირესია ბენიამინის ტომის საგვარეულოთა შორის? რისთვის მეუბნები ამასო“ (1მეფ. 9:20-21). სამუელს აღარ დაუზუსტებია, აღარ გაუმხნეებია, არ გაუხსენებია მისთვის მისი საგვარეულოს ღირსებანი კნი-

ნი ბენიამინის ტომში. ცხადია, არც არსებულა რაიმე ღირსება, რომლის გულისთვისაც უფალი ირჩევდა კიშის ძეს. რა ჰქონდა მას გარდა სილამაზისა (რაც ასე იშვიათია ღირსებათა შორის ძველი აღთქმის ავტორთათვის) და გამორჩეული სიმაღლისა. საულის პასუხში უნდა დავიმასხოვროთ მხოლოდ სრული იგნორირება საკუთარი ღირსებებისა (თუკი რაიმე ჰქონდა) – სიმდაბლე ყრმა საულისა, რომელიც შემდეგ როგორც დავინახავთ, გამოიწვევს მასში არასრულფასოვნობის გრძნობას, დაბადებს ეჭვსა და შურს თავისი ერთგული ადამიანის მიმართ, რაც საბოლოოდ მისი ჯერ სულიერი, მერე კი ფიზიკური დაღუპვის მიზეზი შეიქნება.

საული

ახლა კი ეს ყრმა, რომელიც უფლის მისწავლებით უნდა გამოექნებნა სამუელს და ზეთი ეცხო მისთვის, რამდენიმე დღე მსახურ ბიჭთან ერთად დაქმნის მამამისის დაკარგულ ვირებს. განგებამ ისე მოაწყო, რომ ნაცვლად იმისა, რომ ვირები ეპოვა, საული შეხვდა წინასწარმეტყველ სამუელს, რომელმაც მეფობა „აპოვნინა“ მას. საულს სურდა მისგან, როგორც მისნისაგან, გამოეკითხა დაკარგული ვირების ამბავი, მისანს კი ერთი დღით ადრე ჰქონდა გამოცხადებული უფლისაგან: „ხვალ ამ დროს კაცს გამოგიგზავნი ბენიამინის მხარიდან და სცხებ მას ჩემი ერის, ისრაელის მეფედ...“ (1 მფ. 9:16).

აუცილებელი იყო, რომ ისინი – წინასწარმეტყველი და მეფედ ზეგარდმო განწესებული ერთმანეთს შეხვედროდნენ (ამისთვის ჯერ საჭირო იყო ვირები დაკარგოდა მამამისს, კიშს) იმ ადგილას, საიდანაც წინასწარმეტყველი არაფრის მომლოდინე ყრმას წაიყოლებდა გორაკზე, სახალხო მსხვერპლშეწირვის ადგილზე და საკლავის საუკეთესო ნაჭერს მიაწოდებდა, მერე კი, დაიმარტოხელებდა თუ არა, ზეთს დაასხამდა თავზე, აკოცებდა და ეტყოდა: „აჰა, გცხო უფალმა თავისი სამკვიდროს მთავრად“ (1 მფ. 10:1). ყველაფერი წინასწარ არის გამზადებული ან, ყოველ შემთხვევაში, სამუელი ხედავს, რომ რაც საულის თავს ხდება, ყველაფერი წინასწარ არის გადაწყვეტილი. მისგან წასულ საულს, ვინც შეხვდება, ყველა, შეგნებულად თუ შეუგნებლად, მონაწილეობს მის უჩვეულო თავგადასავალში: ის ორი კაციც, რომელიც რახელის საფლავთან ეტყვის მას, ნაპოვინა შენი ვირები, რომელთაც ეძებდით, და ის სამი კაციც, რომელთაგან ერთი ორ პურს მისცემს და ისიც გამოართმევს; და, რაც მთავარია, ქალაქის შესასვლელთან გორაკიდან დაშვებული გუნდი წინასწარმეტყველთა ანუ ქადაგთა, რომლებსაც შეერევა საული, რათა მასზეც გადავიდეს ღვთის სული და მათთან ერთად ისიც აქადაგდეს (1 მფ. 10:2-6). თითოეული თავ-თავის საქმეზე დადის, მაგრამ საბოლოოდ, უფლის განგებით, ყველა ერთ საქმეში შეხვდება ერთმანეთს.

ეს შეხვედრები, რომელთაც სამუელი უწინასწარმეტყველებს საულს, იყო ნიშნები, რომელთაც უნდა დაედანტურებინა საულისთვის, რომ რაც მის თავზე ხდება, უბრალოდ არ ხდება, რომ ეს შეხვედრები სასწაულებია მის გზაზე, რომელიც საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის. ცხადია, ქადაგებთან შეხვედრის შემდეგ საული ისეთივე არ დაუბრუნდებოდა მამას, როგორც მან გამოისტუმრა ვირების საქებნელად. „ღვთის სული გადმოვა შენზე, უთხრა სამუელმა, და მასთან ერთად აქადაგდები. სხვა კაცად გარდაიქმნები“ (1 მფ. 12:6).

აქედან, ამ გარდაქმნიდან იწყება საულის დრამა, რომელიც ტრაგიკული აღსასრულით ბოლოვდება. მართალია, ის უკვე ცხებული იყო სამუელის ხელით და მეფედაც გამოცხადებული ისრაელის ყველა ტომის წინაშე, მაგრამ პირველ გამარჯვებამდე ანუ პირველ ხსნამდე, რომელიც მან, როგორც მეფემ, მოუტანა ხალხს, საული რიგითი ისრაელიანის ცხოვრებას მისდევდა. ჯერ კიდევ არ იყო მასზე ქარიზმა, რადგან მაღლი კრიზისულ წუთებში უნდა გადმოსულიყო მასზე. ქარიზმა არ ახლდა მას, ყანაში მხენელ-მთესველს, როგორც კერძო კაცს, მაგრამ ის ყველასათვის მოულოდნელად იცვლება, როცა შეიტყობს ყამონელთა თავდასხმას ქვეყანაზე, სახელდობრ, ქალაქ იაბეშზე, რომელიც გალაადის მხარეში მდებარეობდა და ნაპირის ადგილი იყო, მტრისაგან ნაკლებად დაცული. როცა მოციქულები მოვიდნენ გიბყაში, სადაც საულის საგვარეულო ცხოვრობდა, და იქაურმა ხალხმა მათგან მოტანილ ამბავზე ტირილი მორთო, საული ამ დროს ხარებს მოჰყვებოდა ყანიდან. „ამ სიტყვების გაგონებაზე ღვთის სული გადმოვიდა საულზე და ძლიერ განრისხდა იგი. ადგა და აკუწა ორივე

ხარი და მოციქულების ხელით დაგზავნა მთელს ისრაელში, შეუთვალა: ვინც საულსა და სამუელს არ გაჰყვება, ასე მოუვა მის ხარებსო“ (1 მფ. 11:6-7).

ეს იყო ძველისძველი ნიშანი, რომელსაც კაცი უკიდურეს ვითარებაში იყენებს, როცა სიტყვა ისე ვერ გაჭრის, როგორც მოქმედება. ეს არ არის მსხვერპლშეწირვა და მით უმეტეს შთამბეჭდავია, რომ ხარები მსხვერპლად კი არ იწირება, კი არ იკვლის, არამედ იკუწება. ეს სიმწრის გამომხატველია. ამის ჩამდენი გამბედავია, შესაძლოა, ის თავისი ნებითაც არ მოქმედებდეს. საულის შემთხვევაში კი აშკარა იყო, რომ მას ღვთის სული ამოქმედებდა, ამიტომაც „უფლის შიში დაეცა ხალხს და გამოვიდნენ როგორც ერთი კაცი“ (1მფ. 11:7).

ეს შიში, საღვთო შიში, იმის გამოხატულება იყო, რომ ხალხმა ირწმუნა მისი მეფობა, იმათაც კი, რომლებიც ამბობდნენ, „უგ ჩვენ როგორ გვიხსნისო, და შეიძულეს იგი და ძღვენი არ მიართვეს“ (1მფ. 10:27), ანუ არ აღიარეს იგი თავიანთ მეფედ. საულმა მოიმოქმედა, აღასრულა პირველი ხსნა და ჩაიღინა პირველი მეფური დიდსულოვნება, როცა არ დასაჯა ის ხალხი, ვინც ეჭვის თვალით უყურებდა მის მეფობას, თუმცა მისი ერთგულები მოითხოვდნენ მათ დასჯას. საულის პასუხი კი ასეთი იყო: „ერთი კაციც არ მოკვდება დღეს, რადგან ხსნა მოავლინა უფალმა დღეს ისრაელში“ (1მფ. 10:13). ამ სიტყვებში გამოჩნდა არა მხოლოდ სულგრძელობა ახლადდადგენილი მეფისა, არამედ იმის შეგნებაც, რაც ჭეშმარიტი მსაჯულებისათვის იყო ნიშანდობლივი, რომ ხსნა უფლისგან არის, წინამძღოლი კი მხოლოდ იარაღია მის ხელში. საგულისხმოა, რომ სწორედ ამ სიტყვების შემდეგ იყო, რომ სამუელმა შეჰყარა ხალხი გილგალში, ისრაელის ისტორიის ღირსშესანიშნავ ადგილას (აქ დაიბანაკა ხალხმა პირველად, როცა იორდანე გადალახა ქვეყნის დასამკვიდრებლად), რათა განემტკიცებინა საულის მეფობა: „უთხრა სამუელმა ხალხს: წამოდით, წავიდეთ გილგალში და განვაახლოთ იქ მეფობა. წავიდა მთელი ხალხი გილგალს და გაამეფეს საული უფლის წინაშე იქ, გილგალში. შესწირეს სამადლობელი მსხვერპლი უფლის წინაშე და ძლიერ გაიხარეს იქ საულმა და ყველა ისრაელიანმა“ (1მფ. 11:14-15).

მაგრამ სწორედ გილგალშივე მიიღო საულმა უფლისგან პირველი საყვედური, აქედან დაიწყო უფალმა მისი მოძულება: „ინანა უფალმა, საული რომ გაამეფა ისრაელში“ (1მფ. 15:35). საულმა ორი დანაშაული ჩაიღინა, რისთვისაც დაიმსახურა რისხვა სამუელისა და უფლისა, თუმცა თანამედროვე მკითხველისთვის ძნელი განსაცდელია მათი სიმძიმე. მაგრამ საული საღვთო სამართლით იქნა განსჯილი.

ეს მოხდა მისი მეფობის მეორე წელს, გილგალში. საული მასთან შემოკრებილ ხალხთან ერთად სამუელს ელოდებოდა, რათა ბრძოლის წინ მსხვერპლი შეწირულიყო და ვედრება აღელენილიყო უფლის მიმართ, სამუელი დათქმულ დროზე არ მოდიოდა, საულს კი ხალხი ეფანტებოდა და ფილისტიმელებიც, სადაც არის, უნდა დასხმოდნენ თავს. საულმაც გაბედა, რისი უფლებაც არ ჰქონდა მიღებული უფლისაგან – აღავლინა აღსავლენი, რათა ხალხი გაემხნეებინა და დაეკავებინა ბანაკში. „თავს ვიკავებდი, მაგრამ მაინც აღვავლინე აღსავლენი მსხვერპლიო“, ასე იმართლა თავი საულმა დაგვიანებით მოსული სამუელის წინაშე. ძნელი სათქმელია, შემთხვევით დაიგვიანა სამუელმა თუ გამოსაცდელად, რაკი განწირული იყო საული, გაუძლებდა თუ არა განსაცდელს, მაგრამ ფაქტია, რომ ღვთისმსახურების უზურპაცია (გავიხსენოთ ალუდა ქეთელაურის განსაცდელი, როცა მან თვითნებურად შესწირა კურატი, რის გამოც მოიკვეთა კიდევ საზოგადოებისაგან) გახდა საბაბი მისი მოძულებისა. „უგუნურად მოიქეცი, რომ არ დაიცავი უფლის, შენი ღმერთის ნაბრძანები. ეს რომ არ გექნა, სამარადისოდ განამტკიცებდა უფალი შენს მეფობას ისრაელზე. ამიერიდან ვეღარ იმყარებს შენი მეფობა. გამოძებნის უფალი თავის სასურველ კაცს და თავისი ერის წინამძღოლობას უბრძანებს...“ (1მფ. 13:13-14).

მაგრამ უფალი აქ არ განდგომია საბოლოოდ თავის ცხებულს. აქედან მხოლოდ დაიწყო განდგომა.

იყო ტომი ყამალეკი, რომელთა წინაპრები ერთ დროს აბრკოლებდნენ გზაზე ეგვიპტიდან აღთქმული ქვეყნისკენ მიმავალ ისრაელს. ახლა მოადგა ყამალეკი იუდაელთა ერთ-ერთ ქალაქს ასაოხრებლად და გასაძარცვადად. უფალმა საულს უბრძანა სამუელის პირით, გაენადგურებინა ყამალეკის მთელი საბადებელი, როცა დაამარცხებდა, არ დაენდო არც ადამიანი, არც პირუტყვი (1მფ. 15:1-3). დედანში გამოყენებული სიტყვა „განადგურების“ გამოსახატავად (*ხერეშ*) გულისხმობს მტრის ქონებისა თუ ცოცხა-

ლი ძალის მთლიანად მოსპობას, როცა ადამიანს არაფერი არ უნდა დარჩეს ნადავლად ანუ ეკრძალება ხელი ახლოს მტრის საბადებელს, რადგან ტოტალური განადგურებით უფლისადმია შეწირული. მისგან არაფერი არ უნდა დარჩეს, იგი განწირულია დასაღუპად და ამ განწირულობით ის გამოირიდებულება ჩვეულებრივ, ყოფით სფეროს და საკრალიზებულია, ამიტომაც მისი ხელყოფა დანაშაულია; ისევე, როგორც დანაშაულია აღსავლენი, ანუ სხვანაირად, მთლიანად დასაწველი მსხვერპლის გემოს ხილვა საღვთო ტრაპეზზე.

საულმა კი ხალხის შიშით, რადგან გამარჯვებულ ხალხს დაუოკებელი სურვილი ჰქონდა, დაპატრონებოდა მტრის დოვლათს, გასანადგურებლად არ გაიმეტა საუკეთესო საქონელი, სურსათ-სანოვაგე, ბაღ-ვენახები, ხოლო უვარგისი რაც იყო, განადგურა. დაინდო აგრეთვე ყამალეკის მეფე ავაგი. ტექსტი არ ამბობს, რატომ დაინდო საულმა ყამალეკის მეფე. მაგრამ მან დაინდო იგი როგორც ადამიანმა და არა მეფემ, რომელსაც უსიტყვოდ მართებდა დამორჩილებოდა უფლის განკარგულებას. უფალი მეფისგან მოითხოვს მორჩილებას, რადგან მეფეზეა დამოკიდებული ქვეყნის კეთილდღეობა და ბედი და, რაც მთავარია, ხსნა. საული მოიქცა როგორც კერძო კაცი მოიქცეოდა, საკუთარ გულისპასუხს მინდობილი.

მღვდლობის ფუნქციის ხელყოფას ახლა დაერთო აკრძალულის ანუ ხერემის ხელყოფა და ამან გადაწყვიტა მისი, როგორც მეფის, ბედი. მას ზურგი შეაქცია სამუელმაც, მისმა მოყვარულმა, და როცა მოსასხამის კალთაზე მოეჭიდა მას ვედრებით, „დაბრუნდი ჩემთან ერთად, რომ თაყვანი ვცეო უფალს“, რადგან სრულიად მარტო რჩებოდა, კალთა გაიგლიჯა, რაზედაც სიმბოლური სიტყვები მოესმა მოსასხამის პატრონისაგან: „გამოგლიჯა დღეს უფალმა ისრაელის მეფობა და მისცა იგი შენს თვისტომს, შენზე უკეთესს“ (1მეფ. 15:26-28).

დავითი

საულს უკვე მეორედ ესმის წინასწარმეტყველის სიტყვები, რომ ის მოძულებულია უფლისაგან, და რომ ისრაელის რომელიღაც ტომში, რომელიღაც საგვარეულოში, უკვე ამორჩეულია ღირსეული სამეფო კაცი.

მაგრამ ეს ამბავი მხოლოდ მან იცის და სამუელმა. მაგრამ საულმა არ შეიძლება იცოდეს, ვინ იქნება კონკრეტულად ის რჩეული. ამის ცოდნა მხოლოდ სამუელს შეუძლია, რადგან კვლავ მისი ხელით უნდა მოხდეს ცხება და კურთხევა მეფისა. არჩევანი კვლავ უჩინო საგვარეულოზე მიდგა, თუმცა იუდას ტომი, რომელსაც ეკუთვნოდა იესეს – დავითის მამის გვარი, არც ისე უჩინო იყო. მაგრამ ბეთლემს სწორედ დავითის მეფობის გამო ელოდა დიდება მომავალში. „ბეთლემელ იესესთან გზავნი, რადგან მის შვილთა შორის დავიგულე ჩემთვის მეფე“, – ესმის სამუელს უფლის სიტყვები (1მეფ. 16:1). წინასწარმეტყველი და მღვდელმთავარი უნდა სტუმრებოდა ბეთლემში იესეს ოჯახს, შეეწირა მსხვერპლი და საღვთო ტრაპეზზე მოეწვია ყველანი. იესეს კი რვა შვილი ჰყავდა, რვავე ვაჟი. „ჩამოატარა იესემ თავისი შვიდი ვაჟიშვილი სამუელის წინ“, მაგრამ არც ერთი მათგანი არ იყო უფლის რჩეული. მოგვიანო გადმოცემით, როცა სამუელმა იესეს ერთ-ერთ ვაჟიშვილს, ელიაბს, დაუპირა ცხება, ზეთი არ გადმოიღვარა რქიდან, იგივე განმეორდა სხვა ძმების მიმართაც; მაგრამ, როცა ჯერი დავითზე მიდგა, ზეთი თავისუფლად გადმოიღვარა და თავზე დაესხა ჭაბუკს.

თუმცა სამუელი წინასწარმეტყველი იყო და მისანი (*ხოზეჰ* „მხილველი“), მაგრამ ის მაინც ადამიანი იყო და, როგორც ადამიანს სჩვევია, გარეგნობით არჩევდა სამეფო კაცს. პირველად მას თვალში მოხვდა ელიაბი – მაღალი, ტანადი, თანაც ყველაზე უფროსი ძმებში. როცა სამუელის თვალი მასზე შეჩერდა, მან ასეთი შეგონება მოიხმინა უფლისაგან: „ნუ უყურებ მის გარეგნობას და ტანის სიმაღლეს, რადგან მე განვაცენე იგი...“ უფალი გულისხმობს განყენებას საულისას, რომელიც ერთი თავით მაღალი იყო მთელს ხალხში. მერე კიდევ ჩაესმის ხმა სამუელს: „რადგან ისე არ არის, როგორც კაცი ხედავს. რადგან კაცი მხოლოდ იმას ხედავს, რაც თვალში ხვდება, ხოლო უფალი გულს ხედავს“ (1მეფ. 16:7).

შინაც რომ ყოფილიყო ამ დროს დავითი, ალბათ სამუელი ზედაც არ შეხედავდა, არც იესე წარუდგენდა უმრწემეს ძეს – ნაბოლარას. ამ დროს დავითი ცხვარში იყო და ეს გარემოება ორმაგად სიმბოლური შეიქნა: მეფე უნდა აღზევებულიყო იმ ადგილიდან, საიდანაც არავინ ელოდა მეფეს; და მეფე უნდა გამოსულიყო მწყემსობიდან

უფლის ერის დასამწყემსავად. ეს იდეა მკაფიოდ არის გამოთქმული ფსალმუნში და ეზეკიელის წინასწარმეტყველებაში. 78-ე ფსალმუნში ეკითხულობთ:

„გამოარჩია დავითი, თავისი მორჩილი, და გამოიყვანა ცხვრის ფარეხიდან, მწველათაგან მოიყვანა იგი თავისი ერის, იაკობის და თავისი სამკვიდროს, ისრაელის დასამწყემსავად. და მწყემსავდა მათ წრფელი გულით და თავისი მარჯვე ხელით მიუძღვოდა მათ“ (ფსალმ. 78:70-72).

დავითი ბოლომდე ინარჩუნებს მწყემსობის სახელს – თავად სახელი „დავით“ და ტიტული „მწყემსი“ ესქატოლოგიური შინაარსით იტვირთება, ესენია: მესიის საკუთარი სახელი და ზედწოდება – როგორც წინასწარმეტყველებს ეზეკიელი:

„მე დავიხსნი ჩემს ცხვარს და აღარ იქნებიან დატაცებულნი... ერთ მწყემსს დაეუყვნებ მათ და ის დამწყემსავს მათ. დავითი, ჩემი მსახური, დამწყემსავს მათ: ის იქნება მათი მწყემსი. მე – უფალი, მათი ღმერთი ვიქნები, ხოლო დავითი, ჩემი მორჩილი, წინამძღოლი იქნება მათი“ (ეზეკ. 34:22-24).

ამრიგად, შვიდში არ აღმოჩნდა ის, რომელსაც ეძებდა სამუელი, მაშინ იესემ საძოვრებიდან დაიბარა უმცროსი ვაჟი, ნაბოლარა, რომელზედაც დამყარებული იყო ხსნის იმედი და, უფრო ფართო მასშტაბით, ესქატოლოგიური იმედი. მაგრამ არც ამ შემთხვევაში არაფერია ნათქვამი რჩეულის ღირსებებზე, თითქოს ერთადერთი მისი ღირსება უმრწემესობა ყოფილიყო. ერის ისტორიაში, გენეალოგიურ თქმულებებში ძლიერად იყო ჩაბეჭდილი უმცროსობის უპირატესობა. ეს უპირატესობა იმდენად ნამდვილი იყო მისი ისტორიაში რეალიზაციის ძალით, რომ ესაია წინასწარმეტყველის ბაგეებში ანდაზურ ჭეშმარიტებადაც კი ქადაგებს: „მცირე ათასად გადაიქცევა და უმრწემესი – დიდ ხალხად“ (ეს. 60:22).

გარეშე დამკვირვებლისათვის გაუგებარია ეს არჩევანი – არავითარი ხილული ნიშანი ღირსებისა, არც რაიმე მინიშნება შინაგანი თვისებისა, რომლის მატარებელი უნდა იმსახურებდეს მეფობას თუ ხალხის წინამძღოლობას. იქმნება შთაბეჭდილება, რომ უფალი ირჩევს მას ისეთს, როგორც არის იგი. საუდიც ისეთივე აირჩია, როგორც იყო იგი თავისი ხილული და უხილავი ნაკლოვანებებით, რომლებიც შემდეგ გამოვლინდებოდა ან, შეიძლება, არც კი გამოვლენილიყო. უფალს არ გარდაუქმნია იგი, არ შეუცვლია მისი პიროვნება, არ შეხებია მის შინაგან ბირთვს, რომელიც ყოველ კერძო შემთხვევაში წარმოშობს საკციელს. უფალმა მასში დატოვა ხელუხლებლად თავისუფალი ნება, მორჩილებისაკენ თუ ურჩობისაკენ ადამიანის მიმდრეკელი. ყველა პოტენცია, რომელიც მერე იჩენს თავს საულის ცხოვრებაში, იმთავითვე იყო მასში. მეფედ ცხვამ, რაც მდგომარეობდა წმიდა ზეთის მეოხებით ღვთის სულის მასზე გადმოსვლაში, მას მხოლოდ ქარიზმა, დაელოთ მისცა დასაზღვრული ვადით, რათა სასიკეთოდ წარემართა თავისი მოქმედება და მორჩილი ყოფილიყო უფლის ხმისა, რომელმაც უბოძა ეს სული, როგორც მეფეს და არა კერძო ადამიანს.

ასევე დავითიც არ იყო სრულყოფილი ადამიანი. იგი რჩება ისეთად, როგორც იშვა იესესგან, ცოდვისკენ მიდრეკილი, როგორც ყოველი ადამიანი. ღვთის სული, რომელიც გადმოვიდა მასზე სამუელის ხელით ზეთისცხებისას, კი არ გარდაქმნის მას ახალ ადამიანად, სხვა ბუნების კაცად, არამედ აძლევს ძალას ხალხის გასაძლიერად, მეფობის წარსამართლავად. ღვთის სული არ ეძლევა კერძო ადამიანს, არამედ მეფეს და ამიტომაც ეკრძალება მას მისი გამოყენება პირადი მიზნებისათვის.

დავითის ბედი, განსაკუთრებით მისი ცხოვრების პირველ პერიოდში, გადაჯაჭვულია საულის ბედთან. მათ ურთიერთობაში ვლინდება ორი განსხვავებული ტიპი ადამიანისა. ეს ურთიერთობა, რომელიც დრამატულია და სახიფათო ორივესათვის, გამოაჩენს თითოეულ მათგანში ისეთ თვისებებს, როგორნიც არასოდეს გამოვლინდებოდა, რომ მათი შეხვედრა არ მომხდარიყო. დავითი და საული ერთმანეთს ქმნიან, შეიძლება ითქვას, ეს ურთიერთობა ერთს აღაზვევებს მაღალ ზნეობაში, რომლისთვისაც არც ერთ პიროვნებას ძველი აღთქმის განმავლობაში არ მიუღწევია, და მეორეს ისე გასტანჯავს შურით და ეჭვით, ისე დასცემს, როგორც მცირენი თუ დაცემულად მეფეთაგან.

დავითისა და საულის შეხვედრის ორი ვარიანტი შემოინახა ძველი აღთქმის ტრადიციამ. დავითი უნდა მოხვდეს საულის კარზე, მაგრამ როგორ? კანონიკური ტექსტი (სხვა ტექსტი კი არ არსებობს) საულის ცნობილ შავნადვლიანობას ხსნის იმით, რომ „განეშორა საულს უფლის სული და დაუწყო მას წვალება ბოროტმა სულმა უფლისა-

გან“ (1მეფ. 16:14). მისგან უფლის სულის განშორება კი უშუალოდ დაკავშირებულია დავითის მეფედ ცხებასთან ბეთლემში, რომელიც საიდუმლოდ უნდა მომხდარიყო, როგორც საულის მეფედ ცხება მოხდა. „აიღო სამუელმა რქა და სცხო მას მისი ძმების თანდასწრებით. ამ დღიდან და მერეც უფლის სული წარმართავდა დავითს... განეშორა საულს უფლის სული...“ (1მეფ. 16:13-14). ხომ არ შეიძლება, რომ დვითის სული ერთდროულად ყოფილიყო დავანებული რჩეულზე და განყენებულზე? უფალმა მიატოვა საული და ბოროტ სულს გაუხსნა გზა მის ბუნებაში. ჩანს, ეს იყო დვითის სასჯელი, მაგრამ საბედისწერო ის იყო, რომ საულის გვემული სულის შემსუბუქება დაევა ახლადცხებულ დავითს:

„უთხრეს მისმა მსახურებმა საულს: აჰა, ბოროტი სული დვითისაგან გაშვოთებს შენ. უბრძანოს ჩვენმა ბატონმა შენს მსახურთ, მოძებნონ კაცი, ქნარზე დამკვრელი, და, როცა შემოგაწვება ბოროტი სული დვითისაგან, დაუკრავს და შეგება მოგეცემა. უთხრა საულმა თავის მსახურთ: მომიძებნეთ კაცი, კარგად რომ უკრავდეს ქნარზე, და მომიყვანეთ. მიუგო ერთმა მსახურთაგანმა და უთხრა: ბეთლემელი იესეს შვილი მეგულეა, იცის ქნარზე დაკვრა, ქველი და მამაცი კაცია, სიტყვაგონიერი და ლამაზი. უფალია მასთან...“ (1მეფ. 16:15-18).

ასე მოხვდა დავითი საულთან და „როცა კი შემოაწვებოდა ბოროტი სული დვითისგან საულს, აიღებდა დავითი ქნარს და უკრავდა. ამისუნთქებდა საული, უკეთ ხდებოდა, გაეცლებოდა ბოროტი სული“ (1მეფ. 16:23). მაგრამ ყოველთვის ასე მშვიდობიანად არ მთავრდებოდა ბოროტი სულის შემოწოლა: უფრო ხშირად საულის შუბი განსაგმირავად ემუქრებოდა დავითს, რისთვისაც საულს საბაბად ჰქონდა ჯერ ეჭვი, რაკი ახსოვდა სამუელისაგან მასზე უკეთესი რჩეულის არსებობის შესახებ ისრაელში, და მერე შური. რაც შურს შეეხება, საამისო საბაბიც ჰქონდა საულს. ამ მოტივზეა აგებული მათი შეხვედრის, უფრო სწორად, დავითის საულის კარზე მოხვედრის მეორე ვერსია.

ეს არის ცნობილი ეპიზოდი, სადაც დავითი ამარცხებს ფილისტიმელთა ბუმბერაზს, სახელად გოლიათს, და იხსნის ისრაელის ლაშქარს სირცხვილისაგან და დაწვევებს ბრძოლის ბედს. ეს ეპიზოდი მოთხრობილია მე-17 თავში, რომელიც უშუალოდ მოსდევს დავითის მეფედცხებისა და საულთან მისი მიყვანის ამბავს. მე-16 თავში ჩვენ ვეცნობით დავითს, როგორც ფარულ ცხებულს და მემუსიკეს. ახლა კი დავითმა როგორც მხსნელმა გამოიჩინა თავი.

არის აშკარად ზღაპრული ელემენტი ამ ეპიზოდში, თუმცა ეჭვს არ უნდა იწვევდეს ამის გამო მე-17 თავში გადმოცემული ამბავი. ყრმა, დარწმუნებული თავის დავლათში (ის, ცხადია, გრძნობდა უფლის სულს თავის თავში), გაბედულად ჩაება ორთაბრძოლაში, რომლის შედეგს უნდა გადაეწყვიტა ბედი ბრძოლისა ისრაელსა და ფილისტიმელთა შორის. აქ არაფერია დაუჯერებელი (მსგავსი ასპარეზობა „ბაში-ანუკშიც“ არის მოთხრობილი), ოღონდ ყრმა დავითი გვაგონებს ზღაპრის გმირს, ხშირად გლეხის ბიჭს, გოლიათი – სამეფოზე მიჩენილ, მოურევულ ძალას, ხშირად გველემშაპს, საული კი – ქვეყნის მეფეს, რომელიც თავის ასულს ჰპირდება იმ გმირს, ვინც იხსნის ქვეყანას გველემშაპისაგან. ამ გმირს, რომელსაც ხშირად ძმებიც ჰყავს და, თუ ჰყავს, თავად უმცროსია და უფროსნი ვერ უყურებენ მას მაინც და მაინც ძმურად, აქვს რაღაც ჯადოსნური საგანი, რაღაც გადებული მსხვერპლის სანაცვლოდ მოპოვებული, ან როგორც ჯიღლო კეთილი სამსახურისა თუ მისი ბუნებრივი სიკეთისათვის, რაც არ ჩანს და, შესაძლოა, არც არასოდეს გამოჩნდეს; საგანი, რომლითაც ის ძღვეს მასზე ათასწილად აღმატებულ ფიზიკურ ძალას, – ზღაპრის სიმბოლიკით, ეს საგანი ზღაპრის გმირის სწორედ ამ დაფარული, მისი მფლობელისთვის გაუცნობიერებელი სიკეთის გამოხატულებაა – გასაგნებული სიკეთე.

რა იმედით გადიოდა აშკარად უთანასწორო ორთაბრძოლაში დავითი, ეს მხოლოდ ერთმა ღმერთმა უწყოდა.

გოლიათის ეპიზოდში ავტორს ისე შემოჰყავს დავითი, თითქოს ის მკითხველისთვის უცნობი იყოს, თითქოს პირველად აცნობდეს მას;

„დავითი იყო შვილი იმ ეფრათელისა, იუდას ბეთლემიდან, რომელსაც სახელას ერქვა იესე და რვა შვილი ჰყავდა. საულის დროს მოხუცებული იყო ეს კაცი, ხანდაზმული. წაჰყვა საულს ბრძოლაში იესეს სამი უფროსი ვაჟიშვილი; ომში წასული მისი

ვაჟიშვილის სახელები იყო: პირმშოსი ელიაბი, მომდევნოსი ამინადაბი, მესამესი შამა. დავითი კი მათზე უმცროსი იყო. წაჰყვა სამი უფროსი საულს...” (1მეფ. 17:12-14).

მამა აგზავნის ძმებთან უმცროსს, რომელიც უნდა იყოს მისი საყვარელი შვილი; მამა მოხუცებულია – ამას ხაზს უსვამს ტექსტი. უფროსი ძმები მაინც და მაინც არ უნდა იყვნენ კეთილად განწყობილნი უმცროსისადმი, რადგან სწორედ მათ თვალწინ გამოარჩია სამუელმა უმცროსი, როცა ზეთი სცხო მას, თუმცა ეს რიტუალი საიდუმლოდ უნდა შესრულებულიყო; მოხუცებული მამა კი, როგორც იაკობი იოსებს, აგზავნის ძმებთან – მათ მოსაკითხად და მათი ამბის მოსატანად სახლში. უფროსი ძმები – სამნი ორმოცი დღის განმავლობაში შემსწრენი არიან გალადებული გოლიათის საქციელისა – როგორ არცხვენს იგი და სასაცილოდ იგდებს უფლის რჩეულ ხალხს – და მათი მეფის უმწეობისა. ბანაკში მისული დავითი ისმენს გოლიათის თავხედურ სიტყვებს, მეფის პირობას, რომ გოლიათის მძღვევებს აძლევს იგი თავის ასულს; და ისმენს აგრეთვე უფროსი ძმის გესლიან საყვედურს, დაუფარავი სიძულვილით ნათქვამს: „რისთვის ჩამოხვედი აქ? ვის დაუტოვე ის მცირე ფარა უდაბნოში? ვიცი შენი ამპარტავნებისა და შენი ავგულობის ამბავი; მხოლოდ ბრძოლის საყურებლად ხარ ჩამოსული“ (1 მეფ. 17:28).

საულის ყურამდე მიიტანეს სიტყვა, რომ დადის ბანაკში ტანმორჩილი ყრმა და ყველას ეკითხება, თუ რა ბედი მოეწიეს კაცს, ვინც იმ ფილისტიმელს დაამარცხებს და სირცხვილს მოხოცავს ისრაელს; და კიდევ ამბობს მუქარით და დარწმუნებით: „ვინ არის ეგ წინდაუცკეთელი ფილისტიმელი, ასეთ სირცხვილში რომ აგდებს დღეს დვითის რაზმებსო?“ (1მეფ. 17:26). და, როცა წარუდგინეს საულს ეს უცნობი ყმაწვილი, რომელიც გაწვეულიც კი არ იყო ჯარში, მეფეს ესმის მისგან ეს სიტყვები:

„ნურავის გული ნუ შედრეკება მის წინაშე. წავა შენი მსახური და შეებრძოლება ამ ფილისტიმელს“ (1 მეფ. 17:32).

არც მახვილით ან შუბით (ისრაელიანი ჯარისკაცის ჩვეულებრივი იარაღით), არც ჯავშანში ჩამჯდარი და არც თავმუზარადიანი (მან უარი თქვა მეფის შემოთავაზებულ სრულ აღჭურვილობაზე) არ გასულა გოლიათის წინაშე დავითი. გავიდა ის გარეგნულად სრულიად დაუცავი, როგორც დადიოდა თავის სამწყესურში. რა იყო მისი იარაღი? კომბალი – მისი მწყემსობის ნიშანი და ხუთიოდე რიყის ქვა და შურდული. ასეთმა აღჭურვილობამ მოულოდნელად გამოარჩია დავითი მთელი ისრაელიდან. თუ საული ერთი თავით მაღალი იყო ყველა დანარჩენ თავის თვისტომზე, დავითის სიქველე დაფარულია ყველასაგან, როგორც მწყემსის გულაში ჩაწყობილი საშურდულე ქვები. ერთადერთი საჩინო საგანი – კომბალიც (მას კვერთხის ღირსება უნდა მიანიჭებოდა მომავალში) არ აღიქმებოდა საბრძოლო იარაღად, „ძალი ხომ არა ვარ, ჯოხით რომ გამოდიხარ ჩემთანო“ მოესმა დავითს შეურაცხყოფილი ბუმბერაზის სიტყვები.

შურდული დავითის ხელში ის ჯადოსნური იარაღია, რომელსაც ზღაპრის გმირი იპოვებს თავისი შინაგანი ღირსების ჯილდოდ; ამავე დროს, შურდული გამოხატავს ადამიანური გონების ძლევა-მოსილებას, მის უპირატესობას ბრმა და უსახური ფიზიკური ძალის წინაშე. დავითი იმავე გზით – გამჭრიახობით და მახვილი გონებით – იმარჯვებს, როგორც იმარჯვებენ ჩვენთვის ნაცნობი ოდისევსი (ცალთვალა ბუმბერაზის მძღვეველი), დევთან მებრძოლნი ჩვენი ჯვარ-ხატები (დვითისშვილნი), ან თუნდაც ნაცარქექია, ამოუწურავ შესაძლებლობათა დამმარხველი, რომელიც გადამწყვეტ წამებში არადჩასაგდებ, ყოფით საგნებს ძლევა-მოსილ იარაღებად აქცევს.

„ჩაყო ხელი დავითმა გულაში და ამოიღო იქიდან ქვა, სტყორცნა შურდული და შიგ შუბლში მორტყა ფილისტიმელს. შუბლში ჩაეჭედა ქვა და პირქვე დაემხო ფილისტიმელი“ (1მეფ. 17:49).

ამ ორთაბრძოლამ დასაბამი მისცა საულის ლაშქრის გამარჯვებებს ფილისტიმელებზე.

აი, მაშინ იკითხა საულმა (ეს არის მეორე ვერსია საულისა და დავითის დაახლოებისა) დავითის ვინაობა და ის მეორედ წარუდგინეს მეფეს, ამჯერად უკვე არა როგორც მემუსიკე – ქნარზე დამკვრელი, არამედ როგორც გმირი. მათი შეხვედრა გადმოცემულია უკიდურესი დაწურვით, თითქოს მხოლოდ და მხოლოდ როგორც ცნობა, მაგრამ ამ სიმშრალეში და სიტყვიერ სიძუნწეში ჩანს საულის მეფური, თან მამაშვი-

ღური ღირსება, ხოლო გამარჯვებული ყრმის თავმდაბლობა და მორჩილება. დასაწყისი საკეთილდღეო იყო.

„როცა დაინახა საულმა ფილისტიმელის წინააღმდეგ გამავალი დავითი, ჰკითხა აბნერს, მხედართმთავარს: ვისი შვილია ეს ყმაწვილი, აბნერ? მიუგო აბნერმა: შენს თავს გეფიცები, არ ვიცი, მეფეო. თქვა მეფემ: იკითხე, ვისი შვილია ეს ჭაბუკი. როცა დაბრუნდა დავითი ფილისტიმელის დამარცხების შემდეგ, ხელი მოჰკიდა მას აბნერმა და წარუდგინა საულს; ხელში ფილისტიმელის თავი ეჭირა. უთხრა საულმა: ვისი შვილი ხარ, ყმაწვილო? მიუგო დავითმა: შენი მსახურის, იესეს შვილი ვარ, ბეთლემელის“ (1მეფ. 17:55-58).

საულის კარზე გამოსცადა პირველად დავითმა საკუთარ თავზე შურისა და ეჭვის დაუძლეველი ძალა საულისაგან და ასევე დაუძლეველი მეგობრული სიყვარული მეფის ძის, იონათანისა. „შეეკრა იონათანის სული დავითის სულს და შეიყვარა იგი იონათანმა, როგორც საკუთარი თავი... შეეკრა იონათანმა დავითთან კავშირი, რადგან შეიყვარა იგი როგორც საკუთარი თავი. გაიძრო მოსასხამი იონათანმა, თან რომ ჰქონდა, და მისცა დავითს, აგრეთვე შესამოსელი, მახვილი, მშვილდი და სარტყელი“ (1მეფ. 18:1-4).

ძმადშეფიცვის ამ აქტმა, თითქმის რიტუალურმა და სიმბოლურმა მოქმედებამ, განსაზღვრა დავითის შემდგომი ბედი – მისი ურთიერთობა არა მხოლოდ იონათანთან, არამედ გააძლიერა მისი მოწიწება საულის წინაშე, არა როგორც მხოლოდ მეფის, არამედ ძმადნაფიცის მამის წინაშეც.

ერთგულობდა დავითი საულს სიცოცხლეშიც და მისი სიკვდილის შემდეგაც პატრონობდა მის შთამომავლებს, ერთი სიტყვაც არ დასცდენია მის მიმართ სააუგო და არც საქმით ცდილა გაესწორებინა მისთვის ანგარიში, თუმცა საამისო შემთხვევა ბევრჯერ მიეცა მას. საულის სიცოცხლეში დავითი ავლენდა პატიოსნების, სიქველის, რაინდობის, მორჩილების და შვილობრივი სიყვარულის მაგალითს მეფისადმი, რომელიც თითქმის დღიდან გოლიათის დამარცხებისა მოსისხლე მტრად გადაეკიდა მას. საულში იძალა შურმა ჭაბუკი ქვეშევრდომის მიმართ, როცა ბრძოლიდან დაბრუნებულს მოესმა ქალების გუნდის მიერ სახელდახელოდ შეთხზული სიმღერა: „შემუსრა საულმა თავისი ათასი, ხოლო დავითმა თავისი ათიათასიო!“ ეს სიტყვები საკმარისი იყო შურის აღსაძვრელად და საულმა თითქოს იწინასწარმეტყველა: „მეფობადა აკლია!“ ეს ეჭვი, ცხადია, არ იყო უსაფუძვლო, მხოლოდ მისი ავადმყოფური გონების ნაყოფი. ხომ ნამდვილად ცხებული იყო დავითი და, ამგვარად, მისი მეტოქე, თუმცა საულს ეს ამბავი არ შეიძლება დაბეჯითებით სცოდნოდა. ის მხოლოდ გრძნობდა შინაგანად, რომ უფალს ჰყავდა მიტოვებული, და სამუელიც, დავითის მცხებელიც, აღარ ეკარებოდა იმ შეხვედრის შემდეგ გილგალში, სადაც მან ამხილა იგი უფლის ურჩობაში და უფლის ნებაც გამოუცხადა, რომ „გამოგლეჯდა“ მეფობას, რომ უფალს ამორჩეული ჰყავს სამეფოდ მასზე ღირსეული.

ნება უფლისა, რომელიც მას გამოუცხადა სამეფლმა, უკვე აღსრულებული იყო: სამეფო, მეფობა, უკვე წართმეული ჰქონდა მას, ხოლო უფლის სულის ნაცვლად, ბოროტი სული იყო მასზე მოვლენილი უფლისაგანვე. ის სამეფო დავლათი, რომელსაც იგი ვეღარ განიცდიდა საკუთარ თავში, ახლადმოვლენილ ყრმაში იყო გადასული. ამას გრძნობდა საული: „შეშინდა საული, რადგან უფალი იყო დავითთან, საულს კი განეშორა“ (1მეფ. 18:12).

საულის წინაშე სრულიად უდანაშაულო დავითს ჰქონდა ერთი დანაშაული: ის გულის სიღრმეში გრძნობდა – ეს არასოდეს არ ყოფილა გარკვევით გამოთქმული, – რომ ის ისრაელის მეფედ იყო მოწოდებული, ყოველ შემთხვევაში, შინაგანად განიცდიდა უფლის სულის შემწეობას არა მხოლოდ ცხების შემდეგ, არამედ მანამდეც, როცა მამამისის ფარას მწყემსავდა, რადგან მწყემსსაც ესაჭიროებოდა ღვთის შეწევნა. დავითის შინაგანი დარწმუნებულობა თავის დავლათში, რომ ეს ნამდვილად ღვთისაგან მობერილი ქარიზმა იყო, გამოჩნდა იმ სიტყვებში, რომლებიც საულმა მოისმინა მისგან. საული აკავებდა მას ფილისტიმელ ბუმბერაზთან ბრძოლისაგან, „რადგან ჯერ ბავშვი ხარ, ის კი მებრძოლია სიყრმითგანვეო“, მაგრამ როგორ პასუხობს დავითი? რა ჩანს დავითის პასუხში, რა მომავალი გამოკრთა მის პასუხში მეფის მამაშვილურ რჩევაზე?

„უთხრა დაითმა საულს: მწყემსავდა შენი მსახური თავისი მამის ფარას და, როცა დაეცემოდა ლომი ან დათვი და გაიტაცებდა ფარიდან ცხვარს, გავეკიდებოდი, ვკლავდი და პირიდან გამოვგლეჯდი ხოლმე... ლომსაც და დათვსაც ამარცხებდა შენი მსახური, ამ წინდაუცვეთელ ფილისტიმელსაც იგივე დაემართება, რადგან სირცხვილში აგდებს იგი ცოცხალი ღვთის რაზმებს. თქვა დაითმა: უფალი, რომელიც დამისწინადა ხოლმე ლომისაგან ან დათვისაგან, ახლაც დამისწინის ფილისტიმელისაგან...“ (1მეფ. 17:34-37).

ამ სიტყვებში ჩანს გამოუცდელი ჭაბუკის დარწმუნებულობა იმაში, რომ მწყემსობა მისთვის მოსამზადებელი საფეხურია ხალხის წინამძღოლობისაკენ. თუ წინათ ის მამის ფარას მწყემსავდა და უგერიებდა მტაცებელ მხეცებს, ახლა მას შეუძლია, შესაძლებელია, ვაძლავდეს არის, დამწყესოს უფლის, თავისი ზეციური მამის სამწყსო – ისრაელი. დაითისათვის ეს ერთი და იგივე საქმიანობაა, ოღონდ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ასპარეზზე განხორციელებული. მწყემსობის ღირსება მისი ხალხის ისტორიაშია დადასტურებული: მწყემსი იყო მოსე, სანამ იგი ხალხს გამოიყვანდა ეგვიპტიდან; ის ჯერ თავისი სიმამრის ფარას მწყემსავდა უდაბნოში (სწორედ ამ სამწყესურში აღმოაჩინა მან ღვთის გამოცხადების მთა) და მერე შეუდგა თავისი ხალხის მწყემსვას. როგორც მოსესათვის, ასევე დაითისათვის ხალხის წინამძღოლობა იყო იგივე მწყემსობა, მაღალ რანგში აყვანილი. წინასწარმეტყველთა ესქატოლოგიურ სიმბოლიზმში მწყემსი მეფის სინონიმი და ამ სიმბოლიკას ფესვი რეალურ ნიადაგში უდგას. ასე იყო მთელს ახლო აღმოსავლეთში: ჯერ კიდევ შუმერისა და შემდეგ ბაბილონისა თუ აშურის მეფეები ატარებდნენ მწყემსის ტიტულს, რომლის შინაარსი დაფუძნებული იყო ხალხის წინამძღოლობისა და პატრონობის იდეაზე. „რა არის ხალხი თვინიერ მეფისა? მხოლოდ ცხვრის ფარა, უმწყემსოდ შთენილი!“ ამბობს ერთი შუმერული ანდაზა.

ხალხი უფლის ერია, ხოლო მისი წინამძღოლი – მეფე უფლის ნებით დაყენებული მწყემსი. ის პერიოდი დაითის ცხოვრებისა, როცა დაითი მწყემსავდა თავისი ხორციელი მამის ფარას, უნდა გავიგოთ როგორც სიმბოლური წინასწარმოსწავება იმ პერიოდისა, როცა დაითი კვერთხით ხელში ჩაუდგება სათავეში თავის ზეციური მამის ფარას. როგორც ცხვრის პატრონი ეძებს ერთგულ მწყემსს, ასევე უფალი – რჩეული ხალხის პატრონი ეძებს ერთგულ წინამძღოლს. ეს სულისკვეთება გამოხატული ზემოთყვანილ ესქატოლოგიურ ნაწყვეტში ეხეკიელის წინასწარმეტყველებიდან: „მე დავისწინა ჩემს ცხვარს და აღარ იქნებიან დატაცებულნი... ერთ მწყემსს დავუყენებ მათ და ის დამწყემსავს მათ; დაითი, ჩემი მსახური, დამწყემსავს მათ, ის იქნება მათი მწყემსი...“

ამრიგად, გულმართალი ყრმის სიტყვებში მეფისადმი, გამოსჭვივოდა, რომ მისი კომბალი ერთ მშენიერ დღეს სამეფო კვერთხად გარდაიქმნებოდა. საულის სასმენელნი დახშული არ ყოფილა ამ სიტყვების მიმართ.

როცა საულისთვის ცხადი გახდა, რომ დაითია მისი მეტოქე სამეფო ტახტზე – თუმცა დაითი არც აპირებდა რაიმე ეღონა ზეთისცხების მეოხებით მიღებული პოტენციური მეფობის გასანადღებლად, – ის უკვე აღარ მაღავდა თავის მტრობას მის მიმართ და ხელსაყრელ შემთხვევას ეძებდა მის მოსაკლავად, რისხავდა შვილს იონათანს, ჩააგონებდა მას: „ვიდრე ცოცხალია იესეს ძე ამქვეყნად, ვერც შენ განმტოცდები და ვერც შენი მეფობა განმტოცდებო“ (1მეფ. 20:31); იონათანი კი, მისი მეგობარი, რომელსაც საკუთარ თავზე მეტად უყვარდა იგი, ესარჩლებოდა მას მეფის წინაშე, თუმცა მანაც იცოდა, რომ სამომავლოდ ტახტი დაითსა და მის შთამომავლობას უნდა დარჩენოდა. დაითი ორჯერ დაუსხლტა საულის ნასროლ შუბს მისი გაშმაგებისას, როცა ბოროტმა სულმა შეიპყრო იგი, დაითი კი ქნარს უკრავდა დასამშვიდებლად. მაგრამ ამას იყო ქნარის ხმა, „უნდოდა საულს კედელზე მიეგმირა შუბით, მაგრამ გაუსხლტა დაითი და კედელს მოხვდა შუბი. დაითი კი გაიქცა და ასე გადარჩა სიკვდილს იმ დამეს“ (1მეფ. 19:10). მეორედ დაითი მისმა ცოლმა, საულის ასულმა მიქალმა, რომელსაც უყვარდა, იხსნა. ბოლოს კი, იონათანმა, რომელმაც ხელი შეუწყო საბოლოოდ გარიდებოდა საულს და სამეფო კარს, და დაეტოვებინა ქვეყანა, გადახვეწილიყო უცხო მხარეში, სადაც საულის შუბი ვერ მისწვდებოდა.

ორი ხანაა დაითის ცხოვრებაში – ხეტიალისა და დამკვიდრებისა. ის ხეტიალობს როგორც კაენისაგან დევნილი მწყემსი აბელი. თავისი ცხოვრების ამ პერიოდში ის ახორციელებს იდეალს იმ დაღუპული აბელისა, რომელსაც სწყალობდა ღმერთი.

ღმერთი დავითან არის და არა საულთან, რომელიც დამკვიდრებულია მიწათმოქმედი კავშირით, მაგრამ შინაგანად ხეტილობს, ძრწვის, იტანჯება ბოროტი სულისაგან, როგორც კენი, რომელიც გადაიხვეწა „ძრწოლისა“ და „ხეტილის“, „წრიალის“ მხარეში (ასე ითარგმანება ქვეყნის სახელი *ნოდ*, სადაც დამკვიდრდა კენი).

დავითის დევნილება და გასვლა ქვეყნიდან გამოსატაცეს ისრაელის წარსულს, როცა ის უდაბნოს გზით მიდიოდა ქვეყნისაკენ, და მომავალსაც, როცა დადგა დიდი განფანტვის ხანა. ჭეშმარიტ მეფეს თითქოს უნდა გაემეორებინა თავისი ხალხის ისტორია, როგორც ძველ მითოსში მწყემსი იმეორებს ანუ, უფრო სწორად, იზიარებს თავისი სამწყვსოს ბედ-იღბალს; თითქოს ხეტიალი უნდა ყოფილიყო დავითისათვის სამეფოდ მზადება, უდაბნოს ქრონოტოპულ ვითარებაში უნდა დაბადებულიყო ის მეფედ, როგორც ისრაელი იშვა ხელახლა, როგორც უფლის ერი, უდაბნოში ორმოცი წლის ხეტიალისას.

მაგრამ ეს გასვლა ქვეყნიდან, რამაც განსაკუთრებული როლი შეასრულა დავითის, როგორც პიროვნების და როგორც მეფის, ჩამოყალიბებაში, სამძიმო ვითარებას უქმნიდა დავითს, როგორც ერთ კერძო ისრაელიანს, უფრო შორს რომ წავიდეთ ერის გენეზისამდე, აბრაამის წიაღიდან გამოსულს. ამ განდევნით დავითი წყდებოდა იმ მიწას, რომელიც უფლისაგან მიეცა მის მამა-პაპას და პირადად მასაც, როგორც წილის მქონებელს ამ მემკვიდრეობაში. იგი მოიკვეთა ქვეყნიდან არა მხოლოდ როგორც საცხოვრებელი ადგილიდან, არამედ საწმიდარიდან და ღვთის თავყვანისცემისაგან, რადგან სხვაგან, ამ ქვეყნის გარეშე, ისრაელიანისათვის წარმოუდგენელი იყო ეროვნული ღმერთის მსახურება; რადგან უფალი (იაჰვე) ღმერთი ჯერ კიდევ არ იყო მათ შეგნებაში უნივერსალური ღმერთი, რომ მისი სამსხვერპლო აღთქმული ქვეყნის გარდა სხვაგან სადმე აშენებულიყო. ამ განდევნით საულმა დავითს ფეხი ამოუკვეთა არა მხოლოდ სამკვიდროდან, არამედ საწმიდარიდან. ის უნდა დარჩენილიყო თავისი ღმერთის პატრონობის გარეშე და სხვა, უცხოთა ღმერთებს უნდა შეხიზნებოდა.

„ახლა ისმინოს მეფე ბატონმა თავისი მსახურის სიტყვები: თუ უფალმა წაგაქეზა ჩემს წინააღმდეგ, სურნელოვანი იყოს ეს მსხვერპლი; თუ ადამიანებმა – წყევლიმც არიან ისინი უფლის წინაშე, რადგან მათ განმდევნეს მე დღეს, რომ წილი არ მქონოდა უფლის სამკვიდროში, და მითხრეს, წადი, უცხო ღმერთებს ემსახურე“ (1 მფ.26:19).

ეს სიტყვები გადასძახა შორიდან საულს უდაბნოში, ბორცვიდან მას შემდეგ, რაც საულის ბანაკში იდუმალ შედწეულმა შუბი და მათარა აართვა მძინარე მეფეს და წაიღო იმის ნიშნად, რომ იგი არასოდეს აღმართავდა ხელს უფლის ცხებულზე. უდაბნომ, როგორც განსაცდელმა, წარმოაჩინა დავითის საუკეთესო ზნეობრივი თვისებები, მაგრამ ავიდა თუ არა ტახტზე, დაკარგა სიმაღლე. ტახტზე ასვლის შემდეგაც, როცა ის მყარად დამკვიდრდა იერუსალიმში, რომელიც მან პირველმა აქცია დედაქალაქად და სადაც განიცადა დევნილება, ამჯერად უკვე მოჯანყე შვილისა, და ესეც განსაცდელი იყო. ხეტიალსა და უმკვიდრობაში, რომლითაც ის თითქოს ახორციელებს ღვთის სათნო აბელის იდეალს თავისი ცხოვრების პირველ პერიოდში, დავითი თანაზიარია ისრაელის უდიდესი სიწმიდის – უფლის კიდობნის ბედისა, რომელიც იესეს ძესავით უცხო ქვეყანაში იმყოფებოდა როგორც ტყვე და ტყვეობიდან თავდასხნის შემდგომ მიმოდოდა, იცვლიდა ადგილსამყოფელს, ვიდრე საბოლოოდ იერუსალიმში არ დამკვიდრდა გამეფებულ დავითთან ერთად.

საულის აღსასრული

ყველა თავისი ბედისწერით კვდება, ყველას თავისი განსაკუთრებული სიკვდილი აქვს. იაკობი მოკვდა ხანსრული, წლებით მაძღარი, ტკბილ სიბერეში, ვაჟიშვილებით და შვილთაშვილებით გარშემორტყმული, იმ შვილის ხელში, რომლის გამო ამბობდა, მგლოვიარე ჩავალო ჩემს შვილთან შავეთში. აბრაამი, ისაკი, იაკობი, – ერის მამათავრები, მწყემსები, მშვიდობიანი ხალხი იყო და მშვიდად დატოვეს წუთისოფელი. როგორ მოკვდა საული, რომელმაც ბრძოლაში გაატარა მთელი ცხოვრება და ღხინის დროსაც კი, თავისი ერთგული ხალხით გარშემორტყმულს, შუბი ჰქონდა ხელში ჩაბ-

ღუჯული? თითქოს ელოდა ბოროტი სულის მობერვას, რომ ეჭვებით გასენილს თავისი მოყვასი გაეგმირა. შეიქმნებოდა თუ არა მისთვის ეს შუბი საბედისწერო?

„მეფეთა წიგნებმა“ საულის სიკვდილის ორი ვერსია შემოინახა, ორივე ჩაწერილ იქნა ერთმანეთის მიყოლებით: ბიბლია არ უფროსის გარეგან წინააღმდეგობებს; ის არ ფიქრობს, რომ რაც მოხდა, სწორედ ისე მოხდა, როგორც უნდა მომხდარიყო. ბიბლია უტოვებს შემთხვევას სხვა შესაძლებლობასაც, რომ უფრო ამომწურავად გამოჩინდეს შემთხვევის მნიშვნელობა და იქ მოხვედრილი ადამიანის უკანასკნელი საქციელი. პირველი ვერსია.

„მეწიგნენ ფილისტიმელები საულს და მის ვაჟებს და დახოცეს ფილისტიმელებმა იონათანი, აბინადაბი და მალქი-შუაყი – საულის შვილები. გაუძნელდა ბრძოლა საულს. ნიშანში ამოიღეს იგი მშვილდოსნებმა და მიიმედ დაჭრეს იგი მშვილდოსნებმა. უთხრა საულმა თავის საჭურველთმტვირთველს: იშიშვლე მახვილი და გამიყარე, რომ წინდაუცვეთელებმა არ მომკლან და არ შეურაცხმეონ. ვერ გაბედა საჭურველთმტვირთველმა, რადგან ძალიან ეშინოდა. მაშინ აიღო საულმა მახვილი და ზედ დაეგო. როცა დაინახა საჭურველთმტვირთველმა, რომ მოკვდა საული, ისიც ზედ დაეგო მახვილს და მოკვდა მასთან ერთად“ (1მეფ. 31:2-5).

ვინ უნდა ყოფილიყო შემსწრე ამ ტრაგიკული სცენისა? ვის უნდა მოესმინა პატრონისა და მისი მორჩილის უკანასკნელი დიალოგი? როცა მეფისწულნი და მისი თანამდგომნი დახოცილნი ეყარნენ მათ წინ? ვინ მოიტანა ეს ამბავი, რომ ყმამ არ შეასრულა მეფის უკანასკნელი ბრძანება, როცა არავინ იყო მის მეტი ბრძანების შემსრულებელი? ვინ ჩახედა მას სახეში, როცა მახვილჩაბღუჯული ხელი აუკანკალდა და ვერ აღმართა იგი ცხებულზე? „რადგან ძალიან ეშინოდა“? მაშინ ხომ არ აუკანკალდა ხელი, როცა მეფის კვალზე გულში იყრიდა მახვილს იმის დასადასტურებლად, – ვის წინაშე? მისი პატრონი მკვდარი იყო უკვე, – რომ საკუთარი სიცოცხლე არ ენანებოდა?

მოდარაჯე თვალი დაჰყურებდა მათ ზემოდან. ამ თვალით დანახულს აგვიწერს ბიბლია მეფეთა პირველი წიგნის დასასრულს.

მეფეთა მეორე წიგნი უბრუნდება ამავე ამბავს, არ ცნობს მას ამოწურულად. ეს ვერსია უნდა ავსებდეს წინამავალს, აზუსტებდეს საულის აღსასრულის სურათს.

„მოვიდა მესამე დღეს საულის ბანაკიდან კაცი, სამოსელი შემოგლეჯოდა და თავზე ნაცარი ეყარა. მოვიდა დავითთან, მიწაზე დაეკრდა და თავყანი სცა. უთხრა დავითმა: საიდან მოდიხარ? მიუგო: ისრაელის ბანაკიდან გამოვიქეცი. უთხრა დავითმა: რა ამბავი მოხდა, მიაბზე. უთხრა კაცმა: ხალხი გაიქცა ბრძოლის ველიდან. ბევრი ჩვენიანიც დაეცა და დაიხოცა, საულიც და მისი ვაჟიც, იონათანიც დაიხოცნენ. უთხრა დავითმა ყმაწვილკაცს, ამბის მომტანს: როგორ გაიგე, რომ დახოცილან საული და მისი ვაჟი იონათანი? მიუგო ყმაწვილმა კაცმა, ამბის მომტანმა: გილბოაყის მთაზე მოგხვდი და, ვხედავ, თავის შუბზეა საული წამოგებული და, აჰა, ეტლები და მხედრები უახლოვდებიან მას. უკან მოიხედა, დამინახა და დამიძახა. მივუგე: გისმენ, ბატონო-მეთქი. მითხრა: ვინა ხარ? მივუგე: ყმაღლეკელი ვარ-მეთქი. მითხრა: დამეცი თავს და მომკალი, რადგან საშინელ ტანჯვაში ვარ, ჯერ კიდევ მიდგას სული. მივედი და მოვკალი, რადგან ვიცოდი, რომ მაინც არ იცოცხლებდა დამარცხების შემდეგ. მოვხადე გვირგვინი, თავზე რომ ეხურა, ავართვი სამაჯური, ხელზე რომ ეკეთა, და აქ მოვუტანე ჩემს პატრონს...“ (2მეფ. 1:2-10).

ჭეშმარიტად ტრაგიკული სურათის შემსწრე შეიქნა ეს ყმაღლეკელი ყმაწვილი: ცა-სა და მიწას შორის, ყველასაგან მიტოვებული, თავის შუბს წამოგებული განწირული მეფე. ეტლები და მხედრები გრიალით უახლოვდებიან. ყმაღლეკელს ნამდვილად საულისაგან უნდა მოესმინა ეს სიტყვები, რომლებიც გამარჯვებულ დავითს მოახსენა. მან მოისმინა საულის შინაგანი ხმა, არა მეფური, არამედ უბრალოდ ადამიანური. რა პასუხი უნდა გაეცა უცხო ყმაღლეკელს მეფის გულის ამოძახილზე? მართალია, ყმაწვილი, ისრაელს შეხიზნული ყმაღლეკელი, საულის მორჩილი იყო, მაგრამ მას არ შეშინებია მასზე ხელის აღმართვისა. თუ საჭურველთმტვირთველი დაძლევა შიშს და ხელს აღმართავდა ცხებულზე, ეს ხელი ხომ მასაც მოუღებდა ბოლოს, როგორც მოხდა. მაგრამ საჭურველთმტვირთველმა ვერ აღმართა ხელი. საული წამოეგო თავისავე შუბს, მაგრამ სასიკვდილო არ ყოფილა ეს წამოგება, საჭურველთმტვირთველმა კი ინიშნა საულის საქციელი და ხელი აღმართა საკუთარ თავზე – ისე რომ არც კი და-

უცდია საულის სიკვდილისთვის. საული კვდებოდა და არც კვდებოდა, ცალკე საშინელი ტანჯვა ჭრილობისაგან, ცალკე მომღვარი მტერი, რომლის ხელით სიკვდილს გაურბოდა. ყმაწვილი ცივი გონებით სჯიდა, შეუცდლომლად გაერკვა ვითარებაში. „მივედი და მოვკალი, – თქვა მან, – ვიცოდი, რომ დამარცხების შემდეგ არ იცოცხლებდა.“ ასე თქვა მან, ვიდრე ერთი წამისყოფის შემდეგ მკვლელი გახდებოდა. საული, მართალია, არ იცოცხლებდა დაცემის შემდეგ, ის განწირული იყო, მაგრამ ვაი მას, ვინც პირველი აძგერებდა მახვილს. მოკლულ მეფეს სხვა ვინმეც აართმევდა გვირგვინს და სამაჯურს – სამეფო ნიშნებს და დავითს მიართმევდა; ამით ის ხილულ სახეს მისცემდა იმას, რაც სამუელმა საიდუმლო ზეთისცხებით მოიმოქმედა. საულიც დაიღუპებოდა, დავითიც მიიღებდა გვირგვინს, მაგრამ ვაი მას, ვინც სისხლიანი ხელით მიართმევდა გვირგვინს.

„ჰკითხა დავითმა ყმაწვილკაცს, ამბის მომტანს: სადაური ხარ? მიუგო: ხიზანის შვილი ვარ, ყამალეკელი. უთხრა მას დავითმა: როგორ გაბედე და აღმართე ხელი უფლის ცხებულის დასაღუპად? დაუძახა დავითმა ერთ მსახურთაგანს და უთხრა: აქ მოდი და მოკალი ეს კაცი. მანაც დაჰკრა და მოკვდა იგი. უთხრა მას დავითმა: შენს თავზეა შენი სისხლი, რადგან შენმავე ბაგემ გამხილა, როცა თქვი, მე მოვკალიო უფლის ცხებული“ (2მეფ. 1:13-16).

დავითს მიეცა შემთხვევა თავისი მოსისხლის სისხლი აეღო და ეგლოვა იგი ომში დაღუპულთა გოდებით, სადაც ასეთი სიტყვებიც ისმის: „გიღბოაყის მთებო! არ გელირსოს ცვარი და წვიმა, ნაყოფიერი მინდვრები, რადგან მანდ გაცუდდა ვაჟკაცთა ფარი, საულის ფარი, თითქოს არ ყოფილიყო ზეთით ცხებული! განგმირულთა სისხლისაგან, ვაჟკაცთა გულ-ღვიძლისაგან უკან არ ბრუნდებოდა იონათანის მშვილდი, საულის ხმალი ფუჭად არ ბრუნდებოდა! საულ და იონათან! საყვარელნი და სანატრელნი სიცოცხლეში, სიკვდილშიც განუყრელნი არიან... ისრაელის ასულნო, იტირეთ საული, თქვენი შემოსეველი ძოწეულით და ძვირფასეულით, ოქროს სამკაულებით რომ გიმშვენებდათ შესამოსელს. როგორ დაეცნენ ვაჟკაცები ბრძოლაში...“ (2მეფ. 1:21-25).

დავითის განსაცდელი

ბიბლიურ ადამიანს თან სდევს განსაცდელი. შეიძლება ითქვას, ჩასაფრებულია და ელის მის ნაბიჯს. რომელი ასცდა თავის ცხოვრებაში განსაცდელს, ვინ იყო მისგან თავისუფალი? განსაცდელის მეოხებით არიან, როგორნიც არიან, რომ არაფერი ვთქვათ ადამზე, პირველკაცზე, რომელმაც გზა გაუხსნა მას კაცობრიობაში, აბრაამი, იაკობი, იოსები და სხვანი. განსაცდელი სასინჯი ქვაა, რომელიც გამოაჩენს ადამიანის დიდებას და სიმდაბლეს; ქურაა, რომელშიც უნდა გადადნეს კაცი და გამოვიდეს მისი ხინჯი. განსაცდელიდან ადამიანი შეიძლება არნახულ სიმაღლეზე ავიდეს ან ისე დაეცეს, როგორც არასოდეს დაცემულა.

იყო დრო, როცა დავითზე შეიძლება თქმულიყო: „სულ მადლა და მადლა მიდიოდა დავითი და უფალი, ცაბაოთ ღმერთი, მასთან იყო“ (2მეფ. 5:10). მაგრამ თუ შეინარჩუნა ტახტზე გამტკიცებულმა ის სიმაღლე, რომელსაც დევნილებაში – ესეც ხომ განსაცდელი იყო – ატარებდა? შესაძლოა ამ ხანაში თავისი ცხოვრებისა უფრო ძნელი განსაცდელი მოელოდა, ვიდრე მაშინ, როცა საულის შუბი ჰქონდა დამიზნებული. მაშინ დავითი აბელი იყო, თითქოს დასაღუპად განწირული; მაგრამ მასთან იყო უფალი, როგორც იოსებთან, და დევნილი იოსებივით, ისიც მასზე იყო მინდობილი. შესაძლოა, მას ტახტზე ასვლამდე, როგორც კერძო კაცს, ბევრი რამ ეპატიებოდა. მაგრამ ტახტზე მჯდომი მთელ ქვეყანაში ხელისგულივით მოჩანდა თავისი სიაკვარგით. მაშინ, როცა უდაბნოს მიწაზე და გამოქვაბულებში ათევდა დამეებს, მისი ერთადერთი მამხილებელი საკუთარივე თავი იყო; სინდისს – „მამხილებელ გონებას“ მისას არ ეძინა, მაგრამ ტახტზე აღზევებისთვის, როცა სასახლეში დაიდო ბინა, საჭირო შეიქნა გარეშე მამხილებელი. ეს იყო ნათანი, მისი სულიერი მოძღვარი, რომელიც მოწოდებული იყო ღვთის ცხებულში სინანულის გასაღვიძებლად. მაგრამ ნათანი, რაკი მეფესთან ჰქონდა საქმე, იგავებით გამოთქვამდა სამხილებელს, არა პირდაპირ – ასეთი იყო აღმოსავლეთში მიღებული წესი მხილებისა.

როცა დავითმა ბრძოლაში ღალატით მოაკვლევინა ურია ხეთელი, თავისი ერთგული ყმა და ცოლად შეირთო მისი ცოლი ბერშაბე (ბათ-შებაე „ასული შეიდისა“ თუ „ასული ფიცისა“), „არ მოეწონა უფალს ეს საქმე“ და „მიუგზავნა უფალმა დავითს ნათანი და ისიც მივიდა მასთან და უამბო: ორი კაცი ცხოვრობდა ერთ ქალაქში, მდიდარი და ღარიბი. მდიდარს უამრავი ცხვარი და ძროხა ჰყავდა, ღარიბს კი არაფერი ებადა ერთი პატარა ბატკნის გარდა, რომელიც ნაყიდი ჰყავდა, და კვებავდა და ზრდიდა თავისთან, თავის ბავშვებთან ერთად. მის ლუკმას ჭამდა, მისი თასიდან სვამდა, მის უბეში ეძინა; როგორც ქალიშვილი, ისე ჰყავდა. ეწვია ერთხელ ვინმე მგზავრი მდიდარ კაცს. ვერაფერი გაიმეტა თავისი ცხვარ-ძროხიდან დასაკლავად, რომ გამასპინძლებოდა თავის სტუმარს, წამოიყვანა ღარიბი კაცის ბატკანი და გაუმზადა სტუმრებულ კაცს. დიდად განრისხდა დავითი ამ კაცზე და უთხრა ნათანს: უფალს ვფიცავ, სიკვდილის ღირსია ამის ჩამდენი! ბატკანი ოთხმაგად უნდა ზღოს, ასეთი საქმე რომ ჩაიდინა და შეუბრალებლად მოიქცა. უთხრა ნათანმა დავითს: შენ ხარ ის კაცი...“ (2მეფ. 12:1-7).

ისე მოაწყო ბრძენმა ნათანმა, რომ მეფემ მანამდე გამოუტანა განაჩენი იმ უსამართლო მდიდარს, სანამ მასში თავის თავს ამოიცნობდა. ამ იგავმა გამოაფხიზლა მეფე თავისი ცოდვისაგან, თითქოს ავ სიზმარში ყოფილიყო. ცოდვა ჩადენილია: ბატკანი წართმეულია, მისი საბრალლო პატრონი მოკლულია. დავითი არ ისჯება, ცოცხალი რჩება, მაგრამ ცოდვის შეგნება არ წაშლიდა მისი ცნობიერებიდან, სამუდამო სინანულად შერჩა მას, როგორც გამოითქვა ამ შემთხვევის გამო შეთხზულ ფსალმუნში: „ვიცი ჩემი დანაშაული და ჩემი ცოდვა მუდამ თვალწინ მიდგას“ (ფსალმ. 51:5).

დავითის დანაშაული კიდევ უფრო ღრმავდება ურია ხეთელის ზნეობრივი სიმაღლის ფონზე. რაც უფრო დაცემულია მეფე, მით უფრო ამაღლებულია მისი ყმა. აი, როგორ მოხდა, რომ დაცვა მეფე, მისი მორჩილი კი ამაღლდა.

ბანზე მოსეირნე დავითი მობანავე ქალს დაინახავს, მოეწონება, დაიბარებს და დაუახლოვდება. ქალის ქმარი – ურია ხეთელი კი ამ დროს უფლისათვის და მისი ცხე-ბულისათვის იბრძვის ისრაელის ძველი მტრების წინააღმდეგ. ქალგან სიახლოვის შემდეგ, იმავე დღეს, დავითმა ბრძოლის ველიდან თავისთან გამოიხმო მისი ქმარი, რათა ცოლთან შეხვედრის შესაძლებლობა მიეცა მისთვის.

მეფე მოწმე ხდება იმ კაცის გამორჩეული სულიერი ღირსებისა, რომლის მიმართ ასეთი მუხანათობა ჰქონდა ჩადენილი. ბრძოლის ამბის გამოკითხვის შემდეგ მეფისგან დასაჩუქრებული და შინ გასტუმრებული ურია ხეთელი შინ არ წასულა, არამედ მეფის სახლის კართან გაათია ღამე. არც მეორე, არც მესამე ღამე სახლში არ გაუთე-ვია მეფის მოყმეს, არ უნახავს თავისი ღამაზი ცოლი. ეს საქციელი – ღამის გათევა თითქოს ბრძოლის ველზე, ცის ქვეშ – მისი ბუნებრივი მოთხოვნილება იყო, რომელიც ამგვარად გამოიხატა სიტყვიერად მეფისადმი პასუხში: „როცა უფლის კიდობანი, ისრაელი და იუდა კარვებში არიან, ჩემი ბატონი იოაბი (ჯარის სარდალი) და ჩემი ბატონის ხალხი ველზე დგანან, როგორ წავიდე ჩემს სახლში, როგორ გჭამო და ვსვა, როგორ დავწვე ცოლთან? შენ თავს ვფიცავ, ვერ ვიზამ ამ საქმეს!“ (2მეფ. 11:11).

ბიბლიური ავტორი არასოდეს იძლევა ადამიანის საქციელის შეფასებას. იგი ალაპარაკებს გმირს ან აჩვენებს მის საქციელს. აქ ის არ გამოთქვამს აღტაცებას მეფის მორჩილის სიტყვების გამო, არამედ უპირისპირებს მეფის საქციელს, რისი განმსჯე-ლიც აგრეთვე არ არის. „დიდით დაწერა დავითმა წერილი იოაბისათვის და ურიას ხელით გაუგზავნა. წერილში ასე დაწერა: დააყენეთ ურია იქ, სადაც სასტიკი ბრძო-ლა მოგვლით, და მერე მიატოვეთ, რომ გაიგვიროს და მოკვდეს“ (2მეფ. 11:14-15). ეს იყო პასუხი ერთგული მოყმის ქცევაზე, თითქოს სხვა გამოსავალი არ იყო. შესაძლოა, მართლაც არ იყო სხვა გამოსავალი: ბერშაბეს სირცხვილი ალბათ სხვაგვარად ვერ ჩამორეცხებოდა. როცა ბერშაბემ დაიტირა ქმარი წესის მიხედვით, როცა გავიდა გლოვის დაწესებული დღეები, დავითმა შეირთო ბერშაბე და დავითის სახლში მას შეეძინა ვაჟი. ავტორი არ ტვირთულობს მსაჯულის როლს, არ აძლევს თავს უფლებას გაკიცხოს მეფე, ის მხოლოდ გადმოგვცემს ღვთის განაჩენს: „არ მოეწონა უფალს ეს საქმე, რაც დავითმა ჩაიდინა“ (2მეფ. 11:27). თუმცა უფლის თვალსაზრისი ადამიანის საქციელზე ადამიანისავე უმაღლესი შეგნების გამომხატველია. და ბიბლიური მთხრობელის შეგნებაში იმდენად მძიმედ ჩანს დავითის ეს ცოდვა, რომელიც მიუტე-ვებლობის შემთხვევაში სასიკვდილოა („უფალმა მოგიტევა ცოდვა, არ მოკვდები“,

ეუბნება მეფეს მისი მოძღვარი ნათანი), რომ შემდგომი ტრაგიკული ამბები, რაც თავს დაატყდა დავითს, ამ ცოდვის შედეგად არის გააზრებული. თუმცა ცოდვა მიტვევებულია, დავითი არ მოკვდება, მაგრამ მას ერთხელ და მეორეჯერაც შეემთხვევა ისეთი რამ, რომ სიკვდილიც კი სანატრელი გაუხდება კაენივით, რომელიც ცოცხლივ იხდიდა სიკვდილზე უარეს სასჯელს.

კაცი, რომელიც თავის მოსისხლე მტერს პატიობდა, ერთგულობდა მის სიცოცხლეში და მისი სიკვდილის შემდეგაც, არ აღმართავდა ხელს არც მასზე, არც მის შთამომავლობაზე; არათუ შურისგების სურვილიც არ ჰქონია მის მიმართ, პირიქით, სიკვდილითაც კი დასაჯა საულის მკვლეელი, რომელმაც ახარა ეს ამბავი დავითს; კაცი, რომელსაც თავის ვალად მიანდა საულის დანაშთომზე ზრუნვა, მიაგებდა კეთილს იმ ბოროტების წილ, რაც სიჭაბუკეში მისგან ჰქონია ნაწენვეი, – ეს კაცი სწადის სასიკვდილო ცოდვას უფლის თვალში, რომელიც მუდამ მასთან იყო და მხარში ედგა. განა უფლის წყალობით არ იყო იგი გადარჩენილი მრავალგზის საულის შუბისაგან თუ მის მორჩილთა მახვილისაგან? სინაის მთაზე მიღებული ცნებები „არა კაც კლა“ და „არა იმრუშო“ დაარღვია დავითმა, და მით უფრო მძიმე იყო მისი შეცოდება, რომ მან რჯული დაარღვია როგორც მეფემ, რომლის ყოველი საქციელი რჯულით უნდა ყოფილიყო განმტკიცებული.

მართლაც მძიმე იყო ჩადენილი ცოდვის საზღაური, უფრო მძიმე, ვიდრე საკუთარი სიკვდილი. ნათანმა უწინასწარმეტყველა ბერშაბესგან შეძენილი ძის, ცოდვის შეილის, სიკვდილი: „უფალმა მოგიტევა ცოდვა, არ მოკვდები. ოღონდ, რაკი ამ საქციელით აღანძვინე უფალი მის მტრებს, შეილი მოგიკვდება, რომელიც შეგეძინა“ (2მეფ. 12:13-14). შეილი მოკვდა და მწარე იყო მისი სიკვდილი დავითისათვის. ეს იყო მისი სასჯელი. უნდა ვიფიქროთ, რომ პირმშოს სიკვდილით თითქოს განიწმიდა დავითისა და ბერშაბეს ცოლ-ქმრული კავშირი, თითქოს უფალმა აკურთხა მათი შეუღლება, თითქოს წარიხოცა ცოდვა, რადგან მეორე ვაჟი – სოლომონი, რომელიც უშვა მას ბერშაბემ, „შეიყვარა უფალმა“ (2მეფ. 12:24). ეს კი იმას მოასწავებდა, რომ დავითის ძეთა შორის უპირატესობა მას მიენიჭებოდა და ტახტის ერთადერთი მემკვიდრე ის იქნებოდა.

დავითს კვლავ შეხვდა სიმწარე და კვლავ შეილისაგან. მამამ განიცადა შეილის დაღატი, შეილი აუჯანყდა მამას, უფლისწულმა მეფის სიცოცხლეში მოინდომა გამეფება, როგორც იმ სხივოსანმა ანგელოზმა, უფლის ტახტს რომ შეჰბედა. ეს იყო აბესალომი – აბ შალომ „მამა მშვიდობისა“, თუმცა კი იყო მამა ჯანყისა. „არაყინ იყო მთელს ისრაელში ისეთი ნაქები კაცი სილამაზით, როგორც აბესალომი: თხემით ტერფამდე უნაკლო იყო. როცა თავს მოიკრეჭდა ხოლმე (წლიდან წლამდე იკრეჭდა თმას, რადგან ამძიმებდა), თმის მონაკრეჭი ორას შეეკელს იწონიდა სამეფო საწონით“ (2მეფ. 14:25-26). ასეთი იყო აბესალომი, რომელიც გამორჩევით უყვარდა მეფეს, მსგავსი უფლის წინაშე მდგარი იმ ანგელოზისა.

ჯანყი შინაგანად განცდილი დამოუკიდებლობის, თავისთავადობის გარეგანი გამოხატულებაა და, ამდენად, ალბათ აქვს მას თავისი სიმართლე. აქ ვლინდება ადამიანის თავისუფალი ნება და გაბეღვა იმისა, რომ გზა მიეცეს თავისუფალ ნებას. და აი, აბესალომმა იგრძნო, რომ მას შეუძლია ჰყავდეს საკუთარი ეტლი (საომარი ეტლი) და ორმოცდაათი მალემსრობლი ანუ მოყმე – პირადი გვარდია; აბესალომმა იგრძნო, რომ მას შეეძლო განეკითხა სამართალი ანუ აღესრულებინა მეფის უპირველესი ფუნქცია, ჯერ კიდევ მსაჯულთა ხანიდან წარმომავალი. „თაყვანის საცემად მოსულ კაცს ხელს გაუწვდიდა ხოლმე, ისიც მოეჭიდებოდა და აკოცებდა. ამგვარად ექცეოდა აბესალომი ყველა ისრაელიანს, ვინც კი მეფესთან მოდიოდა სამართლისთვის. ასე მოიგო აბესალომმა ისრაელიანთა გული“ (2მეფ. 15:5-6).

ბოლოს, როცა დარწმუნდა, რომ ისრაელის ყველა შტო მხარს დაუჭერდა, ხებრონში წასვლა გამოსთხოვა მეფეს იმ საბაბით, რომ უფლისათვის აღთქმული მსხვერპლი შეეწირა. ხებრონი ის ქალაქი იყო, სადაც დავითი გამეფდა, სადაც მეფედ ცხეს იგი, და რამოდენიმე ხანს მეფობდა ვიდრე იერუსალიმში დამკვიდრდებოდა საბოლოოდ. ახლა დავითი იერუსალიმში იჯდა, აბესალომს კი სურდა გაემეორებინა მამის გზა – ხებრონიდან მიედწია იერუსალიმამდე.

როგორც ჩანს, ორმოცდაათი მოყმე, სამართლის სჯა და ხებრონი – აუცილებელი პირობა უნდა ყოფილიყო გასამეფებლად. და კიდევ ერთი რამ. ერთი ასეთი მუხლია ნათანის წინასწარმეტყველებაში შემცოდვე დავითის მიმართ: „ასე თქვა უფალმა: აჰა,

უბედურებას დაგათევ შენივე სახლიდან; ავიყვან შენს თვალწინ შენს ცოლებს და შენს მოყვასებს მივცემ; მზისით დაწვებიან შენს ცოლებთან. თუმცა შენ ჩუმად გააკეთე, მე მთელი ისრაელის წინაშე და მზის წინაშე გავაკეთებ ამ საქმეს“ (2მეფ. 12:11-12).

ნათანი სიმბოლური ენით წინასწარმეტყველებდა, როგორც შეეფერება ქადაგს. დავითი უნდა მიმხვდარიყო ნათქვამს, როგორც თავადაც წინასწარმეტყველი. დღეს შეიძლება პარადოქსად მოეჩვენოს ადამიანს, მაგრამ ძველ აღმოსავლეთში მეფის ცოლი – დედოფალი განასახიერებდა მეფობას; მეფე ფლობდა დედოფალს და ამ ფლობით ის ფლობდა სამეფოსაც.

როცა აბესალომმა რჩევა ჰკითხა თავის მხარდამჭერს, ახითოფელს, თუ რა უნდა მოემოქმედა პირველ რიგში, პასუხად მიიღო: „შედი მამაშენის ხარჭებთან“ (2მეფ. 16:21). აი, სად ახლა ნათანის წინასწარმეტყველება როგორც პირდაპირი აზრით, ასევე სიმბოლურად: „გაშალა კარავი აბესალომმა ბანზე და შევიდა აბესალომი მამის ხარჭებთან მთელი ისრაელის თვალწინ“ (2მეფ. 16:22). ამ აქტით აბესალომმა საბოლოოდ გააცხადა თავის განზრახვა. ცხადია, ეს სიმბოლური მოქმედება იყო, როგორც წესი, როგორც ნიშანი, რომლის აზრსაც მთელი ქვეყანა უნდა მიმხვდარიყო და ელიარებინა ახალი მეფე.

(დავითის ხარჭაზე კიდევ სხვა მისმა ძემ გააცხადა პრეტენზია, ოღონდ ეს მისი სიკვდილის შემდეგ მოხდა, როცა ტახტზე უკვე სოლომონი იჯდა. როცა აღონიას, აბესალომის მომდევნოს, გამეფებაზე ხელი მოეცარა, დაებადა იმედიანი აზრი, გამოეთხოვა სოლომონისათვის დავითის ხარჭა აბიშაგა სუნამელი. ეს იყო დავითის უკანასკნელი ხარჭა, რომელიც მას მიჰგვარეს მოხუცებულობაში გასათბობად და სანუგეშებლად (და მეფეს იგი არ შეუცვნიან). აღონიამ ამ თხოვნით გასცა თავისი ფარული ზრახვები, რომ არ დაუკარგავს გამეფების იმედი. ამას მიხვდა სოლომონი, ამოიკითხა რა ამ თხოვნაში აღონიას პრეტენზია: რისთვის ითხოვს აბეშაგას აღონია? ბარემ მეფობაც მოითხოვოს, ხომ ჩემი უფროსი ძმა არისო? ამ თხოვნას შეეწირა აღონია. სოლომონმა დასაჯა იგი სიკვდილით, როგორც ტახტის მოჯანყე.)

აბესალომი შევიდა დავითის ხარჭებთან. ამით ყველაფერი იყო თქმული: საფრთხეში ჩაიგდო თავი აბესალომმა და დავითის სიცოცხლესაც საფრთხეში აღმოჩნდა.

როგორც ჩანს, დევნილება, ხეტიალი, გაქცევა, ჩაწერილი იყო დავითის ბედში. როცა გაიგო მან, რომ „განმტკიცდა შეთქმულება და უამრავმა ხალხმა იწყო დენა აბესალომისაკენ“, დატოვა ტახტი, რომლის შეურყეველობა აღუთქვა მას უფალმა, და იერუსალიმში, რომელიც სატახტოდ და უფლის კიდობნის დასაგანებელ ქალაქად იყო განწესებული. „გადალახა მეფემ კედრონის ხევი და დაადგა მთელი ხალხი უდაბნოს გზას.“

ღირსშესანიშნავი ამ ეპიზოდში ის არის, რომ დავითის გზა სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს. თუმცა ეს გზა სავსებით რეალურია: რეალურია კედრონის ხევი, რომელიც იერუსალიმს ჰყოფს ზეთისხილის მთისაგან, რომელზეც გადის გზა უდაბნოსაკენ. რეალურია უდაბნო, საითაც თავგანწირვით, ღვთის ანაბარა მიტოვებული დავითი მიდის. ეს უდაბნო არ გამოიწვევდა მასში ხატს იმ ისტორიული უდაბნოსი, რომლის წიად ერის ქმნალობის ხანაში გამოატარა ხალხი მოსემ, – ის უდაბნო მუდამ ერთგვარ ნოსტალგიას ბადებდა ისრაელიანის გულში. დავითს უნდა გადაეღობა ხევი, საზღვარი, ასულიყო ზეთისხილის მთაზე, თითქოს თავისი სიცოცხლის მწვერვალზე, და მერე შერთვოდა უდაბნოს უსაზღვროებას – *თოჰუ-ვა-ბოჰუს*, ადგილს, რომელსაც უფლის ხელი არ შეჰხებია.

ამ განსაცდელში დავითმა არ ისურვა თან წაეყოლა ღვთის კიდობანი, ისრაელიანთა უდიდესი სიწმიდე, რომელიც უდაბნოში სვლისას ახლდა ხალხს. დავითმა არ ინდობა, რომ კიდობანს გაეზიარებინა მისი ბედი – გადასახლება. მან გზიდან გააბრუნა კიდობანი და თავის სიტყვებში მღვდელმთავრისადმი გამოაჩინა მორჩილება თავისი ბედის წინაშე: „დააბრუნე ქალაქში ღვთის კიდობანი. თუ მადლი მიპოვნია უფლის თვალში, მეც დამაბრუნებს და მახილვინებს მას და მის სამყოფელს. თუ ბრძანებს, აღარ მინდიხარო, სადღა წავალ; მიყოს, რაც ენებოს“ (2მეფ. 15:25-26).

მემატიანეს საშუალება მიეცა გამოეხატა დამცირებული და დამდაბლებული მეფის შინაგანი სიდიადე, მისი აღმასვლა ამ დამდაბლებაში. „ხოლო დავითი შეუდგა ზეთისხილის მთას, აღიოდა და ტირიდა, თავდაფარული და ფესშიშველი“ (2მეფ. 15:30). ჩანს,

დავითმა დატოვა მეფობა იერუსალიმში უფლის კიდობანთან ერთად, უარყო, უკუაგდო რა სამეფო ღირსების გარეგანი ნიშნები და დარჩა ცასა და მიწას შორის შინაგანი ღირსებით, როგორც ცხებუელი უფლისა; მხოლოდ ეს – ცხებულობა – თუ გადაარჩენდა იმის წინაშე, ვისაც ეს მადლი არ ჰქონდა მინიჭებული. ფესშიშველობა – შეურაცხების უკიდურესი ნიშანი, განძარცვულობა არა მხოლოდ სამეფო ღირსებებისაგან, არამედ, საერთოდ ადამიანობის გარეგანი ატრიბუტებისაგან, სავსებით გამოხატავს განსაცდელში ჩავარდნილი დავითის შინაგან სულისკვეთებას, რომელიც შემდეგ სამონაწილო საგალობლებად (ფსალმუნებად) გამოიკვეთა (მაგ. „ფსალმუნის დავითისი, რაჟამს ივლტოდა იგი პირისაგან აბესალომისა, ძისა თვისისა“, ფს. 3). განძარცვულობა არ არის მხოლოდ რიტუალური მოქმედება დავითის მხრიდან, ეს არის მისი შინაგანი მდგომარეობის გამოხატულება, რაც არა მხოლოდ ქცევაში, არამედ მის სიტყვებშიც მუდავნდება. როცა ზეთისხილის მთას გამცდარს ბახურიმთან საულის სახლის ნათესავი კაცი, ვინმე შიმში შემოხვდა ქვების სროლითა და წყევლა-კრულვით, მხლებლის აბიშია ცერუიას ძის სიტყვაზე, „რისთვის აგინებს ეს მკედარი ძაღლი ჩემს მეფე-ბატონს, წავალ და თავს წავაცლიო“. მეფემ მიუგო: „თუ იწყევლება, იქნება უფალმა უბრძანა, დასწყევლო დავითი... ხომ ხედავთ, ჩემი ღვიძლი შვილი მოსაკლავად მომდევს და ამ ბენიამინელს რაღა მოკითხო? თავი დაანებეთ, იწყევლებოდეს. უფალს ასე უბრძანებია“ (2მეფ. 16:11-12).

ჭირთა თმენით, ბედისადმი მორჩილებით სურდა დავითს, როგორც საულის დროს, გადაეტანა ეს განსაცდელი. მაშინ მას სდევნიდა მისთვის მამად მიღებული კაცი, ახლა კი სდევნის შვილი ისევე სამკედროდ, როგორც საული. აქაც გამოჩნდა დავითის სიმაღლე: თუმცა აჯანყებული აბესალომი ემუქრებოდა არა მხოლოდ მის ტახტს, არამედ მის სიცოცხლესაც, დავითს არ სურდა გამარჯვება შვილის სისხლის ფასად. მაგრამ ვითარება ისე გამწვავდა, ისე საბედისწეროდ დაუპირისპირდა დავითს აბესალომი, რომ იგი ან უნდა დაცემულიყო, ან უფლის ცხებულის ტახტზე ასულიყო. დავითის შინაგანი სულიერი ბრძოლა და გულისტკივილი სამი სიტყვით გამოითქვა ხალხის წინაშე, ყველას გასაგონად, რათა ყველას სცოდნოდა მისი სურვილი და რაიმე გაუგებრობა არ მომხდარიყო: „დამიზოგეთ ყმაწვილი, აბესალომი. უთხრა დავითმა სარდლებს, ვიდრე ისინი გადამწყვეტ ბრძოლაში გავიდოდნენ. და მთელმა ხალხმა მოისმინა, რაც აბესალომის გამო უბრძანა მეფემ თავის სარდლებს“ (2მეფ. 18:5).

შვილის დანდობას მამა ითხოვდა, არა მბრძანებელი მეფე, თუმცა, უნდა ვიფიქროთ, რომ ამ დროს დავითში ლაპარაკობდა ჭეშმარიტი მეფე, ხელმწიფე, „სახითა მის მიერთითა“, მრავალმოწყალე და სულგრძელი. მაგრამ ამქვეყნიური მეფის მორჩილს სურს მეფის მტრის შურისმგებელი იყოს და არ ესმის ნამდვილი ძალა სიტყვებისა „დამიზოგეთ ყმაწვილი აბესალომი“, – ღმობილი გულის ამოძახილი, რომელშიც მამობრივი და ღვთიურია შეხავებული. შეხავებულია ერთმანეთთან გულისპასუხი მიწიერი და ზეციური მეფისა. რამდენადაც არატრადიციულია და უჩვეულო დავითის განწყობილება დინასტიური თვალთახედვით, იმდენად გამართლებულია მხედართმთავარი იოაბის მოქმედება, მიმართული ჯანყის ფესვის აღმოსაფხვრელად. აბესალომის მოკვლით სარდალი გადავიდა დავითის ნებას, როგორც მამისა, მაგრამ აღასრულა სასჯელი, რომელსაც ტახტის მოჯანყე იმსახურებდა, თუნდაც იგი მამის საყვარელი შვილი ყოფილიყო.

დავითის მრავალრიცხოვან მონაგარში აბესალომი გამორჩეული იყო: მისი იყო პირმშობა, მაშასადამე, მამის კურთხევა, ესოდენ სასურველი დავლათი ისრაელიანთა მამროვანისთვის. დავითის სიყვარული მისდამი მხოლოდ იაკობის იოსებისადმი სიყვარულს თუ გაუტოლდება. მშვენებით სავსე პირმშოს მამობრივი სიყვარული გულისხმობდა აგრეთვე იმას, რომ მამა აბესალომში მემკვიდრეს ხედავდა. „დამიზოგეთ ყმაწვილი აბესალომი“ ალბათ უნდა გავიგოთ როგორც „დამიზოგეთ მემკვიდრე“. ერთგულმა სარდალმა არ დაუზოგა პირმშო და, ბოლოს, დაუწერელი წესისამებრ, დავითის ტახტზე უმრწემესი ძე – სოლომონი გაამეფა.

ჩვეულებრივ, ბიბლიური წიგნების ავტორი მეტისმეტ სიძუნწეს იჩენს პერსონაჟის გარეგნობის აღწერაში. მკითხველმა არ იცის აბრაამის, იაკობის და ისაკის გარეგნობის ერთი ნიშანიც კი; საულზე მხოლოდ ის ვიცით, რომ ის ერთი თავით მაღალი იყო სხვებზე. დავითს წითური თმა ჰქონდა და ახოვანი არ იყო; ლეას, იაკობის პირველ ცოლს, სუსტი თვალები ჰქონდა, ხოლო რახელი, მისი და, რომელიც უყვარდა

იაკობს, ღამაში შესახედავი იყო; როცა მოსე დაიბადა, თქვეს კარგიაო (როგორც ღმერთმა თქვა თავის შექმნილ სამყაროზე) და გადამაღეს, რომ გადარჩენილიყო. არც აბესალომის გარეგნობის აღწერაშია მეფეთა წიგნების ავტორი სიტყვაუხვი, მაგრამ ის გვიმხელს აბესალომის კონკრეტულ ნიშანს, თუმცა არა იმდენად მისი სიღამაზის მარადსახსენებლად. ავტორი საგანგებოდ ღაპარაკობს აბესალომის თმაზე, მის უჩვეულო სიუხვეზე, მკითხველს ამცნობს მისი მონაკრუჭის წონასაც კი. თუმცა ეს სავსებით პროფანული თმაა, არა სამსონის თმასავით სამოწმიდარო, რომელშიც იყო მისი ძალა, სწორედ ამ სიუხვით შეიქნა მისი დამღუპველი, თმაში იყო აბესალომის ბედისწერა. ბიბლიური ავტორი შემთხვევით არც ერთ ნიშანს არ ახსენებს; თხრობაში აბესალომის შემოსვლისას ნახსენები მისი თმა გამოჩნდება მისი აღსასრულის უამს: „შეეჯახა აბესალომი დავითის მსახურთ ჯვორზე ამხედრებული. როცა ჯვორი ტოტებგაბარჯდული დიდი მუხის ქვეშ გადიოდა, თმებით გამოედო აბესალომი მუხას და ცასა და მიწას შორის გამოეკიდა. ჯვორი კი გამოეცალა და გაიქცა“. უფლისწულის უმწეობით ისარგებლა სარდალმა იოაბმა და განგმირა იგი და აჯანყებაც ჩაქრა.

ძველ აღთქმაში მოთხრობილ აღსასრულთა შორის ეს არის ერთი აბსურდული აღსასრული ადამიანისა, ყოველი მშვენებით, შესაძლოა გარდამეტებული მშვენებით შემკული უფლისწულის, რომელიც მოწოდებული იყო სამეფოდ და ალბათ შესწევდა კიდევ ქვეყნის მართვის უნარი. მაგრამ მეფე კარგავს მემკვიდრეს და შვილს ერთდროულად – ორკეცია მისი მწუხარება. შვილზე გლოვის მხოლოდ ორად ორი შემთხვევაა ძველ აღთქმაში: იაკობი მოთქვამს იოსებზე, მოთქვამს არა მხოლოდ როგორც შვილზე, – მის გარდა მას კიდევ თერთმეტი პყავს, – არამედ რჩეულ შვილზე, რომელიც მან დაამშვენა „ჭრელი კვართით“. ეს „ჭრელი კვართი“ (*ქეთონეთ ფასიმი*) გახდა ძმების შურის მიზეზი და ძმებმა დაღუპეს იგი, ჩააგდეს ჭაში, შესვარეს რა მისი სამოსელი თხის სისხლით, რათა მამას დაეჯერებინა საყვარელი შვილის სიკვდილი. ხომ უზომო იყო მამის მწუხარება, მაგრამ ბიბლიური ავტორი აქაც ერთგულია მოვლენათა აღწერის მისებური წესისა – იაკობის მოთქმა სამი ფრაზით არის გადმოცემული, იმ მნიშვნელოვანი, ერთადერთი სიტყვებით, რომლებიც უთუოდ უნდა წარმოეთქვა სასოწარკვეთილს: „ჩემი შვილის კვართია! ნადირს შეუჭამია, ნადირს დაუგლეჯია იოსები!“ მერე სიტყვებია, რომელთაც ალბათ მრავალგზის იმეორებდა: „მგლოვიარე ჩავალ ჩემს შვილთან შავეთში!“ ხომ განუზომელია დავითის მწუხარება, მაგრამ მხოლოდ ორმა სიტყვამ, ინდივიდუალური რიტმით წარმოთქმულმა, დაიტია იგი: „შვილო, აბესალომ, შვილო, შვილო აბესალომ! (ბენი აბშალომ ბენი ბენი აბშალომ) ნეტავ შენს მაგივრად მე მოვმკვდარიყავი, აბესალომ, შვილო, შვილო!“ (2მეფ. 18:33). და ისევ და ისევ სხვა რიგით: „შვილო, აბესალომ, აბესალომ, შვილო, შვილო!“ (ბენი აბშალომ აბშალომ ბენი ბენი).

სოლომონი

სოლომონი არის ისრაელის პირველი მეფე, რომელიც უფლისწულად დაიბადა. დავითმა ის თავის სიცოცხლეშივე დასვა მეფედ იმ პირობის თანახმად, რომელიც მისცა მან ბერშაბეს. უარყო კანონიერი მემკვიდრე აღონია და გაამეფა უმრწემესი თავის ძეთა შორის, ფუფუნებაში აღზრდილი და ნაფერები სოლომონი, რომლის სახელის (*შელლომი*) თანაჟღერადობა „მშვიდობასთან“ (*შალომი*), არ შეიძლება მის თანამედროვეთა თვალში განგებისეულად არ აღქმულიყო: მისი მეფობა ქვეყანაში მშვიდობის სუფევით აღინიშნა. მან დაასადგურა ქვეყანაში ოქროს ხანა, სამოთხისდარი, უზრუნველი ცხოვრება მთელს ისრაელში, „ჭამდნენ, სვამდნენ, მხიარულობდნენ...“ (3მეფ. 4:20). „უშიშრად ისხდნენ სოლომონის დროს იუდა და ისრაელი, თითოეული თავისი ვენახის ძირას და თავისი ლეღვის ძირას დანიდან ვიდრე ბერშაბამდე“ (3მეფ. 4:25).

გადამწყვეტი განსაცდელი სოლომონის ცხოვრებაში, რამაც განსაზღვრა მისი მომავალი და მისი სახე თაობათა ხსოვნაში, იყო სიზმარი, სადაც მან ყველა ამქვეყნიურ სიკეთეს ამჯობინა სიბრძნე. სიზმრად გამოსცადებულმა უფალმა მისცა არჩევანის შესაძლებლობა: „მოხოვე, რა გინდა, რომ მოგცე“ და მანაც ქვეყნის სამართავად აირჩია „ბრძენი და გონიერი გული“. უფალს მოეწონა მისი არჩევანი და ისიც მისცა, რაც არ უთხოვია მისთვის სოლომონს: სიმდიდრე და დიდება. მართალია, ის სიბრძნე, რომლითაც სახელი გაითქვა მან, უფლის მიერ მომადლებულად არის მიჩნეული, მაგრამ სიბრძნის არჩევანი ხომ თავისთავად გულისხმობდა თანდაყოლილ სიბრძნეს. მხოლოდ

ბრძენი ირჩევს სიბრძნეს. სოლომონის პასუხში უფლის კითხვაზე, „მთხოვე, რა გინდა, რომ მოგცე“, უკვე ჩანს სიბრძნე და საღი აზრი. „უასაკო ყმაწვილი“, როგორც იგი უწოდებს თავს, აცნობიერებს იმ ჭეშმარიტებას, რომ მეფობა მიეცა მას როგორც დაუმსახურებელი მადლი, რომ იგი დავითისადმი უფლის კეთილგანწყობილების გამო ზის ტახტზე, და თუ უფალი მოითმენს მის მეფობას, მხოლოდ დავითის გულისათვის მოითმენს, რადგან დავითი „წრფელი გულით დადიოდა მის წინაშე“, – წრფელი იყო მაშინაც კი, როცა ცოდვას სწადიოდა. და რასაც მას აპატიებდა, დავითის გულისათვის აპატიებდა. ყმაწვილს შეგნებული ჰქონდა, რომ იგი იჯდა არა თავის ტახტზე, არამედ დავითის განმტკიცებულ ტახტზე და მის აშენებულ ქვეყანაში, რომლის შესანარჩუნებლად მას სჭირდებოდა „გამგები გული“. ყმაწვილის არჩევანში და უფლის დასტურში ამ არჩევანზე გამოჩნდა მთელი ღირსება სიბრძნისა, რომ სიბრძნე ერთი საფეხურით მაღლა დგას ამქვეყნიურ ღირებულებათა კიბეზე, რომ ყოველი დოვლათის დასაბამია გულის სიბრძნე. რა შეიძლება ყოფილიყო ყმაწვილი მეფისათვის იმაზე მეტი ჯილდო, რაც მას ჩაესმა სიზმრად უფლისაგან? „უთხრა მას ღმერთმა: იმის გამო, რომ მთხოვე ეს და არ მოითხოვე შენთვის ხანგრძლივი სიცოცხლე, არ მოითხოვე სიმდიდრე, არ მოითხოვე შენი მტრების სული, არამედ გონიერება მთხოვე სამართლის გასაჩენად, – აჰა, მომინიჭებია შენთვის ბრძენი და გონიერი გული, ისე რომ შენი მსგავსი არც შენამდე იქნებოდა სადმე და არც შენს შემდეგ გამოჩნდება შენი მსგავსი. რაც არ გითხოვია, იმასაც მოგცემ: სიმდიდრესაც, დიდებულებაც, ისე რომ, ვიდრე ცოცხალი ხარ, არავინ იქნება მეფეთა შორის შენი მსგავსი“ (3მეფ. 3:11-13).

რა არის ეს სიბრძნე, რომელიც სოლომონმა უფლისაგან მიიღო და რამაც მას სახელი გაუთქვა საქვეყნოდ და სამარადისოდ? როგორც „იგავთა წიგნიდან“ ჩანს, რომლის ავტორობა მას მიეწერება, ეს არის უნარი წუთისოფლის ორომტრიალში გარკვევისა და მისი მრავალსახოვანი, ყოფითი ჭეშმარიტებების შეცნობისა; ეს არ არის მიდმიერი გამოცხადების სიბრძნე, რომელიც როგორც საიდუმლო რამ დაფარულია ჩვეულებრივი ადამიანისათვის. ეს არ არის წინასწარმეტყველთა ნაქადაგარი მცნებანი, რომლებიც იმარხავენ საბედისწერო საიდუმლოებებს წუთისოფლის მომავალზე, ქვეყნისა და ადამის მოდგმის ბედზე. სოლომონის სიბრძნე ხშირად პრაქტიკული ცოდნაა, იგავებში განსხეულებული და თუმცა ის ცდისეულია, ცხოვრების გამოცდილებაა მისი წყარო, მაგრამ ის მაინც ღვთიური წარმომავლობისად არის მიჩნეული. რადგან „უფლის შიში, ამბობს ერთი იგავი, სიბრძნის სათავეა“ (იგავ. 9:19). და კიდევ: „უფალმა შემიძინა თავისი გზის დასაწყისში, თავის ქმნილებებამდე დასაბამით“ (იგავ. 8:22). ეს სიბრძნე ყველასათვის უნდა იყოს მისაწვდომი, ის არ არის რჩეულთა პრივილეგია. „ნეტარია კაცი, ამბობს სიბრძნე, მე რომ მისმენს, ჩემს კარებთან ფხიზლობს დღენი-დაღ და ჩემი კარის წყრთილებს იცავს“ (იგავ. 8:34). სიბრძნე წარმოდგენილია გვირგვინოსან დედაკაცად, დედოფლად, რომელიც დღენი-დაღ უნდა ახლდეს მეფეს, როგორც მეფობის პრინციპის განსახიერება. ის არის მისი ზეციერი სასძლო, რომელიც ჩააგონებს მას: „ჩემით მეფობენ მეფენი და ჩემით აწესებენ სამართალს მთავარნი; ჩემით მთავრობენ მთავარნი და დიდებულნი – ქვეყნის ყველა მსაჯული“ (იგავ. 8:15-16).

სოლომონი სრულიად განკერძოებული მოვლენაა ისრაელის ისტორიაში. მას არ ჰყოლია წინამორბედი და არც შთამომავალი, რომელიც იქნებოდა სიბრძნის მატარებელი. თუ რაიმეში ან ვინმეში ჰპოვა განივთება მისმა სულმა, ეს არის „იგავთა წიგნი“, რომელიც ცხრაას თხუთმეტი შეგონებისგან შედგება; თუმცა მრავალი მათგანი მთარული ანდაზაა, ე.წ. „ხალხური სიბრძნის“ ნაწილი, მაგრამ ტრადიციამ მთელი ეს სიტყვიერი დოვლათი მის შემოქმედებად დასახა; მის ბაგეს მიეწერება უფრო მეტი იგავი, ვიდრე ბიბლიის „იგავთა წიგნი“ შემონახული. „წარმოთქვა სამი ათასი იგავი, ამბობს მატთანე, და შეთხზა ხუთი ათასი საგალობელი“ (3მეფ. 4:32).

რა მიიღო სოლომონმა დავითისაგან გარდა სხეულისა და გამზადებული სამეფოსი? დავითი სრულიად მოკლებული იყო სიბრძნის იმ სახეობას, რომელიც იგავებშია გაკვალთული. სოლომონი თხზავდა ამ იგავებს და მათი მეშვეობით გაიკითხავდა ქვეყნის სამართალს. დავითი არც თხზავდა იგავებს და არც სჯიდა, პირადად არ გაიკითხავდა თავის მორჩილთა სამართალს, – ალბათ, ამით ისარგებლა მეფობის მოსურნე აბესალომმა, მეფის კარზე სამართლის საძიებლად მომსვლელთ რომ ეუბნებოდა: „კარგია და სამართლიანი შენი სიტყვები, მაგრამ ვინ მოგისმენს მეფის კარზეო?“ და თან რომ ოცნებობდა, „ნეტავ მსაჯულად დამადგინონ ამ ქვეყანაში, ყველა მე მო-

მაკითხავდა, ვისაც კი სადაო საქმე და საჩივარი ექნებოდა, და მეც სამართალს გავეჩინდიო“ (2მეფ. 15:3-4), – არამედ თავად ისმენდა მხილების იგავს, რათა ამოეცნო ამ იგავში საკუთარი თავი და საკუთარი შეცდომების ამბავი. მაგრამ დავითს ჰქონდა უნარი სხვაგვარი შემოქმედებისა და შემეცნებისა. თუ სოლომონი იგავებს თხზავდა და ადამიანებს დასაყრდნობელ არგანს აძლევდა წუთისოფელში ან მის ბნელში უნათებდა გზას, რომ გზა-კვალი არ არეოდა, ბოროტთან ბრძოლაში სამართალი ენახა და გაემარჯვა, დავითი ქმნიდა ფსალმუნებს, რომლებიც მისი ცოდვილობის განცდაში იღებდნენ დასაბამს; ფსალმუნი იბადებოდა მისი შემუსვრილი და მონანიე გულიდან, რადგან მასში მუდამ ცოცხლობდა შეგნება ჩადენილი ცოდვისა და იმ ჩაუდენელ ცოდვათა, რის შესაძლებლობასაც მეფის განუსაზღვრელი ძალაუფლება იძლეოდა. სოლომონი ზემოდან სჯიდა ქვეყანას, როგორც წარმომადგენელი ზეციერი მსაჯულისა, დავითი კი დაცემული, არა ტახტის სიმაღლიდან და არა სამეფო სამოსელით შემოსილი, არამედ უხამლო და განძარცული შედადადებდა უფალს, თავს კი არ იმართლებდა, უფლის განუსაზღვრელ მადლსა და წყალობას აღიარებდა.

სოლომონი თავის ვალად თვლიდა თავის მეფობაში განეხორციელებინა დავითის სურვილი – უფლისათვის სახლის აშენება. უფალმა არ მოისურვა დავითი ყოფილიყო მისი სახლის აღმშენებელი. ასეთი იყო არა მხოლოდ ნება ღვთისა, არამედ ობიექტური პირობაც: დავითი ჯერ კიდევ არ იჯდა მყარად ქვეყანაში – ახალი დასრულებული იყო ხეტიალი, დევნილება; დავითი არ იყო სავესებით მკვიდრი, ის ჯერ კიდევ აბული იყო, რომელსაც არ შეეძლო სახლის აშენება. მას შეეძლო მხოლოდ ერთ, მყარ ადგილზე დაემკვიდრებინა რჯულის კიდობანი – ტაძრის თესლი, ისრაელიანთა უდიდესისიწმიდე. დავითი თავის ხალხს წარმოუდგა როგორც მროკველი დასავანებლად მიმავალი, ამოძრავებული კიდობნის ირგვლივ – ეს იყო მისი ღვთისმოსავობის უშუალო გამოვლინება.

სოლომონის ხანაში საბოლოოდ დადგინდა ისრაელის ტომთა საზღვრები და ერთიანმა ტერიტორიამაც გაიჩინა შუაგული იერუსალიმის სახით, როგორც სამეფოს ცენტრი, ასევე რელიგიური ცენტრი, რაკი უფლის კიდობანი მასში დამკვიდრდა სამუდამოდ. სოლომონი, როგორც სატახტო ქალაქში შობილი, სიმყარესა და სიმკვიდრეს ატარებს თავის თავში და ამიტომაც ის უნდა გამხდარიყო მშენებელი ტაძრისა, რომლის წიადშიც მოექცეოდა უფლის კიდობანი, მანამდე დროებით კარავში შეფარებული, დასადგურდებოდა წმიდათა წმიდაში, რათა კვლავ აღარ დაძრულიყო. ტაძრის აშენებით სრულიად უნდა შეცვლილიყო ისრაელის საკულტო ცხოვრება. ამიერიდან ტაძარში, როგორც შუაგულში, თავი უნდა მოეყარა ისრაელის თორმეტ შტოს, რათა აქ უფლის წინაშე დაედასტურებინა რელიგიური და ეროვნული ერთობა, ხალხმა შეიძინა ისეთი რამ, რაც არასოდეს ჰქონია შეგნებული ეროვნული ცხოვრების მანძილზე – ერთი განსაზღვრული ადგილი იმ ღმერთის თავყანსაცემად, რომელმაც ისინი ეგვიპტიდან გამოიყვანა და აღთქმულ ქვეყანაში დაასახლა. ეს ადგილი არ იყო ჩვეულებრივი ადგილი; ის ამორჩეული იყო ჯერ კიდევ მაშინ, როცა ხალხის წინაპარი ამ ქვეყანაში თავის შთამომავლობას სამშობლოს უმზადებდა. გადმოცემით, ტაძარი იმ მადლობზე იქნა აგებული, იმ მორიას მთაზე, სადაც აბრაამს თავისი სიბერის ძე ისაკი უნდა შეეწირა უფლისათვის. სხვაგან სად უნდა აშენებულიყო ტაძარი, თუ არა იმ ადგილას, სადაც ხალხის მამამთავარმა ღვთის მორჩილებისა და სამსახურის არნახული მაგალითი აჩვენა.

ტაძრის მშენებლობა, რომლის მასშტაბები, აღწერილობის მიხედვით, მხოლოდ ბაბილონის ტაძრებისა ან ზიკურათების მასშტაბებს თუ შეედრება, მართალია, მონუმენტურობას ანიჭებს სოლომონის მეფობის ხანას, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ამავე ხანაში გაუნდა ბზარი სამეფოს. როცა სოლომონის პიროვნულმა დიდებამ, რომელმაც სახელი გაუთქვა მის სამეფოსაც, და ღვთისმოსავურმა ძალისხმევამ, რომელმაც ტაძრის შენობაში ჰპოვა განივობა, უმაღლეს მწვერვალს მიაღწია, სწორედ მაშინ დაიწყო დაცემა, თუმცა დიდების ნაყოფები კი დარჩა. პარადოქსია, რომ ტაძრის აშენებელი, ქვეყანაში ღვთის დასადგურების ისტორიული მისიის აღმსრულებელი, დროებითი რღვევადი კარვიდან გამძლე შენობაში მისი დამამკვიდრებელი, მტკიცედ ვეღარ დადგა მამა-პაპის რჯულზე. კაცი, რომელიც ტაძრის აშენების შემდეგ ღვთის ტრანსცენდენტულობითა და სიდიადით შეძრული ამბობდა: „ნუთუ ნამდვილად იმკვიდრებს მიწაზე ღმერთი? აჰა, ვერ იტყვენ მას ცანი და ცანი ცათანი, როგორ დაიტყვს ეს ჩემი

აშენებელი ტაძარი?“ (3მეფ. 8:27). კაცი, რომელიც „იდგა და ხმამაღლა აკურთხებდა ისრაელის მთელს კრებულს“ ამ სიტყვებით, რომლებიც მხოლოდ რჯულის ნამდვილი მოძღვრის ბაგეებიდან შეიძლება გამოსულიყო: „აკურთხეულ იყოს უფალი, რომელმაც სიმშვიდე მიანიჭა თავის ერს, ისრაელს, როგორც დაპირებული იყო. ერთი სიტყვაც არ დარჩენილა აღუსრულებელი იმ სასიკეთო სიტყვებიდან, თავისი მორჩილის, მოსეს პირით რომ ბრძანა. ჩვენთან იყოს უფალი, ჩვენი ღმერთი, როგორც ჩვენს მამა-პაპასთან იყო; არ მიგვატოვოს, არ გაგვწიროს, მიიზიდოს თავისკენ ჩვენი გულები, რომ მის გზაზე ვიაროთ და დავიცვათ მისი შეგონებები, წესები და მცნებები, რომელნიც ჩვენი მამა-პაპისათვის დაუწესებია. იყოს ეს ჩემი სიტყვები, რომლებითაც უფალს ვევედრები, ახლოს უფალთან, ღმერთთან, ღლითა და ღამით, რომ მარადღე აჩენდეს სამართალს მისი მსახურისათვის და მისი ერის, ისრაელისათვის, რათა გაიგოს დედამიწის ყოველმა ხალხმა, რომ ღმერთია უფალი და სხვა არავინაა მის მეტი. იყავით გულწრფელი უფლისადმი, ჩვენი ღმერთისადმი, როგორც დღესა ხართ, რომ იართო მის წესზე და დავიცვათ მისი შეგონებანი“ (3მეფ. 8:56-61), ამ სიტყვათა წარმომთქმელი აღარ იყო წრფელი უფლისადმი და აღარ იარა მისი გზებით. ნიშანდობლივი და საბედისწერო იყო ისტორიულ პერსპექტივაში, რომ სოლომონის „ოქროს ხანას“ არ ეწერა ხანგრძლივი არსებობა და რომ ამქვეყნიური დიდების მწვერვალზე ასული სოლომონისათვის არ ჩანდა სხვა უფრო მაღალი მწვერვალი – წუთისოფლის წესის თანახმად მხოლოდ დაცემა იყო მოსალოდნელი.

„სიბერის ხანს მიდრიკეს სოლომონის გული მისმა ცოლებმა უცხო ღმერთებისაკენ. ისე წრფელი არ იყო მისი გული უფლისადმი, როგორც დავითის, მამამისის გული. დადიოდა სოლომონი ციდონელთა ღმერთის, აშთორეთისა და ყამონელთა სიბილწის, მილქომის კვალზე. უკეთურებას სწადიოდა სოლომონი უფლის თვალში და ისე არ ერთგულებდა უფალს, როგორც მამამისი დავითი. მაშინ აუგო სოლომონმა სამსხვერპლო ქამოშს, მოაბის სიბილწეს, მთაზე, იერუსალიმის პირდაპირ, და მოლოქს, ყამონიანთა სიბილწეს. ასევე მოიქცა თავის ყველა უცხოელი ცოლის გულისათვის, რომელნიც უკმევედნენ და მსხვერპლს სწირავდნენ თავ-თავიანთ ღმერთებს...“ (3მეფ. 11:4-8).

ჯერ კიდევ ქანაანში ცხოვრებისას, სანამ ეგვიპტეში გადასახლდებოდა ისრაელის თორმეტი შვილი, უცხოელი ცოლები დიდი საცოთური იყო ერთი უფლის, უხილავი და ტრანსცენდენტული ღმერთის აღმსარებელთათვის. ებრაელთა წინაპარი მამები უკრძალავდნენ თავიანთ შვილებს ქანაანელი ცოლების მოყვანას. „გაფიცებ უფალს, ღმერთს ცისას და ღმერთს მიწისას, – ასე ეუბნებოდა აბრაამი თავის მსახურს, – არ მოუყვანო ცოლი ჩემს ძეს ქანაანელთაგან, რომელთა შორის მე ვცხოვრობ; არამედ წახვიდე ჩემს ქვეყანაში, ჩემს სამშობლოში და იქიდან მოუყვანო ცოლი ჩემს ძეს, ისაკს“ (დაბ. 24:3-4); თავის მხრივ ისაკიც ამგვარ ანდერძს უტოვებდა იაკობს: „ნუ მოიყვან ცოლს ქანაანელთაგან. ადექი და წადი შუამდინარეთში, დედაშენის მამის, ბეთელის სახლში და იქიდან მოიყვანე ცოლად დედაშენის ძმის, ლაბანის ასული...“ (დაბ. 28:1-2). ამ ენდოგამიას ხალხის გენეზისში ღრმა საფუძველი ჰქონდა: უნდა დაცულიყო ამ ხალხის სხეული და სული, უფრო სული, რათა მისგან შექმნილიყო რჩეული და წმიდა ერი, რათა მისი სული არ შემდგრეულიყო, არ დატყვევებულიყო ქანაანელთა ორგიასტულ დღესასწაულებში. „ამ ქალებმა სული შეუწუხეს ისაკს და რებეკას“ (დაბ. 26:35) – ნათქვამია ესავის ქანაანელ ცოლებზე, რომელთაც განსაზღვრეს საბოლოოდ ესავის ანუ ელომის სულიერება. იაკობის ტყუპისცალი უსასრულოდ დაშორდა თავის ძმას, რომლის წიაღიდან უნდა გამოსულიყო უფლის რჩეული ერი. „მიატოვებს კაცი დედ-მამას და მიეწებება თავის ცოლს (დედაკაცს)“ (დაბ. 2:24) – ამბობს ადამიანის შესაქმნის მითოსი. ქალი შემოდის მამაკაცში თავისი რჯულით და შესწევს უნარი შეუცვალოს მას რჯული. მამაკაცის რელიგია შეიძლება იძლიოს დედაკაცის რელიგიით, როგორც იძლია ადამი ევას რჩევით, როცა აკრძალული ხილის გემოს-ხილვას ურჩევდა, რის შედეგადაც ადამმა დაკარგა მამის რელიგია.

სოლომონმა ააშენა ტაძარი და შეუქმნა თავის ხალხს და ქვეყანას ეროვნულ-რელიგიური შუაგული, მაგრამ სიცოცხლის მიწურულზე თავად უდალატა მასში დავანებულ უფალს: მის გვერდით ქვეყანაში შემოიყვანა და დაასადგურა ცოლეურთა უცხო ღმერთები. ეს იყო უფრო მძიმე ცოდვა, ვიდრე ის ცოდვა, რომელიც დავითმა ჩაიდინა – ერთადერთი ცდუნება თავის ცხოვრებაში; რადგან ურია ხეთელისთვის ცოლის წართმევა და მერე მისი მუხანათური მოკვლა – ეს საზარელი საქციელი მხოლოდ მი-

სი ჩამდენის სულსა და ხორცს ვნებდა (დავითმა, მხილებულმა ცოდვაში, მონანია და იკისრა სასჯელი), სოლომონის მოქმედებამ კი, რაც მამაპაპეული ერთღმერთობის (მონოთეიზმის) დალატი იყო („რადგან გული აიცრუა მან უფალზე“), აცთუნა მთელი ერი.

„უთხრა უფალმა სოლომონს: იმის გამო, რომ ასე იქცევი, არ ასრულებ ადამიანს და წესებს, რომლებიც დამიწესებია შენთვის, გამოგვლევ სამეფოს და მივცემ შენს მსახურს. ოღონდ შენს სიცოცხლეში არ გავაკეთებ ამას მამაშენის, დავითის გულისათვის. შენს შვილს კი გამოვვლევ ხელიდან. მაგრამ მთელს სამეფოს როდი გამოვვლევ, ერთ შტოს შენს შვილს დაუტოვებ დავითის, ჩემი მსახურის გულისათვის და იერუსალიმის გულისათვის, რომელიც მე ავირჩიე“ (3მეფ. 11:11-13).

ასე რომ, მამის ჩრდილი ეფინა სოლომონს და არ დაისაჯა განდგომისათვის, რაც არც ერთ მის შემდგომ მეფეს არ ეპატია. მაგრამ ის პირველი იყო, რომელზეც შეითხზა უფლისაგან გამდგარ მეფეთა გამკიცხველი ფორმულა. – „უკვლამართად იქცეოდა სოლომონი უფლის თვალში“.

იუდას და ისრაელის მეფეები

დავითის ერთიანი სამეფოს ორად გახლეჩა უფლის ნებით მოხდა. მაგრამ უფლის ნება უშუალოდ არ იწვევს პროცესებს, უფალს ადამიანის ხელი „ეხმარება“. რაც ხდება უფლის ნებით ხდება, მაგრამ ადამიანის ხელით ხორციელდება. ასეთი შედეგინლობის არის ისტორიული პროცესი, ეს ორი ფაქტორი განსაზღვრავს მას: ერთი დავითის ნება და მეორე – ადამიანის ხელი, ერთმანეთის შეუწონადი ფაქტორები. მაგრამ – ესეც უფლის ნებაა – ყოველი ისტორიული ცვლილება უფლისა და ადამიანის თანაშემოქმედების – სინერგიის შედეგია.

იყო პერიოდი სამყაროს ისტორიაში, როცა რაც შეიქმნა, ყველაფერი კეთილად და მშვენიერად შეიქმნა. შექმნილის სიკეთე შესაქმნის ყოველი აქტის შემდეგ ხუთგზის დაადასტურა შემოქმედისეულმა შეფასებამ, რომ *კარგია*, მეექვსედ კი მთლიანობაში – *ძალიან კარგია*. თუ ბერძნული მსოფლგანცდა სამყაროში წესრიგს – *კოსმოსს* – ხედავს, არც ბიბლია უყურებს სხვანაირად ამ სამყაროს, მისთვისაც იგი წესრიგისა და მშვენიერების გამოხატულებაა. „გასრულდა ცა და მიწა მთელი მისი წყობითურთ“ (დაბ. 2:1). ამრიგად, სამყარო შეიქმნა, როგორც სრულება, როგორც წყობა (წყობილება, წესრიგი), როგორც თანხმობა, მშვიდობა ქმნილებათა შორის. შემოქმედი ღმერთი არა მხოლოდ სამყაროს მეფეა, არამედ კაცობრიობისა მთლიანობაში და, კერძოდ, ისრაელისა, რომელზეც ცის მხედრობის, ცის წყობის ანალოგიურად მეფობს უფალი. არსებობს შესატყვისობა სამყაროსა და ადამიანთა საზოგადოებას (სოციუმს) შორის, სამყაროს წესრიგსა და სოციუმის წესრიგს შორის. მეორე მხრივ, ადამიანი მოწოდებულია დაიცვას ეს წესრიგი ამ მიწაზე, ქვეყანაში, რომელიც უფალმა მისცა მას სამკვიდრებლად. ეს მისია მას შეეძლო სრულყოფილად შეესრულებინა, რამდენადაც ის „ღვთის ხატად“ შეიქმნა, რამდენადაც მას შეეძლო ევლო ღვთის ნებით (ეს ნიშნავს არა მონურ მორჩილებას, არამედ საკუთარი ადამიანური ნების შერთვას ღვთიურ აბსოლუტურ ნებასთან). ბიბლია რამდენიმე ადამიანს ასახელებს კაცობრიობის გენეალოგიაში, რომლებიც იყვნენ სრულნი (*თამ, თამიმ*) და „იქცეოდნენ ღვთის (ნების) თანახმად“. ასეთები იყვნენ ენოქი, რომელიც ცოცხლივ იქნა ატაცებული ღმერთთან (დაბ. 5:25), და ნოე, რომელიც ერთადერთი თავის თაობაში გადაურჩა საყოველთაო წარღვნას, რითაც უფალმა ცოდვილი კაცობრიობა დასაჯა.

ადამიანი უნდა ყოფილიყო ყოველისშემოქმედისა და სამყაროს მეფის ვიკარიუსი დედამიწაზე, რათა მას განეგრძო ღვთის შემოქმედება დედამიწის სფეროში. თუ ადამს შეეძლო, გაეწია ცხოველთა სამყაროს პატრონობა, რაც არაორაზროვნად არის მითითებული ბიბლიის მე-2 თავში, სადაც ადამი ღვთის მითითებით სახელებს არქმევს ცხოველებს, რამდენად პასუხისმგებელი უნდა ყოფილიყო იგი წესრიგზე ადამიანთა საზოგადოებაში, რომელიც ღვთის ხატად შექმნილ არსებათაგან შედგება.

სხვა ღირებულებათა შორის, რომელზეც დგას არა მხოლოდ სამყარო, არამედ უნდა იდგას ადამიანთა საზოგადოება, არის *შალომ* – უნივერსალური ონტოლოგიური სინამდვილის ამსახველი ცნება, რომელიც სეპტუაგინტას (ბიბლიის ბერძნული თარგმანის) მეშვეობით ყველა ქრისტიანულ ენაზე „მშვიდობის“ მნიშვნელობამდე დავიწ-

როგდა. მართალია, *შალომ* ნიშნავს მშვიდობას (ბერძნ. *ეირენე*), მაგრამ არა მხოლოდ მშვიდობას, არამედ ყველაფერს, რაც მშვიდობის პირობას ქმნის და რასაც შედეგად იწვევს. ერთი სიტყვით რომ გამოვხატოთ, თუმცა ძნელია, ეს იქნება „სიმრთელე“, რომელიც ერთდროულად უნდა მოიცავდეს განუყოფელი მთლიანობისა და სისრულის იდეას. ძველადღობისეულ მისაღმებაში *შალომ* იგულისხმება არა მხოლოდ ზავის, უომობის მდგომარეობა, არამედ ისეთი მდგომარეობა, რომელიც შეიძლება დავახასიათოთ როგორც სრულყოფილება. ამ აზრით, *შალომ* ესქატოლოგიური კატეგორიაა, რამდენადაც ის ისტორიის პროცესში განუხორციელებელია. ყოველ შემთხვევაში, ედემიდან გამოსული ღვთისხატებლადღული ადამიანი ვერ ახორციელებს მას. *შალომის* მდგომარეობა დასასრულის მდგომარეობაა, და თუ ვინმე ამბობს, რომ ქვეყანაში დასაღვურდა იგი, ტყუის. წინასწარმეტყველნი აფრთხილებდნენ ხალხს, არ დაეჯერებინათ *შალომის*, როგორც უკვე დამკვიდრებულის, მქადაგებელთათვის. „ამბობენ: მშვიდობაა, მშვიდობა! მაგრამ არ არის მშვიდობა“ – ეს იერემიას სიტყვებია, რომელთაც ის გამუდმებით იმეორებდა (იერ. 6:14; 8:11).

და მაინც, ის ამოცანა, რომელიც აღთქმულ ქვეყანაში რჩეული ხალხის დამკვიდრებას გულისხმობდა, იმავდროულად *შალომის* დამკვიდრებაც ჰქონდა მხედველობაში. ვინაიდან, რა ღირებულება უნდა ჰქონოდა უფლის თვალში და ხალხის თვალშიც (რამდენადაც ამ ხალხს უფლის თვალით უნდა ემზირა) „რძითა და თაფლით მდინარე ქვეყანას“, თუ იქ უფლის მშვიდობა არ იქნებოდა დამკვიდრებული? მშვიდობა-*შალომ*, რამდენადაც შესაძლებელი იქნებოდა მისი მიღწევა დედამიწაზე ერთი ქვეყნის ფარგლებში, დამოკიდებული იყო თავად ხალხის სულისკვეთებაზე, მის მონოლითურობაზე, მის წინაგან თანხმობაზე, მცნებათა აღსრულებაზე, უფლისადმი ერთგულებაზე... მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, რაც მთავარია, მათ ერთ ქვეყანაში უნდა ეცხოვრათ. ვიდრე უდაბნოში იმყოფებოდნენ, მათი მიზანი იყო, დაემკვიდრებინათ ქვეყანა და დამკვიდრებულიყვნენ ქვეყანაში, მაგრამ როცა ეს მიზანი შესრულდა და დიდი წარმატებითაც, არათუ ესქატოლოგიური *შალომი*, არამედ ელემენტარული მშვიდობა, მისი ყოფითი ასლიც კი სანატრელი შეიქნა.

ენოქი და ნოე გამონაკლისები იყვნენ კაცობრიობაში, მათ წესს არ მისდევს კაცთა მოღვაძე. მაგრამ განა ასეთივე გამონაკლისი არ უნდა ყოფილიყო იაკობის საზარღულიდან გამოსული თორმეტი ძმური ტომი, რომელიც ღმერთმა მთელი კაცობრიობიდან თავის უნჯ ხალხად აირჩია? რომელ ხალხს ჰყოლია ასეთი ღმერთი, რომელს ჰქონია ასეთი წინამძღოლობა, ასეთი მიზანი? ისინი იმავე ჯიუტი და ქედუხრელი კაცობრიობის ნაწილი იყვნენ, მაგრამ რჩეულობას ხომ უნდა გარდაექმნა ისინი, რათა თავიანთ სულიერ ცხოვრებაში, ყოველდღიურ ყოფაში, სოციალურ ურთიერთობებში, სხვა ხალხებთან დამოკიდებულებაში ეჩვენებინათ, რომ ისინი ნამდვილად რჩეულ მოღვაძეს წარმოადგენდნენ. მაგრამ, როგორც დავინახეთ, თუნდა მეფობის შემოღების ისტორიულ ეპიზოდში, რჩეულმა ხალხმა ვერ აიტანა თავისი რჩეულობა, შეიძლება ითქვას, ოცდაათ ვერცხლად გაყიდა იგი. გაყიდეს იოსები მისმა ძმებმა, საიდანაც ეს ხალხი წარმოიშვა? გაყიდა უფრო ადრე პირმშოება ესავმა? ასევე გაყიდა ისრაელმა თავისი საუნჯე – უნიკალობა, ერთადერთობა, რისკენაც მათ სამყაროს შემოქმედი მოუწოდებდა. მათ კი თქვეს: ჩვენ გვინდა ისეთები ვიყოთ, როგორც სხვა ხალხები არიან. მეფობის შემოღებით დაიწყო და ასე გაჩნდა პირველი განანგრევი საგანძურის კედელში.

გასაგებია, ხალხს ცხოვრება უნდოდა, წინასწარმეტყველნი კი მუდმივად აფრთხილებდნენ, რომ ისეთი ცხოვრება, როგორიც მათ გადაიღეს გარემოში ხალხებისაგან, კეთილ ბოლომდე არ მიიყვანდა მათ. რძეზე და და თაფლზე ხომ ზედმეტი იქნებოდა ლაპარაკი. ვინაიდან, რაც მეტია დაუმსახურებლად გადმოსული მადლი, მით მეტია პასუხისმგებლობა: მადლის მეორე მხარე სასჯელია. უფალმა მადლა აიყვანა ხალხი, მაგრამ როცა ის დაეცა, მადლიდან დაეცა, და, როგორც წინასწარმეტყველნი ამბობდნენ, განაცვიფრა ამ დაცემამ ხალხები. ღმერთი თავისიანებს უფრო მეტს მოჰკითხავს, ვიდრე სხვებს, ვისთვისაც რჯული არ მიუცია.

საიდან დაიწყო ერთიანი სამეფოს გახლეჩის პროცესი? შეიმჩნეოდა თუ არა იაკობის შვილებში ერთმანეთისადმი გაუცხოება ან თუ იუდა და ბენიამინი ერთად იყვნენ, ათი ტომი კი – ცალკე, და ამ ურთიერთხურგშექცევამ, პარტიკულარიზმმა უკვე ერთი ტომის ფარგლებში გადაინაცვლა? იუდა და სხვანი ერთხრახვა იყვნენ, როცა მამის გულის მოსაკლავად გაწირეს იოსები, ხოლო ერთადერთი რეუბენი, არცთუ ყველაზე

უკეთესი ძმათა შორის, – მან არ შეურაცხყო მამის სარეცელი? – ცდილობდა მათი განზრახვის ჩაშლას? ჯიუტნი და ქედვიცხელნი იყვნენ შვილები, ყველა თავისებურად ჯანყდებოდა მამის წინააღმდეგ, რაც შემდეგ უფლის წინააღმდეგ ჯანყში გადაიზარდა, როცა მათ ერთი ხალხი წარმოშვეს.

ნათელი წერტილი ამ მოდგმაში ჯერ იოსები იყო, რომლის პროვიდენციულ დიდსულოვნებას შეეძლო გამოეყვინა ძმების უთნობანი (და ასეც მოხდა, ეს გახდა საჭირო), იოსები, ვისი ცხოვრებაც მაცხოვრის პრეფიგურაციის ერთ-ერთ წყაროდ იქცა, და მერე დავითი, იუდას შტოდან, რომლის ღირსებები უთვალავია, თუმცა მოერია მას ადამიანური სისუსტე, რისთვისაც პიროვნულად, არა მისმა მოდგმამ, მწარედ ავო პასუხი. და მაინც დავითი გახდა მეფობის მაგალითი, რომელმაც ერთგვარად შეძერწა მაცხოვრის სახე. თუ ეგვიპტეში გაყიდული იოსები უცხო ქვეყნის ფაქტიური განმგებელი გახდა, ისხნა თავისიანები და ძმებიც, მათი უკეთური საქციელის პატივით, კვლავ ერთ სხეულად შეკრა, დავითი პირველი იყო, რომლის დროსაც და კვერთხის ქვეშ (გავისხენოთ იაკობის კურთხევიდან: „არ წაერთმევა კვერთხი იუდას... ვიდრე არ მოვა მისი მფლობელი და ის იქნება სასო ხალხების“) ისრაელიანთა თორმეტი ტომით დასახლებული მიწა-წყალი ერთიანი სამეფო იყო. მის დროს თითქმის სავსებით აღსრულდა აბრაამისთვის უფლისაგან მიცემული აღთქმა, რომ მისი შთამომავლობა დაიმკვიდრებდა ქანაანს.

ამ ორ, თუმცა ერთმანეთისაგან ბედითა და ხასიათით განსხვავებულ პიროვნებაზე შეიძლება თქმულიყო, რომ ისინი იქცეოდნენ უფლის ნებაზე და იყვნენ – თითოეული თავის ასპარეზზე – სრულნი. მაგრამ ახლა ჩვენი ყურადღება დავითისაკენ იხრება, რომელიც შეიძლება ითქვას ცენტრალური და, ერთგვარად, არქეტიპული ფიგურაა ხალხის ისტორიაში. აქ ის არის შესანიშნავი, პირველ რიგში, რომ მან შეძლო მიეღწია თორმეტი ტომის ერთიანობისათვის, თუმცა თავდაპირველად ქვეყნის ჩრდილოეთში მცხოვრებ ტომებს დიდი სიმპათიით არ შეუწყნარებიათ მისი მეფობა. მან აქცია იერუსალიმი პოლიტიკურ და რელიგიურ ცენტრად და აქამდე მოხეტიალე კარავი მთავარი სიწმიდით – უფლის კიდობანითურთ – ერთ მკვიდრ ადგილას დააგანა, თუმცა მას საძირკვლიანი ტაძარი უფლისათვის არ აუშენებია. მის დროს საბოლოოდ ნივთიერი ადვსება მიიღო უფლის მიერ მრავალგზის თქმულმა, რომ ის აირჩევედა ადგილს თავისი სახელის დასამკვიდრებლად. ასეთი ადგილი იერუსალიმი გამოდგა, რომლის დიდებული წარსული გამოუცნობი მელქიცედეკის – „შალემის მეფისა და უზენაესი ღვთის მღვდლის“ – სახელთან კავშირდება.

გარდა ურია ხეთელის ეპიზოდისა, რომლისთვისაც დავითმა პიროვნულად სავსებით მიიღო საზღაური, ხოლო შთამომავლობას, კაცობრიობას დაუტოვა ყოველი ქრისტიანისათვის ნაცნობი სინანულის შეუდარებელი 50-ე ფსალმუნი, მასში არავითარი ბიწი არ იპოვებოდა. უფალს უყვარდა დავითი და, რომ მის შემდეგ გვირგვინი და კვერთხი არ წართმევა მის ნაშიერს მრავალი თაობის მანძილზე, ამ სიყვარულის გამო იყო. მიუხედავად მეფობისადმი უფლის უარყოფითი დამოკიდებულებისა, დავითი რჩებოდა მეფის ეტალონად დინასტიურ ისტორიაში და მესიის წინასახედ საკაცობრიო ესქატოლოგიურ პერსპექტივაში.

როცა სოლომონმა, დავითის სიყვარულის ძემ, დავითის სიკვდილის შემდეგ და, რაც პარადოქსულია, თუმცა ამასაც შეიძლება მოექებნოს რაციონალური ახსნა (თუ არა, გაგება მაინც), ტაძრის შენების დასრულების „მეორე დღეს“ უცხო ღმერთებისაკენ მიდრიკა გული, დავითისადმი სიყვარულის გამო იყო, რომ უფალს განმდგარი მეფისათვის ზურგი არ შეუქცევია, არ მოუძულებია ბედკრული საულივით, არ წაურთმევა მისთვის მეფობა, უფრო მეტი: სამეფოს გახლენის შემდეგ იუდას სამეფოში არ გამრუდებულა დავითისაგან მომდინარე დინასტიური ხაზი: იუდას ტახტზე საბოლოო კატასტროფამდე დავითიანები, თუმცა უკეთურნი, მეფეები ისხდნენ. ასე უყვარდა უფალს დავითი.

რა იყო სამეფოს გახლენის მიზეზი თუ მიზეზები? იყო მიზეზიც და იყო საბაბიც, რამაც შესაძლებელი გახდა მომხდარიყო ის, რაც აუცილებლობით უნდა მომხდარიყო. პირველი მიზეზი თავად ხალხის შიგნით მწიფდებოდა დასაბამიდან, როგორც ითქვა, იმ ხნიდან, როცა ხალხი ჯერ კიდევ არ იყო ხალხი, არამედ ერთი მამის თორმეტი ძე, რომლებიც არცთუ მორჩილი შვილები და თანხმიერი ძმები იყვნენ. როგორც იაკობს უჭირდა მათი დაზავება, ისე მეფეს გაუჭირდებოდა (უფრო მეტადაც) მთელი

ხალხის თანხმობაში მოყვანა. ვგულისხმობ რელიგიურ, არა იმდენად პოლიტიკურ თანხმობას. ქანაანში დამკვიდრების შემდგომმა ისტორიამ აჩვენა, რომ უფლის არჩეული ერთადერთი საკულტო ადგილი – იერუსალიმი არცთუ ავტორიტეტული გამოდგა სარწმუნოებრივი სეპარატიზმისკენ მიდრეკილი ჩრდილოელი ათი ტომისათვის.

დავიწყეთ შორიდან და გამოვყვეთ დროის დინებას.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა ქანაანი დაპყრობილი არ იყო და ისრაელის მხედრობა იორდანეს აღმოსავლეთ მხარეს იმყოფებოდა, რეუბენისა და გადის ტომმა და მენაშეს ტომის ერთმა ნაწილმა (ნახევარმა), ნაცვლად იმისა, რომ ქანაანის ტერიტორიაზე მიუღოთ წილი, თავიანთ სამკვიდროდ მდინარე იორდანეს აღმოსავლეთით ნაყოფიერი მიწები აირჩიეს. ეს იყო გალაადი, ბაშანი, რომლებიც საძოვრებით იყო მდიდარი, ამ ტომებს კი ბევრი საქონელი ჰყავდათ. მოსემ დასტური დასცა, ოღონდ იმ პირობით, რომ ეს ორი ტომი და ნახევარტომი ჯერ თავიანთ ძმებს მიეხმარებოდნენ ქანაანის დაპყრობაში; მერე კი მათ შეეძლებოდათ დაბრუნება თავიანთ არჩეულ მიწა-წყალზე. და, აჰა, დასრულდა უფლის ბრძოლები აღთქმული ქვეყნისთვის, რომლის დასამკვიდრებლად მთელი ისრაელი – მისი ყველა შტო მონაწილეობდა. მათ შორის იყვნენ რეუბენი, გადი და მენაშეს ნახევარი. როდესაც ისინი, ვალმოხდილნი, უკან ბრუნდებოდნენ, გზაზე სამსხვერპლო ააგეს. თითქოს არაფერი: რატომ უნდა ჩათვლიდათ საეჭვო მოქმედებად სამსხვერპლოს აგება ტომებს, რომლებიც სტოვებდნენ ქანაანს და იორდანეს გაღმა გადიოდნენ? სამსხვერპლო ხომ არა ბაალის, არამედ იაჰვე-უფლის სახელზე ააგეს? მაგრამ ეს არ მოიწონეს დანარჩენმა ისრაელიანებმა. მათ ამ ქმედებაში უმაღლეს სეპარატიზმის მცდელობა თუ დაგვირგვინება დაინახეს, ვიდრე ღვთისმოსაობის აქტი. „რატომ უმტყუნეთ ისრაელის ღმერთს, ზურგი რომ შეაქციეთ დღეს უფალს და სამსხვერპლო ააშენეთ უფლის გასაჯავრებლად? ... ნურც ჩვენ გვაჯავრებთ იმით, რომ უფლის, ჩვენი ღმერთის სამსხვერპლოს გარდა სხვა სამსხვერპლოს აშენებთ“ (იესო 22:16). რითი იმართლეს თავი სამსხვერპლოს მშენებლებმა? არა, თქვენს მათ, ჩვენი სამსხვერპლო სრულიადაც არ არის საკულტო დანიშნულების; ჩვენი აშენებული სამსხვერპლო სრულიადაც არ უპირისპირდება უფლის ერთადერთ სამსხვერპლოს. არა, ჩვენ ავაშენეთ იგი, რათა ყოფილიყო მოწმედ ჩვენს შთამომავალთათვის იმისა, რომ მათაც, იორდანეს გაღმა მცხოვრებთაც, აქვთ წილი ქანაანში მცხოვრებ ისრაელიანებთან ერთად. „დღესვე დავიდუბოთ... თუ თავის დასახლევად არ მოვკცეულიყავით ასე, რომ ხვალ თქვენმა შვილებმა არ უთხრან ჩვენს შვილებს: რა საქმე გაქვთ უფალთან, ისრაელის ღმერთთან?... ვიფიქრეთ: როცა ასე გვეტყვიან ჩვენ და ჩვენს შემდგომ თაობას, მივუგებთ: აჰა, უფლის სამსხვერპლო, რომელიც ჩვენმა მამა-პაპამ ააშენა არა აღსაველენისათვის და საკლავისათვის, არამედ რათა მოწმე ყოფილიყო იგი ჩვენსა და თქვენს შორის.“ (იესო 22:22-28). მათ აღიარეს, რომ მათთვისაც უფლის ერთადერთი სამსხვერპლო ის იყო, რომელიც უფლის სავანის წინ იდგა (იესო 22:29). ანუ ის ადგილი, სადაც უფალმა თავისი სახელის დავანება ისურვა. უფლის ეს სურვილი გასდევს ლაიტმოტივად „მეორე რჯულის“ წიგნს. ეს იყო ისრაელიანთა ერთიანობის პირობა, რაკი მათ მიწიერი მეფე – ერთიანობის გარანტი არ უნდა ჰყოლოდათ, მხოლოდ ერთადერთი ღმერთის რწმენა და მისი ერთადერთი სამსხვერპლო – ერთადერთი საკულტო ცენტრი უნდა ყოფილიყო მათი ერთიანობის გარანტი. სამსხვერპლოთა სიმრავლე გამორიცხული იყო – ეს შებღალავდა ძველი აღთქმის უკომპრომიზო მონოთეიზმს. ერთი ღმერთი, ერთი სამსხვერპლო და ერთი ხალხი – ეს იყო მოსეს რჯულის პრინციპი, რასაც შემდგომ წინასწარმეტყველნი გამუდმებით ქადაგებდნენ.

დავითმა, როგორც ითქვა, განახორციელა ეს პრინციპი: იერუსალიმში უფლის კიდობნის გადატანით მან სამუდამოდ მიანიჭა ამ ქალაქს ცენტრალური და ერთადერთი საკულტო ადგილის ღირსება: როგორც სხვა კიდობანი არ არსებობდა, ასევე არ უნდა ეარსება სხვა სამსხვერპლო. ერთი ღმერთი (*ელოჰიმი*), ერთი „აღთქმის კიდობანი“ (*არონ კა-ბერთი*), ერთი სამსხვერპლო (*მიზბეახი*), ერთი „უფლის კრებული“ (*ეჰჰალ აჰ-ვე*), ერთი „ისრაელის საზოგადოება“ (*ყველათ ისრაელ*) – და ამას დაემატა: ერთი მეფე, თუმცა, უნდა გავიმეოროთ, მეფობას არ ჰქონდა ისრაელის რელიგიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში თეოლოგიური გამართლება.

როდესაც პოლიტიკური თუ სხვა მიზეზით, ერთიანი სამეფო გაიხლიჩა, მაშინ რელიგიურად გამოჩნდა ამ პრინციპის შებღალვის კატასტროფული შედეგი. იმ ადამიანმა, რომელსაც უფლის მიშვებით ხელში ჩაუვარდა ჩრდილო ათი ტომის მეფობა, პირ-

ველი, რაც გააკეთა, ეს იყო ოქროს ხბოს ორი კერპის აღმართვა – ერთისა ბეთელში, სადაც იაკობს ზეციური კიბე ესიზმრა, მეორისა დანში, ისრაელიანთა განსახლების უკიდურეს პუნქტში.

იერობოამი ერქვა ამ მეფეს, ჩრდილო სამეფოს პირველ მეფეს, რომელმაც შემდგომ უკეთურ მეფეთა ტიპს დაუდო დასაბამი. „ითათბირა მეფემ და გააკეთა ორი ოქროს ხბო და უთხრა ხალხს: გეყოფათ იერუსალიმში სიარული. აჰა, შენი ღმერთები, ისრაელო, რომელთაც ეგვიპტიდან გამოგიყვანეს“ (3მეფ. 12:28). სინაის მთის ძირას, სადაც პირველად აღმართა ოქროს ხბო, იგივე სიტყვები ისმინეს ეგვიპტიდან ახლადგამოსულმა ისრაელიანებმა: „აჰა, შენი ღმერთები...“ (გამ. 32:8). ეს სიტყვები აარონის პირიდან გამოვიდა, მაგრამ აარონს პასუხი არ უგია მათთვის, იერობოამი კი ისრაელის უკეთურ მეფეთა წინასახე შეიქნა. მაშინ თუ კერპი მოსეს ბრძანებით გაცამტვერდა, ისე რომ, მისი თაყვანისცემა ვერც მოასწრო ხალხმა, ახლა ამ ოქროს ხბოებმა ხანგრძლივად (ისრაელის სამეფოს დაცემამდე) განსახლვრა ქვეყნის რელიგიური სახე. ყველაზე მკრეხელურად და უღვთოდ დაუპირისპირდა ბეთელი და დანი თავიანთი კერპებით იერუსალიმის სიწმიდეს. იერობოამმა კიდევ გადადგა ორი ნაბიჯი რელიგიური სეპარატიზმის გზაზე. ერთი – სამსხვერპლო გორაკების (ბამოთ) დაწესებით და მეორე – იერუსალიმის ტრადიციული დღესასწაულის საპირისპიროდ „მისი მსგავსი“ დღესასწაულის დაარსებით „მერვე თვის მეთხუთმეტე დღეს“ (3მეფ. 12:31). ასე დაუპირისპირდა იერობოამი არა მხოლოდ დავითს, არამედ ისრაელის კრებულის მთელს ტრადიციულ რელიგიურ პრაქტიკას. დაბოლოს, მან პიროვნულად გაბედა ისეთი რამ, რასაც ვერც მოსეს დროს, ვერც მსაჯულთა არეულ ხანაში ვერავინ გაბედავდა: დაარღვია რა წმიდა ტრადიცია, რომლის ძალითაც სამსხვერპლოს მხოლოდ ლევიანები (ლევისაგან წარმოშობილი შტოს წარმომადგენლები) ემსახურებოდნენ, მოსედან მოყოლებული, თვითნებურად „ავიდა თავის აგებულ სამსხვერპლოზე მერვე თვის მეთხუთმეტე დღეს, იმ თვეში, რომელიც თავისი ნებით ამოირჩია, დაუწესა რა დღესასწაული ისრაელიანებს, და ავიდა სამსხვერპლოზე საკმევის საკმეველად“ (3მეფ. 12:33). ამ საქციელით ისრაელის (ასე დაერქვა ცხრა ტომით დასახლებული ქვეყნის ჩრდილო ნაწილს) პირველი მთლიანად მოწყდა იერუსალიმს და მის კულტს. მისი პიროვნება და სახელი უკეთური მეფის ანდაზად იქცა მეფობის ისტორიაში. „ბოროტად იქცეოდა უფლის თვალში, მიჰყვებოდა იერობოამის გზას და მის ცოდვებს და ისრაელსაც აცდუნებდა“ (3მეფ. 15:34), ასე აჯამებს მემატიაზე ისრაელის მეფის ბაყაშას მეფობას. „მიწებებული იყო და არ განრიდებია იერობოამ ნაბატის ძის ცოდვებს, რომელმაც აცდუნა ისრაელი“ (4მეფ. 3:3), ნათქვამია მეფე იორამზე.

არადა, კეთილად დაიწყო იერობოამმა გამონენა. „მამაცი კაცი (გიბორ ხაილ) იყო იერობოამი“, ასე ახასიათებს მას მატიაზე. ამიტომაც სოლომონმა მას ბეგარის საქმე ჩააბარა. უფალი კი მას სხვა ასპარეზისთვის ამზადებდა. ერთხელ, იერუსალიმიდან გასულს, შემოხვდა სილოამელი წინასწარმეტყველი ახია, რომელსაც ახალი მოსასხამი პქონდა მოსხმული. ჩვენ ვიცით, რომ სიტყვის გარდა, წინასწარმეტყველებს გამომსახველობის სხვა საშუალებაც აქვთ მარაგში, სახელდობრ, სიმბოლური მოქმედება. და ამ ახიამ, გაიხადა თავის ახალი მოსასხამი და თორმეტ ნაწილად დაგლიჯა და ათი ნაწილი იერობოამს მისცა ხელში. მათ გარდა სხვა არავინ იყო იქ. გარეშე მაყურებელი უთუოდ გიჟად ჩათვლიდა მას. ვინ არის ეს შეშლილი (მეშუგაე), იტყოდა მისი ამ ქმედების შემსწრე, როგორც ერთხელ თქვეს ერთი უსახელო წინასწარმეტყველის დანახვისას (4მეფ. 9:11). რისი თქმა სურდა ამ უცნაური საქციელით წინასწარმეტყველს? მან ხატოვნად აჩვენა და სიტყვითაც განუმარტა, რომ მრთელი მოსასხამი თორმეტი ტომისგან შემდგარი ერთიანი სამეფოა, რომელსაც ორ ნაწილად გაყოფა მოეღის. უფალი გამოგლეჯს სოლომონს ათ შტოს (ტომს) და იერობოამს ჩააბარებს. მხოლოდ ორი შტო (იუდასა და ბენიამინის) დარჩება სოლომონის შთამომავლებს დავითის გულისათვის. ასე თავისებურად, შეიძლება არატრადიციულად, იქნა არჩეული მეფედ იერობოამი – თუმცა მხოლოდ სოლომონის სიკვდილის შემდეგ ჩაიბარა სამეფო. აქვე მიიღო შეგონებაც, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო, რომ მეფობა შერჩენოდა მის სახლს მომავალში ანუ მისი დინასტია გაგრძელებულიყო. „თუ შეისმენ ყველაფერს, რაც მე გიბრძანე, – ეუბნებოდა უფალი ახიას პირით, – და ივლი ჩემს გზაზე, თუ გააკეთებ ჩემს მოსაწონს, დაიცავ ჩემს წესებს და მცნებებს, როგორც ჩემი მსახური დავითი აკეთებდა, მაშინ შენთან ვიქნები, აგიშენებ მტკიცე სახლს, როგორც და-

ვითს ავუშენე და მოგცემ ისრაელს“ (3მეფ. 11:38). და ნაცვლად იმისა, რომ ევლო იერობოამს უფლის გზაზე, მან თავისი გზა აირჩია, „იერობოამის გზა“, რომელსაც მიყვებოდნენ მისი მომდევნო მეფეები ისრაელის სამეფო ტახტზე.

ისრაელის სამეფომ თავის დაცემამდე (722 წ. ძვ. წ.-ად.) ხუთზე მეტი დინასტია და ცხრამეტი მეფე გამოიცვალა. დინასტიის შეცვლა, როგორც ახლა შეიძლება ვუწოდოთ, სახელმწიფო გადატრიალების შედეგად ხდებოდა. გამოჩნდებოდა ვინმე „დავლათიანი“, ქარიზმატული პიროვნება, რომელიც გაბედავდა და მოკლავდა მეფეს, განთქმულს თავისი უკეთურებით, ღვთისგან და ხალხისგან მოძულეებულს, და თავად დაჯდებოდა ტახტზე. შვილს მამის წინააღმდეგაც მოუწყვია შეთქმულება და მის ნაცვლად გამეფებულა. ცხადია, სამეფო სახლის შენაცვლება უფლის ნებით ხდებოდა: უზურპატორი იარაღი იყო უფლის ხელში არასასურველი დინასტიის დასამხოვად. მაგრამ უკეთურის ნაცვლად გამეფებული წინამორბედის გზას მიყვებოდა.

კი მიყვებოდა ისრაელის მეფეთა უმრავლესობა „იერობოამის გზას“, მაგრამ იყვნენ გამონაკლისნიც, რომელთა შესახებ შეეძლო მემბტიანეს ეთქვა, როგორც იოაშზე დაიწერა: „სწორად იქცეოდა უფლის თვალში იოაში მთელი სიცოცხლე, სანამ იეჰოიადაყ მღვდელი მოძღვრავდა“ (4 მეფ. 12:3). თუმცა მისი სწორად მოქცევა პირობითი იყო: მას სამსხვერპლო გორაკები არ გაუშქმებია – ხალხი კვლავინდებურად სწირავდა იქ მსხვერპლს და საკმეველს აკმევდა.

ისრაელის სამეფოს პირველი მეფე იერობოამი იყო. ვინ იყო იუდას პირველი მეფე? ეს იყო რობოამი, სოლომონის ძე. მართალია, უფალმა გაუშეკვსედა სამეფო სოლომონს, მაგრამ მეფობა მაინც მის სახლს შეუნარჩუნა და ასე გაგრძელდება სამეფოს დაცემამდე, ბაბილონის ტყვეობამდე. დაეითიან-სოლომონიან მეფეთა ხაზი არ გაწყვეტილა. ბოლო მეფეს, იეჰოიაქინს, ბაბილონში ვხედავთ ტუსადს, შემდეგ გათავისუფლებულს და ტახტზე მჯდომს ბაბილონის მეფის გვერდით სხვა მეფეთა შორის, რომლებიც ბაბილონის მეფეს დატყვევებული ჰყავდა. სიკვდილამდე ეძლეოდა მას სარჩო მეფისაგან (4მეფ. 25:27-30).

რობოამს, სოლომონის ძეს, არ აღმოაჩნდა სიბრძნე, რომლითაც მამამისმა სახელი გაითქვა. ცუდად დაიწყო მან. როცა ჩრდილო შტოთა უხუცესები ეახლნენ სოლომონის ძეს თხოვნით, შეემსუბუქებინა მათთვის სოლომონის ხელით დადებული ბეგარა, „უღელი დაგვიმძიმა მამაშენმა. ახლა შეგვიმსუბუქეს ძნელი სამსახური და მძიმე უღელი, მამაშენმა რომ დაგვაკისრა, და გემსახურებით“ (3მეფ. 12:4), – ამ სიტყვებით გამოხატეს მათ თავიანთი სათხოვარი. რობოამი დაეკითხა მამის უხუცესებს, იუდასტომელებს, რომელთაგან ასეთი პასუხი მიიღო: „თუ დღეს მაგ ხალხის მსახური იქნები, დაემორჩილები და დააკმაყოფილებ მათ, კარგ სიტყვებს ეტყვი, მაშინ შენი მსახური იქნებიან სამუდამოდ“ (მეფ. 12:7). შესანიშნავი სიტყვებია, რომლებიც აქტუალობას არასოდეს დაკარგავენ, სანამ ადამიანთა საზოგადოებაში ხელისუფლების საჭიროება იქნება. ეს ურთიერთმსახურება, ჰარმონია, რომელსაც გამოხატავს ზემოთნახსენები სიტყვა-ცნება *შალომ*. მაგრამ არ ეწერა *შალომს* დამკვიდრება ისრაელიანთა საზოგადოებაში – არც ჩრდილოეთში, ისრაელში, არც სამხრეთში, იუდაში. რობოამმა არ ისმინა მამის უხუცესთა რჩევა და ახლა თავის თანატოლებს, მასთან ერთად გაზრდილებს დაეკითხა, ცხადია, ფორმალურად, რადგან რობოამს უკვე ჰქონდა თავისი პასუხი, იცოდა კიდევ, როგორ პასუხს მოისმენდა მათგან. აი, რა მოისმინა: „ასე უთხარი იმ ხალხს, რომელიც გეუბნება, უღელი დაგვიმძიმა მამაშენმა და ახლა შენ უნდა შეგვიმსუბუქო, ასე უთხარი მათ: მამაჩემის წელზე მსხვილია-თქო ჩემი ნეკათითი. ხომ დაგადგათ მამაჩემმა მძიმე უღელი, მე კიდევ უფრო დაგვიმძიმებთ უღელს. ხომ გსჯიდათ შოლტებით მამაჩემი, მე მორიელებით დაგსჯით-თქო“ (3მეფ. 12:10-11). უფალს ხომ გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ გამოგლეჯდა ათ შტოს სოლომონის ნაშიერთ, მაგრამ ეს განგება ადამიანის ხელით უნდა აღსრულებულიყო. ასეთი პასუხის მოსმენის შემდეგ ხალხს სხვა არაფერი ჰქონდა სათქმელი, გარდა ამ საბუდისწერო სიტყვებისა: „რა წილი გვიდევს დავითში! რა მემკვიდრეობა გვაქვს იესეს ძისაგან? შენ-შენი კარგებისაკენ, ისრაელო! ახლა შენ მიხედე შენს სახლს, დავით!“ (3მეფ. 12:16). და, როცა რობოამმა სცადა თავისი ძალაუფლების გამოყენება ჩრდილო ტომებზე, ხალხმა არ მიიღო მისი ხელისუფალი – მოკლეს და ჩაქოლეს იგი. „მაშინ სასწრაფოდ ახდა ეტლზე რობოამი და იერუსალიმში გაიქცა“ (3მეფ. 12:18). იერუსალიმი დავითის ქალაქი იყო. იუდას ქვეყანა, სადაც ეს ქალაქი მდებარეობდა, დავითის ღვიძლი ტომით იყო დასახლებული.

ბული. ასე რომ, დავითის სახლი მის საკუთარ ტომზე მეფობით შეიზღუდა. მაგრამ ის მაინც ძლიერი იყო დავითის სახელით, იერუსალიმის ავტორიტეტით და, რაც მთავარია, სოლომონის აშენებული ტაძრით, რომლის სიწმიდე ერთი – იუდას ტომის – ფარგლებში არ ეტეოდა.

დავითის სახელი და იერუსალიმის ტაძარი პასუხისმგებლობას აკისრებდა იუდას მეფეებს, მაგრამ მათ შორისაც, როგორც ისრაელის მეფეთა შორის, ცოტანი იყვნენ „კეთილი მეფეები“, რომლებიც დავითის გზას მიყვებოდნენ.

რობოამი ვიცით, მისი ძე აბიაძი „დადიოდა ყველა იმ ცოდვით, რასაც მასზე წინ მამამისი სჩადიოდა. არ იყო სრულად მინდობილი მისი გული უფლისადმი...“ (3მეფ. 15:3). უმეტესობა ასეთი შეფასებით არის ჩაწერილი მეფეთა მატიანეში. ძირითადი ცოდვა მაინც რელიგიური ხასიათის იყო, არა ყოფითი, ან პოლიტიკური. მატიანეში ნათქვამია, რომ იუდას ხალხი არ ჩამორჩა ისრაელის ხალხს უფლისგან განდგომაში, რაც საკულტო გორაკების, სვეტების, აშერებისა თუ ხემხვივანების გაშენებაში მდგომარეობდა. უარესიც: „როსკიპებიც იყვნენ ქვეყანაში, სჩადიდნენ იმ ხალხების ყოველგვარ სიბილწეს, რომლებიც აყარა უფალმა ისრაელიანებისაგან“ (3მეფ. 14:23-24). ანუ ხდებოდა ის, რისგანაც გამუდმებით აფრთხილებდა უფალი ისრაელიანებს – ნუ შეეზრდებით, ნუ შეეთვისებით ქანაანელებს, წარმართებს და კერპთაყვანისმცემლებს, ნუ გადაიღებთ მათი ცხოვრების წესს. თქვენ რჩეული ერი ხართ. ეს იყო ერთადერთი მოწოდება მოსეს ხანიდან მოყოლებული, მაგრამ მოწოდება მოწოდებად რჩებოდა.

345 წელი გასტანა დავითის დინასტიამ და 20 მეფეში მხოლოდ ხუთიოდემ თუ დაიმსახურა კეთილი სახელი ისრაელისა და იუდას მეფეთა ისტორიაში. პირველი იყო ასა, რომელიც „სიმართლით იქცეოდა უფლის თვალში მამამისის, დავითის მსგავსად“ (4მეფ. 15:11). ასამ, უკეთური რობოამის ძემ და ასევე უკეთური აბიაძის შვილიშვილმა, გაყარა ქანაანური წესის საღვთო როსკიპები ქვეყნიდან და დაღეწა მამაპაპისდროინდელი კერპები. ასა იმდენად მკაცრი ყოფილა, რომ დედასაც, რომელიც აბესალომის ასული იყო, არ აპატია კერპის თაყვანისცემა და დედოფლობას განაშორა, მისი კერპები კი აჩეხა და მათი ნაგაბარი კედრონის ხევში გადაყარა. თუმცა მან ბოლომდე ვერ მიიყვანა დაწყებული საქმე: ვერ მოერია გორაკებს და ხალხი კვლავ გორაკებზე წირავდა მსხვერპლს. სოლომონის დიდებით აგებული ტაძარი – დავითის სახლი (*ბეთ ელოში*) კი იდგა იერუსალიმში. ასას დროს გამუდმებული ბრძოლები იყო იუდასა და ისრაელს შორის.

მეორე იყო იოშაფატი, რომელიც „ყველაფერში მამამისის, ასას გზას ადგა, არ უხვევდა მისგან და სწორად იქცეოდა უფლის თვალში“ (3მეფ. 22:43). ოღონდ მანაც ვერ შეძლო სამსხვერპლო გორაკების გაუქმება. თავის ოცდახუთწლიან მეფობაში იოშაფატს ზავი ჰქონდა ისრაელის მეფესთან. მეტიც: მასთან ერთად ლაშქრობდა კიდევ. დახმარების ხელს უწვდიდა ისრაელის მეფეს არამის მეფისა თუ განმდგარი მოაბის წინააღმდეგ.

მესამე იყო იოაში. „სწორად იქცეოდა უფლის თვალში იოაში მთელი თავისი სიცოცხლე, სანამ იეჰოიადაყ მღვდელი მოძღვრავდა მას“ (4მეფ. 12:3). იეჰოიადაყ მღვდლის, მისი მოძღვრის, სიკვდილის შემდეგ (იგი მეფეთა სამარხში დამარხეს), განუდგა იოაში იუდას მთავრებთან ერთად უფალს – აშერებსა და კერპებს დაუწყეს მსახურება. არ გაჭრა არც დავითისაგან მოვლენილ წინასწარმეტყველთა სიტყვამ და არც ზაქარია მღვდლის, იეჰოიადაყის ძის ქადაგებამ. არათუ არ უსმინა იოაშიმ თავისი მოძღვრის ძეს, მის მემკვიდრეს, არამედ ბრბოს ჩააქოლინა იგი. „არ გაიხსენა მეფე იოაშიმ მადლი, რაც იეჰოიადაყმა, მამამისმა, უყო მას და მოკლა მისი ვაჟი...“ (2ნეშტ. 24:22). ამის შემდეგ უკან წავიდა იოაშის საქმე: უფალმა მცირე ლაშქრით გაამარჯვებინა არამის ლაშქარს, რომელიც იუდას და იერუსალიმს შეესია, გაწვევითა ერისმთავრები და დიდძალი ალაფი მოხვეტეს და დამასკოში გაუგზავნეს მეფეს. ხალხმა ამ მარცხისათვის იოაშს დასდო ბრალი, მღვდელმთავრის მეკლემლობაც გაუსხენეს და მიიმედ დასწვლად საკუთარ საწოდში მოკლეს. მეფეთა სამარხში არ დაუმარხავთ, ღირსად არ ჩათვალეს (2ნეშტ. 24:23-25).

მესამე იყო ამაცია (სრულად: ამაციაჰუ), მისი ძე. „სწორად იქცეოდა უფლის თვალში, ოღონდ არა ისე, როგორც მისი მამა დავითი. ყველაფერს ისე აკეთებდა, როგორც იოაში, მამამისი“ (4მეფ. 14:3). ამაციამ მამის შური იძია, მკვლელები დახოცა, მაგრამ მათი შვილები არ დაუხოცავს, დაიცვა რა მოსეს რჯული, რომლის თანახმად

არ უნდა დაისაჯონ შვილები მამის და მამები შვილთა დანაშაულის გამო. ეს სწორი მოქცევა იყო უფლის თვალში. მაგრამ რაც ამის შემდეგ ჩაიდინა, არ შეიძლებოდა უფალს მოწონებოდა. შეესია ედომს, გაანადგურა და წამოასხა მისი ღმერთები, და თაყვანს სცემდა და უკმევდა. ეს იყო გადახვევა დავითის გზიდან და მამის – იოაშის გზაზე შედგომა. ამას ისიც დაემატა, რომ ბრძოლაში გამოიწვია ისრაელის მეფე, როგორც ჩანს, უფლის იმედით, მაგრამ უფალი აღარ იყო მასთან. აქამდე ზავი იყო ორ სამეფოს შორის, ახლა ამაცია არღვევს ამ ზავს. ისრაელის მეფე, რომელსაც ამაციას მამის სახელი ერქვა – იოაში (სრულად: იეჰოაში) ამპარტაუნულ, თუმცა საკადრის პასუხს აძლევს მის გამოწვევას. იგაუჟრად პასუხობს იგი. აი, მისი სიტყვები, რომლებიც სამუდამოდ აღბეჭდა მეფეთა მატთან: „ლიბანის კვრინჩხმა შეუთვალა ლიბანის კედარს: ცოლად მიათხოვე შენი ასული ჩემს ვაჟს. მაგრამ ჩაიარა ლიბანის გარეულმა მხეცმა და გათელა კვრინჩხი. დაგიმარცხებია ედომი და გადიდგულგულხარ. ღირსეულად გეჭიროს თავი და შენთვის იჯექი სახლში. რისთვის სტეხ შფოთს? შენც დაეცე და იუდაც“ (4მეფ. 14:9-10). მაგრამ იუდას მეფემ ყური არ ათხოვა გონივრულ რჩევას, რომელიც ისრაელის ერთ-ერთი უკეთური მეფის პირიდან გამოდიოდა, და უფალმა გაამარჯვებინა იოაშს, თუმცა მისი მეფობა ამ ტრადიციული ფორმულით შეფასდა მატთან: „უკუღმართად იქცეოდა უფლის თვალში...“ (4მეფ. 13:11). ამაცია დამარცხდა ბრძოლაში, ტყვედ ჩავარდა; ისრაელის მეფე მიადგა იერუსალიმს, დაანგრია მისი კედელი და დიდძალი ქონება გაზიდა უფლის სახლიდან და სამეფო საგანძურადან. საბოლოოდ, მან, განმდგარმა მეფემ, ისევე დაასრულა სიცოცხლე, როგორც მისმა მამამ იოაშმა: შეთქმულებმა იერუსალიმიდან გააძევეს და სადღაც ლაქიშში მიუგზავნეს მკვლელები, და მოკლეს.

მეექვსე ყუზია იყო, რომელსაც განსაკუთრებული ხვედრი შეხვდა. თექვსმეტი წლის იყო ყუზია (სრულად: ყუზიაჰუ), როცა გაამეფა იუდას ხალხმა მოკლული მამის ნაცვლად. ორმოცდათორმეტი წელი იმეფა და ბედნიერი და წარმატებული იყო მისი მეფობა, ვიდრე ცოცხალი იყო ზაქარია წინასწარმეტყველი, „ვიდრე ეძიებდა უფალს, ღმერთიც შეეწოდა მას“ (2ნეშტ. 26:5). უფალი იყო მასთან ყველა საქმეში – ბრძოლებსა და მშვიდობიან აღმშენებლობაში. ფილისტიმელები დაიმორჩილა, წაართვა ქალაქები – გათი, იაბნე, აშლოდი; ყამონელებს, რომლებიც ერთ დროს აოხრებდნენ იუდას მიწა-წყალს, ხარკი დაადო; გაამაგრა იერუსალიმი, კოშკები აღმართა მის კარიბჭეებზე, და ზედ საომარი მანქანები დააყენა ისრებისა და ღოდების სასროლად; ჰყავდა გაწვრთნილი ჯარი, ჯაჭვის პერანგებით, ფარებით, მუხარადებით, მშვილდებით და შურდულებით აღჭურვილი; უდაბნოშიც კოშკები ააგო და უამრავი ჭა ამოიღო; ჰყავდა უთვალავი ფარა და ნახირი, ყანები და ვენახები, „რადგან მიწის მოყვარული იყო“, ასკენის მატთან (2ნეშტ. 26:10). მისმა სახელმა ეგვიპტესაც უწია. „შორს გაითქვა სახელი, რადგან საკვირველად იყო შეწვენილი, ვიდრე არ გაძლიერდა“ (2ნეშტ. 26:15). ეს შეწვენა და გაძლიერება ყუზიასთვის განსაცდელი ყოფილა, თურმე უფალი ცდიდა მას, გაუძლებდა თუ არა მეფე ამ წარმატებას, სახელს და დიდებას. აქ იყო ჩასაფრებული ხიფათი. დიდების მწვერვალზე მან ისეთი ნაბიჯი გადადგა, რომელიც არ ახსოვს ისრაელიანთა ისტორიას მოსეს დროიდან, როცა კორახი და მისი დასი ლეგიტიმურ, უფლისაგან კურთხეულ აარონიანებს სამღვდლო ფუნქციებს შეედავა იმ მოტივით, რომ „წმიდაა ერთიანად მთელი საზოგადოება“ (რიცხ. 16:5), როგორც უფლის ერი, და რომ მათაც აქვთ უფალთან სიახლოვის უფლება და ნება, რადგან უფალი მათ შორისაც არის. ეს სიახლოვე წმიდათა წმიდაში შესვლისა და იქ კმევის საკრალურ უფლებაში გამოიხატა. მაშინ მოსემ დაუმტკიცა კორახს და მის თანამდგომთ, თუ ვის უნდა შეძლებოდა საცეცხლურის პერობა და უფლის წინაშე საკმევის კმევა. როდესაც წარდგნენ ხელსაცეცხლურიანები უფლის წინაშე საკმევად, გამოვარდა უფლისაგან ცეცხლი და შთანთქა ისინი – „ორასორმოცდაათი კაცი, საკმევის შემწირველი“ (რიცხ. 16:35), ხოლო ჯანყის წამომწყებს კორახს და მის დასს კი მიწამ უყო პირი მთელი ხალხის თვალწინ. გადარჩა მხოლოდ აარონი, რომელსაც უფლისაგან მოსეს ხელით პქონდა მონიჭებული ეს პრეროგატივა. ამ ეპიზოდთან არის დაკავშირებული „განედლებული კვერთხის“ სასწაული. აღთქმის კარავში უფლის წინ დაწყობილ ნუშისხის კვერთხთაგან, რომლებიც ისრაელის თავკაცებს ეკუთვნოდათ, ერთადერთი აარონის კვერთხი გამოარჩია უფალმა: „აჰა, აყვავდა აარონის კვერთხი, ღვევის სახლიდან, აყვავდა, გაიფურჩქნა ყვავილი და დამწიფდა ნუში“ (რიცხ. 17:23). ამის შემდეგ კი-

დეე უფრო განმტკიცდა აარონიანების სამღვდლო უფლებები და, განსაკუთრებით, მღვდელმთავრისა, რომელსაც ერთადერთს მიეცა უფლება შესულიყო წმიდათა წმიდაში, შეეცანა მსხვერპლის სისხლი თავისი და ერის გამოსასყიდად, და ეკმია საკმეველი. ეს ხდებოდა წელიწადში ერთხელ. სწორედ ამ დროს წარმოითქმოდა ღვთის სახელი, რომლის საჯაროდ წარმოთქმას აკრძალავა დაედო, ისე რომ აღარავის ახსოვდა, როგორ გამოითქმოდა იგი (ე.წ. ღვთიური ტექტრაგრამა ანუ ოთხი თანხმოვნისაგან შემდგარი სიტყვა – ჯ - ჰჰჰ).

კორახის ჰუბრისი (გაბუდაყება) მაშინ მოსეს ეპოქაში სასტიკად დაისაჯა უფლისავე ხელით და მას შემდეგ არავის უცდია სამღვდლო პრეროგატივების ხელყოფა. ახლა ყუზია, დიდების მწვერვალს მიღწეული კეთილი მეფე, რომლის ცხოვრება აქამდე შეუბღალავი იყო, იმეორებს კორახის ცოდვას. სჯობს მოვეუსმინოთ მატიანეს: „როცა გაძლიერდა ყუზიაჰუ, გადიდგულდა და თავისდა დასაღუპად შესცოდა უფალს, თავის ღმერთს, რადგან შევიდა უფლის ტაძარში საკმევლის საკმევად სამსხვერპლოზე. მას მიჰყვა მღვდელი ყაზარიაჰუ ოთხმოცი ვაჟკაცის თანხლებით. წინ გადაუდგნენ მეფე ყუზიაჰუს და უთხრეს: შენ არ გეკუთვნის, ყუზიაჰუ, უფლისათვის კმევა, არამედ მღვდლებს, აარონიანებს, რომლებიც მკმევლებად არიან ნაკურთხნი. გამოდი საწმიდარიდან, რადგან შესცოდე და პატივად არ ჩაგეთვლება უფლისაგან, შენი ღმერთისაგან. განრისხდა ყუზიაჰუ, ხელში კი საცეცხლური ეჭირა საკმევად და, როცა განურისხდა მღვდლებს, კეთრი გამოაჩნდა შუბლზე მღვდლების წინაშე უფლის სახელში, საკმევლის სამსხვერპლოსთან. და მიიხედეს მისკენ ყაზარიაჰუ მღვდელმთავარმა და ყველა მღვდელმა და, აჰა, შუბლზე კეთრი აქეს, და სასწრაფოდ გამოიყვანეს იქიდან. თავადაც ჩქარობდა გამოსვლას, რადგან უფალმა დაჰკრა მას“ (2ნეშტ. 26:16-20).

კეთრი უფლის სასჯელი იყო და, როგორც დასჯილი, ცალკე სახლში ცხოვრობდა ყუზიაჰუ სიკვდილამდე, თუმცა რჩებოდა მეფედ, მაგრამ სამეფო კარსაც და ქვეყანასაც მისი ძე იოთამი განაგებდა.

მაგრამ მაინც ყუზიამ, რომლის მეორე სახელი იყო ყაზარია (ასეა იგი მოხსენებული მეფეთა წიგნში), კეთილი სახელი დაიმკვიდრა მატიანეში. მისი ძის, იოთამის მეფობა მისი მაგალითით არის შეფასებული: იოთამი „სწორად იქცეოდა უფლის თვალში, როგორც მამამისი ყუზიაჰუ იქცეოდა. ოღონდ ტაძარში არ შესულა“ (2ნეშტ. 27:2).

უკეთური მეფის ახახის (იოთამის ძის) შემდეგ, რომელზეც ჩაწერილია მატიანეში, რომ „არ იქცეოდა სწორად უფლის თვალში... დადიოდა ისრაელის მეფეთა გზით, ბაალების ქანდაკებებიც კი ჩამოასხა, საკმეველს აკმევდა ბენ-ჰინომის ველზე, ცეცხლში ატარებდა თავის შვილებს იმ წარმართთა ბილწი ჩვეულებისამებრ, რომელნიც აჰყარა უფალმა ისრაელიანთაგან, მსხვერპლს სწირავდა და აკმევდა გორაკებზე...“ (2ნეშტ. 28:1-4) და დასკვნის სახით, რომ უფალმა „დაამდაბლა იუდა ახახის, იუდას მეფის გამო, რადგან გარყვნა მან იუდა და ცოდვით სცოდავდა უფალს“ (2ნეშტ. 28:19), გამოჩნდა მეფედ იუდას ტახტზე მისი ძე ხიზკია (სრულად: იეხიზკიაჰუ, ძველქართული თარგმანით: ეხეკია), რომელზეც მარტივად არის ნათქვამი: „სწორად იქცეოდა უფლის თვალში, როგორც დავითი, მისი მამა, იქცეოდა“ (2ნეშტ. 29:2; 4მეფ. 18:3) და კიდევ, რომ „არც მანამდე ყოფილა მისი მსგავსი ისრაელის მეფეთა შორის და არც მის მერე იქნება“ (2ნეშტ. 29:5).

მანამდე, ცხადია, იყო დავითი, მაგრამ დავითი, როგორც ითქვა, კეთილმეფობის თაურსახეა (ამიტომ იწოდება ის მეფეთა მამად – აბ), თითქმის მეტაისტორიული, მესიანური ფიგურა, რომელიც მომავალში მოვა კვლავ გამოთლიანებული სამეფოს მეფედ. რაც შეეხება „მის მერე“, ხიზკიას მერე იყო იოშია, მისი შვილიშვილი, კეთილი მეფე, იუდას ბოლო მეფეები კი უკეთურნი იყვნენ – მათზე მათ უკეთურებაზევე დასრულდა იუდას სამეფოს ისტორია. თუმცა აღსანიშნავი ისიც არის, რომ ხიზკიას დროს დაეცა სამარია (722 წ. ძვ.წ.), ჩრდილო ისრაელად წოდებული სამეფოს, დედაქალაქი და არსებობა შეწყვიტა ამ სამეფომაც. აშურის მეფე, სალმანასარ V, არ დასჯერდა სამარიის აღებას და ქვეყნის დაპყრობას; მან თავისი იმპერიის სხვადასხვა კუთხეებში გადაასახლა ცხრა (არა ათი) ტომი, რომლებიც ჩრდილო სამეფოს მოსახლეობას შეადგენდა. ისრაელის ცხრა ტომი შეერია ადგილობრივ მოსახლეობას, გაითქვიფა და საშუალოდ დაიკარგა ებრაელი ხალხისა და ისტორიისათვის. დარჩა იუდას და ბენიამინის შტოები სამხრეთ სამეფოში, მაგრამ მათაც მძიმე დღეები ელოდა – ბაბილონში გადასახლება, თუმცა უფალმა არ გასწირა ისინი, განსაკუთრებით, იუდა, დავითის სიყვარულის გამო, და ტყვეობიდან უკან დააბრუნა.

დავუბრუნდეთ ხიზკიას, იმავე იეხიზკიაჰუს, რომლის სახელი ამგვარად ითარგმნება: „განამტკიცა უფალმა (იაკობი)“ ან „ჩემი სიმტკიცეა უფალი“. მისი მეფობა იმითაც არის ღირსშესანიშნავი, რომ იგი მოესწრო დიდი წინასწარმეტყველის ესაიას მოღვაწეობას. „კეთილ მეფე“ იყო ხიზკია, მაგრამ მისი ცხოვრება დრამატული მოვლენებით იყო აღსავსე.

პირველი, რაც მან იტვირთა, რელიგიური რეფორმა იყო. მან თავის ერთგულ მსახურებთან ერთად მოაწყო დიდი, ეპოქალური წმენდა იერუსალიმის ტაძარში; საუკუნოობით დაგროვილი ნაკერპავი, წარმართული ნაგავი კედრონის ხევში გადაყარა; უფლის სახლი რჯულის თანახმად მსხვერპლშეწირვებისათვის გაამზადა. ბოლოს და ბოლოს, მან შეძლო გაეუქმებინა სამსხვერპლო გორაკები, სადაც მრავალი ხნის მანძილზე მსხვერპლს სწირავდნენ ლევიანი მღვდლები, რომელთაც მიტოვებული ჰქონდათ უფლის ტაძარი; არ იქნებოდა იოლი საქმე რამდენიმე ასეული წლით გაუქმებული რიტუალების აღდგენა; ყველაფერი თითქოს თავიდან უნდა დაწყებულიყო, როგორც მოსეს ხანიდან დაიწყო. მისი განმაახლებელი ქმედებანი გასცდა იუდას საზღვრებს და გაუქმებულ ჩრდილო სამეფოს ტერიტორიასაც მისწვდა: ეფრემის, მენაშეს, ისაქარის შტოთა ნაშთებიც, ვინც გადასახლებას გადაურჩნენ, ჩაებნენ განმაახლებელ, უფრო სწორად, აღმადგენელ მოძრაობაში: მათაც გაჩეხეს აშერები, დაანგრეს გორაკთა სამსხვერპლოები, დაღეწეს სვეტები... დაბოლოს, ხიზკიაჰუმ დიდხნის დავიწყებული პასექის დღესასწაულის საყოველთაო, მთელი ისრაელის მასშტაბით აღნიშვნა გამოაცხადა (2ნეშტ. 30). ამ აქტით მეფე შეეცადა დაეახლოვებინა და შეერივებინა ერთმანეთთან ერთ დროს ერთიანი, აწ კი ორ ნაწილად გახლეჩილი ხალხის სხეული და სული. ეს უდიდესი ჩანაფიქრი იყო, რაც კი ოდესმე დავეითიანი მეფის გონებასა და გულში ჩასახულა. დაგზავნა მთელ ქვეყანაში მალეშობილი მაცნენი ამ ისტორიული მისიით, რათა ხალხისათვის ემცნოთ მეფის გადაწყვეტილება. მატიანე არ მალავს, რომ ზებულონის, ეფრემის თუ მენაშეს ქვეყანაში იყვნენ ისეთიც, რომლებიც სკეპტიკურად შეხედნენ მეფის მოწოდებას, დასცინოდნენ მათ და აბუჩადაც იგდებდნენ. მაგრამ მიზანი, თუმცა ეფემერულად, – მალე კვლავ დიდი ხნის მანძილზე აღარ გაიმართებოდა პასექი, რადგან ხალხი აღარ იქნებოდა ამ მიწაზე, – მაგრამ მიღწეული იქნა. მაინც „დიდალი ხალხი მოაწვდა იერუსალიმს მეორე თვეში უფუარობის დღესასწაულის გადასახდელად...“ (2ნეშტ. 30:13). ყველაფერი თავისი წესისა და რიგის მიხედვით შესრულდა, ლევიანი მღვდლები თავ-თავის ადგილებზე იდგნენ, როგორც მოსემ დაუწესა მათ. „ხარობდა იუდას მთელი კრებული, მღვდლები და ლევიანები, ისრაელიდან მოსული მთელი კრებული, ისრაელის ქვეყნიდან მოსული ხიზნები და იუდას მკვიდრნი. ისეთი დიდი სიხარული სუფევდა იერუსალიმში, რომლის მსგავსი სოლომონ დავითის ძის, ისრაელის მეფის, დღეების მერე არ ყოფილა იერუსალიმში“ (2ნეშტ. 30:25-26).

და, აჰა, მისი დიდების მწვერვალზე, როგორც მატიანე წერს, „ამ პატიოსან საქმეთა შემდეგ მოვიდა სანხერიბი, აშურის მეფე, შემოიჭრა იუდაში...“ (2ნეშტ. 32:1). მტერი ურიცხვი ლაშქრით შემოადგა იერუსალიმს, ალყა შემოარტყა მას, გამოვიდა ჰეროდის მტრის ბანაკიდან და მაღალი ხმით, ებრაულ ენაზე, რომ მთელ ქალაქს გაეგონა, აშურის მეფის სახელით დაუწყო ლანძღვა და დამცირება მათ უფალს და მათ მეფეს, რომ სულით დაცემულიყო ისედაც ცუდი აღსასრულის მოლოდინით შეშინებული ხალხი. „ნუ დაუჯერებთ ხიზკიას, რადგან ასე ამბობს აშურის მეფე: დამიზავდით და გადმოდით ჩემ მხარეზე, ჭამოს თითოეულმა თავისი ყურძენი და ლეღვი და სვას თავისი ჭის წყალი. სანამ მოვიდოდე და წაგიყვანდეთ თქვენი ქვეყნისნაირ ქვეყანაში, პურისა და ღვინის ქვეყანაში, ყანებისა და ვენახების ქვეყანაში, ზეთისხილისა და თაფლის ქვეყანაში... როდის უხსნიათ ღმერთებს თავ-თავისი ქვეყნები აშურის მეფის ხელიდან?“ (4მეფ. 18:31-33). ამას პირდებოდა აშურის მეფე იერუსალიმში შეყუჟულ ხალხს, თითქოს ღმერთი ყოფილიყო, რომელმაც მოიყვანა ამ მიწაზე ისრაელიანები და დაასახლა. ნუ ერწმუნებით თქვენს ღმერთს, ნუ დაუჯერებთ ხიზკიას, ნუ გაიმედებთ ხიზკია... ესმოდა ეს სიტყვები ხალხს, რომელსაც ხიზკიამ უფლის სახელით დაუნგრია სამსხვერპლო გორაკები და კერპთა თაყვანისცემა აუკრძალა, რის გამოც ბევრი მათგანი უკმაყოფილო იქნებოდა. აშურის მეფის სიტყვები სწორად იყო გათვლილი. ნამდვილად იყო საშიშროება, რომ გაცტვებოდა სულმოკლე ხალხი და იერუსალიმი გაუღებდა მტერს კარბოჭკებს. ისევ და ისევ ხიზკიას ღვთისმოსაობის გამო იყო

რომ იხსნა უფალმა იერუსალიმი და იუდას სამეფო. რომ აცნობეს აშურელი ჰეროდის სიტყვები, სახელოვანი მეფე ჯვალთი შეიმოსა და ტაძარში წავიდა სალოცავად. სოლომონის მხურვალე ღოცვის შემდეგ, რომელიც მან ტაძრის შენობის დასრულებისას აღაფლინა ღვთის წინაშე იმ ღირსსახსოვარ დღეს იქ შეკრებილი ხალხის გასაგონად, არ მოიძებნება მთელ ბიბლიაში სხვა ღოცვა, ასეთი რწმენით, სასოებით და სიმშვიდით რომ წარმოთქმულიყო, როგორც ხიზკიამ წარმოთქვა და – როდის, როცა გადარჩენის არავითარი იმედი აღარ იყო. როცა ჯვალთი შემოსილი ხიზკია ტაძარში შედიოდა, ხელში მტრის ბანაკიდან ღვთის მაგინებელი ეტრადი ეჭირა. დაჩოქილმა უფლის წინაშე გაშალა გრავნილი და ასე ილოცა:

„უფალო, ღმერთო ისრაელისა, ქერუბიმზე ამხედრებულო! შენ ხარ ერთადერთი ღმერთი ქვეყნიერების ყველა სამეფოსი, შენი შექმნილია ცა და მიწა. ყური მოაყარ, უფალო, და ისმინე თვალი გაახილე და შეხედე გაიგონე სანხერობის სიტყვები, ცოცხალი ღვთის საგინებლად რომ შექმთოვალა. მართალია, უფალო, მოაოხრეს აშურის მეფეებმა ხალხები და მათი ქვეყნები, ცეცხლს მისცეს მათი ღმერთები და გაანადგურეს, რადგან ღმერთები კი არ ყოფილან ისინი, არამედ ხისაგან და ქვისაგან ადამიანის ხელით ნაკეთები საგნები იყო. აწ გვისსენ, უფალო, ღმერთო ჩვენი, მისი ხელიდან, რათა გაიგოს ქვეყნიერების ყველა სამეფომ, რომ შენ ხარ უფალი, ერთადერთი ღმერთი“ (4მეფ. 19:15-19).

პასუხმაც არ დააყოვნა. ესაიას პირით გამოცხადებული პასუხი შეიცავს უფლის, როგორც ისტორიის შემოქმედის, სიტყვას: ყველაფერი, რაც ხდება, მისი ნებით ხდება, ყველაფერი წინასწარ არის განზრახული მის დაფარულში, რათა საბოლოოდ გაცხადდეს: „ნუთუ არ გსმენია, რომ ეს ძველთაგანვე განვამზადე? ახლად მოვაწიე, რომ ნანგრევებად ქვეულიყვნენ ციხე-ქალაქები“ (4მეფ. 19:25). პასუხი შეიცავს აშურის მეფის განახენს: „იმის გამო, რომ გამიდიდგულდი და მოსწვდა ჩემს ყურებს შენი ამპარტავნება, ნესტოებში რგოლს გაგიყრი და პირში ლაგამს ამოგდებ, იმავე გზით დაგაბრუნებ, რომლითაც მოხვედი... მე დავიფარავ ამ ქალაქს, რომ ვიხსნა იგი ჩემთვის და დავითისთვის, ჩემი მსახურისთვის“ (4მეფ. 19:28,34).

და, მართლაც, ისტორიის მამოძრავებელმა სულმა მოწყო ისე, რომ სანხერიბი იძულებული შეიქნა უკან გაბრუნებულიყო. რა იყო ამის ობიექტური მიზეზი – მოულოდნელი შავი ჭირი ბანაკში, როგორც ბიბლია გვაუწყებს (4მეფ. 19:35), თუ აშურის ხელისუფლებას დამორჩილებული ბაბილონის ჯანყი, როგორც აშურული საისტორიო წყარო გადმოგვცემს, – სინხერიბმა მოხსნა ალყა და თავის ქვეყანას მიაშურა, სადაც მოკლეს კიდევ მისმა ვაჟებმა (4მეფ. 19:37).

ამჯერად გადარჩა იუდა და იერუსალიმი, არ მოუხდა მას, რომ ჩრდილო სამეფოს ბედი გაეზიარებინა. ხიზკიაც გადარჩა, რომ მის დროს არ მოხდა, რაც ასი წლის შემდეგ მისი უკეთური შთამომავლის დროს მოხდა.

მართალი მეფე, რომლის დროსაც სასწაულებრივად გადარჩა ქვეყანა განადგურებას და ხალხი წარტყვევნას, და თავადაც არანაკლები სასწაულით გაუხანგრძლივდა სიცოცხლე (სასიკვდილო სენისგან განკურნების ნიშნად ჩრდილი ათი საფეხურით დაბრუნდა უკან, 4მეფ. 20:9-11), ახლოს იყო დამღუპველ გაამაყებასთან, მაგრამ მან დათრგუნა სიამაყე, როგორც საგანგებოდ აღნიშნა მემატთანამ:

„მოდრკა იეხიზკიაჰუ თავის დიდგულობაში და მასთან ერთად იერუსალიმის ყველა მკვიდრი და აღარ დასტყლომათ ღვთის რისხვა იეხიზკიაჰუს დღეებში“

(2ნეშტ. 32:26).

ერთი საბედისწერო საქციელი ჩაიდინა უფლის ნებიერმა მეფემ. როცა აშურის წინააღმდეგ მისმა მოკავშირემ ბაბილონის მეფემ შეიტყო მისი გამოჯანმრთელება, წერილები და ძღვენი გამოუგზავნა. სიხარულით მიიღო ელჩები ხიზკიაჰუმ და ბაბილონის მეფისადმი მადლობის ნიშნად გაუხსნა მათ საგანძურები და ყველაფერი, რაც მათში ინახებოდა, დაათვალიერებინა. წინასწარმეტყველმა ესაიამ მეფის ამ მოქმედებაში სამეფოს მწარე აღსასრულის ნიშანი დაინახა: „აჰა, დადგება ჟამი და ყველაფერს, რაც სახლში გაქვს, და რაც შენს მამა-პაპას დღემდე მოუხევეჭავს, ბაბილონში წაიღებენ, აღარაფერი დარჩება, ამბობს უფალი“ (4მეფ. 20:17).

მისმა შთამომავლებმა ორ თაობაში – შეიღმა მენაშემ და შეილიშვილმა ამონმა უკუღმა დაატრიალეს მისი წადმა ნაკეთები საქმეები, კვლავ დააბრუნეს იუდას ხალხი კერპთაყვანისმცემლობისკენ, უფლის სახლშიც კი შეიტანეს აშერას კერპები და ვარს-

კვლავებს სამსხვერპლოები აუშენეს. „უბრალო სისხლიც ბევრი დაღვარა მენაშემ, ისე რომ პირთამდე აავსო იერუსალიმი...“ (4მეფ. 21:16).

ამ ორი უკეთური მეფის შემდეგ კვლავ და უკანასკნელად მოვიდა კეთილი მეფე – ეს იყო იოშია. რვა წლის გამეფდა იოშია, რადგან მისი უკეთური მამა ამონი შეთქმულებმა მოკლეს, ორიოდვე წელი მოუხდა მეფობა. არც ერთ სხვა მეფეს, გარდა ხიზკიასი, მისი დიდი პაპისა, არ დაუმსახურებია ისეთი შეფასება, როგორც ხვდა წილად იოშიას: „სწორად იქცეოდა უფლის თვალში და ყველაფერში დავითის გზას მიჰყვებოდა, არც მარჯვნივ გადაუხვევია, არც მარცხნივ“ (4მეფ. 22:2). „არც მის მერე გამოჩენილა მისი მსგავსი“, ასკენის მემკვიდრე მისი ღვაწლის აღწერის ბოლოს (4მეფ. 22:25). მან უკანასკნელმა განახორციელა მეფობის პრინციპი, რომლის მაგალითი დავითმა მისცა თაობებს, რომ უფლის მცნებათა ერთგულნი ყოფილიყვნენ.

სრულწლოვანი რომ შეიქნა, პირველი, რაც იოშიამ მოიმოქმედა, უფლის სახლის გასუფთავება და შეკეთება იყო. სწორედ ამ სამუშაოების დროს იპოვნა მღვდელმთავარმა ხილკიამ სადღაც, ტაძრის კუნჭულებში მიკარგული „რჯულის წიგნი“ (სხვანაირად, „აღთქმის წიგნი“). წაუკითხეს წიგნი მეფეს და მან შემოიხია სამოსელი. მიხვდა იოშია და მერე უფალმაც გამოუცხადა, რომ ყველა ის უკეთურება, ზნეობრივი თუ რელიგიური, რომელიც ხდებოდა წარსულ თაობებში, ამ წიგნის მცნებათა დავიწყების შედეგი იყო. იმასაც მიხვდა იოშია, რომ ახლოს იყო ქაში, როცა უნდა ავსებულყოფოდა უფლის მოთმინების თასი. „რჯულის წიგნის“ სიტყვებში იუდას სამეფოს საბოლოო განაჩენი იკითხებოდა. დაიღუპებოდა იუდა, მაგრამ ეს არ მოხდებოდა იოშიას მეფობაში, რაკი მან ამ წიგნის სიტყვების მოსმენისას ქედი მოიდრიკა უფლის წინაშე და სამოსელი შემოიგლიჯა, და ატირდა (4მეფ. 22:19). და შეუდგა იოშია ქვეყნის განწმენას იმ სისაძაგლეთაგან, რომლებიც მრავალი თაობის განმავლობაში დაგროვდა. რასაც ხიზკიას ხელი ვერ მისწვდა, სახელდობრ, სოლომონ მეფის დროს, მის განდგომილებაში, დადგმულ კერპებს აშოთრეთის, ქამოსის და მილქომის სახელზე. მისი ხელი ჩრდილო ტერიტორიასაც გადასწვდა, სადაც მისი იურისდიქცია არ ვრცელდებოდა: დაანგრია გორაკები, სადაც სამასი წლის წინათ იერობამ ნაბატის ძემ ოქრის ხბოები დადგა და ისრაელიანთა განდგომას მისცა დასაბამი.

მაგრამ ღვთის განგებაში ეფემერული ჩანდა მისი რჩეულის ღვაწლი. სამეფოს ბედი გადაწყვეტილი იყო. „არ მოჰბრუნებია გული უფალს დიდი რისხვისაგან, რომელიც აღიგზნო იუდაში ყველა იმ წყენის გამო, მენაშემ რომ აწყენინა მას. თქვა უფალმა: იუდასაც მოვიშორებ ჩემგან, როგორც ისრაელი მოვიშორე. არად ჩავაგდებ ქალაქს, იერუსალიმს, რომელიც ავირჩიე, იერუსალიმს და სახლს, რომელზეც ვთქვი, აქ იქნება-მეთქი ჩემი სახელი“ (4მეფ. 23:26-27). საბოლოოდ, მეფემ, რომელმაც რადიკალური რელიგიური რეფორმები ჩაატარა და ღვთისმოსავის სახელი დაიმკვიდრა, პოლიტიკაში დაუშვა საბედისწერო შეცდომა: აშურის წინააღმდეგ დაძრულ ეგვიპტის ძლევამოსილ ლაშქარს ბრძოლით შეეგება, რათა მხარი დაეჭირა ძველი მტრისათვის, რომელიც ახლა მოკავშირედ აირჩია, და მოიკლა მეგიდოსთან.

სამი უკანასკნელი მეფის წლები უფლის განგების აღსრულების წლები იყო. ჯერ წვრილ-წვრილი სამეფოებიდან შემოსეული ურდოები აწუხებდნენ იუდას. მერე, როცა დაირღვა პოლიტიკურ ძალთა წონასწორობა და ბაბილონმა თავისი „მშვიდობა“ დაამყარა წინა აზიაში, იუდას ბედიც უნდა გადამწყდარიყო საბოლოოდ იმ განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, რომელიც უფალმა ჩაიფიქრა. იოშიადან მესამე თაობაში უკეთურ იეჰოაქინზე დასრულდა იუდას სამეფოს დამოუკიდებლობა.

ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორი მოადგა იერუსალიმს, აიღო ქალაქი, გაზიდა ტაძრის მთელი საგანძური, დაამტვრია ოქროს ჭურჭელი, რომელიც ჯერ კიდევ სოლომონმა დაამზადებინა უფლის სახლში სამსახურებლად; აჰყარა იერუსალიმის მოსახლეობა – ათი ათასი დიდებული და მეომარი, მათთან ერთად ხელოსნები და მშენებლები – რვა ათასი კაცი, და ბაბილონში წაასხა დასასახლებლად. მხოლოდ მდაბიორნი დატოვა ქვეყანაში. მათ კვალს გაუყენა მეფე იეჰოაქინი, დედამისი, მისი მსახურები და კარისკაცები. მის ნაცვლად ბიძამისი მათანია ციდეკიაჰუს სახელით, რაც ნიშნავს „სამართლიანია უფალი“, დასვა ტახტზე (4მეფ. 24:11-17). მართლაც, სამართლიანი იყო უფალი, როცა „მრისხანებდა იერუსალიმზე და იუდაზე, ვიდრე საბოლოოდ არ მოიშორა ისინი თავიდან“ (4მეფ. 24:20).

ათი წლის შემდეგ უფლის წყალობას მოკლებული ციდეკიაჰუ ეგვიპტის იმედით გა-
ნუდგა ბაბილონის მეფეს. ბაბილონის ლაშქარი მეორედ მოადგა იერუსალიმს, ალყა
შემოარტყა და შიმშილის პირას მიიყვანა ქალაქი. ციდეკიაჰუ გაიპარა ქალაქიდან თა-
ვისი სახლეულითურთ; თითქოს სამშვიდობოს იყო გასული, რომ იერიქონის ველზე
მიეწივნენ ბაბილონელები, შეიპყრეს და მეფეს მიჰგვარეს. მეფემ შეიღებო დაუხოცა
თვალწინ ციდეკიაჰუს, თავად მას თვალები დათხარა და ბორკილდადებული ბაბილონ-
ში წაიყვანა (4მეფ. 25:11-7).

ეს იყო იუდას და იერუსალიმის აღსასრული. ბაბილონელებმა გადაწვეს ტაძარი
და მეფის სასახლე, ყველა სახლი, „ყველა დიდი სახლი“, დაანგრიეს იერუსალიმის
კედელი; წაიღეს ყველაფერი, რაც პირველი წარტყვევისას გადარჩა; დარჩენილი მო-
სახლეობაც ტყვედ წაასხეს, ამჯერად მდაბიორთაგან მხოლოდ „მევენახეები და
მხენელ-მოესველები“ დატოვეს.

ციდეკიაჰუს ბედი ჩვენთვის უცნობია, მისი ძმისწული იეჰოიაქიანი კი, მეფეყოფილი,
საპყრობილედან გამოიყვანა ბაბილონის მეფემ, პატიმრის სამოსელი გამოუცვალა, ბა-
ბილონის ტყვეობაში მყოფ მეფეთა შორის ტახტზე დასვა და სამუდამო სარჩო განუ-
ჩინა (4მეფ. 25:27-30).

იერუსალიმი კი შორს დარჩა, ნანგრევებში.

დაბრუნება

იუდას სამეფოს დაცემის წინა ხანებში, როცა მეფეები და მათი მამებელი წინას-
წარმეტყველნი და მრჩეველები ეგვიპტეზე ამყარებდნენ ბაბილონისგან ხსნის იმედს,
ერთადერთი წინასწარმეტყველი იერემია იყო, რომელიც ბაბილონისადმი მორჩილები-
საკენ მოუწოდებდა მეფეს და ხალხს, რისთვისაც მას ერის მოღალატედ აცხადებდნენ
და სასიკვდილოდ დევნიდნენ. იოშიას სიკვდილის შემდეგ, ჯერ კიდევ იეჰოიაქიმის მე-
ფობის დროს იერემია წინასწარმეტყველებდა იერუსალიმისა და მისი ტაძრის დაქცე-
ვას. როცა იეჰოიაქიმს მიუტანეს გრაგნილი, სადაც ეს წინასწარმეტყველება იყო და-
წერილი, მეფე წაკითხულ ნაწილს ხედა და ცეცხლში წავადა. იერემიამ უფლის კარ-
ნახით მეორე გრაგნილი დაწერა. მაგრამ არც მეფე, არც ერი არ ისმენდა მის სიტყ-
ვას. შეუსმენლობას შეგუებული იყო წინასწარმეტყველი, რადგან მან იცოდა, რომ
განწირული იყო შეუსმენლობისთვის. განა არ ეუბნებოდა უფალი? „ეტყვი მათ ყველა
ამ სიტყვას, მაგრამ არ მოგისმენენ. მოუწოდებ მათ, მაგრამ არ გაგიგონებენ“ (იერემ.
7:27). მაგრამ წინასწარმეტყველი არ ცხრებოდა: თუ სიტყვა არ ჭრიდა, სიმბოლური
ქცევით აჩვენებდა ჭეშმარიტებას, რომელიც უფლისაგან ჰქონდა გამოცხადებული.
ჭეშმარიტება კი ის იყო, რომ ერთადერთი ხსნა დამორჩილება იყო. უფალი ალაპარა-
კებს იერემიას, ათქმევინებს ჭეშმარიტებას, რომელიც ძალზე მწარე იყო პატრიოტუ-
ლად განწყობილი ადამიანებისთვის: „ამიერიდან (ამბობს იერემიას პირით უფალი)
მთელი ეს ქვეყნები ნაბუქოდნოსორს, ბაბილონის მეფეს, ჩემს მსახურს, უნდა ჩავაბა-
რო ხელში. ველის მხეცებიც მისთვის ჩამიბარებია, რათა ემორჩილებოდნენ მას...“
(იერემ. 27:6). უფლის შთაგონებით იერემიას მიჰყავს ხალხი, უხუცესები და მღვდლები
იერუსალიმის კედლებს გარეთ, ბენ-ჰინომის ველზე, წინასწარმეტყველებს და მათ
თვალწინ ამსხვრევს თიხის ქოთანს იერუსალიმისა და იუდას დაქცევის ნიშნად. ამი-
სათვის იქვე სცემეს მას და დილეგში ჩააგდეს.

597 წელს, როცა ნაბუქოდნოსორმა მეფესთან ერთად პირველად გადაასახლა იუ-
დას და იერუსალიმის მცხოვრებნი ბაბილონს, იერემიამ წერილი მისწერა გადასახლე-
ბულთ, არწმუნებდა, ახლა მაინც მიეღოთ მორჩილებით ბაბილონის ტყვეობა, დამორ-
ჩილებოდნენ ბედს, რაშიც უფლის ნება გამოიხატა. მოუწოდებდა ყველას, ეშენებინათ
სახლები ბაბილონში, გაეშენებინათ ბაღ-ვენახები, შეეკმნათ ოჯახები, ეზრუნათ იმ ქა-
ლაქთა კეთილდღეობისათვის, სადაც დასახლდებოდნენ, რომ თავადაც კეთილდღეობა-
ში ყოფილიყვნენ და, რაც მთავარია, ტყვეობის ვადასაც უნიშნავს. „რადგან ასე ამ-
ბობს უფალი: როგორც კი შეუსრულდება ბაბილონს სამოცდაათი წელი, მოგხედავთ
და აგისრულებთ ჩემს სასიკეთო სიტყვას, ამ ადგილზე დაგაბრუნებთ-მეთქი“ (იერემ.
29:10).

წინასწარმეტყველება ახდა: დაბრუნება (თეშუბაჰ) მოვიდა, ვიდრე დათქმული სა-
მოცდაათი წელი გავიდოდა.* გადასახლებიდან ორმოცდარვა წლის შემდეგ ისტორიის

ჩარხი გადასახლებულთა და ქვეყანაში დარჩენილთა სასიკეთოდ შემოტრიალდა. დაეცა ბაბილონი და მისი მეფობა სპარსეთის ხელში გადავიდა. არა საკუთარი ბელადების, არამედ უცხო მეფის ხელით მოუვლინა უფალმა ხსნა იუდას და იერუსალიმს. ეს იყო სპარსეთის მეფე კიროსი, რომელიც უფალმა თავის ცხებულად (*მაშიახ*) ჩათვალა: „ასე უთხრა უფალმა თავის ცხებულს, კიროსს, რომლის მარჯვენა მიჭირავს, რათა ხალხები დავამხო მის წინაშე... ჩემი მსახურის, იაკობის, და ისრაელის, ჩემი რჩეულის, გულისათვის გიწოდებ სახელს და პატივით შეგმოსავ, თუმცა არ მიცნობ... მე გარტყამ სარტყელს, თუმცა არ მიცნობ...“ (ეს. 45:1,4,5).

ბაბილონში გამეფების პირველ წელს – ეს იყო 538 წელი – კიროსმა, რომლის პოლიტიკა ხალხების მიმართ ძირეულად განსხვავდებოდა აშურისა და ბაბილონის მეფეთა პოლიტიკისგან, გამოუშვა ედიქტი იუდეველთა თავიანთ ქვეყანაში დაბრუნების შესახებ. „ასე ამბობს კიროსი, სპარსეთის მეფე: ქვეყნიერების ყველა სამეფო მომცა მე უფალმა, ცათა ღმერთმა, და მანვე მიბრძანა ავუშენო მას სახლი იერუსალიმში, იუდაში რომ არის. ვინ არის თქვენს შორის ამ ხალხიდან, ღმერთი იყოს მასთან! წავიდეს იერუსალიმში, იუდაში, და აუშენოს სახლი უფალს, ისრაელის ღმერთს. ეს არის ღმერთი, რომელიც იერუსალიმშია“ (1ეზრა 1:2-3). უფრო მეტიც: კიროსმა მოუწოდა ყველას, ვისთვისაც ძვირფასი იყო იერუსალიმის ტაძარი, გაეღო სახსარი მის ხელმეორედ ასაგებად. და ამაზე მეტიც: კიროსმა დაუბრუნა იუდაელებს ტაძრის წმიდა საგანძური, რომელიც ნაბუქოდონოსორმა გაზიდა იერუსალიმიდან.

დაბრუნებიდან შვიდი თვის თავზე ისრაელიანები უკვე ქალაქებში ესახლნენ, თითოეული თავის ქალაქში, საიდანაც გადაასახლეს. იმ ხანად დაბრუნდა სულ ორმოცდაათი ათას სამას სამოცი კაცი. აი, ამ ხალხმა ააშენა ტაძარი, დაბრუნებულთა მეორე ტალღა იერუსალიმის კედლის აღდგენას შეუდგა.

ტაძრის შენების პროცესი ღირსშესანიშნავი პერიოდი იყო ხალხის ცხოვრებაში, ეს იყო მცდელობა წარსულის აღდგენისა. მშენებელთა სულისჩამდგმელი იყო სამღვდლო კაცი, მეფეთა ნათესავი, სახელად ზერუბაბელი, რომელზეც ხმაც კი დაირხა, სწორედ ეგ არის ის მესია, რომლის მოსვლას ესაია წინასწარმეტყველებდაო. მაგრამ ვარაუდი არ გამართლდა, თუმცა ზერუბაბელ შალთიელის ძემ ზედმიწევნით აღასრულა მისია, რისთვისაც ის ნამდვილად მოვლინებული იყო. ამ დროს მოღვაწეობდნენ წინასწარმეტყველნი – ანგია და ზაქარია, რომლებიც გვერდში ედგნენ მშენებლებს და ღვთის სიტყვით ამხნევებდნენ (1ეზრა 3). ეს იყო დიდი ენთუზიაზმის ხანა: თუ სოლომონის დროს ტაძარს ძირითადად უცხოელები აშენებდნენ, მეორე ტაძრის შენებაში მთელი ხალხი იყო ჩაბმული. დიდი იყო სიხარული. „ნეტარ მას ჟამსა, რა იგი იქმნებოდა!“ ეს ფორმულა, ფუძემდებლური ჟამის გამომხატველი სიტყვები, სავსებით მიესადაგება მათ განწყობილებას. თუმცა მოვუსმინოთ თავად ეზრას, როგორ უკვდავეო მან ის ჟამი, როცა ტაძრის საძირკველი იყრებოდა:

„როცა მშენებლები შეუდგნენ უფლის ტაძრის საძირკვლის ჩაყრას, დააყენეს შემოსილი მღვდლები საყვირებით და ლევიანები, ასაფის ძენი, დაფდაფებით, რათა ედიდებინათ უფალი ისრაელის მეფის დავითის წესის მიხედვით. უმღერდნენ ქება-დიდებას უფალს: რადგან კეთილია, რადგან საუკუნოა მისი წყალობა ისრაელზე! მთელი ხალხი კი მაღალი ხმით ყიჟინებდა უფლის ქება-დიდებას უფლის სახლის დაფუძნების გამო. ბევრი მღვდელი და ლევიანი, მამისსახლთა თავკაცნი, რომელთაც ნანახი ჰქონდათ პირვანდელი ტაძარი, ხმამაღლა ტიროდნენ, როცა მათ თვალწინ საძირკველი ეყრებოდა ტაძარს. ბევრნი სიხარულის ყიჟინას სცემდნენ. ხალხი ვერ არჩევდა სიხარულის ყიჟინას და ტირილის ხმებს, რადგან დიდი ხმით ყიჟინებდა ხალხი და შორს გაისმოდა მათი ხმა“ (1ეზრა 3:10-13).

წინასწარმეტყველნი

„რადგან არაფერს მოიმოქმედებს უფალი ღმერთი, თუ არ გაუცხადა თავისი საიდუმლო თავის მორჩილთ, წინასწარმეტყველთ. ლომი ბრდღვინავს – ვინ არ შეშინდება! უფალი ღმერთი ლაპარაკობს – ვინ არ გაქადაგდება!“ (ამოს, 3:7-8).

„წინასწარმეტყველი“ – ეს სახელწოდება ძველი აღთქმის სულიერი მოღვაწისა ახალ ენებში მოდის ბერძნული სიტყვიდან *პროფეტეს*, რაც გულისხმობს იმის წინასწარმეტყველს, წინასწარგამცხადებელს, რაც ჯერ არ მომხდარა და რაც მოსახდენია აუცილებლობით. წინასწარმეტყველის ცნობიერება წინ უსწრებს ყოფიერებას, სინამდ-

ვილის ფაქტებს და მოვლენებს. ეს ერთი ასპექტია ძველი აღთქმის წინასწარმეტყველობისა, მაგრამ არა ძირითადი, არა არსებითი. თუ ბიბლიური წინასწარმეტყველის არსს მხოლოდ ამ ფუნქციით შემოვზღუდავთ, მისი ბუნება საგრძნობლად გაღარიბებული გამოჩნდება – მას დააკლდება ის სპეციფიკა, რაც ეკუთვნის მხოლოდ მას, რაც არ ახასიათებს სხვა ხალხებისა და სხვა კულტურათა წინასწარმეტყველთ, მისნათ, ნათელმხილველთ და სხვა. ძველ აღთქმაში ხსენებულნი არიან, მონაწილეობენ ქანაანური ღვთაებების ბაალების წინასწარმეტყველნი, მაგრამ საეჭვოა, რომ მათი მოღვაწეობა სულიერ ასპექტში ისეთივე ღირებული ყოფილიყო, როგორც უფლის წინასწარმეტყველთა მოღვაწეობა იყო. მაინც რაში მდგომარეობს ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთა განსაკუთრებულობა?

უპირველეს ყოვლისა, რას გვეუბნება თავად ტერმინი, რომლითაც აღინიშნება წინასწარმეტყველობის ფუნქცია? ეს არის ნაბი და ნიშნავს „გამომთქმელს“, „გამომცხადებელს“; ეტიმოლოგიურად ეს ძირი დაკავშირებულია ებრაული ენისა და სხვა სემიტური ენების იმავე ფონეტიკური აღნაგობის ძირებთან, რომლებიც ნიშნავს „გარეთ გასვლას“, „გადმოღვრას“ და სხვ. ამრიგად, ნაბის გარეთ გამოაქვს სიტყვა, რომელიც დაფარულია სხვებისათვის; მისი შემოქმედება, რომელიც უპირატესად სიტყვასთან არის დაკავშირებული, აპოკალიფსურია თავისი არსით: ეს არის დაფარულის გამოცხადება. ამ დაფარულს აბსოლუტური ღირებულება აქვს; ის ისეთი რამ არის, რაც აუცილებლად უნდა გამოცხადდეს, აუცილებლად უნდა ისმინოს ხალხმა, რადგან ის შეადგენს მათი ქცევებისა და ზრახვების პროგრამას. საკუთარი აზრების გამოცხადება რომ დაეწყო წინასწარმეტყველს, მას არაფერ მოუსმენდა. ის არ ამბობს: „მე გვეუბნებით“, არამედ: „ასე ამბობს უფალი“ ანუ ის აცხადებს ობიექტურ ჭეშმარიტებას და არა საკუთარ წარმოდგენებს. მისი წინასწარმეტყველობის ავტორიტეტი განმტკიცებულია იმ წყაროთი, საიდანაც იღებს იგი გამოცხადების შინაარსს და თავად გამოცხადების, როგორც აქტივობის, უფლებას. ნაბი – გამომცხადებელი, როგორც წესი, უზენაესი ნების გამომცხადებელია. ის არის უფლის ბაგე, რომლის მეშვეობით უფალი აცხადებს თავის ჭეშმარიტებას. ღვთის სიტყვას იგი გარდათქვამს კაცთათვის გასაგებ ენაზე, თუმცა ეს ენა ხშირად სიმბოლურია, მაგრამ ის გასაგებია იმ საზოგადოებისათვის, სადაც იგზავნება წინასწარმეტყველი.

ამგვარად, წინასწარმეტყველება მოწოდებაა; მოწოდებაა იმ აზრით, რომ იგი მოწოდებულია, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, საწინასწარმეტყველოდ. წინასწარმეტყველება ზეგარდმო დავალება, საუფლო ტვირთია, რომელიც უნდა ატაროს კაცმა მთელი თავისი სიცოცხლე. და ტვირთი, როგორც ტვირთი, თავისი ნამდვილი მნიშვნელობით, ყოველთვის მძიმეა. „მე ცა მნიშნავს...“ შეუძლია თქვას წინასწარმეტყველმა ასეთი სიტყვები; ამ სიტყვებში გამოხატული განცდა მხოლოდ პირველ პირში თუ გამოითქმის, რადგან ეს არის წინასწარმეტყველის შინაგანი გამოცდილება. ვინ იტყვის მასზე უკეთ, თუ რა ხდება იმ ადამიანის გულში, არა მხოლოდ გულში – მთელს მის არსებაში, მის ფიზიკურ სხეულშიც კი, როდესაც მას მოესმება მოწოდება, როცა ის „ორსულდება“ სიტყვით და მას არ შეუძლია საშო გადაუკეტოს სიტყვას. სიტყვა მოდის, როგორც სტიქიონი, როგორც ბუნების ძალა, როგორც ნიაღვარი, რომელმაც უნდა წარხოცოს ყოველივე წარმატალი თავის გზაზე. სიტყვა წმედს, ასუფთავებს ადამიანს მისი ზედაპირული, შემთხვევითი „მე“-საგან.

„შენ გადამიბირე, უფალო, და მეც დაგყვე, – აღიარებს იერემია წინასწარმეტყველი, – ჩამიჭირე და დამძალე... ვიფიქრე, დავივიწყებ მას და აღარ ვილაპარაკებ-მეთქი მისი სახელით. მაგრამ ცეცხლივით ამიგიზგიზდა გულში, ძვლებამდე გამატანა; ვცდილობდი გამეძლო, მაგრამ ვერ შევძელი“ (იერ. 20:7-8). აქ ჩანს, რომ წოდებული განიცდის ამ მოწოდებას, როგორც თავის ბედისწერას, როგორც გარდუვალობას; ის გრძნობს, რომ მაგარ ხელს უჭირავს იგი, რომ იგივე ხელი დევს მასზე, რომელსაც ხალხი გამოჰყავდა მონობის სახლიდან, ხელს, რომელიც იდო რჩეულ ერზე. წინასწარმეტყველიც ასეთივე რჩეულია რჩეულ ხალხში – რჩეულზე რჩეული, იმ ხალხში, რომელიც საუფლო ერად უნდა შექმნილიყო, ამიტომ პოტენციურად შეიძლება ყოველი მათგანი უფლის წინასწარმეტყველი ყოფილიყო. „რიცხვთა“ წიგნში ასეთი ამბავია მოთხრობილი: წინასწარმეტყველების ტვირთი რომ შეემსუბუქებინა მოსესათვის, – გაძნელდა უდაბნოში ხალხის მწყევსვა, – უფალმა მოსეზე გადმოსული სული გაუნაწილა სამოცდაათ კაცს, ისრაელიანთა უხუცესებს, რომ შეშველებოდნენ მას ხალხის

ტვირთის ტარებაში. როცა მათზეც გადმოვიდა სული და სამოცდაათივე გაქადაგდა მცირეხნით, მათ შორის, ორნი, რომლებიც კარავთან არ იდგნენ, მოსეს ერთგულ მსახურს, იესო ნავეს ძეს, არ მოეწონა ეს და უთხრა თავის მოძღვარს, ნუ მისცემ მათ წინასწარმეტყველების ნებასო, ხოლო მოსემ თქვა: „ნეტავ მთელი უფლის ხალხი წინასწარმეტყველი იყოს! რომ უფალმა თავისი სული მოაფინოს მათზე!“ (რიცხ. 11:16-29).

იბადება თუ იქმნება წინასწარმეტყველი? რომაელები ამბობდნენ: პოეტები იბადებიან, ორატორები იქმნებიანო. წინასწარმეტყველი პოეტიც არის და ორატორიც, მაგრამ იგი არც იბადება და არც იქმნება ჩვეულებრივი ყოფითი აზრით. უფრო სწორად, მისი ასაკი არ განისაზღვრება ფიზიკური დაბადებით; წინასწარმეტყველმა შეიძლება იგრძნოს მოწოდების ჟამი, რადგან ეს არის მისი ცხოვრების რომელიღაც ცნობიერი მონაკვეთი. მაგრამ მას არასოდეს არ ეცოდინება, როდის აირჩია იგი უფალმა თავის წინასწარმეტყველად; ეს მხოლოდ უფლისაგან შეიძლება გაიგოს, როგორც იერემიამ. „ვიდრე მუცელში გამოგსახავდი, გამოგარჩიე, – ჰქონდა უფლის სიტყვა იერემიას თავისი წინასწარმეტყველების დასაწყისში, – ვიდრე საშოდან გამოხვიდოდი, წმიდა გყავი, ხალხების ქადაგად დაგადგინე“ (იერ. 1:5). სრულიად გაუგებარია, რა ღირსებისათვის იქნა წინასწარმეტყველი არჩეული უფლის ქადაგად. იერემია ვერც ერთ ნიშანს ვერ გრძნობს თავის თავში, რომ თავი უფლის ქადაგის ღირსად მიიჩნოს. „ჰე, უფლო ღმერთო! მე ხომ ლაპარაკი არ ვიცი, რადგან ბალღი ვარ“, პასუხობს ის. „ბალღი“ არ ნიშნავს მხოლოდ „უასაკოს“ და არც „ლაპარაკი არ ვიცი“ – არცოდნას ჩვეულებრივი ადამიანური მეტყველებისა, რომელიც გარკვეული ასაკიდან იწყება. ბალღი გამოუცდელია და არ იცის, რა ილაპარაკოს და როგორ ილაპარაკოს. იერემია თავის თავში ვერ ხედავს წინასწარმეტყველების რაიმე უნარს, მაგრამ თურმე ის დედის საშოდანვე ყოფილა მოწოდებული.

არც მოსეს, თუმცა მისი სიცოცხლის ადრეული ხანა – დაბადება და ბავშვობა სასწაულებრივად შობილ და აღზრდილ ჩვილთა მითოსს იმეორებს, მოწიფულ ასაკამდე არ შეუცვნია წინასწარმეტყველების ნიჭი და მოწოდება; მაინც მას გამძაფრებული ჰქონდა სამართლიანობის გრძნობა და განიცდიდა ეროვნულ განსაკუთრებულობას, რის გამოც კაცისმკვლელიც კი გახდა და კარგა ხანს მოშორებული იყო თავის ხალხს, რომლის ენა, შესაძლოა, კარგად არც იცოდა. ალბათ ასე უნდა გავიგოთ მისი სიტყვები უფლის მოწოდებაზე ეწინასწარმეტყველა ანუ დაემწყესა თავისი ერი და ეგვიპტიდან გამოეყვანა. მან უთხრა უფალს, როგორც მრავალი საუკუნის შემდეგ იერემიამ, მე ხომ მოლაპარაკე არ ვყოფილვარ „არც გუშინ, არც გუშინწინო“ და ახლაც, როცა შენ მელაპარაკებო; რადგან ძნელმეტყველი და ენაბრგვილი ვარო, დაუმატა (გამ. 4:10). უფალი არ იხევს უკან, რაკი ერთხელ მოუწოდა მას: აჰა, აარონი, რომელმაც იცის ლაპარაკი; ის იქნება მოსეს ბაგე, ხოლო მოსე მისთვის ღმერთივით იქნება (გამ. 4:16). ასე რომ, ენაბრგვილობა დაბრკოლება არ არის წინასწარმეტყველისათვის; ჩანს, არის რაღაც გამოუცნობი ადამიანური თვისება, რის გამოც ხალხის მასიდან გამოირჩევა წინასწარმეტყველი. ძველი აღთქმის ავტორი არ ასახელებს ამ თვისებას, მით ნაკლებ, თავად წინასწარმეტყველი, რომელიც გადმოგვცემს თავისი მოწოდების ამბავს. არავინ იცის, რა ღირებულებისათვის იქნა იერემია დადგენილი ქადაგად დედის მუცელშივე. იერემიას მხოლოდ გამოცხადება შეიძლება ახსოვდეს: „გამოიწოდა ხელი უფალმა და შეეხო ჩემს ბაგეს. მითხრა უფალმა: აჰა, ჩამიდვია ჩემი სიტყვები შენს ბაგეებში“ (იერ. 1:9). ეს არის მისი მეორედშობა ამჯერად სულიერად, ღვთის სულიდან დაბადება.

წინასწარმეტყველი არა თუ ვერ გრძნობს თავის მისიას, არამედ უწმიდურად მიიჩნია თავი უფლის სიტყვის სატარებლად და სალაპარაკოდ. მოწოდების აქტიც, თუ ის გადმოცემულია, თავზარდამცემ შთაბეჭდილებას ახდენს წოდებულზე, რადგან წოდებული აბსოლუტური სიწმიდის წინაშე კატასტროფულად განიცდის თავის კერძო და ზოგადკაცობრივ უწმიდურობას. ზეციურ ტაძარში უფლის და სერაფიმების წრეში მოხვედრილ ესაიას (ასეთი იყო მისი ხილვა, ეს. 6:1-13) აღმოხდება, როგორც აღსარება უხენაესის წინაშე: „ვაიმე, დავიღუპე, რადგან ბაგეუწმიდური კაცი ვარ და ბაგეუწმიდურ ხალხში ვცხოვრობ! ჩემმა თვალებმა კი მეუფე, ცაბაოთ უფალი იხილეს!“.

უფლის ხელის შეხებით იერემიას უტყვი ბაგე მეტყველი იქნა, ხოლო ესაიას ბაგე მეტყველი, მაგრამ უწმიდური, უნდა გაწმენდილიყო. „მოფრინდა ჩემთან ერთ-ერთი სერაფიმათავანი (გვამცნობს ესაია) და ხელში სამსხვერპლოდან აღებული მუგუხალი ეჭირა მაშით. ბაგეზე შემახო და

მითხრა: აჰა, შეეხო ეს შენს ბაგეს და მოგცილდა უკეთურება, მიტევებულია შენი ცოდვა“ (ეს. 6:6-7).

ღვთიურ ჩვენებაში უფლის დიდების ხილვით თავზარდაცემული და პირქვედამხო-ბილი ეხეკიელი ფეხზე წამოაყენა დაძახილმა „ადამის ძვე!“ და მის არსებაში დასად-გურებულმა სულმა (ეს. 2:1-2), – ეს იყო მისი წინასწარმეტყველად დაბადება ანუ სუ-ლიერი შობა, მეორედ შობა. რადგან ზეგარდმო მოვლენილი სული აღძრავს მას ღვთის ჭეშმარიტების საქადაგებლად, ამიტომაც წინასწარმეტყველს სხვანაირად ეწო-დება „სულის კაცი“ (იშ პა-რუახ) ან „ღვთის კაცი“ (იშ პა-ელოჰით). ის უკვე აღარ ეკუთვნის თავის თავს, რადგან ატარებს წმიდა სიტყვას, უფრო სწორად, გამსჭვალუ-ლია ამ სიტყვით. ეს გამსჭვალვა კი ნატურალისტურად არის გამოხატული. იერემია ამბობს, რომ უფალმა მას ბაგეში ჩაუდო სიტყვა, მაგრამ ეხეკიელი უფრო ორგანუ-ლად განიცდის სიტყვის შეჭრას თავის არსებაში. „გააღე პირი და შეჭამე, რასაც მოგცემ. – ეუბნება ხმა, – და მე ვიხილე, აჰა, ხელია გამოწვილი ჩემკენ და, აჰა, წიგნის გრაგნილია მასში. გაშალა ჩემს წინ და, აჰა, ორივე მხარეს არის დაწერილი; სწერია: გოდება, მოთქმა და ვაი. მითხრა: ადამის ძვე! შეჭამე, რასაც ხედავ, შეჭამე ეს გრაგნილი და წადი, და ელაპარაკე ისრაელის სახლს. გავაღე პირი და შევჭამე ეს გრაგნილი. მითხრა: ადამის ძვე! აჭამე შენს მუცელს და აივსე ნაწლავები ამ გრაგნი-ლით, რომელსაც მე გაძლევ. მეც შევჭამე და თავლივით მეტკბილა პირში“ (ეს. 2:8-10; 3:1-3). ეს „დანაყრება“ სიტყვით, როცა სიტყვა მოხვდება არა მხოლოდ მის ბაგეში, არა მხოლოდ მის შეგნებაში, არამედ შეაღწევს მის შიგანში „მოსანელებლად“ მის ნაწლა-ვებში, გადააქცევს მას სულის კაცად ანუ ახალ ადამიანად, ნამდვილ ქადაგად, რო-მელსაც არ შეუძლია არ ილაპარაკოს; ის ილაპარაკებს, თუნდაც იცოდეს, რომ არ-ვინ მოუსმენს. „გინდ მოვისმინონ, გინდ არ მოვისმინონ“, ჩასძახის ხმა ეხეკიელს. რო-გორც წესი, ჭეშმარიტების გამომცხადებელ წინასწარმეტყველს არ უსმენენ. უფალი აძლევს მას სიტყვას, აგზავნის ხალხში, მაგრამ არ აძლევს წარმატების იმედს. წინას-წარ აფრთხილებს, რომ ხალხი არ დაუგდებს მას ყურს, მის ნათქვამ სიტყვას არ და-იჯერებს, სიტყვას არ შეუშვებს თავის შიგანში, რადგან ემწარება, ვერ შეიცნობს მას-ში ტკბილ დვრიტას. თითქოს პარადოქსია, მაგრამ ყოველი წინასწარმეტყველი აღიარებს თავისი მისიის წარუმატებლობას. უფრო მეტიც: თავად მისი შთამაგონებელი სული უმხელს წინასწარმეტყველს, რომ მას ხელი მოეცარება თავის გზაზე და რომ ის არ არის გამონაკლისი. „იმ დღიდან, რაც თქვენი მამა-პაპა ეგვიპტის ქვეყნიდან გა-მოვიდა, – ეუბნება ხმა იერემიას, – დღემდე გიგზავნი და გიგზავნი გამუდმებით ჩემს მსახურთ, წინასწარმეტყველებს. მაგრამ არ მიგონებდნენ და ყურს არ მათხოვებ-დნენ... ეტყვი მათ ყველა ამ სიტყვას, მაგრამ არ მოვისმენენ; დაუძახებ და არ გაგავო-ნებენ“ (იერ. 7:25-27).

ხალხს მხოლოდ ტკბილი და საამური სიტყვების მოსმენა სურს. ასევე მეფეც მზად არის გადამწვევტი ბრძოლის წინ ცრუწინასწარმეტყველის პირიდან სიცრუე მოისმი-ნოს, ფუჭად დაიიმედოს თავი, რომ გაიმარჯვებს. ჭეშმარიტი წინასწარმეტყველი კი მზად არის ჭამოს „სიმწრის პური“ და სვას „სიმწრის წყალი“ (3მეფ. 22:27) და უთხ-რას მეფეს სიმართლე, რაც უფალმა გამოუცხადა. ალბათ ძველი აღთქმის წინასწარ-მეტყველნი არ იყვნენ პირველნი კაცობრიობის ისტორიაში, სიმართლის თქმისათვის რომ ჩადიოდნენ დილეგში, ჭამდნენ სიმწრის პურს და სვამდნენ სიმწრის წყალს, იხო-ცებოდნენ და იღვევებოდნენ ქვეყნიდან; მაგრამ მათი თავგანწირვის ამბავი პირველად იქნა წერილობით აღბეჭდილი. არ არსებობდა ქვეყნად ძალა, რომელსაც შეეძლო წი-ნასწარმეტყველისათვის გადაეთქმევიანებინა მართალი სიტყვა. წინასწარმეტყველი მიქა (IX ს.) თავისი მართალი სიტყვით უპირისპირდება ოთხას ცრუ წინასწარმეტყველს, რომლებიც მეფის გარშემო შეკრებილან, რათა ფუჭი იმედებით აავსონ იგი. „მეფის სასიკეთოს ამბობენ ერთხმად წინასწარმეტყველნი, – უთხრეს მიქას, – შეეთანხმოს შენი სიტყვებიც მათ სიტყვებს. შენცა თქვი სასიკეთო“ (3მეფ. 22:13). ოთხასის ტყუილი ერთის სიმართლემ უნდა გააქარწყლოს. „თქვა მიქამ: უფალს ვფიცავ, რომ იმას ვიტყ-ვი, რასაც უფალი მიბრძანებს“. მეფე კი ოთხასის საამურ ტყუილს დაიჯერებს და ერ-თის სასიკეთო სიმართლეს უკუაგდებს, ბრძანებს: „დილეგში ჩააგდეთ ეს კაცი და აჭამეთ სიმწრის პური და ასვით სიმწრის წყალი, ვიდრე მშვიდობით მოვბრუნდებოდე“ (3მეფ. 22:27), და გავიდა საბედისწერო ბრძოლაში. მიქა კი დილეგში ზის, როგორც თავის დროზე იერემია შლამიან ჭაში, მაგრამ მასთან არის უფალი და ჭეშმარიტება.

წინასწარმეტყველი დიღეგშიც თავისუფალია, რადგან ის „სულის კაცია“ და, სადაც სულია, იქ თავისუფლებაც; ის ატარებს ჭეშმარიტების სულს და ჭეშმარიტება ათავისუფლებს მას. წინასწარმეტყველი ერთადერთია თავის ხალხში, თავის საზოგადოებაში, მეფეთა წრეშიც კი, რომელიც თავისი თქმითა და საქმით ახორციელებს სულიერ აზნაურებას. ის არავის ემორჩილება ამ ქვეყანაზე გარდა იმ ხმისა, რომელიც ესმის ჟამიდან ჟამზე, შეკრული სიტყვით, დაჭერილი, დახელთილი უფლის მიერ, ის თავისუფალია საერო ხელისუფლების წინაშე, უზენაესი ღვთისმსახურების წინაშე, რადგან იყო დრო, როცა ყოველი ხელისუფლება წინასწარმეტყველის ნებიდან იღებდა დასაბამს (ასეთი იყო თავის დროზე მოსე).

წინასწარმეტყველს არაფერი აბადია, არავითარი კერძო ინტერესი არ ამოძრავებს, ის აჩვენებს უანგარობის მაგალითს ანგარებიან ბრბოში, რომელსაც დაკარგული აქვს სიმართლის გრძნობა და სული ქარად მიანია, რომ ამბობს წინასწარმეტყველის აბუჩად ასაგდებად, „ქარად იქცევიან წინასწარმეტყველნი“ (იერ. 5:13), „ნაცვლად იმისა, რომ აღიარონ მათში ღვთის სულის არსებობა (რუახ „სულსაც“ ნიშნავს და „ქარსაც“); წინასწარმეტყველი თვისი არსებობით ცოცხალი გამოხატულებაა ჭეშმარიტებისა. ის მაინც იტყვის თავის სათქმელს და თუნდაც არავინ მოუსმინოს, „ეცოდინებათ მაინც, რომ წინასწარმეტყველი იყო მათ შორის“ (ეზ. 2:5). ეს იმას ნიშნავს, რომ მისი სიტყვა წარუვალია. დღეს მოკვდება, მაგრამ ხვალ გამოიღებს ნაყოფს, ახალ ვითარებაში აღორძინდება.

წინასწარმეტყველის პარადოქსი მდგომარეობს იმაში, რომ იგი, უშიშარი და თავისუფალი, არ ეკუთვნის თავის თავს; მას არა აქვს პირადი ცხოვრება. როგორც მისი ნათქვამი სიტყვა არ არის მისი საკუთარი სიტყვა, ასევე მისი საქციელი, ხშირად მთელი მისი ცხოვრება არის ნიშანი, რომლითაც უფალი უცხადებს ადამიანებს ჭეშმარიტებას და გზას, თუ როგორ მოიქცეს. ზოგჯერ სიტყვა ნაკლებად მჭევრმეტყველია, ვიდრე მოქმედება. სიტყვას შეიძლება წაუყრდეს კაცმა, თუ არ სურს მწარე ჭეშმარიტების მოსმენა, მაგრამ საქციელი თვალსაჩინოა. უფლის ბრძანებით იერემია ქედზე უღელდადგმული დადიოდა ხალხში იმის ნიშნად, რომ ამაო იყო წინააღმდეგობის გაწევა ნაბუქოდონოსორის, ბაბილონის მეფისათვის და რომ ხალხს მართებდა მორჩილება, რათა სიცოცხლე გადაერჩინა (3მეფ. 27:2-18). ხალხისათვის სათქმელი სიტყვა ხომ ტვირთი იყო წინასწარმეტყველისათვის, ახლა ეს ტვირთი პირდაპირი მნიშვნელობით უნდა ეტარებინა; მას უნდა ეჩვენებინა თავის თვისტომთათვის მორჩილების პირადი მაგალითი, თუნდაც ერის მოღალატედ გამოეცხადებინათ, როგორც მოხდა კიდევ იერემიამ თავი შეგნებულად ჩაიგდო სირცხვილში, მაგრამ სხვა გამოსავალი არ იყო: ის ხედავდა, რომ წინააღმდეგობის შემთხვევაში მის ქვეყანას უცილობელი განადგურება მოელოდა. წინასწარმეტყველის მხარეზე იყო ამჯერად ყოფითი სიბრძნე, სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს. წინასწარმეტყველი ხედავდა, რომ არა თუ მის ქვეყანაში, არამედ მთელს იმდროინდელ მსოფლიოში არ იყო ძალა, რომელსაც წინააღმდეგობის გაწევა შეეძლებოდა ბაბილონის მეფისათვის. ხალხი, ქვეყნის მეფე, წინასწარმეტყველნი მზად იყვნენ შებრძოლებოდნენ მტერს, წინასწარმეტყველნიც აიძვებდნენ ხალხს და ამხედრებდნენ. მაგრამ ერთადერთი იერემია იყო მთელს ქვეყანაში, რომელიც წინასწარ თვალნათლივ ხედავდა უკვე აოხრებულ ქვეყანას, დანგრეულ ტაძარს, წარტყვევნილ ხალხს.

უღელდადგმული იერემია დადიოდა დასაპყრობად გამზადებულ ქვეყანაში და უფლის სიტყვებით განმარტავდა თავის საქციელს: „რისთვის უნდა დაიხოცოთ შენ და შენი ერი მახვილით, შიმშილითა და შავი ჭირით, როგორც დაემუქრა უფალი იმ ხალხს, რომელიც არ დაემორჩილა ბაბილონის მეფეს. ნუ დაუჯერებთ წინასწარმეტყველთა სიტყვებს, რომ გუუბნებიან: არ დაემორჩილოთ ბაბილონის მეფეს. რადგან სიცრუეს გიწინასწარმეტყველებენ. რადგან მე არ მომივლენია ისინი, ამბობს უფალი. ცრულ წინასწარმეტყველებენ ჩემი სახელით, რათა განიდევნოთ და დაიღუპოთ თქვენს წინასწარმეტყველებთან ერთად... ნუ დაუჯერებთ მათ, დაემორჩილეთ ბაბილონის მეფეს და ცოცხლები დარჩებით. რისთვის უნდა აოხრდეს ეს ქალაქი?“ (იერ. 27:13-17).

იერემიამ მორჩილება აჩვენა ხალხს მაშინაც კი, როცა ცრუწინასწარმეტყველმა ხანაიამ, რომელსაც ცრუპატრიოტთა და მეფის გულის მოგება სურდა, ქედიდან ჩამოსხნა მას უღელი, დაღეწა და თქვა მთელი ხალხის გასაგონად: „ასე ამბობს უფალი: ამნაირად დაგლეწავ ნაბუქოდონოსორის, ბაბილონის მეფის, უღელს ორ წელიწადში

ყველა ხალხის ქედზე“ (იერ. 28:10). იერემიას ხმა არ ამოუღია, წინააღმდეგობაც არ გაუწევია, თუმცა უფლის ბრძანებით ჰქონდა დადგმული უღელი, „და გავიდა იერემია წინასწარმეტყველი თავის გზაზე“, რადგან მასთან იყო სიმართლე.

ზოგჯერ წინასწარმეტყველის ოჯახური ვითარება სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს, რის წყალობითაც წინასწარმეტყველი უნდა გაერკვეს ფარულ სინამდვილეში ან მოწვევანადში. წინასწარმეტყველი მზად არის მიიღოს ბედის დარტყმა, რომ ნიშნად და სასწაულად იქცეს ხალხისათვის, რომ დაშინდეს ხალხი და უფლისაკენ მოიქცეს. ხალხმა თავისი ბედი უნდა ამოიკითხოს წინასწარმეტყველ ებეკიელის ბედში, როცა უფალმა „მოულოდნელი სიკვდილით“ ცოლი წაართვა და არ აგლოვებინა; ხალხი უნდა მიხედეს, რატომ არ გლოვობს ებეკიელი თავის ცოლს: ეს ღვთის რისხვა იყო, სასჯელად მოვლენილი, ამიტომაც არ ეგებოდა გლოვა. „იქნება ებეკიელი თქვენთვის ნიშნად: როგორც მან გააკეთა, ყველაფერს ისე გააკეთებთ. ეს ახდება და მაშინ მიხედებით, რომ მე ვარ უფალი ღმერთი“ (ეზ. 24:24). ებეკიელის ცოლს „მოულოდნელი სიკვდილით“ წაგვრილს, უფალი „თვალთა ნეტარებას“ უწოდებს („წაგართმევ შენ თვალთა ნეტარებას“), რაც უთუოდ გულისხმობს ტაძარს, რომლის განადგურების მომსწრე უნდა გახდეს ხალხი.

სიმბოლურ-წინასწარმეტყველურია ოსიას პირადი ცხოვრებაც. უფლის წინასწარმეტყველური სიტყვა იჭრება ღრმად მის ყოფაში: ოსიამ უნდა იტვირთოს, აიტანოს ის ცოდვა, რაც აწევს ქვეყანას; ოსიამ თავის თავზე უნდა გამოსცადოს სირცხვილი, რომელშიც ჩავარდნილია მისი ხალხი. „როცა იწყო უფალმა წინასწარმეტყველება ოსიას პირით, უთხრა ოსიას: წადი, მოიყვანე გარყვნილი ქალი ცოლად და გააჩინე გარყვნილების შვილები, რადგან გაირყვნა ქვეყანა და განუდგა უფალს“ (ოს. 1:2). ასე დაიწყო წინასწარმეტყველმა თავისი წინასწარმეტყველური სამსახური უფლის წინაშე. მისმა ოჯახურმა ვითარებამ უნდა ამხილოს ქვეყნის დაცემა. გარყვნილება, ცოლქმრული დაღატი აღეგორიული გამოხატულებაა ღვთისაგან განდგომისა, რომლის სავალალო შედეგი გარყვნილი ქალის ნაშობმა თავისი სახელით უნდა გააცხადოს. „დაორსულდა ქალი და შვა ასული. უთხრა უფალმა: დაარქვი სახელად *ლო რუხამა* (არშესაწყალისი), რადგან აღარ შევიწყალებ ისრაელის სახლს და არასოდეს შეგუნდობ“ (ოს. 1:6). ოსია თავისი ნაშიერით გამოთქვამს უფლის წინასწარმეტყველებას და გაფრთხილებას, ნაშიერის სახელი ატარებს ამ განაჩენს, რომელიც ელის ქვეყანას. უფრო მეტიც: ნაშიერი, როცა ის ვაჟად დაიბადება, განსახიერებს განდგომილ ერს, რომელსაც უფალი გამოუტანს საბოლოო განაჩენს. „მოწყვიტა ძუძუს *ლო რუხამა* და ისევ დაორსულდა და შვა ვაჟი. თქვა უფალმა: დაარქვი სახელად *ლო ყამი* (არა ჩემი ერი), რადგან აღარ ხართ ჩემი ერი და მეც აღარ ვიქნები თქვენი“ (ოს. 1:8-9).

ძლიერი და ღრმა იყო ოსიას გამოცდილება, რომელიც მოუვლინა მას უფალმა, რათა შეძლებოდა წინასწარმეტყველება; მთელი მისი თეოლოგია, ღვთის შემეცნება, შეიძლება ითქვას, ამ გამოცდილებაზეა დაფუძნებული, შეფერილია ამ განსაცდელით. რა არის ის ადამიანური გრძნობა, რომლის მეშვეობითაც ოსია ცდილობს შეიცნოს უფლისა და მისი ერის ურთიერთობა? ეს სიყვარულია, რომელიც ოდნავადაც არ განელებია ოსიას თავისი ცოლის მიმართ, რომელმაც გარყვნილებაში უშვა მას *ლო რუხამა* და *ლო ყამი* – ესოდენ საბედისწერო სახელის მატარებელი ქალ-ვაჟი. თუმცა ამბობდა ასე: „არ შევიწყალებ მის შვილებს, რადგან გარყვნილების შვილები არიან, რადგან გარყვნილებას სწადიოდა მათი დედა და თავს ირცხვენდა მათი მშობელიო“, მაგრამ ისიც იცოდა, რომ ამათ გარდა, არავინ გააჩნდა და რომ „არა ჩემი ერი“ და „არშესაწყალისი“ იმარხავდნენ თავდაპირველ ჭეშმარიტ სახელებს, რომლებიც მათ უფალმა უწოდა, როცა უდაბნოში მოიძია და აიყვანა, – „ჩემი ერი“ დაერქვა მაშინ მას, რაც „ჩემი ძის“ ტოლფასი იყო. „როცა ყრმა იყო ისრაელი და მიყვარდა ის, ეგვიპტიდან გამოვიხიმე ჩემი ძე...“ ამბობს უფალი ოსიას წინასწარმეტყველებაში (ოს. 11:1). კიდევ ამბობს: „ყურძენივით ვიპოვე ისრაელი უდაბნოში, როგორც პირველი ნაყოფი ლეღვის ხეზე...“ (ოს. 9:10). როგორ შეეძლო შუა გზაზე დაეგდო მტვერში უცხოთაგან გასათვლად? ოსია სავსეა სიყვარულით, ის მზადაა უკან დაიბრუნოს საყვარლებს აკიდებული ცოლი, როცა ის მოიქცევა. „წავალ, დავბრუნდები ჩემს პირველ ქმართანო, რადგან მაშინ ახლანდელზე უკეთესი ვიყავიო“ (ოს. 2:9). ოსიაც იბრუნებს სიყვარულის აუხსნელი ძალით, თუმცა ქალი ახლა მაშინდელზე უკეთესი არ არის. როცა ასე გრძნობს ოსია, მაშინ ხვდება, თუ რატომ უყვარს მაინც უფალს განმდგარი თავი-

სი ერი და ყოველთვის მზად არის შეუნდოს განდგომა. მაშინ ამბობს წინასწარმეტყველი, რომლის პირიდან უფლის სიტყვა ხმიანებს: „როგორ გაგიმეტო, ეფრემ? როგორ გადაგაგდო, ისრაელ?... გადამიბრუნდა გული, ერთიანად ამიტანა სიბრალულმა. აღარ ავინთები რისხვით, აღარ აღვიძრები ეფრემის დასადუჰად, რადგან ღმერთი ვარ და არა კაცი; მე წმიდა ვარ თქვენ შუაგულში და რისხვით არ მოვალ“ (ოს. 11:8-9).

ოსია, ერთ-ერთი უძველესი წინასწარმეტყველი, რომლის ნათქვამი სიტყვა წერილობით შემორჩა, სიყვარულის წინასწარმეტყველი იყო. ის იმ ადამიანური გრძნობით ჭვრეტდა ღმერთისა და ადამიანის ურთიერთობას, რომელსაც ყველაზე უფრო ძლიერად, სხვა გრძნობათა შორის, განიცდიდა საკუთარ თავში. მართლაც ძლიერი, დაუმრეტელი, ამავე დროს ნაზი სიყვარული უნდა ჰქონოდა ადამიანს თავისი ახლობლისადმი, ადამიანისადმი, მთელი ერისადმი; მან ეს ერი უდაბნოში ნაპოვნ ვაზს შეადარა, მცენარეს, რომელიც მასში დამარხულ სიკეთეთა გამო განსაკუთრებულ ზრუნვას საჭიროებდა. მისმა მომდევნო წინასწარმეტყველებმა აიტაცეს ეს სიმბოლო. ოსია პირველი იყო, რომელმაც თავისი მწარე ოჯახური გამოცდილების დრმა განცდით ღმერთისა და ერის ურთიერთკავშირი საქორწინო ურთიერთობით გამოხატა. და, რაც მთავარია, ქორწინება, როგორც სიმბოლო, ამ ინსტიტუტის არა სოციალური, უპიროვნო, არამედ მისი ადამიანური, ინდივიდუალური, ასპექტით არის წარმოდგენილი. ტრანსცენდენტული, მიღმიერი ჩამოვიდა ადამიანის სამყაროში და ადამიანმაც ღვთის გაჩენილ სამყაროში იგრძნო თავი.

წინასწარმეტყველი უფლის საყვრია. უფალი ლაპარაკობს წინასწარმეტყველის პირით ობიექტურ ჭეშმარიტებას, მაგრამ ეს ჭეშმარიტება წინასწარმეტყველის ინდივიდუალობით, მისი პირადი გამოცდილებით, მისი პიროვნული ხასიათით არის შეფერილი. ოსიაზე ცოტა ადრე გამოჩნდა ამოსი – ეს არის პირველი წინასწარმეტყველი, რომლის ნაქადაგარი ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთა სათავეში დგას. აქ იხინა თავი პირველად „უფლის დღის“ პირქუშმა ასპექტმა, რომლის საერთო მონაპოვარი შეიქმნა მომდევნო წინასწარმეტყველთა „პროგრამებში“. ხალხური წარმოდგენის იდილიური „უფლის დღე“, სამოთხის შემობრუნების დარი, ამოსის ხილვაში, რომელიც ავისმომასწავებელი წინათგრძნობით არის ნაკეები, ქვეყნის კატასტროფის ხატია. „ვაი, უფლის დღის მონატრულთ! – გასძახოდა ამოსი ბეთელის სამსხვერპლოებთან შეკრებილ ხალხს. – რისთვის გინდათ უფლის დღე? ბნელია ის და არა ნათელი“ (ამოს. 5:18). ეს იყო სრულიად ახალი ხილვა, გაუგონარი სიტყვა. „აბა ბნელი არ არის უფლის დღე, – განაგრძობდა წინასწარმეტყველი, – და არა ნათელი? წყვილადი და შუქის ნატამალიც არ არის მასში“ (5:20). „იმ დღეს იქნება, ამბობს უფალი ღმერთი (არ ცხრება ამოსი), რომ შეადღისას ჩავიყვან მზეს და დღის სინათლეზე დავაბნელებ ქვეყანას. დღესასწაულებს გლოვად გადაგიცევთ და თქვენს სიმღერას – გოდებად, ჯვალოს შემოგახვეთ წელზე და ყველა თავი გადაიპარსება. ავატირებ ქვეყანას, როგორც მხოლოდშობილზე ტირიან, და მწარე დღე იქნება მისი ბოლო! აჰა, დგება დღეები, ამბობს უფალი ღმერთი...“ (ამოს. 8:9-11).

საესავი დღე უფლისა წინასწარმეტყველის ხილვაში შავი ჯანღებით იყო მოქუფრული. საიდან აღმოცენდა ასეთი ხილვა იმ დროს, როცა ქვეყანაში მშვიდობა სუფევდა, ქვეყანა ყვოდა, არსაიდან არ ეშუქებოდა საფრთხე? ჩანს, ამოსი უფრო ღრმად ხედავდა ერის გულს, ვიდრე სხვა ვინმე, ვიდრე თუნდაც მღვდელმსახური ამაცია, რომელიც გამობდა ამოსის წინასწარმეტყველებას და მეფესთან აბეზღებდა, „მიწა ვერ აიტანსო მის სიტყვებს“ (ამოს. 7:10). ჩანს, ამოსი გრძნობდა, რომ უფლის დღე ისეთივე იქნებოდა, როგორც ახლა ხალხისა და მის წინამძღოლთა ჩაბნელებული გულები იყო; რომ მთელი ხალხი პასუხისმგებელი იქნებოდა უფლის დღის დარზე, პირველ რიგში, თავად წინასწარმეტყველი, რომელიც თმაგაბურძენული პირდაპირ მწყემსთა ბინებიდან გამოცხადდა ბეთელში. საიდან მიხვდა ქვეყნის დაცემას ეს უბირი მწყემსი, ის ხომ ხალხში არ ტრიალებდა? მოწოდება, როგორც ჩანს, მისთვისაც არა ნაკლებ მოულოდნელი იყო, ვიდრე ამაციასათვის, საზოგადოების ელიტის წარმომადგენლისათვის. ამოსი განიცდის ამ მოწოდებას, როგორც სტიქიურ მოვლენას, რაც არ იყო განპირობებული არც გუშინდელი, არც გუშინწინდელი მისი საქმიანობით. „მე არც წინასწარმეტყველი ვარ და არც წინასწარმეტყველის შვილი. მწყემსი ვარ მე და ღვთის მომყვანი. წამომიყვანა უფალმა ფარიდან და მითხრა უფალმა, უწინასწარმეტყველე შენს ერს, ისრაელსო“ (ამოს. 1:14-15). ამოსი ერთადერთი იყო წინასწარმეტყველთა

შორის, რომელმაც გამოხატა (ამას ყველა გრძობდა) ქადაგობის გარდუვალობა, როცა ის ხმა ადგილზე არ აყენებს ადამიანს: „ლომი ბრდღვინავს – ვინ არ შეშინდება! უფალი ღმერთი ლაპარაკობს – ვინ არ გაქადაგდება!“ (ამოს. 3:8). ეს სახე (ლომის ბრდღვინვა), ცხადია, მწვემსური გამოცდილებიდან მოდის და ისიც, ბეჩავთა და უპოვართა შემავიწროვებელთა „ბაშანის ფურებს“ რომ ადარებს, ან როცა ქვეყნის ხსნას ამგვარად წარმოგვიდგენს: „როგორც მწვემის გადაარჩენს ლომის ხახიდან ორ ბარკალს ან ორის ნაგლეჯს, ასე გადარჩებიან ისრაელიანები“ (ამოს. 2:12).

„ასე გადარჩებიან ისრაელიანები...“ აი, იმედის სხივი, რომელიც გვირგვინად ადგას ამოსის პირქუშ ხილვებს, სადაც მას უფალი სასტიკ მსაჯულად და შურისმგებლად ეცხადებოდა. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ წინასწარმეტყველთა რელიგია, რომელიც მათ ქადაგებებშია გამჟღავნებული, ხალხის გადარჩენის, ხალხის ხსნის რელიგიაა. დაუნდობელი მხილება, მუქარა, უსასო პერსპექტივების ჩვენება, პირქუში ესქატოლოგიზმი და მის საპირისპიროდ ერის ქმნადობის ხანის გახსენება – ეს ყველაფერი ხალხის ხსნისათვის იყო „ამუშავებული“. ძველი აღთქმის რელიგიის წყარო წინასწარმეტყველთა შემოქმედებაა, ხოლო მისი შინაარსი ხალხის ხსნა, რომელსაც თავისი მითოსი აქვს. როცა მოსეს – ის კი თავი იყო წინასწარმეტყველთა – სინაის მთაზე ღმერთი გამოეცხადა, მხოლოდ იმისათვის გამოეცხადა, რომ ეგვიპტის ტყვეობაში მოხვედრილი ხალხის ხსნა დაევალებინა. ამგვარად, დაბეჩავებულ ხალხს, რომელიც „მონობის სახლში“ იმყოფებოდა, ღმერთი გამოეცხადა იმთავითვე, როგორც მხსნელი ღმერთი. ამიტომაც ეგვიპტიდან ხალხის გამოსვლა არის ქვაკუთხედი, რომელზეც დაშენებულია არა მხოლოდ ხალხის ისტორიული წარსული, მისი ქმნადობის ხანა, არამედ რელიგიაც, მისი ყველა ასპექტიურთ. მოსე, თავი წინასწარმეტყველთა, ხალხს მოეველინა უკიდურესი გაჭირვების კამს, როცა მისი ყოფნა-არყოფნის ბედი წყდებოდა; ის ატარებდა თავის თავში ხსნის რელიგიას, რომელიც კონკრეტულად წარმოადგენდა მოწოდებას ეგვიპტიდან გამოსვლისა. მას შემდეგ წინასწარმეტყველნი გამოჩნდებოდნენ ყოველთვის, როცა საბედისწერო კამი დგებოდა ერის ცხოვრებაში, და მაშინაც წინასწარმეტყველნი ხსნის რელიგიას ატარებდნენ, რომელსაც ანდრეხად ეგვიპტიდან გამოსვლა ჰქონდა, თუმცა ამ ანდრეხში უკვე ზნეობრივი შინაარსი იყო ჩადებული.

წინასწარმეტყველი დგას ერის, როგორც სულიერ-სხეულებრივი ერთიანობის დასაბამთან. ის ქმნის ერს უფორმო მასიდან, ჭრელი ხალხისაგან, რომელსაც არაფერი სურდა, გარდა ათუხთუხებული, ხორციით სავსე ქვაბებისა. ოღონდ ეს ჰქონოდა უხვად, მზად იყო უკან მიბრუნებულიყო ეგვიპტისაკენ. მისთვის ძნელი ასატანი იყო უდაბნოს უფალი გზა, უკიდვანო სივრცე, თავისუფალი ჰაერი. ის ვერ სწვდებოდა უხილავ ღმერთს და ერთღმერთობას, რაც მისივე ერთობის საწინდარი უნდა ყოფილიყო. ის მოითხოვდა კაცის ხელით ნაკეთებ, ხილულ კერპებს და, რაც უფრო მეტი ექნებოდა, მით უფრო იმედიანად იქნებოდა. მოსე შორს გაახედა უფალმა, დაანახა, რომ ამ ხალხის ბედისწერა უფლის რჩეულობა იყო. უფალი ისეთ რასმე ავალებდა თავის წოდებულს, რაც ჭირვეული ბავშვის აღზრდას და წვრთნას უფრო ჰგავდა. მე ხომ არ გამიჩენია ეს ხალხი, ზურგით რომ ვატარო, შესწიოდა ღმერთს და გარშემო არავინ ჩანდა გამგები და შემწე. სხვა ხელისუფლება არ არსებობდა. იყო ერთი წინასწარმეტყველი, ენაბრგვილი, თავის ხალხს თითქმის გაუცხოებული და ამ გაუცხოებით თითქოს იმ სიბრძნის ტრანსცენდენტულობის (კოდეშ) გამომხატველი, რომელიც მიწაზე არ იპოება და მთიდან უნდა ჩამოეტანა თავისი ხელით. მოსემ მთიდან ჩამოიტანა რელიგია, საკულტო სიბრძნე, მაგრამ თავად არ ყოფილა კულტმსახური. ის თავისი პიროვნული დანიშნულებით ახორციელებდა კავშირს ღმერთსა და ხალხს შორის, მაგრამ კულტმსახურად სხვა იყო დადგენილი მის მიერ. ეს იყო აარონი – მღვდელთა მოდგმის მამამთავარი. ხომ ვმიდაა (კოდეშ) მღვდელი, ხალხისათვის მოდვაწე, ხალხისგან განყენებული; მაგრამ წინასწარმეტყველი ვმიდათა ვმიდაა. ის უშუალოდ, ტაძრის გარეშე, ურთიერთობს უფალთან; ხედავს მის ცეცხლს, მაყვლოვანში აგიზგიზებულს, და ესმის მისი ხმა; მღვდელი ლიტურგიის ძალით ასადგურებს მიწაზე ღვთიურ სინამდვილეს, წინასწარმეტყველს ქარიზმის ძალით ეცხადება ეს სინამდვილე. მღვდელი შეჰღალადებს მიწიდან ცისაკენ, წინასწარმეტყველს ციდან მიწაზე ჩამოაქვს სიტყვა.

მოსეს ჩამოაქვს არა მხოლოდ სიტყვა, როგორც წინასწარმეტყველს, არამედ მის ხელთაა საქმეც. ის არის კულტმსახურების რეალური დამაარსებელი. „გამოსვლათა“ წიგნის 24-ე თავში კარგად ჩანს წინასწარმეტყველის მაღალი იერარქიული საფეხური

მთის ვერტიკალზე, საიდანაც ის ხალხს ეკლინება როგორც პირველმდეველი. ხმა ეუბნება მოსეს:

„ადით უფალთან შენ, აარონი, ნადაბი, აბიჰუ და ისრაელის სამოცდაათი უხუცესი და შორიდან ეცით თაყვანი. მხოლოდ მოსე მიუახლოვდეს უფალს, დანარჩენები არ მიუახლოვდნენ, ხალხი არ ავიდეს მასთან ერთად. მივიდა მოსე და შეატყობინა ხალხს უფლის ნათქვამი და ყველა რჯულდება. ერთხმად უპასუხა ხალხმა და უთხრა: ყველაფერს შევასრულებთ, რაც ბრძანა უფალმა. დაწერა მოსემ უფლის სიტყვები. ადგა დილაადრიანად და აღმართა მთის ძირას სამსხვერპლო და თორმეტი სვეტი ისრაელის თორმეტი შტოს მიხედვით. გაგზავნა ისრაელიანთაგან ყმაწვილი კაცები და მათაც მოიყვანეს აღსაყდენი მსხვერპლი და შესწირეს უფალს ხარები სამადლობელ მსხვერპლად. აიღო მოსემ ნახევარი სისხლი და თასებში ჩაასხა, ხოლო ნახევარი სამსხვერპლოს ასხურა. აიღო აღთქმის წიგნი და წაუკითხა ხალხს, თქვა ხალხმა: ყველაფერს აღვასრულებთ და შევისმენთ, რაც ბრძანა უფალმა. აიღო მოსემ სისხლი და ასხურა ხალხს, თქვა: აჰა, სისხლი აღთქმისა, რომელიც დაგიდოთ უფალმა ყველა ამ საქმეზე. ავიდნენ მოსე, აარონი, ნადაბი, აბიჰუ და ისრაელიანთა სამოცდაათი უხუცესი. იხილეს მათ ისრაელის ღმერთი. მის ფერხით რაღაც მსგავსი საფირონის ქვაფენილისა, სუფევდა, როგორც თავად ცა. ისრაელიანების თავკაცებზე არ აღუმართავს ხელი: ხედავდნენ ღმერთს, ჭამდნენ და სვამდნენ. უთხრა უფალმა მოსეს: ამოდი ჩემთან მთაზე და აქ იყავი. მოგცემ ფიქალებს, რჯულსა და მცნებებს, მათ დასამოდგურად რომ დაეწერე. ადგა მოსე და მისი მსახური იესო, და ავიდა მოსე ღვთის მთაზე. ხოლო უხუცესებს უთხრა: აქ იყავით, ვიდრე თქვენთან მოვბრუნდებოდე. აჰა, აარონი და ხური იქნებიან თქვენთან. თუ ვისმე რამე საქმე გაუჩნდეს, მათ მიაკითხოთ. ავიდა მოსე მთაზე და დაფარა ღრუბელმა მთა. მოეფინა უფლის დიდება სინაის მთას. ექვს დღეს ეფარა მას ღრუბელი და მეშვიდე დღეს მოუწოდა უფალმა ღრუბლიდან მოსეს. და გამოჩნდა უფლის დიდება მოგიზგიზე ცეცხლივით ისრაელიანთა თვალწინ. და შევიდა მოსე ღრუბელში და ავიდა მთაზე. და დაჰყო მოსემ მთაზე ორმოცი დღე და ორმოცი ღამე“ (გამ. 24:1-18).

რაც მოსემ მთის ფერდობზე თუ მის ძირას მოიმოქმედა, – საკლავის სისხლი რომ ასხურა ხალხს, რითაც განათლა ხალხი, – მღვდლის მოვალეობაა. აქ ვხედავთ, რომ მოსე იწყებს, დასაბამს აძლევს მღვდელმსახურებას, რადგან მასში, როგორც წინასწარმეტყველში, ჩადებული იყო მღვდლობის ძალიც, რომელიც მას სხვისთვის უნდა გადაელოცა. ამ ქმედებით მოსემ მაგალითი აჩვენა აარონს, თავის უფროს ძმას, თუმცა უკანმოტოვებულს ღვთისაკენ მიმავალ გზაზე, რომლის მოდგმას, ანუ „აარონის სახლს“, ძველი აღთქმის სამღვდლოება უნდა წარმოეშვა.

მოსე იყო მსაჯული უდაბნოში ორმოცი წლის მანძილზე და, ამრიგად, სათავე იმ მსაჯულთა, რომლებიც მეფობის დაწესებამდე განაგებდნენ ისრაელს. ის ზეგარდმო ძალა, რომელიც მსაჯულებს ქვეყნის მსხვერპლად ხდიდა, სწორედ წინასწარმეტყველის ქარიზმა იყო. არ უნდა იყოს შემთხვევითი, რომ გედეონის ქარიზმატული მსაჯულობა, ტრადიციის თანახმად, ანდრეხულ ორმოც წელს გრძელდება („და დაისვენა ქვეყანამ ორმოცი წელი გედეონის სიცოცხლეში“, მსაჯ. 8:28).

მოსე, როგორც წინასწარმეტყველი, ატარებდა ხალხის პოლიტიკური წინამძღოლისა და მხედართმთავრის პოტენციას და ახორციელებდა კიდევ, როცა ისრაელს ბრძოლებით უხდებოდა გზის გაკვალვა უდაბნოში და „აღთქმული ქვეყნის“ მისადგომებთან. ეს კი მეფის ფუნქცია იყო და, მართლაც, ჩვენ ვხედავთ, რომ მოგვიანებით, მსაჯულთა ხანის დასასრულს, როცა ქვეყანას წაერთვა საწინამძღოლო ქარიზმა და ვედარ „ადღენ მსაჯულნი“, ისევ და ისევ წინასწარმეტყველი იყო ის კაცი, რომელმაც მეფე გაუჩინა ხალხს. პირველი მეფე წინასწარმეტყველის ხელიდან გამოვიდა როგორც ცხებული. სამუელმა საულს მთელი რქა ზეთი დაასხა თავზე, რათა მასზე მეფობასთან ერთად გადმოსულიყო წინასწარმეტყველების ქარიზმა. მართლაც, „სხვა გული ჩაუდგა მას ღმერთმა“ და, როცა იგი შეერია მისკენ მომავალ წინასწარმეტყველთა გუნდს, მათთან ერთად აწინასწარმეტყველდა.

ამრიგად, წინასწარმეტყველი, როგორც ხელდამსხმელი მეფისა და კულტის მსახურისა, მაღლა დგას მეფობაზე და კულტმსახურებაზე. ამის ძალით არის, რომ მას ხელეწიფება მხილება და კიცხვა როგორც მეფისა, ისე სამღვდლოებისა. ნათანი, ბრძენი წინასწარმეტყველი, ამხილებდა მეფე დავითს, ის იყო მისი „მამხილებელი გონება“,

მან აუხილა დავითს თვალი მის ცოდვაზე და გაუღვიძა სინანულის გრძობა, აღმო-
ათქმევინა ფსალმუნნი – გალობანი სინანულისანი. წინასწარმეტყველნი არ ეპუებოდ-
ნენ მეფეებს, ძლიერთა ამა ქვეყნისა, რომელთაც ერის მწყემსობა ჰქონდათ დაკისრე-
ბული, მაგრამ არ ანაღვლებდათ ქვეყნის საქმე. წინასწარმეტყველნი უშიშრად მიახ-
ლიდნენ მათ სიმატლეს. რისი უნდა შეშინებოდათ ქადაგად დავარდნილთ, როცა
ისინი უფლის სიტყვებს ამოისროდნენ, როგორც ისრებს. ასე ამხილებდა ეზეკიელი
ისრაელის მეფეებს:

„იყო უფლის სიტყვა ჩემს მომართ ნათქვამი: ადამის ძეგ! იწინასწარმეტყველე ისრა-
ელის მწყემსებს, იწინასწარმეტყველე და უთხარი მათ მწყემსებს, ასე ამბობს-თქო
უფალი ღმერთი: ვაი ისრაელის მწყემსებს, რომლებიც საკუთარ თავს მწყესავენ! განა
ცხვარს არ უნდა მწყესავდნენ მწყემსები? ქონს ჭამთ, მატყლით იმოსებით, ნასუქალს
ხოცავთ, ცხვარს კი არ მწყესავთ! დაუძღურებულთ არ აძლიერებთ, დასნეულებულთ
არ განკურნავთ, ჭრილობებს არ შეუხვევთ, გატაცებულს უკან არ აბრუნებთ, დაკარ-
გულს არ ეძებთ, მძლავრობით და სასტიკებით ბატონობთ მათზე. გაიფანტნენ უმწყემ-
სოდ დარჩენილნი, მინდვრის მხეცების კერძი გახდნენ, გაიფანტნენ! დაეხეტება ჩემი
ცხვარი მთებზე და მაღალ გორაკებზე, მთელი ქვეყნის პირზე გაიფანტა ჩემი ცხვარი
და აღარავინ არის მათი მომკითხავი, არც მძებნელი. ამიტომ ისმინეთ უფლის სიტყვა,
მწყემსებო! ცოცხალიმც ვარ, ამბობს უფალი! რაკი მიტაცებულია ჩემი ცხვარი და მი-
წის მხეცების კერძი გამხდარა უმწყემსოდ დარჩენილი ჩემი ცხვარი, რაკი არ მოუკით-
ხავთ ჩემს მწყემსებს ჩემი ცხვარი, რაკი საკუთარ თავს მწყემსავენ მწყემსები, ჩემს
ცხვარს კი არ მწყემსავენ, ამიტომ ისმინეთ უფლის სიტყვა, მწყემსებო! ასე ამბობს
უფალი ღმერთი: აჰა, ისევ მწყემსებს მოვიკითხავ ჩემს ცხვარს და გადავაყენებ ცხვრის
მწყემსობიდან, რომ კვლავ აღარასოდეს მწყემსავდნენ მათ. პირიდან გამოვლექვ მათ
ჩემს ცხვარს, რომ მათი კერძი აღარ იყოს. რადგან ასე ამბობს უფალი ღმერთი: აჰა,
მე თავად მოვიკითხავ ჩემს ცხვარს და მოვძებნი! როგორც მწყემსი ეძებს თავის
ცხვარს, როცა თავის გაფანტულ ფარაში ჩადგება, მეც ასე მოვძებნი ჩემს ცხვარს და
დავიხსნი ყველა იმ ადგილიდან, სადაც კი გაიფანტნენ ნისლიან და ღრუბლიან
დღეს... მე თავად ვიხსნი ჩემს ცხვარს და აღარ იქნება გატაცებული. მე ვიქნები მსა-
ჯული ცხვარსა და ცხვარს შორის. ერთ მწყემსს დაუყვენებ და ის დამწყესავს მათ.
დავითს, ჩემს მორჩილს, დაუყვენებ და ის დამწყესავს მათ და ის იქნება მათი მწყემ-
სი. მე, უფალი, ვიქნები მათი ღმერთი, ჩემი მორჩილი დავითი კი წინამძღოლი იქნება
მათ შორის...“ (ეზ. 34:1-24).

იერემია უშიშრად უცხადებდა მეფეს დვითის განაჩენს: „ასე ამბობს უფალი იეჰოა-
კიმ იუდას მეფეზე: არ ეყოლება მას შთამომავალი, დავითის მოსაყდრე. ეგდება მისი
გვამი დღის ხვატში და ღამის ყინვაში...“ (იერ. 36:30), „არ იგლოვებენ მას: ვაი, ჩემი
ძმაო, და ვაი, ჩემო დაო! არ იგლოვებენ მას: ვაი, ხელმწიფევე, და, ვაი, მისო დიდებუ-
ლებავ! ვირის დამარხვით დაიმარხება. წაათრევენ და იერუსალიმის კარიბჭეთა იქით
გადააგდებენ“ (იერ. 22:18-19). ასე წერდა იერემია, რადგან ის წერდა თავისი ხელით
და უგზავნიდა მეფეს, – ოდესმე თუ უთქვამს ვისმე მბრძანებლისათვის ესოდენ მწარე
სიტყვები! – რისთვისაც მას სცემდნენ და აგდებდნენ საპრობილეში თუ ჭაში, ამოვი-
დოდა და კვლავ ალაპარაკებოდა მასში დვითის განაჩენი, რათა კვლავ დაესმით მი-
სი ხმა დიდუგის ბნელში.

ვიცით, მსაჯული და მეფე მაშინ გამოვიდნენ ასპარეზზე, როცა ქვეყანას უჭირდა,
როცა მტერი ძალმომრეობდა ხალხის სხეულზე; მეფე თუ მსაჯული, რომელიც კი აღ-
დგებოდა უფლის სულით, ერის სხეულს მხსნელად მოველინებოდა. წინასწარმეტყვე-
ლი, როგორც სულის კაცი, გამოჩნდება მაშინ, როცა ქვეყანა ზნეობრივად დაცემუ-
ლია; წინასწარმეტყველი ყველაზე პირველად გრძნობს, შესაძლოა, ის ერთადერთი
გრძნობს ქვეყნის გადაგვარებას, ის ერთადერთი იყნოსავს ხრწნილების სუნს. ის გა-
მოჩნდება დაცემულ ხალხში, როგორც ყორანი მძორის სუნზე. „ვაი, ბრალეულო ხალ-
ხო, ცოდვით დამძიმებულო ერო, ბოროტეულთა მოდგმავ, წარწყმედილო შვილებო!“ –
გაჰყვირის ის, მაგრამ არავინ უსმენს. წინასწარმეტყველი თავისი „უფლის სიტყვით“
გამოჩნდება იქ, სადაც ადამიანთა სულიერ-ზნეობრივი დაცემა ყველაზე მეტად აუტა-
ნელია. ამოსი გამოჩნდა ბეთელის სამსხვერპლოებთან, სადაც ყარდა უსულგულოდ
და უწმიდური ხელით შეწირული საკლავები. ესაიაც აქეთკენ მიმართავს თავის დაუნ-
დობელ სიტყვებს, რადგან აქ არის დვითის სახლი (*ბეთ ელ*) და აქ უნდა ყოფილიყო

სიწმიდის და სულიერების ადგილი. რა თქმა უნდა, ამჯერადაც წინასწარმეტყველი არ გამოთქვამს თავის პირად (რა ფასი ექნებოდა!) დამოკიდებულებას კულტისადმი. მისი ბავით თავად უფალი მეტყველებს.

„რას ვაქნევ თქვენს უზომო საკლავებს, ამბობს უფალი. გამძღარი ვარ თქვენი აღსავლენი ვერძებით და კურატების ქონით. აღარ მსურს მოზვრების, კრავებისა და ვაცების სისხლი! რომ მოდიხართ და პირისპირ მეცხადებით, ვინ დაგავალათ ჩემი ეზოების თელვა? ნულა მომიტანთ მაგ ფუჭ შესაწირავს, საძაგელია ჩემთვის საკმეველი, ახალმთვარობები და შაბათები, ჯარობები ვერ ამიტანია! უკეთურება და დღესასწაული? თქვენი ახალმთვარობები და ზეიმები შეიძულა ჩემმა სულმა, ტვირთად დამაწვა, დავიღალე მათი ზიდვით. ხელებს რომ აღაპყრობთ, თვალს გარიდებთ. ლოცვებსაც რომ მიმრავლებთ, არ ვისმენ. ხელები სისხლით გაქვთ სავსე!“ (ეს. 1:11-15).

არ უნდა ვიფიქროთ, რომ წინასწარმეტყველი ქადაგებდეს კულტმსახურების უსარგებლობას ან მოითხოვდეს მის გაუქმებას იმ მიზეზით, რომ „მღვდლები აუკუღმართებენ ჩემს რჯულს და ბლაღავენ ჩემს სიწმიდეს, წმიდას (კოდემ) ნალახისაგან (ხოლ), არ განარჩევენ, უწმიდურს გაწმენდისაგან არ ასხვავებენ“ (ეზ. 22:26). ყველა დროში წინასწარმეტყველი, როგორც კულტის პირობითობით შეუზღუდველი და მასზე მაღლა მდგომი, მართალ ცხოვრებას ანიჭებს უპირატესობას კულტმსახურების წინაშე, ქადაგებს, რომ სიმართლისა და სამართლიანობის გარეშე არა თუ ფუჭია და მიზანს ვერ აღწევს რჯულის წესების ფორმალური აღსრულება, არამედ სიბილწედაც კი შეირაცხება უფლის თვალში. „განიბანეთ, განიწმიდეთ, – მოუწოდებს წინასწარმეტყველი ღვთისმსახურებს და ხალხს, – ავი საქმეები თვალთაგან განმარიდეთ, შეწყვიტეთ ბოროტის ქმნა. სიკეთის ქმნა ისწავლეთ, ეძიეთ სამართალი, შეეწიეთ ჩაგრულს, განიკითხეთ ობოლი, ქვრივ-ოხერს გამოესარჩლეთ. მერე მოდით და ცილობა ვყოთ, ამბობს უფალი, მეწამულიც რომ იყოს თქვენი ცოდვები, თოვლივით გასაპეტაკდება“ (ეს. 1:16-18).

წინასწარმეტყველი რასაც ლაპარაკობს, ხილვაში ხილულს ან მოსმენილს ლაპარაკობს. მაინც რა შინაარსს ატარებს მისი ხილვა და სმენა – რას ხედავს იგი და რას ისმენს ისეთს, რასაც სხვანი, თუმცა რჩეული ხალხის წარმომადგენელი, ვერ ხედავენ და ვერ ისმენენ? წინასწარმეტყველი მომავალს ხედავს და მომავლის ხმას ისმენს აწმყოში, მომავალი კი ხალხისათვის დაფარულია, თუნდაც იყოს იგი რჩეული ხალხი.

წინასწარმეტყველი გაახსენებს ხალხს მის წარსულს, მაგრამ წარსულს მის თვალში არა აქვს თავისთავადი ღირებულება. იგი მოხმობილია იმისათვის, რათა ხალხმა ნათლად იგრძნოს მოწვევადის გარდუვალობა. თუ მის წარსულ ცხოვრებაში იყო ეგვიპტიდან გამოსვლის ფაქტი, მომავალში კვლავ უნდა გამეორდეს გამოსვლა. თუ წარსულში, მისი ისტორიის გადამწყვეტ პერიოდში, „მაგარ ხელს“ იგი გაჰყავდა სამშვიდობოზე, კვლავ უნდა გამოჩნდეს „მაგარი ხელი“, რადგან ხალხის წუთისოფელი საფსეა შფოთით და ხიფათით. ამ ხელმა იგი უნდა იხსნას იმ უკანასკნელი გასაჭირიდან, რომელშიც ჩავარდება ხალხი, და ეს იქნება უკანასკნელი ხსნა, რასაც მოიმოქმედებს უფალი და დასრულდება ისტორიაც. წინასწარმეტყველის ხილვაში ხალხის ცხოვრება არ არის დაუსრულებელი წრებრუნვა, თაობათა განუწყვეტელი მონაცვლეობა; იგი ხედავს ისტორიის დასაბამს და ჭვრეტს მის დასასრულსაც, ცოცხალ ხატებში განიცდის მას, როგორც საკუთარი ცხოვრების დრამის დასასრულს.

ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთა მსოფლგანცდა ძირეულად განსხვავდება ბაალის ანუ წარმართული კულტების წინასწარმეტყველთა მსოფლგანცდისაგან, რომელიც განსაზღვრულია ბუნებრივი პროცესების ხასიათით. ბუნება კვდება, არა თუ ბუნება, ბაალიც კვდება ბუნებასთან ერთად, რათა წელიწადის დაბრუნების შემდეგ კვლავ აღორძინდეს, და ასე გრძელდება დაუსრულებლივ. ბუნებაში არ არის ძალა, რომელსაც შეეძლება გაარღვიოს ეს ჩაკეტილი წრე და ზღვარი დაუდოს ბუნების ტრიალს. ეკლესიასტეს ცნობილი სიტყვები, „რაც იყო, იგივე იქნება; რაც ხდებოდა, იგივე მოხდება, და ახალი არაფერია მზისქვეშეთში“ (ეკლ. 1:9), სავსებით გამოხატავს ამგვარ მსოფლგანცდას. ამ სიტყვების ავტორი ვერ პოულობს გამოსავალს წუთისოფლის ტრიალიდან და ეს ტრაგიკულს ხდის მის აზროვნებას, როგორც უფლის მორჩილს და მის ცხებულს, – ეკლესიასტე მეფე სოლომონის სახელია, – ღვთიებოძებული წინასწარმეტყველური უნარით უნდა ეგრძნო, რომ ოდესმე იქნებოდა გარდგევა ამ წრებრუნვაში, მაგრამ, როგორც „მეფეთა წიგნიდან“ ვიცით, „მისმა ცოლებმა მიდრი-

კეს მისი გული უცხო ღმერთებისაკენ“ (3მეფ. 11:4), ბაალებსკენ და განიმსჭვალა ბაალური სულისკვეთებით. „ამოდის მზე და ჩადის მზე“ – ამბობს ეკლესიასტე, რითაც ადასტურებს წუთისოფლის სიბრძნეს, ხოლო წუთისოფლის გადმა მჭვრეტელი ესაია წინასწარმეტყველი ადასტურებს იმ სინამდვილეს, რომელიც ჯერ არავის უხილავს: „ადარ ჩაესვენება მზე და შენი მთვარე ადარ დაცხრება...“ (ეს. 60:20).

ეკლესიასტეს შეგნებაში დღეები ერთმანეთის ტყუპისცალებია, ხვალის დღეს არ მოაქვს სიახლე, არ არსებობს ახალი დღე, და ასე იქნება მარადიულად. განახლების ვერავითარ იმედს ვერ ხედავს ქვეყნის ერი; წინასწარმეტყველმა უნდა ჩაუნერგოს მას იმედი, რომ დადგება ერთი დღე, ყველა დღეთაგან რჩეული, როგორც ამბობს ზაქარია წინასწარმეტყველი, რომ „იქნება ერთი დღე, უფლისათვის საცნაური: არც დღე და არც ღამე...“ (ზაქ. 14:7). იმ დღის დახასიათება „არც დღე და არც ღამე“ ნიშნავს, რომ ის დღე განეყნებულა წუთისოფლის დღე-ღამეთა რიგისაგან და ეკუთვნის სრულიად სხვა სინამდვილეს. აი, რას ამბობს ესაია იმ დღეზე: „მთვარის ნათელი მზის ნათელივით იქნება და მზის ნათელი გაშვიდკვდება შვიდი დღის ნათელივით...“ (ეს. 30:26). ამ დღის სასწაული მოასწავებს, რომ ის არის ახალი დროუამის, განახლებული სამყაროს დასაბამი, საიდანაც დაიწყება სხვა ათვლა. ესაიას გვიანი მოწაფე ამ დღეში ხედავს ახალ შესაქმეს – ახალი ცისა და ახალი მიწის გამოჩენას დიდებით, როგორც ამბობს იგი უფლის ხილვაში: „აჰა, შექმნი ახალ ცას და ახალ მიწას, ადარ გაიხსენება წინანდელი და ფიქრადაც არავის მოუვა“ (ეს. 65:17).

თითქმის ყველა წინასწარმეტყველი განიცდის ამ უკანასკნელი დღის რეალობას, ისინი ელიან მას, როგორც ადამიანი ელის ხვალინდელ დღეს. ისინი მას უწოდებენ „უფლის დღეს“ და სხვაგვარად ვერ აღიქვამენ თუ არა „ღიადად“ და „საშინელად“. იოველ წინასწარმეტყველი ამბობს: „რადგან დიდია უფლის დღე და საშინელი“ (2:11). ის არ შეიძლება არ იყოს საშინელი, რადგან ის განკითხვისა და შურისგების დღეა, საშინელი – ღვთის გარეგანათთვის („რას იზამთ განკითხვისა და დაქცევის დღეს, შორიდან რომ მოდის?“ ეს. 10:3) და სანატრელი – უფლის ჩაგრული ერისათვის, რადგან „იმ დღეს იქნება, რომ იდინებს იერუსალიმიდან სიცოცხლის წყალი“ (ზაქ. 14:8), რადგან „მაშინ შეუხვევს უფალი ჭრილობას თავის ერს...“ (ეს. 30:26). ამ დღეს საბოლოოდ გაიმარჯვებს წუთისოფლის გზებზე მრავალგზის დამხობილი სიმართლე და ამ სიმართლის მტვრითველი უფლის ერი. იმ დღიდან ერთი საფეხურით, ერთი ხარისხით აიწვევს სინამდვილე, როგორც წინასწარმეტყველებს ზაქარია: „იმ დღეს დაიფარავს უფალი იერუსალიმის მცხოვრებთ და ძაბუნი მათ შორის დავითით იქნება იმ დღეს. დავითის სახლი კი ღმერთით იქნება, უფლის ანგელოზით იქნება მათ წინაშე“ (ზაქ. 12:8). მაგრამ ეს წინასწარმეტყველება მხოლოდ ძველი აღთქმის ერს არ ეხება. არც აქ ნახსენები იერუსალიმი არ არის ეთნიკური, ებრაელებით დასახლებული ქალაქი. არც ეს დავითი არის ის დავითი – ისტორიული მეფე, წუთისოფლის დროუამში მოქცეული. ზაქარია კაცობრიობის მომავალს ჭვრეტს თავისი ერის კერძო მაგალითზე.

„უფლის დღე“ საბოლოო დღეა ძველი აღთქმის ერის ცხოვრებაში, მაგრამ არა შეწყვეტა სიცოცხლისა, არამედ ახალი საუკუნის დადგომის საწინდარი; იგი კაცობრიობის, წუთისოფლის, უკანასკნელი დღეც არის, არა გაუქმებული არსებობისა, არამედ დროუამულ-განზომილებიანი ისტორიის დასასრულის მომასწავებელი. ძველი აღთქმის ერის თავგადასავალი არის ანდრეზი, რომლის მეშვეობითაც წინასწარმეტყველნი, განსაკუთრებით მოგვიანონი (ესაიას მიმდევარნი, ზაქარია და სხვანი), გადმოგვცემენ კაცობრიობის ბედისწერას მის აწმყოში და მის მომავალში. „იმ დღეს ერთი იქნება უფალი და მისი სახელიც ერთი იქნება“, ამბობს ზაქარია (ზაქ. 14:9). რადგან უფალი ყველასათვის ერთია, „უფლის ერი“ მთელი კაცობრიობაც არის, როგორც განუყოფელი ადამი, რომელიც ღმერთმა შექმნა თავის ხატად. სხვა ყველა ქმნილებათა შორის ადამად სახელდებული აირჩია თავის ხატად, თავის რჩეულად. ძველი აღთქმის ხალხის რჩეულობა იმ პირველი რჩეულობის კერძო შემთხვევაა. ეს რჩეულობა ანუ მათი კუთვნილება უფლისადმი მომავალში, იმ დღეს გამოჩნდება. „მიეტმასნებიან უამრავი ხალხები უფალს იმ დღეს და გახდებიან ჩემი ერი“, ამასაც ამბობს ზაქარია წინასწარმეტყველი (ზაქ. 2:11). იერემიაც აღიარებს ერთ შესაკრებელს მთელი კაცობრიობისათვის: „იმჟამად უფლის ტახტად იქნება წოდებული იერუსალიმი. მასთან მოიყრის თავს ყველა ხალხი იერუსალიმში უფლის სახელით...“ (იერ. 3:17).

წინასწარმეტყველს თავისი ერის ტრაგიკული განსაცდელი ხელისგულზე უდევს, თავის განცდაში აქვს, როგორც საკუთარი განსაცდელი. მაგრამ როგორც კრებითი ადამი, ამ განსაცდელს საკაცობრიო განსაცდელად განიცდის. ამიტომ არის, რომ ის ჯვალთია შემოსილი, თავზე ნაცარს იყრის. მტკვრში და ნაცარში მჯდარი, ქედზე უდევს იდგამს და ასე დადის ხალხში, როგორც ქვეყნის ბედის ცოცხალი მაგალითი. ბოლოს, ის ტოვებს ქვეყანას და უდაბნოში გადის ან უცხოთა შორის დაეხეტება, სამშობლოდან დევნილი, ხსნის სიტყვა კი ხალხში აქვს დატოვებული, როგორც მიწაში გასადივებელი დამარხული თესლი. მისი მწუხარება ორკეცია – ის მოთქვამს თავის ბედზე, როგორც ადამი, და მერე, როგორც ისრაელიანი. ის გრძნობს, რომ რაც მის ერს გადახდა წარსულში და რაც მომავალში გადახდება, საკაცობრიო მნიშვნელობისაა: მის ბედისწერაში იხატება კაცობრიობის – ადამის ძეგა ბედისწერა. როგორც ადამი განიდევნა ედემის ბაღიდან (სამოთხიდან), სადაც უფალმა დაამკვიდრა იგი, ასევე ისრაელის ძენი, ისრაელიანები, იმ ქვეყნიდან, რომელიც უფალმა მისცა მათ სამუდამო სამკვიდრებლად. ქვეყნიდან განდევნა ხალხისა, რაც საპირისპირო მოვლენაა ხალხის ლეგენდარული ძლევაშისილი გამოსვლისა ეგვიპტიდან, ერთი მტკივნეული გამოცდილებაა ძველი აღთქმის ხალხის ისტორიაში, თუმცა რომელ ხალხს არ განუცდია თავისი არსებობის მანძილზე დევნილება და გადასახლება? მაგრამ ამ ხალხის წინასწარმეტყველი სახავს მას აუცილებელ, გარდაუვალ შემთხვევად უფლის ერის ცხოვრებაში, თუ საბედისწერო ხვედრად, რომელსაც მარადისობაში გადაჰყავს ხალხი.

ადამს, მოგვიანო ლეგენდის თანახმად, ნათლის სამოსელი ემოსა, მაგრამ აკრძალული ნაყოფის გემოსხილვამ განძარცვა ამ სამოსლისაგან და სიშიშველე ახილვინა. ის განიდევნა ედემიდან; განდევნა სასჯელიც იყო და სირცხვილიც, რცხვენოდათ ადამს და ევას ერთმანეთისა, უფლისა და მისი ანგელოზებისა, რომელთაც ისინი უკვე ვედარ ხედავდნენ, როცა შიშველნი ხეტიადობდნენ უცხოობაში, რადგან ედემს გარეთ ყოველი მხარე უცხო იყო მათთვის. როცა ხალხი – ისრაელიანები ეგვიპტიდან გამოვიდნენ, შიშველი და უნაყოფო უდაბნოს გავლა მოუხდათ და ასე მიდიოდნენ შიშველნი და უპოვარნი, ვიდრე გადალახავდნენ იორდანეს და თავს შეაფარებდნენ ნაყოფიერ ქვეყანას, რომელიც თაობათა ცვლაში გაიმშობლიურეს და საკუთარ სახლად შექმნეს. ეს იყო მათი შესამოსელი.

შემოსილობა ბუნებრივი ადამიანის მდგომარეობაა. ვინც შიშველს მოსავს, სათნოდ იქცევა, რადგან მან დაუფარა კაცს მისი სირცხვილი. თუ შემოსვა მადლია, გაშიშველება სასჯელია: „...მოიხადე პირბადე, აიკრიფე კალთები, გაიშიშველე წვივები და გადადი მდინარეზე. გაშიშველდება შენი სარცხვინელი და გამოჩნდება შენი აუგი“ (ეს. 47:2), ეუბნება უფალი წინასწარმეტყველის პირით აღზევებულ და გადიდგულეებულ „ბაბილონელ ასულს“. წინასწარმეტყველი სიშიშველეში სირცხვილსა და დამცირებას რომ ხედავს, ამაში არაფერია განსაკუთრებული. წინასწარმეტყველი მაშინ აჩენს თავისი მსოფლგანცდის თვითმყოფადობას, როდესაც საკუთარი ქვეყნიდან ხალხის გაფანტვაში მის განშიშველებას ხედავს. მის თვალში, რომელიც უფლის თვალთა, თავისი ქვეყნიდან გასული კაცი განშიშველებულია ქვეყნიერების ოთხი ქარის მიმართ. ის, რაც აქამდე დაფარული იყო, სააშკარაოზე გამოტანილი, როგორც გაფურჩქნული ყვავილის სიშიშველე – წარმავალობის ხატი. აქ არის მისი სირცხვილიც და სასჯელიც, როგორც აუცილებელი განსაცდელი, რომელიც უნდა განიცადოს ხალხმა თავისი ისტორიის მანძილზე. მაგრამ იმ მოვლენას, რასაც წინასწარმეტყველი გამოხატავს სიტყვით *გალუთ*, ერთდროულად რომ ნიშნავს „განშიშველებას“ და „განფანტვას“, აქვს მეორე მხარეც.

თითქოს პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ *გალუთი* ერის ხსნის პირობა იყო; ასე ფიქრობდნენ წინასწარმეტყველნი. მართალია, უფალმა ქვეყნის ხალხის გადასახლება ბაბილონში (ეს მოხდა 586 წელს ძვ. წ.) დასაჯა ხალხი, რომელიც განუღვა უფალს და ამ განდგომით, რომელიც ადამის ურჩობის გამოვლენა იყო, წაბილწა მიწა, მათთვის საუკუნო სამკვიდრებლად აღთქმული, მაგრამ სწორედ ამ გადასახლებაში, „*გალუთის* ღამეში“, გვიანდელი პოეტების გამოთქმა რომ მოვიმარჯვოთ, უნდა ამობრწყინებულიყო ხსნის იმედი. *გალუთში* უნდა განწმედლიყო ხალხი, უნდა მოეხადა და სწეულება, რაკი ადამის ძე მიდრეკილია სწეულებად; შიგნით დაგროვილი ბაღდაში გარეთ უნდა გამოსულიყო, როგორც ხალხი გავიდა გარეთ, და განწმედილი დაუბ-

რუნდება ჭეშმარიტ უფლის ხალხად უფლის მიწას. ამაში მდგომარეობდა *გალუთის* გარდაუვალობა და შეიძლება ითქვას, სიკეთეც. „გაგფანტავ ხალხთა შორის და გაგაბნევ ქვეყნებში, რომ წაგიშალო უწმიდურება“, მიმართავს უფალი ებრაელების პირით თავის რჩეულ ხალხს (ეზეკ. 22:15). *გალუთის*, როგორც განსაწმენდელის, კონცეფცია დასაბამს იღებს ბაბილონის ტყვეობიდან, ბაბილონის მეფის, ნაბუქოდონოსორის ხანაში, და ბოლოს, ის იძენს განზოგადებულ მნიშვნელობას ერის ისტორიის პერსპექტივაში. რატომ ლაპარაკობს წინასწარმეტყველი ებრაელები მომავლის სახელით, როცა იმეორებს უფლის სიტყვას „გაგფანტავ“? სიტყვა ნათქვამია უკვე გადასახლებაში, *გალუთში*, ბაბილონში, მდინარის პირას, სადაც ებრაელები ჩვეულებისამებრ იღებდა გამოცხადებას. მანამდე ხომ იწინასწარმეტყველა იერემიამ ბაბილონის ტყვეობის დასრულება, როცა თქვა – სამოცდაათი წლის შემდეგ დაბრუნდებო ხალხი ქვეყანაში (თუმცა დაბრუნება მოხდა ორმოცდარვა წლის ბოლოს – იერემია საკრალური სათვალავით ანგარიშობდა წელთაღრიცხვას). ებრაელები ამ გამოცხადებაში გულისხმობს მომავალ *გალუთს*, იმ განსაცდელს ხალხის თავგადასავალში, რომელსაც უფრო მეტად შეეფერება „განფანტვა“ და „განბნევა“, ვიდრე ბაბილონის ტყვეობას, რომელიც დასრულდა ძველი აღთქმის პერიოდშივე.

„გაგფანტავ ხალხთა შორის...“ ძველი წელთაღრიცხვის მე-6 ს-ის შუახანებში ნათქვამია ამ სიტყვებმა განსაზღვრა ერის ისტორია მრავალი საუკუნის მანძილზე. *გალუთი* არ არის მხოლოდ ისტორიული მოვლენა, დროუამის ფარგლებით შემოსაზღვრული. ის დღესაც სინამდვილეა და, ხალხის მოძვართა სიბრძნით, მისი დასასრული წუთისოფლის დასასრულს ემთხვევა. ამ თვალთახედვით, დასასრულის პერსპექტივაში, *გალუთ* (განფანტვა-გაშიშვლება) და *შებუთ* (ტყვეობა) იდენტური მდგომარეობებია ერის ცხოვრებაში, რომლებიც თავიანთი ძლიერი ინტენსივობით, როგორც განსაცდელნი, აღწევენ განზოგადების მაღალ ხარისხს, გაბრწყინდებიან რა ესქატოლოგიური შუქით, რაც ბადებს წინასწარმეტყველში იმედს, რომ *გალუთის* შუაღამით ამოვა მნათობი და ტყვეობის უკუნეთში ინათებს მზე. როგორც სწეულებას მოჰყვება განკურნება, როცა ის ამოწურავს თავს, ასევე განფანტვა დასრულდება საბოლოო შემოკრებით, როგორც ამბობს ეკლესიასტე, როცა ისტორიის გარდაუვალ რიტმს ახასიათებს, „ჟამი ქვათა მიმოფანტვისა და ჟამი მათი შეგროვებისა“, ტყვეობის ხანიც ამოიწურება და უფლის ერი დაუბრუნდება აღთქმულ ქვეყანას – ახალ მიწაზე ახალი ცის ქვეშ. „ნატამალი დაუბრუნდება, – ამბობს ესაია, – იაკობის ნატამალი, ძლიერ ღმერთს“ (ეს. 10:21). ესაიამ დაარქვა თავის შვილს სიმბოლური სახელი *შეარ-აშუბ* ანუ „ნატამალი დაბრუნდება“ იმის საწამებლად, რომ მცირედნი დაბრუნდებიან იმ მრავალრიცხოვანი ხალხიდან, რომელიც გაიფანტა ქვეყნებში ხალხთა შორის. ნატამალი წინასწარმეტყველი ხედავს იმ საუკეთესო ნაწილს ერისა, რჩეულის რჩეულს, რომელმაც უნდა გაუძლოს *გალუთ-შებუთის* განსაცდელს და გამოვიდეს განწმენდილი, როგორც ქურაში გამოხურვებული ვერცხლი.

ამ ნატამალს, ქურაში გამოფილოს, ხედავს წინასწარმეტყველი ახალ მიწაზე ახალი ცის ქვეშ. ეს ნატამალი არის ის წარუხოცელი, მკვრივი ბირთვი ახალი საზოგადოებისა, რომლისკენაც, ასე ამბობს წინასწარმეტყველი, „დაიდრება უთვალავი ხალხი და იტყვის: მოდიო, ავიდეთ უფლის მთაზე, იაკობის სახლში; გვასწავლოს თავისი გზები და მისი ბილიკებით ვიაროთ...“ (ეს. 23). წინასწარმეტყველის ეს სულისკეთება, მიუხედავად იმისა, რომ მას ჟამიდან ჟამზე პირქუში ხილვები ეცხადება, ოპტიმისტურია: მის თვალწინ არის განახლებული, ფერნაცვალი მიწისა და ადამის ძეთა საზოგადოების ხატი და მოელის ყოველივე ამას თავის საკუთარ ხვალინდელ დღესავით; ხმაც კი ესმის იმ დღისა, მსგავსად სოფონია წინასწარმეტყველისა, რომელიც მოუთმენლად აცხადებს: „ახლოს არის და მოვა ძალიან მალე ხმა უფლის დღისა“ (1:14). აი სურათი მომავალი საზოგადოებისა, როგორც ესახებოდა ხილვებში წინასწარმეტყველს:

„ამოვა ყლორტი იესეს ღეროდან და მისი ფესვის ამონაყარი გაიხარებს. დაივანებს მასზე უფლის სული, სული სიბრძნისა და გონიერებისა, სული რჩევისა და სიმხნევისა, სული შეგნებისა და უფლის შიშისა. ის უფლის შიშით ისუღდგმულებს, დანახულით არ განსჯის და გაგონილით არ დაიწყებს მხილებას. სიმართლით განსჯის დარიბ-დატაკთ, სისწორით განიკითხავს ქვეყნის ბედშავთ, დაჰკრავს მიწას თავის ბაგეთა კვერთხს და თავის პირისქართ ბორტეულს მოაკვდინებს. სიმართლე იქნება სარტყლად მის წელზე და სიწრფელე სარტყლად მის ფერდებზე. დადგება მგელი ცხვართან ერთად და ვეფხვი დაბინავდება ციკანთან ერთად. ხბო, ღომი და ნასუქალი პირუტყვი

ერთად იქნებიან და ჩილი ბავში წაუძღვება მათ. ძროხა და დედა დათვი ერთად მოსძოვენ და მათი შვილები ერთმანეთის გვერდით დაწვებიან. ღომი ძროხასავით შეჭამს ჩაღას, ძუძუთა ბავში უნასის ხვრელთან ითამაშებს და ძუძუსანასხლეტი ასპიტის ბუდეში ჩაყოფს ხელს. არავინ იბოროტებს, არავინ იბილწებს მთელ ჩემს წმიდა მთაზე, რადგან აივსება მიწა უფლის ცოდნით, როგორც ზღვა არის წყლებით დაფარული. იმ დღეს ხალხთა დროშად იღებთ იესეს ფესვი და მისკენ დაიწებენ დენას ტომები. დიდება იქნება მათი საშვებელი. იმ დღეს მეორედ გაიწვდის უფალი ხელს, რომ გამოისყიდოს თავისი ერის ნატამალი, რომელიც გადაურჩება აშურს, ეგვიპტეს, ფათროსს, ქუშს, ელამს, შინყარს, ხამათს და ზღვისპირეთს. დროშას აღუმართავს ხალხებს, შეკრებს გადახვეწილ ისრაელს და ქვეყნის ოთხივე კუთხიდან თავს მოუყრის გაფანტულ იუდას... გამოუჩნდება გზა-სავალი მისი ერის ნატამალს, რომელიც აშურს გადაურჩება, როგორც გამოუჩნდა ისრაელს, როცა ეგვიპტიდან ამოდიოდა“ (ეს. 11:1-16).

ვინ არის ეს „იესეს ელორტი“, რომლის მეფობაში მშვიდობა და თანხმობა დასადგურდება არა მხოლოდ ადამიანთა საზოგადოებაში, არამედ ცხოველთა სამყაროშიც, თანხმობა, რომელიც არსებობდა დასაბამიდან ედემის ბაღში და შემდეგ განმეორდა საყოველთაო კატასტროფის უამს, როცა ყოველი სულდგმული ადამიანის წინამძღოლობით და მფარველობით კიდობანში შევიდა რათა გადარჩენოდა წარდგენას? ეს არის დავითი, ძე იესესი, მეფე – უფლის რჩეული, რომლის გულისათვის უფალი ითმენდა მიწიერ მეფობას ისრაელში, კაცო, რომელიც თავის პიროვნებაში და ცხოვრებაში განასახიერებდა თავისი ხალხის ბედს, ატარებდა მის მადლსა და ცოდვას. წინასწარმეტყველნი, ესაიიდან მოკიდებულნი, დავით იესეს ძის (ბენ იშაი) სახით ელოდნენ მესიას, რომელსაც უნდა აღედგინა ადამის დაკარგული ღვთის ხატი და განახლებულ ქვეყანას ახალ ადამად, მის ჭეშმარიტ პატრონად, როგორც იყო გაჩენილი, მოვლენოდა. „რატომ არ მოდის ბენ იშაი?“ – სწუხდა ესპანეთის გალუთში ებრაელი პოეტი იბნ გაბიროლი (XI ს).

წინასწარმეტყველთა შეგნებაში შემუშავდა წარმოდგენა ესქატოლოგიურ მხსნელებზე, მესიაზე, როგორც ტანჯულზე კაცთა შორის, რომელმაც ადამიანთა ცოდვების თავის თავზე ტვირთით უნდა იხსნას ქვეყანა. ესაიას ავტორიტეტს შეფარებული ერთი უსახელო წინასწარმეტყველი მომავალი მხსნელის გარეგანი სიმდაბლის წიად უფლის რჩეულის მარადიულ დიდებას ხედავს. აი, ამგვარად აღწერს იგი მის ჭეშმარიტ სულიერ პორტრეტს. მას აგონებს ეს მხსნელი იმ დავითს, ყრმას, რომელიც უდარესი იყო ძმათა შორის, რომელშიც ნათელმხილველმა სამუელმაც კი ვერ გამოიცნო უფლის მიერ თავის ცხებულად განმზადებული – უმცროსი ძეთა შორის, რომელსაც ზედაც არავინ უყურებდა.

„ვინ დაიჯერა ჩვენგან სმენილი და უფლის მკლავი ვის გამოცხადა? წამოიმართა როგორც მორჩი მის (უფლის) წინაშე და როგორც ფესვი დაგვაღული მიწიდან. არც ღირსება ჰქონია და არც მშვენება, რომ ზედ შეგვეხედა. არც იერი, რომ მივეხიდეო. საძულველი იყო, კაცთაგან ათვალწუნებული, გატანჯული და სნებამორეული. ერთი იმათგანი, ვისაც პირს არიდებენ. საძულველი იყო და არად ვაგდებდით, ნამდვილად კი, მან იკისრა ჩვენი სნებები და იტვირთა ჩვენი სატანჯველი. ჩვენ კი გვეგონა, ღვთისაგან იყო ნაგვემ-ნაცემი და დამცირებული. მაგრამ ის ჩვენი ცოდვებისათვის იყო დაჭრილი, ჩვენი უკეთურობებისათვის დაღეწილი; მასზე იყო სასჯელი ჩვენი სიმრთელებისთვის და მისი წყლულებით ჩვენ განვიკურნეთ. ყველანი ცხვრებივით დავხეტებოდით, თითოეული ჩვენ-ჩვენ გზას ვადექით, უფალმა კი მას შეჰყარა ყოველი ჩვენგანის უკეთურება. გაიტანჯა და დაითრგუნა, მაგრამ ბაგე არ დაუძრავს. კრავივით, დასაკლავად რომ მიჰყავდათ და ცხვარივით, მპარსველის წინ მდუმარედ რომ დგას, მასაც არ დაუძრავს ბაგე. ჭირსა და სასჯელს ჩაუვარდა და ვინ რას იტყოდა მის მოდგმაზე? რადგან ცოცხალთა ქვეყანას მოწყდა, ჩემი ხალხის ცოდვებისათვის შეხვდა სატანჯველი. მიეცა სამარხი ბოროტეულთა გვერდით და მდიდართან ერთად თავის სიკვდილში, რადგან სიავე არ ჩაუდენია და მის ბაგეში სიცრუე არ ყოფილა. მაგრამ ენება უფალს მისი გატანჯვა. როცა თავს დადებს დანაშაულის მსხვერპლად, იხილავს ნაგრამს და გაუხანგრძლივდება დღეები, უფლის ნება მისი ხელით აღსრულდება. თავისი სულისკვეთების ნაყოფს იხილავს და დაამდგება. მისი სიბრძნით ბევრს გაამართლებს მართალი, ჩემი მორჩილი, და სხვათა შეცოდებებს იტვირთავს. ამიტომ მრავალ-

ში მივცემ მას წილს და ძლიერებთან ერთად გაინაწილებს ნადავლს, რადგან სასიკეთოდ გაწირა თავი და ცოდვილთა შორის შეირაცხა. მრავალთა ცოდვები ჰქონდა ტვირთად და ცოდვილებს ესარჩლებოდა“ (ეს. 53:1-2).

იონას მოქცევა

„ანუ ჰურიათა-მე ხოლო არსა ღმერთი და არა წარმართთაცა? ჰე, წარმართთაცა!“ (რომ. 3:29)

ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთა შორის ირიცხება ერთი ვინმე, სახელად იონა, ამითაის ძე, რომლის ნაქადაგარი სიტყვები არ შემოუნახავს ბიბლიას. მაგრამ სხვა წინასწარმეტყველთაგან განსხვავებით, იონა გვევლინება პერსონაჟად ერთი მცირე მოცულობის წიგნისა, რომელიც ოთხი თავისაგან შედგება, სადაც მისი საქციელი სიტყვაზე უფრო მჭევრმეტყველურია და უფრო მეტს გვეუბნება ამ მდუმარე წინასწამეტყველის სულისკვეთების შესახებ. აი, რას მოგვითხრობს ეს წიგნი – „წიგნი იონა წინასწარმეტყველისა“.

იონამ, როგორც წინასწარმეტყველმა, უფლის სამსახურში მყოფმა, მიიღო უფლისაგან დავალება, წასულიყო ნინევეში, აშურის დედაქალაქში და ექადაგა იქ, რათა ხალხს მოენანიებინა ცოდვები და არ დაღუპულიყვნენ. ნინევე იონას მშობლიური ხალხის ისტორიული მტერი იყო და წინასწარმეტყველმა არ ინდობა მათი გაფრთხილება: დაე, მიწის პირიდან აღიგავოს ნინევე, აღმოიფხვრას მისი სახელი და სახსენებელი! უფლისაგან იონა სწორედ ამას მოელოდა, მაგრამ უფალმა მას თავისი რჩეული ხალხის სამტრო (ასე ფიქრობდა იონა) დავალება მისცა.

ის ფიქრობდა, რომ უფალმა უდალბა თავის რჩეულ ერს და გადათქვა აღთქმა, რომ თავის მტრებზე ახეიმბდა. იონამაც ზურგი შეაქცია უფალს და იმის ნაცვლად, რომ ნინევეში წასულიყო, ჩაჯდა ხომალდში და თარშიმისაკენ მიმავალ გზას გაპყვა, რათა, წერს ავტორი, „გაქცეულიყო უფლის პირისაგან“.

ყურადღებას იქცევს ძველი აღთქმის წინასწამეტყველისათვის უჩვეულო საქციელი: ბიბლიაში სხვაგან არსად დასტურდება შემთხვევა, რომ წინასწარმეტყველს უარი ეთქვას უფლის მიერ დაკისრებული მოვალეობის შესრულებაზე. იონამ კი თავი აარიდა თავის მოვალეობას, თითქოს წინასწარმეტყველის წოდება მისი არჩეული ყოფილიყოს და არა ღვთისაგან შთაგონებული. მან ამ საქციელით უარყო თავის თავში წინასწარმეტყველი ანუ მამხილებელი სული. რა უნდა ყოფილიყო იონა ამ მოწოდების გარეშე, ამ მაღლისა, რომელიც ღვთის ყურადღების ნიშანი იყო მასში? რა დარჩა მისგან ამ მოწოდების უარყოფის შემდეგ? დარჩა ერთი მფრთხალი და უგუნური კაცი, რომელიც გარბის უკანმოუხედავად, თავად იღობავს უკან მოსაბრუნებელ გზებს. ეს იყო ცოდვა არა მხოლოდ უფლის წინაშე, არამედ საკუთარი თავის წინაშეც. მან გაიმეორა ადამის შეცოდება – ურჩობა, როცა გაიმრუდა უფლისაგან ნაჩვენები გზა, რითაც ვეალებოდა სვლა – „წადი ნინევეში, დიდ ქალაქში...“.

იონა არც კი შევედრებია უფალს, მოეხსნა მისთვის ეს სამნელო და არასასურველი ტვირთი, არ ულოცნია შეწუხებულს, როგორც ილოცა ერთხელ მაცხოვარმა: „მამაო ჩემო, უკეთუ შესაძლებელ არს, თანაწარმხედინ სასუმელი ესე...“ არა, იგი უსიტყვოდ გადაწყვეტს გაქცევას ნინევეს სრულიად საწინააღმდეგო მხარეში. რატომ გარბის მაინც და მაინც თარშიშში? იმიტომ, რომ ეს ადგილი ქვეყნიერების კიდედ იყო წარმოდგენილი, უკიდურეს დასავლეთში მდებარე, სადაც თავდებოდა, ძველების რწმენით, კაცთა მოდგმით დასახლებული სამყარო. თარშიში არარაობის წინკარი იყო, იმის იქით აღარაფერი იყო, თითქოს იმის მიღმა ღმერთიც აღარ იყო, თითქოს უფალი, რომელსაც იონა „ცისა და მიწის შექმნელს“ უწოდებდა, ვეღარ მისწვდებოდა მას თარშიშში თუ თარშიშს მიღმაც, არარაობაში. ნუთუ იონას დაავიწყდა, რომ მისმა ღმერთმა არარაობიდან შექმნა ყველაფერი, რაც კი შექმნა? ხომ ნათქვამი იყო ამოსის წიგნში – ეს უნდა სცოდნოდა იონას – უფლის ურჩებზე: „ქვესკნელშიც რომ ჩაიმარხონ, იქიდან ამოიყვანს მათ ჩემი ხელი“ (ამოს. 9:2)?

ორჯერ არის ნათქვამი ერთსა და იმავე მუხლში (იონ. 1:3), რომ იონას სურდა გაქცევა „უფლის პირისაგან“. ავტორს სურს აჩვენოს მთელი სიმძიმე იონას ნებისა: გაქვეულ წინასწარმეტყველს თავად გამოაქვს საკუთარი თავისათვის ის განაჩენი, რაც უფალმა გამოუტანა კაენს, როცა ღვენიდა მას თავის პირისაგან. „აჰა, – ამბობს კაე-

ნი, – აჰა, მაგდებ დღეს მიწის პირისაგან და უნდა მივეფარო შენს პირს, დევნილი და მიუსაფარი ვიქნები ამქვეყნად და ყოველ შემხვედრს შეეძლება ჩემი მოკვლა“ (დაბ. 4:14). უფლის მიერ პირის დამალვა მძიმე სასჯელია, უკიდურესი ზომა სასჯელისა, ძველი აღთქმის ადამიანისათვის. „მაშინ შებღველებენ უფალს, მაგრამ იგი არ გასცემს მათ პასუხს და დაუმალავს თავის პირს...“ – ამბობს წინასწარმეტყველი მიქა (მიქ. 3:4). უფლის პირისაგან მოშორება გააზრებულია როგორც უფლის მფარველობიდან გამოსვლა და საწუთროს სათამაშოდ გაწირვა თავისა. რას შეიძლება შეედაროს ადამიანის მდგომარეობა, როცა ის მოშორებულია უფლის პირს? საბა ორბელიანი ქადაგებს: „ყოველთა უწყით, ვითარ საზარელ არს ჯოჯოხეთი, არამედ მისსა უსაზარელეს – განვრდომა პირისაგან ღმრთისა“. იონაც ჯოჯოხეთში მოხვდა, როგორც დავიანახავთ.

ზღვაზე ატყდა ქარიშხალი, შიშის ზარი დაეცათ მეზღვაურებს, იონას კი ხომალდის „მუცელში“ ეძინა. ყველამ თავის ღმერთს შეჰღაღადა, მაგრამ ამოდ: არა და არ დაცხრა ქარიშხალი. ბოლოს, გადაწყვიტეს წილი ეყარათ, გაერკვიათ, ვისი ბრალი იყო ხომალდზე მყოფთაგან ეს უბედურება. ამოიყვანეს იონაც, აყრევინეს წილი და წილი იონას ხვდა. ვინ გაბედავდა ასეთ დროს სიცრუის თქმას და იონამაც აღიარა ყველაფერი ქარიშხლიანი ცისა და აბობოქრებული ზღვის წინაშე. ესა და ეს ვარ, ცისა და ხმელეთის შემოქმედის მოსავი, ასე და ასეა ჩემი ამბავი. ზღვაში გადამაგდეთ და ქარიშხალიც დადგებაო. არ შევედრებია წინასწარმეტყველი, განდგომილი მორჩილი უფლისა, თავის უფალს, როგორც სხვანი – წარმართნი ევედრებოდნენ თავ-თავის ენაზე. ან თავი არ ეღირსებოდა მის მლოცველად ან შეწვევის სასო ჰქონდა წარკვეთილი, ანუ ჯერ არ დამდგარიყო გადამწყვეტი წამი სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე, როცა ევედრება შესმენილი იქნებოდა. ასეც იყო, ეს ჟამიც დაუდგა იონას. ახლა კი გაქცეული წინასწარმეტყველი, შესაძლოა, ფიქრობდა ზღვის ღურღუმელში დამალვოდა უფალს, რაკი თარშიშში არ ეწერა მისვლა. გადააგდეს იონა ზღვაში და ზღვა დაწყნარდა, იონა კი უფლის ბრძანებით, „დიდმა თევზმა“ (ძველი ქართული ტექსტით, ვეშაპმა) გადაყლაპა, და მოხვდა იონა დიდი თევზის მუცელში.

იონას გაქცევა უფლის პირისაგან გამოსატყუელია მისი თანდათანობითი სვლით ქვევით და ქვევით სიღრმისაკენ: ზღვაში, ხომალდის მუცელში, ღრმა ძილში, ზღვის ღურღუმელში, როცა მოისროლეს ხომალდიდან, ბოლოს, „გველეშაპის“ მუცელში. იონა თანდათან იძირება ჯოჯოხეთისაკენ, რომლის გზაზე მან თავისი ნებით გადადგა ნაბიჯი, როცა თარშიშისაკენ გასწია. მაგრამ რაც უნდა ღრმად ჩაფლულიყო კაცი, მაინც ღვთის წინაშე აღმოჩნდებოდა. ამას მიხვდა დიდი თევზის მუცელში მოქცეული წინასწარმეტყველი, დარწმუნდა იმ ჭეშმარიტებაში, რომელიც გამოთქმულია 138-ე ფსალმუნში, თითქოს იონას განსაცდელის ნათელსაყოფად:

„სად წავუვალ შენს სულს, სად გავიქცევი შენი პირისაგან?
ცად ავალ, იქა ხარ! შავეთში ჩავალ, იქ დამხვდები!
ცისკრის ფრთებს გავშლი, ზღვის გაღმა დავიდებ ბინას,
იქაც წამიდგება შენი ხელი და დამიჭერს შენი მარჯვენა“.

(ფსალმ. 138:7-10)

ამ ფსალმუნის მე-9 მუხლში („ცისკრის ფრთებს გავშლი...“) გადმოცემულია იგივე მოძრაობა, რაც შეასრულა იონამ, – აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, ვინაიდან „ცისკრის ფრთები“ აღმოსავლეთით მონაბერი ქარია, რომელიც გადაუქროლებს ხმელთაშუა ზღვას და გააღწევს „ზღვის გაღმა“ ანუ მზის დასავალში („ზღვა“ იამ დასავლეთსაც“ ნიშნავს ამ ენაზე), დასაკარგავში, სადაც ძველებს შავეთი, მკვდართა სამეფო ეგულებოდათ. ამ მუხლის მნიშვნელობას კარგად განგვიმარტავს წინამავალი მუხლი, სადაც იგივე ვითარება ვერტიკალზეა გამოხატული: გზა ციდან შავეთისაკენ (ებრ. *შეოლ*) იგივეა, რაც გზა დასავლეთისაკენ, ბერძენთა მითოლოგიის ერეოსისაკენ (რომელიც უთუოდ სემიტური სიტყვაა, ებრ. *ყერებ* „მზის დაისი“, „საღამო“); ცაში სასუფეველია, ხოლო აღმოსავლეთში – ედემის ბაღი.

აქ დასავლეთში, ზღვაში, ჯოჯოხეთში ჩავარდა იონა და აქვე, უკიდურეს განსაცდელში, იწყება მისი მოქცევა; შავეთში, არარაობის ფსკერზე, იბადება ფსალმუნი, როგორც სხივი და კიბე, რომელმაც კვლავ უფლის პირისაკენ უნდა მიაქციოს იონა. ფსალმუნი ნათელია, რომელიც წარმოიშვის ჯურღმულში მბუუტავი ადამიანის სული-

დან. იონა ხელახლა იბადება „დიდი თევზის“ მუცლიდან და თითქოს ახლად იდგამს ენას და პირველი სიტყვები, რაც დაებადა, ეს იყო:

„ჭირში მყოფმა შეველაღადე უფალს
და მან ხმა გამცა,
შეოლის მუცლიდან შეველა ვითხოვე
და შენ ისმინე ჩემი მუდარა“ (იონ. 2:3).

უფალმა ისმინა იონასი და, როგორც კი აღდგა კავშირი ადამიანსა და ღმერთს შორის, კვლავ წარუდგა უფლის პირს ადამიანი, იონა უფლის განგებით „დიდმა თევზმა“ იმავე ადგილზე ამოანთხია, საიდანაც გაიქცა იგი. თავიდან იწყება ამბავი, კვლავ ჩაესმის წინასწარმეტყველს თავისი უფლის ხმა და ხელმეორედ ეკისრება იგივე ტვირთი, მისთვის ამჯერადაც უამრუთ: „ადექი, წადი ნინევეში, დიდ ქალაქში, და უქადაგე, რასაც მე გეტყვი“ (იონ. 3:2).

წავიდა იონა ნინევეში, იარებოდა ქალაქში და წინასწარმეტყველებდა უფლის განგებას, ამბობდა: „კიდევ ორმოცი დღე და დაიქცევა ნინევე“ (იონ. 3:4). თუმცა არ ეამებოდა მის შურთან გულს მტრების გაფრთხილება, მაგრამ ამჯერად არ უღალატა თავის მოწოდებას და მისმა შთაგონებულმა ქადაგებამ შეძრა მთელი ნინევე მდაბიორიდან მეფემდე. გამოაცხადეს მარხვა და ჯვალთი შემოსნენ დიდთან-პატარიანად. პირუტყვიც ამარხულეს და ჯვალთი შემოსეს, ადავლინეს ვედრება ღვთისადმი და აღუთქვეს, რომ მიატოვებდნენ ბოროტების გზას და მოინანიებდნენ ცოდვებს. უფალმა ისმინა მათი და აღარ მოაწია უბედურება, რასაც აპირებდა.

ნინევეს გადარჩენამ ისე შეაწუხა იონა, რომ სიკვდილი ინატრა: ხომ ვიცოდი, რომ ასე მოხდებოდა, როცა ჯერ კიდევ ჩემს ქვეყანაში ვიყავი, ვიცოდი შენი გულმოწყალებისა და სულგრძელობის ამბავი (უფალს მიმართავს), რომ შეიბრალებდი ჩვენს მტრებსაც კი. ამიტომაც გავიქეცი თარშიშში; ახლა ბარემ სული ამომხადეო, უფალო... რა არის იმ წინასწარმეტყველის სიცოცხლე, რომელმაც თავისი ხალხის მტრების გადასარჩენად გახსნა ბაგე ან რომელსაც დაენგრა რწმენა, რომ მისი ხალხი ერთადერთია დედამიწის ზურგზე, უფალი რომ პატრონობს. ასეთი იყო იონას განწყობილება, როცა ის ქალაქგარეთ ერთ ბორცვზე იჯდა და ელოდა, რა მოუვიდოდა ქალაქს – ახდებოდა თუ არა წინასწარმეტყველება, თუმცა გლოვით, მარხვითა და ღაღადისით ნინევე ირიდებდა ღვთის რისხვას. გავიდა ორმოცი დღე და იონას წინაშე უვნებლად იდგა ქალაქი.

რაც ამ მცირე მოთხრობაში ხდება, იონას ჭკუის სასწავლებლად ხდება. იწყება ახალი იგავი: შუადღის ხვატში მჯდარს უფალმა ერთ დღეში აღმოუცენა აყირო მისი თავის დასარდილებლად და დარდის გასაქარვებლად. ეს იყო ერთადერთი შეება მის სასოწარკვეთილებაში. მაგრამ უფალმა მეორე დილითვე მატლს გამოახრვეინა მცენარე და იონამ მეორედ ინატრა სიკვდილი. უფალი მამობრივი კილოთი, თითქოს პირმდიმარი, ორგზის ეკითხება იონას „მაგრად გამწარდი?“ – ერთხელ, როცა ნინევეს გადარჩენამ გაამწარა ის და მეორედ, როცა მანუგეშებელი ჩრდილის მომფენი აყიროს დაჭკნობამ. თუ დიდი თევზის მუცელში მყოფმა იონამ პირადი განსაცდელის მეოხებით შეიცირო უფლის ყველგანმყოფობა, მზის პაპანაქებაში დამჭკნარი აყიროს ქვეშ გათანგულმა შეიცირო უნივერსალური ღმერთი, რომლის წყალობა ეფინება ყველა ხალხს, თვით ისრაელის მტრებსაც, ყოველ ქმნილებას, იმ უსახურ აყიროსაც, რომლის წარმავალმა ყოფამ თვალი აუხილა დასიცხულ წინასწარმეტყველს.

მთელი ეს მოთხრობა, როგორც იგავი, მოწოდებულია ძველი აღთქმის ისტორიაში, მის ერთ მონაკვეთში ჩასახული იდეის – ღვთის უნივერსალობის ნათელსაყოფად; რომ იგავის ბოლოს თქმულიყო ვიწროეროვნული ჩარჩოებით შემოზღუდული წინასწარმეტყველის ჭკუის სასწავლებლად:

„შენ ერთი აყირო შეგენანა, თუმცა შენ არ დაგირგავს იგი და არც გაგიზრდია. ერთი ღამის შვილი იყო და ერთ ღამეში გახმა. აბა მე როგორ არ შემენანოს დიდი ქალაქი ნინევე, სადაც ასოციათასზე მეტი კაცია, ერთმანეთისაგან რომ ვერ გაურჩევიან მარჯვენა და მარცხენა, და უამრავი პირუტყვია?“ (იონ. 4:10-11).

სიბრძნე

„საიდან მოდის სიბრძნე?...“ (იობ. 28:20)

„მე გამოვედი უზენაესის ბაგიდან და

ნისლივით დავფარე დედამიწა“ (ზიორაქ. 24:3)

იერემიას წიგნში ნათქვამია: „არ დაკარგვია რჯული მღვდელს, რჩევის უნარი ბრძენკაცს და სიტყვა წინასწარმეტყველს“ (იერ. 18:18). მღვდელი (ღვთისმსახური), ბრძენკაცი და წინასწარმეტყველი – აი, ეს სამი, ვინც წარმართავენ ძველი აღთქმის ხალხის შეგნებას და რელიგიურ-ზნეობრივ ცხოვრებას. ხალხის ისტორიის გარიჟრაჟზე, პატრიარქების ხანაში, ეს სამი ფუნქცია ერთი პირის ხელში იყო, ის აერთიანებდა ამ სამ სახეობას სულიერი მოღვაწეობისა თავის ხალხში. აბრაამი და იაკობი თავადვე აგებდნენ სამსხვერპლოებს, თავადვე შუამავლის გარეშე, სწირავდნენ მსხვერპლს, იწოდებოდნენ წინასწარმეტყველებად, ჰქონდათ ხილვა და გამოცხადება (იაკობმა უწინასწარმეტყველა ისტორიული ბედი თავის თორმეტ შვილს, რომელთაც მისი სახელი – იაკობი და, განსაკუთრებით, ისრაელი დაენათლა), ისინი იყვნენ არა მხოლოდ ხორციელი მამანი თავიანთი შვილებისა, არამედ სულიერი მოძღვარნი, რადგან ისინი ატარებდნენ სიბრძნეს, როგორც განძს, სამემკვიდრეოდ გადასაცემად თაობიდან თაობაში. ასეთი იყო მოსე, რომელმაც ხალხს „აღმოუჩინა“ ღმერთი, დაუდგინა საღვთისმსახურო რჯული, უწინასწარმეტყველა „აღთქმული ქვეყანა“ და მისცა ათი მცნება – ათი მარცვალ მართალი ცხოვრების აღმოსაცენებლად.

მღვდელი უწესებს ადამიანს საზღვრებს წმიდისა და არაწმიდისა (უწმიდურისა), რათა არ შეღახოს წმიდა და არ დაიღუპოს, არ გაუწმიდურდეს უწმიდურით, თავად არ შეიღახოს და არ მოიკვეთოს უფლის საზოგადოებიდან, როგორც წაბილწული და ნალახი. მღვდელი და წინასწარმეტყველიც ემსახურება იმ მიზანს, რომ აღასრულებინონ ხალხს უფლის მოწოდება, მოსეს პირით გამოცხადებული: „წმიდა ერი უნდა იყოთ ჩემთვის!“ (გამ. 22:30). ბრძენი კი ასწავლის ადამიანს, როგორ გაარჩიოს კეთილი და ბოროტი, კარგი და ავი, რათა იაროს სიკეთის გზით, რადგან ეს დაღუპვის გზაა. ბრძენი თავისი მოძღვრებით იღწვის იმისათვის, რომ ეს ხალხი ბრძენი გახდეს, რადგან ის უფლის ხალხია. მოსეს პირითვე, როცა ის რჯულს იძლეოდა, ბრძენი მიმართავს ხალხს: „დაიცავით და შეასრულეთ, რადგან ეს არის თქვენი სიბრძნე და გონიერება იმ ხალხების წინაშე, რომლებიც ყურს მოჰკრავენ ამ წესებს და იტყვიან: აჰა, ბრძენი და გონიერი ერია ეს დიდი ხალხი“ (რჯლ. 4:6). ეს სიტყვები ითქვა უდაბნოს გზაზე და ამ პირობით უნდა შესულიყო ხალხი „აღთქმულ ქვეყანაში“, რომელმაც წინასწარმეტყველთა მოძღვრებაში სიცოცხლის სიმბოლური მნიშვნელობა შეიძინა.

წინასწარმეტყველი ქადაგებს სამხილებელ სიტყვას და ის მიემართება მთელ ხალხს, როგორც ერთს, ერთ ბედში მყოფს, როგორც ისტორიაში გასულს და უკანასკნელი უამის მომლოდინეს. წინასწარმეტყველის ყურისმგდებელი ზედროული პირია, თუმცა წუთისოფელში მყოფი, რომელსაც ეკისრება პასუხისმგებლობა უფლის ჭეშმარიტებისა და გზის მიმართ და იმ მიწის მიმართ, რომელიც მიიღო სამკვიდროდ უფლისაგან. მიწა კი, საბოლოო ჯამში, ერთიანი კაცობრიობის საცხოვრებელი იყო, ერთ დროს რომ „წაირყვნა ღვთის წინაშე და აივსო უსამართლობით“ (დაბ. 6:11), რისთვისაც კიდევ წარიხოცა. წინასწარმეტყველმა უნდა მოაქციოს ერი მრუდი გზიდან და მართალ გზაზე დააყენოს.

ბრძენკაცი კი მიმართავს არა მთელ ხალხს სადმე მრავალთა საკრებულოში, ან საკურთხეველებთან, სადაც გამოჩნდებოდა ხოლმე პირქუში წინასწარმეტყველი მამხილებელი სიტყვებით, არამედ ერთ კერძო ადამიანს, ერთეულს, ძეს მამისა, სახლში, შინაურობაში, რადგან ყურისმგდებელი არის მისი შვილი თუ აღსაზრდელი, რომლისგანაც უნდა შექმნას მან სიბრძნის მატარებელი პიროვნება. ის მოუწოდებს: „მე, მამას, მისმინეთ, შვილებო, და ისე მოიქეცით...“ (ზირაქ. 3:1), „მისმინე, შვილო, მიიღე ჩემი შეგონება და ჩემს რჩევას ნუ უგულვებლყოფ“ (ზირაქ. 6:22), „შვილო, მე მომეცი შენი გული და შენმა თვალებმა ჩემს გზაზე იყურონ“ (იგავ. 23:26), „მისმინე, შვილო, და იყავი ბრძენი და გზაზე დააყენე შენი გული“ (იგავ. 23:19). „შვილო, რომ მიიღებდე ჩემს სიტყვებს და ჩემს ცნებებს დაიცავდე, ყური რომ გქონდეს სიბრძნისაკენ მიპყრობილი და გული გონიერებისაკენ გეწოდეს“ (იგავ. 2:1-2). ხმა ესმის შვილს, ოღონდ ეს ხმა არ ეკუთვნის ამ კერძო მამას; ეს ხმაც იგივეა, გადმოცემული თაობიდან თაობაში, როგორც ის სიბრძნე, რომელიც ცხადდება ამ ხმით; მსმენელი შვილი ითვისებს ამ ხმას ამ სიბრძნესთან ერთად – ეს ორი განუყოფელია ერთმანეთისაგან. „მასწავლიდა მამაჩემი და მეუბნებოდა: მიირქვას შენმა გულმა ჩემი სიტყვები, ჩემი მცნებები დაიმარხე და იცოცხლებო“ (იგავ. 4:4). სიბრძნე მამიდან გადადის შვილში და მამა ხედავს თავისი პიროვნების ხელმეორედ შობას შვილში, რადგან მის მიერ გადაცემული სიბრძნე ახალ მამად ამზადებს შვილს: ეს არის მამის, როგორც მამის, გახანგრძლივება შთამომავლობაში, რომ მამის ხმა განუწყვეტლივ ისმოდეს თაობებში. ამგვარად აწყო-

ბილ საზოგადოებაში, რომელსაც მართავს მამათა – აბრაამის, ისაკისა და იაკობის ღმერთი და მამათა სიბრძნე, როგორც მამობის პრინციპი. არ არსებობს საფუძველი მამისა და ძის დაპირისპირებისა: სახლიდან გასულ ტობიას საგზლად მიაქვს მამის სიბრძნე და მამად გამზადებული უბრუნდება სახლს (იხ. ტობითი).

სიბრძნის სწავლება დაფარულის გამოცხადებაა, როგორც შვილია მამაში დაფარულის გამოჩენა. ისევე, როგორც უშვილობაა წყველა ძველი აღთქმის საზოგადოებაში, ასევე იკიცხება სიბრძნის დაფარვა. „რადა დაფარული სიბრძნე და რადა დამალული განძი? – ვის რაში არგია ან ერთი ან მეორე?“ ანდერძად უტოვებს შვილს ბრძენი ზირაქი (ზირ. 20:30). თუ დაფარვაა, განაგრძობს იგი, სჯობს კაცმა თავისი სიბრძნე დაფაროს, ვიდრე სიბრძნე (ზირ. 20:31). ძველი აღთქმის ეთიკას გასდევს ფუნდამენტური დაპირისპირება სიბრძნესა და სიბრძნეებს შორის; ეს დუალიზმი წუთისოფლის ისეთივე არსებითი ნიშანია, როგორც სიცოცხლე და სიკვდილი, ისინი თანაარსებობენ ერთმანეთის გვერდით და ადამიანმა უნდა აირჩიოს ერთ-ერთი თავისი თავისუფალი ნებით. ადამიანმა ნებით უნდა მიიღოს, გაითავისოს სიბრძნე, გული ღია უნდა ჰქონდეს მისთვის. ამიტომ მამა კი არ უბრძანებს მას, არამედ ურჩევს, ის მხოლოდ აცხადებს, ქადაგებს სიბრძნეს. „აჰა, გადმოვიღვრით ჩემს სულს...“ ამბობს ის (იგავ. 1:23).

მაინც რა არის სიბრძნე? რა არის არსი იმ მოვლენისა, რომელიც გამოიხატება სიტყვით *ხოქმაჰ*, ამ სიტყვით, რომლის სპექტრი ანათებს ძველი აღთქმის წიგნებს? ამოაიქნებოდა მისი განმარტებების ძიება ძველი აღთქმის წიგნებში. *ხოქმაჰ* არ არის აბსტრაქტული ცნება, რომ შესაძლებელი იყოს მისი ზუსტი განსაზღვრება; ადამიანი შეიძლება ჩასწავდეს მის არსს ისეთი ფუძემდებლური კატეგორიების შემწეობით, როგორც არის – სიცოცხლე, ხსნა, სიმართლე, მშვიდობა, სიმართლე, სიმტკიცე... რადგან მამა გვასწავლის, რომ სიბრძნე სიცოცხლეა, მისგან გადახვევა, ანუ სიბრძნე კი – სიკვდილი. „ვინც სიბრძნით დადის, გადარჩება“ (იგავ. 28:26); „მისი გზები ნეტარების გზებია და ყოველი მისი ბილიკი სიმართლეა“ (იგავ. 3:17); „ვინაიდან ჩემმა მპოვნელმა სიცოცხლე ჰპოვა“, ამბობს სიბრძნე (იგავ. 8:35); „სიმართლეს სიცოცხლისაკენ მიჰყავს კაცი“ (იგავ. 11:19); „სიმართლე სიკვდილისაგან იხსნის“ (იგავ. 10:2). ძველი აღთქმის ადამიანს სიბრძნე ესახება „სიცოცხლის ხედ“, რომლის ნაყოფი ვერ იგემა ადამმა და რომლისკენაც უნდა მისწრაფოდეს ყოველი ადამიანი: „იგი სიცოცხლის ხეა მათთვის, ვინც მას მოუჭიდება...“ (იგავ. 3:18). ამრიგად, ის არის ისეთი ნაყოფი, რომელიც კვებას არა მხოლოდ გონებრივ სამყაროს ადამიანისას, მის სულსა და გულს, არამედ მის მთლიან პიროვნებას, მის სულიერ-ხორციელ ერთიანობას. სიბრძნემ უნდა შეაღწიოს არა მხოლოდ მის სულში და გულში, არამედ შეეწოვოს, როგორც მაცოცხლებელი წვენი, მის შიგანს, მის ნაწლავებს, გაჯდეს მის ძვალსა და რბილში, გაპოხოს, როგორც წმიდა ზეთმა, მისი ძვლები. „ვინ ჩადო თირკმელებში სიბრძნე?“ – ეკითხება უფალი მრავალტანჯულ იობს, სამაგალითო ადამიანს (იობ. 38:36); „შენ გსურს, რომ თირკმელებში იყოს ჭეშმარიტება და მასწავლი სიბრძნეს უშინაგნესში“, მიმართავს უფალს მეფე დავითი (ფსალმ. 51:8).

ეს სიბრძნე და ცოდნა, რომელსაც მამა აწვდის შვილს საკვებივით, არ არის გონების ნაყოფი. ის ზნეობრივი საწყისია, რომელსაც ეფუძნება მართალი და კეთილი ცხოვრება. ის ბატონობს გონიერებაზე და ავსებს შინაარსით ადამიანის შეგნებას. „თუ სიბრძნე შევიდა შენს გულში და ცოდნა ეტკობ შენს სულს, – მოძღვრავს მამა შვილს, – გონიერება დაგიფარავს და შეგნება დაგიცავს, რომ გიხსნას ბოროტების გზიდან, თვალთმაქცი კაცისაგან, სწორი გზის დამტოვებელთაგან, ბნელი გზით მოარულთაგან, ბოროტი საქმით მოხარულთაგან, რომლებიც ბოროტი თვალთმაქცობით ხარობენ, რომელთა სავალი მრუდია და საქციელი უკუღმართია. რომ გიხსნას უცხო ქალისაგან, უცხო თესლისაგან, მისი ლაქარდიანი ენისაგან, რომელმაც სიყრმის მეგობარი მიატოვა და ღვთის აღთქმა დაივიწყა, რადგან მისი სახლის წიად სიკვდილია, მისი ნაბიჯები აჩრდილისაკენ არის მიმართული. იქ შემსვლელთაგან უკან ვერავინ ბრუნდება, სიცოცხლის გზებს კვლავ ვეღარ დაადგება. რომ დადიოდე კეთილი გზით და მართალთა ბილიკებს არ გადაუხვიო, რადგან ალაღმართალნი უნდა დამკვიდრდნენ ქვეყანაზე და უმწიკვლონი უნდა გადარჩნენ. ურჯულონი ქვეყნიდან მოიკვეთებიან და მზაკვარნი აღმოიფხვრებიან მისგან“ (იგავ. 2:10-22).

ძველი აღთქმის ადამიანი სიბრძნის დაუოკებელი წყურვილით არის აღძრული, სიბრძნის მოხვეჭა არ არის ინტელექტუალური აქტი, არამედ რელიგიური გამოცდილება:

„ჯერ კიდევ სიტყბებისას, ვიდრე ავხეტიალდებოდი, გულწრფელად ვეძებდი სიბრძნეს ჩემს ღოცებში; მასზე ვუხმობდი ტაძრის წინაშე და ბოლომდე მისი მძებნელი ვიქნები. როგორც შეთვალული მწიფე მტევანი, ისე ხარობდა მისით ჩემი გული. ჩემმა ფეხმა სწორად იარა და სიყრმიდანვე კვალში ჩავუდექი... ჩემი სული შეეჭვიდა სიბრძნეს და რჯულის საქმეშიც გავიწაფე. ხელები მაღლა აღვაპყრე და ვაღიარე ჩემი უმეცრება. ჩემი სული მისკენ მივმართე და სიწმიდეში ვპოვე იგი... ჩემი შიგნეული მის ძებნად შეიძრა და ამიტომაც შევიძინე კეთილი განძი“, ასე იხსენებდა ბრძენი ზირაქი თავის განბრძნობის წლებს (ზირ. 51:13-21).

ძველი აღთქმის ადამიანი არა მხოლოდ ესწრაფვის სიბრძნეს, რათა ხსნა ჰპოვოს მასში, არამედ ეძიებს მის დასაბამსაც, სვამს კითხვას: „საიდან მოდის სიბრძნე?“ კითხვა გულისხმობს, რომ სიბრძნე არ იბადება ადამიანში თავისთავად და არც ხანდაზმის ნაყოფია იგი. შესაძლოა, მოარული აზრით, სიბრძნე ხანგრძლივი გამოცდილების შედეგად ყოფილიყო მიჩნეული, მაგრამ იმავე საზოგადოებაში ადამიანს შეეძლო უარყო ეს შეხედულება. კვლავ ცხოვრებისეული გამოცდილება დაარწმუნებდა მას, რომ როგორც „იობის წიგნში“ ვკითხულობთ, „დღეგრძელები ყოველთვის არ არიან ბრძენი და მხოლოდ მოხუცებულნი არ მიხვედრილან ჭეშმარიტებას“ (იობ. 32:9). უფრო ღრმა აზრი სიბრძნის დასაბამს ღვთის შიშთან აკავშირებს. „უფლის შიშია სიბრძნე“ (იობ. 28:28), „უფლის შიშით ისწავლება სიბრძნე“ (იგავ. 15:33); მაგრამ ისიც არის ნათქვამი, როგორც იმედი, რომ „უფლის შიში მაცოცხლებელია“ (იგავ. 19:23); უფლის შიში არ უნდა გვესმოდეს როგორც მხოლოდ სუბიექტური განცდა, ის ობიექტური რეალობაც არის და თავისი მყოფობით ადამიანში ბადებს სიბრძნეს. როგორც იობის ერთ-ერთი მეგობარი ამბობს, სიბრძნე ადამიანში სული და სუნთქვაა ყოველადძლიერისა (იობ. 32:8). და სწორედ ეს სული (რუახ) არის შიშიც და სიცოცხლეც, რომლებიც, როგორც ძირები ადამიანის ყოფისა, სიბრძნესთან ერთად აბსოლუტური, „უთუო და უთუძცაო“ ღირებულების კატეგორიებია. ამრიგად, სიბრძნე რელიგიური მოვლენაა და არ არსებობს არც ბუნებაში, არც ადამიანის საზოგადოებაში ისეთი რამ, რაზედაც მისი გადაცვლა შეიძლებოდა. რა არის მის წინაშე მთელი ქვეყნიერების ოქრო-ვერცხლი და თვალ-მარგალიტი, მეფეთა პატივი და ღირსება, გვირგვინი და ბეჭედი, როცა თავად არის მათი წარმომშობი? სიბრძნე კოსმიური ძალაა და ისევე დაუსაბამოა, როგორც თავად სამყაროს შემოქმედი. იმ მეტაფიზიკურ კითხვაზე, თუ საიდან მოდის სიბრძნე ამ წუთისოფელში, ადამიანი კოსმოგონიური შორეთიდან აპასუხებინებს ისევე მას, თავისი მარადიულობის მოწმეს:

„უფალმა შემიძინა თავისი გზის დასაწყისში, თავის ქმნილებებამდე, დასაბამით. უკუნითიდან დამადგინა, თავიდანვე, ქვეყნის დასაბამიდან. როცა არ იყო უფსკრულები, მაშინ გაეჩნდი, როცა წყალუხვი წყაროები არ იყო. როცა ჯერ ქვეყანა არ იყო შექმნილი, არც მინდორ-ველები და არც სამყაროს პირველი მტვერი; როდესაც იგი ზეცას განამზადებდა, იქ ვიყავი, როდესაც უფსკრულის პირზე წრეს ავლებდა; როდესაც მაღლა ცეცხლს ამაგრებდა, უფსკრულის წყაროებს აძლიერებდა; როდესაც ზღვას წესს უდგენდა, რომ წყალი ნაპირებიდან არ გადმოსულიყო; როდესაც ქვეყანას საფუძველს უყრიდა; მაშინ მეც გვერდით ვყავდი, როგორც ოსტატი, დღენიადაგ სიხარული ვიყავი და ყოველდამ მის წინაშე ვვალდობდი; ვვალდობდი სამყაროში მის მიწაზე და ადამის მოდგმაში იყო ჩემი სიხარული“ (იგავ. 8:22-31).

რას ეუბნება ადამიანს ეს აღსარება სიბრძნისა? სიბრძნე აცხადებს თავის საიდუმლოს, თავის დიდებულ წარმოშობას, რომ ის არ შექმნილა ადამიანთა მიწაზე, არამედ ციური წარმოშობისაა და თავად უდევს წილი სამყაროს შექმნაში. ის აღიარებს, რომ შემოქმედების მიმე ტვირთი მისთვის სილაღე და სიხარულია; აგრეთვე იმას, რომ მისი საბოლოო მიზანი ადამიანთა შორის დასადგურებაა, რადგან ადამი მან შექმნა ღვთის ხატად და მსგავსებად. ადამი ხომ მან სიბრძნით შექმნა სამყაროსთან ერთიანობაში, ახლა ადამიანმა, როგორც გონიერმა არსებამ, სიბრძნით უნდა მოაწყოს თავისი ცხოვრება, თავისი საზოგადოება, როგორც ხატი სამყაროს წყობილებისა. ამიტომაც ის ჩამოდის მიუწვდომელი სიმაღლიდან, რათა ყველასათვის მისაწვდომი იყოს, განურჩევლად ნიჭისა, სოციალური თუ ქონებრივი მდგომარეობისა. სიბრძნემ ახსნა ბეჭდები თავის საიდუმლოს და სააშკაროდ გამოაჩინა თავისი სიმდიდრე, ის ყველას იწვევს თავისთან, როგორც საყოველთაო დღესასწაულზე. „განა სიბრძნე არ მოუწოდებს? განა გონიერება არ გამოსცემს ხმას? მაღალ მწვერვალებზე, გზასთან არის,

გზათა შესაყარზე დგას იგი. კარიბჭეებთან, ქალაქის პირთან, ღია კარში მღერის იგი. თქვენ მოგიხმობთ, კაცნო! ჩემი ხმა ადამის ძეთ მიმართავს“ (იგავ.8:1-4).

ამაზე მკაფიოდ, ამაზე ხატოვნად როგორღა შეიძლება გამოითქვას სიბრძნის საყოველთაობა? რომ ის არ არის იღუმალბერივი, თავის თავში ჩაკეტილი, მიუკარებელი, მხოლოდ რჩეულთა პრივილეგია? ის ეკუთვნის ყველას, რადგან „სიბრძნე გარეთ მღერის, მოედნებზე გამოსცემს ხმას; ხმაურიან ადგილებში ქადაგებს, კარიბჭეებთან, ქალაქში, აცხადებს თავის სიტყვას“ (იგავ. 1:20-21). ყველას უნდა ჰქონდეს იმედი, – ის მოუხმობს ყველას, – რომ დაიდოს მასში წილი, რომ ყოველი კაცი რჩეულ ერში ეზიაროს მას, რადგან ის ერთხელ და სამუდამოდ ამ რჩეულ ერშია დამკვიდრებული. „მამის მიბრძანა მე ყოველთა დამბადებელმა, – ამბობს სიბრძნე „ხირაქის წიგნში“, – ჩემმა შემქმნელმა და საბოლოოდ განმიჩინა კარავი და მითხრა: იაკობში დაივანე და ისრაელში დამკვიდრდი... გავიდგი ფესვი სახელგანთქმულ ხალხში, წილხვედრილში უფლისა, რომელიც დაიმკვიდრეს მათ“ (ხირ. 24:8-12).

და სხვა მრავალ იმ ქალურ ხატებათაგან (რადგან ხოქმაჰ-სიბრძნე ქალური სიტყვაცნებაა ებრაულ ენობრივ შეგნებაში), როგორც ეს შემოქმედებითი პრინციპი შემოდის ძველი აღთქმის ადამიანის ცნობიერებაში, – ის მისი დედაც არის და მისი ცოლიც, რომლებიც კვებავენ მას „გონების პურით“ და არწყულებენ „სიბრძნის წყაროთი“, ის მზრუნველი და თავდადებული დაც არის მისი: „უთხარი სიბრძნეს, ჩემი და ხარ-თქო“ ის თითქოს მოუხელთებელი სატრფოც არის, რომელსაც ვაჟი სარკმელთან თუ კართან უთვალთვალებს, რომ ერთხელ მაინც მოჰკრას თვალი ან ესმას მისი ხმა, და რომელიც მას საბოლოოდ გულს გადაუხსნის, – სიბრძნე თავს აცხადებს გულუხვ, შეუზღუდველ დიასახლისად, როგორც უმეფო დედოფალი, რომელიც აშენებს სახლს, რათა მასში შეკრიბოს ყველა, მისი მადლის ზიარების მსურველნი:

„სიბრძნემ სახლი აიშენა, მისი შვიდი ბოძი გათალა. დაკლა თავისი საკლავი, განაზავა თავისი ღვინო და თავისი ტაბლა გაშალა; გაგზავნა თავისი მხეველები, გადასძახა ქალაქის მადლობებიდან: ბრიყვი ვინც არის, აქეთ მობრუნდეს! ჭკუათხელებს კი უთხრა: მოდით, დაპურდით ჩემი პურით და შესვით ჩემი განზავებული ღვინო“ (იგავ. 9:1-5).

პური და ღვინო შემთხვევით არ მოხვედრილან სიბრძნის ტაბლაზე. პურ-ღვინო – რეალური საკვებ-სასმელი სიმბოლური გამოხატულებაა ადამიანის საზრდელისა. ის არის ადამიანის საგზალი წუთისოფლის გზაზე. „პურიც მაქვს და ღვინოც ჩემთვის“, იმედით ამბობს უცხო ქალაქში უცხოთა შორის მოხვედრილი მგზავრი, ანუ მას აქვს აუცილებელი, ადამიანის არსებობისათვის საჭირო მინიმუმი, რათა იმედიანად იგრძნოს თავი უცხოთა შორის (მსაჯ. 19:19). ისინი, როგორც ადამიანური კულტურის, სულიერის და მატერიალურის ნიშანი, ამავე დროს ძღვენისა თუ მსხვერპლის უმაღლესი გამოხატულებაა. ძველ აღთქმაში ერთადერთხელ გაიელვებს სახე გამოუცნობი ადამიანისა, რომლის ხელში პურ-ღვინო აშკარად აღზევებულია თავის პირველად დანიშნულებაზე. „ხოლო მელქიცედეკმა, შალემის მეფემ, გამოუტანა პური და ღვინო. ის იყო მღვდელი უზენაესი ღმერთისა. აკურთხა აბრაამი და უთხრა: კურთხეულ იყოს აბრაამი უზენაესი ღმერთის წინაშე, ცისა და მიწის შემოქმედისა!“ (დაბ. 14:18-19). აბრაამმა, უმკვიდრო მწყემსმა, მანამდე შეიცნო პურ-ღვინის მადლი, ვიდრე აბრაამი დაერქმეოდა ანუ მრავალი ხალხის მამამთავრის სახელი მიენიჭებოდა. რა ვუწოდოთ პურ-ღვინოს, მელქიცედეკის ხონაზე დადებულს? ალბათ მსხვერპლიც და მადლიც ერთდროულად. თუ მსხვერპლი – მელქიცედეკი, მღვდელი უზენაესი ღვთისა (*ელ ყელიონ*), მსხვერპლს სწირავს არა აბრაამს, თავისზე უდარესს, არამედ უხილავ დიდებას მასში, რადგან მის წიადში ხედავს იერუსალიმის (როგორც დაერქმევა მომავალში შალემს) მომავალ მეფეს. თუ მადლი – მელქიცედეკი, „მეფე შალემისა“, იზიარებს მის სიბრძნეს იმ დიდებული დედაკაცივით, გარიგებულ სუფრაზე რომ იწვევს გამვლელ-გამომვლელს.

მაგრამ ამ ბრძენ ქალს, სიბრძნის მატარებელს თავის წიადში, ჰყავს მეტოქე, მიმბაძველი „ქარაფშუტა დიაცის“ სახით. მასაც აქვს სახლი ქალაქის მადლობზე, საიდანაც ყველა გზა ჩანს, ისიც უხმობს გამვლელ-გამომვლელს და საკუთარი პურისა და ღვინის ნაცვლად სთავაზობს „მოპარულ წყალს“ და „დამალულ პურს“. ის ეუბნება მას შემპარავად: „ტკბილია მოპარული წყალი, გემრიელია დამალული პური“ (იგავ. 9:17). ღვინო აქ გამოხატავს ჭეშმარიტებას, წყალი – სიყალბეს. ღვინო უფრო მადლი

თვისობრიობაა, ვიდრე წყალი: ქრისტეს პირველი სასწაული სწორედ წყლის ღვინოდ გარდაქმნა იყო (იოან. 2:1-9), რაც სიმბოლურად მოასწავებდა მის მომავალ ფერისცვალებას და აღდგომასაც ახალ სხეულში. როცა წყალი ღვინის გვერდით არის ნახსენები და მას დაპირისპირებული, იგი უდარესი რეალობაა, მაგრამ ცალკე აღებული, როგორც მაცოცხლებელი ნივთიერება, – „წყალი მიაგებეთ მწყურვალებს“, ამბობს ესაია წინასწარმეტყველი, – ზეგარდმო მონიჭებული სიბრძნისა და მოძღვრების სიმბოლოა. „წვიმასავით მოდის დარიგება, ცვარივით ეპკურება ჩემი ნათქვამი, როგორც შხაპუნა წვიმა მდელზე, როგორც თქეში მწვანე ბალახზე“ (რჯლ. 32:2). წვიმა თუ ცვარი – წყლის ზეციური ასპექტი, სიმბოლოა ბრძნული სიტყვისა, რომელიც აცოცხლებს ადამიანს. მაგრამ „ქარაფშუტა დიაცის“ შეთავაზებული სასმელი – „მოპარული წყალი“, რომელიც შეიძლება პირველი გემოსხილვისას ეტკბოს ადამიანს, მომაკვდინებელია. „იგაენი“ ამბობენ, რომ ამ მასპინძლის წვეულნი „ჯოჯოხეთის უფსკრულებში იმყოფებიანო“. ამგვარად, ის სახლი, სადაც ღვინის წილ წყალს სთავაზობენ, სიმბოლური აზრით, სიკვდილის სახლია.

ვიკითხოთ, რატომ არის წყლით განზავებული ის ღვინო, რომლითაც სიბრძნის სახლში უმასპინძლდებიან მწყურვალს, სიბრძნეს დაწაფებულს? ეს უთუოდ იმ განსხვავების გამოა, რომელიც არსებობს წმიდა ღვინოსა და განზავებულ ღვინოს შორის ადამიანთა ყოფაში. წმიდა ღვინო, ზედაშე, საკულტო საღვრელია ანუ ღმერთის სასმელი. ის სადღესასწაულოა და მხოლოდ საღვთო სუფრაზე ისმის. როცა ღვინო წყლით არის განზავებული, მასში ადამიანური ელემენტი არის შესული წყლის სახით, რაც ანიჭებს ღვთაებრივ სასმელს საყოველღეობურ სტატუსს. როგორც წელიანი ღვინის გამოტანა საღვთო ნადიმზე იყო უღვთო აქტი – მსხვერპლშეწირვის პროფანაცია, ასევე ზედაშის გამოყენება ყოველღეობაში იყო უღვთო მოქმედება – საღვთო სასმელის პროფანაცია. ზედაშე რეალურად და სიმბოლურად გამოხატავს საკულტო ცხოვრებას, განზავებული – ყოველღეობურ ცხოვრებას. ზედაშე, როგორც დღესასწაული, რამდენიმეჯერ გამოხნდება წელიწადში, სულ მცირე – სამგზის, როგორც ნათქვამია მოსეს რჯულში ანუ აღთქმაში, „სამჯერ გამიმართე დღესასწაული წელიწადში“ (გამ. 23:14), სადაგი ღვინო კი – ყოველღეობურად. ადამიანიც სამგზის მიდის წელიწადში ღმერთთან, როგორც სტუმარი, სიბრძნე კი, როგორც მისი ცხოვრების წესი და საფუძველი, მუდამ მასთან არის დღენი მისნი. ამ აზრით არის სიბრძნე წყლით განზავებული ღვინო.

აქ თითქოს ერთმანეთს დაუპირისპირდა საკულტო-სადღესასწაულო და ყოველღეობური ბრძნული, ზნეობრივი ცხოვრება. მართლაც, შეიძლება ითქვას, რომ ისინი, თუ არ უპირისპირდებიან ერთმანეთს, სხვადასხვა სიბრტყეში მაინც მიედინებიან. შესაძლოა, მათ არც ჰქონდეთ შეხების წერტილები. ჩამოვარდებოდა დროება არც თუ იშვიათად ხალხის ისტორიაში, როცა საკულტო ცხოვრების აღზევებას, ანუ მისი მატერიალური მხარის უსაზომო „აჩოყებას“ თან სდევდა ზნეობის დაცემა, სიბრძნის კლება და სიბრიყვის ზეიმი. საღვთო დღე უგუნურების დღესასწაული ხდებოდა. ხსნის ერთადერთ ქვაკუთხედად ხალხს რიტუალური სიწმიდე და მსხვერპლშეწირვანი მიაჩნდა. უკეთურად ნაცხოვრები მთელი წელიწადი დღესასწაულზე უნდა გამოსციდულიყო კრავების სისხლით. ამის მიერ მოკლული აბელის სისხლი კი ცაში შეჭვლიდადებდა უფალს. ამ საყოველთაო დაცემისა და მართალი ცხოვრების რღვევის ხანაში ერთადერთი წინასწარმეტყველი, „სულის კაცი“, იყო რომელიც იცნოსავდა ხრწნილების სუნს ხალხმრავალ დღესასწაულებზე. „დარ მსურს კურატების, კრავებისა და ვაცების სისხლიო“, აძრახებდა ზეგარდამო ხმა ესაიას. მისი პირით მრისხანე ღმერთი მოუწოდებდა ხალხს, რომ არა თითოეულს ცალცალკე, არამედ მთელს ერს, როგორც ერთ სულს, იმ სიბრძნეს, რომელსაც მშვიდად უქადაგებდა მამა შეილს, – ესწავლათ სიკეთის ქმნა, მართალი ცხოვრება, შეწეოდნენ ჩაგრულთ, გაეკითხნათ ობოლნი, გამოსარჩლებოდნენ ქვრივ-ოხერთ, მერედა შეეწირათ მსხვერპლი. ამის გარეშე ფუჭი იქნებოდა ყოველი საკლავი, ფუჭად დაიდვრებოდა სისხლი და ნაცვლად იმისა, რომ ცოდვათა გამომსყიდველი ყოფილიყო იგი, კვლავ ახალ ცოდვად შეერაცხებოდა შემწირველს. „სადაგელია ჩემთვის საკმეველი, ახალმთვარობები და შაბათები, თქვენი ჯარობები ვერ ამიტანია!“ – აძახებინებდა უფალი ესაიას.

წინასწარმეტყველთა თვალში, რაც უფლის თვალის ხატია, მართალი ცხოვრება ანუ სულის რელიგია უპირატესობს კულტის რელიგიის წინაშე. ასევე სიბრძნის წიგ-

ნებში – სოლომონის იგავეებში, იობის წიგნში, ზირაქის შეგონებებში, სადაც კი ნაქადაგებია მართალი ცხოვრება, ერთი სიტყვაც არ არის დაძრული რელიგიის გარეგან მხარეზე, სავალდებულო რიტუალების ადგილზე ზნეობრივი ადამიანის აღზრდაში. აი, დამრიგებელ მამათა მოწოდება, მათი მოძღვრების არსის გამომხატველი: „შესწირეთ მსხვერპლი სიმათლისა და ესავდეთ უფალს!“ (ფსალმ. 4:6).

„იგავთა წიგნი“ შეიცავს მართალი ცხოვრების კოდექსს, თუ როგორ უნდა იქცეოდეს მართალი კაცი, როგორი ქცევით უნდა ახორციელებდეს სიბრძნეს. სულის მარგებელი უამრავი შეგონება, ნაკვესები და არაკები, – ბევრი მათგანი მოარული ანდაზაა, ბევრიც მოძღვრის შეთხზულია, – ბრძენი სოლომონის ავტორიტეტით არის განმტკიცებული. მაგრამ არსებობს მასზე მაღალი ავტორიტეტი, ვის მიერაც გამოცხადებული მცნებანი მთელს სიბრძნის ლიტერატურას და ამდენადვე ზნეობრივ ცხოვრებას შეიცავს. ათი მცნება, ათი სიტყვა, ქვის ორ დაფაზე, ფიქალებზე, წარწერილი, ჩამოიტანა მოსემ სინაიდან, უფლის გამოცხადების მთიდან და, როგორც კაცობრიული საზოგადოების ზნეობრივი კონსტიტუცია, ინახებოდა უფლის აღთქმის კიდობანში სხვა უწმიდეს რელიქვიათა გვერდით. აი, ესოდენი სიწმიდით შემოსა და სასოებით შეინახა ადამიანმა თავის ადამიანობის ფუძემდებლური მცნებები.

ამ ათი სიტყვის სიწმიდეს, მათ აბსოლუტურობას, მათ ტრანსცენდენტულობას და გარდაუვალ ღირებულებას კაცობრიული საზოგადოებისთვის, მოწმობს ის ვითარება, თუ როგორ გადაეცა ისინი ამ საზოგადოების წინამძღოლს. მცნებათა გამოცხადებას სინაის მთაზე წინ უძღოდა უფლის გამოცხადება მისი საშინელი და მრისხანე ასპექტით. „მესამე დღეს, გათენებისას, – ვკითხულობთ „გამოსვლათა წიგნში“, – შეიქნა გრგვინვა და მესისტეხა, ჩამოწვა მთაზე ზრქელი ღრუბელი და გაისმა საყვირის ხმა, ძალზე ძლიერი. შეძრწუნდა ბანაკში მყოფი ხალხი. გამოიყვანა ბანაკიდან ხალხი მოსემ ღვთის შესახვედრად, და დადგნენ მთის ძირას. ბოლაგდა მთელი სინაის მთა, რადგან უფალი იყო მასზე ცეცხლის აღში. როგორც ქურას, კვამლი ასდიოდა და ძლიერად ირეყოდა მთა. თანდათან ძლიერდებოდა საყვირის ხმა. ლაპარაკობდა მოსე და ესმიანებოდა ღმერთი. ჩამოვიდა უფალი სინაის მთაზე, მთის წვერზე და მოუხმო უფალმა მოსეს მთის წვერისაკენ, და ავიდა მოსე“ (გამ. 19:16-20).

ქვეყნიერების დასასრულის ნიშნით აღინიშნა ზნეობრივი კანონის შესვლა კაცობრიობაში, თუმცა ეს კაცობრიობა სინაის მთის ძირას მიუყუწულ ერთ მცირე ტომს წარმოადგენდა. აქ მთავრდებოდა მისი ცხოვრების ერთი ხანა და იწყებოდა ახალი ერა. აი, ის სიტყვები, „აღთქმის სიტყვები, ათი სიტყვა“, რომლებიც გამოეცხადა მოსეს:

1. მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი, რომელმაც გამოგიყვანეთ ეგვიპტის ქვეყნიდან, მონობის სახლიდან... აქ ნათქვამია, ხალხს უნდა სცოდნოდეს, რომ ღმერთი თავისუფლების სულია და რომ მისი რწმენა ათავისუფლებს ადამიანს. ეგვიპტიდან თავდაღწეულებს, უპირველეს ყოვლისა, ეს უნდა სცოდნოდეთ. არ გაეჩინათ მის გარდა სხვა ღმერთი, მისი ერთგულნი ყოფილიყვნენ.
2. არ გაეკეთებინათ კერპები ან გამოსახულება რაიმესი, რაც კი არსებობს მაღლა ცაში, დაბლა დედამიწაზე და წყალში, მიწის ქვეშ, და თავყანი არ ეცათ მათთვის.
3. არ დაეფიცათ ფუჭად ღვთის სახელი.
4. წმიდა ეყოთ შაბათი დღე, რადგან შაბათი კურთხეულია – უფლის შესვენების დღე იმ ექვსი დღის შემდეგ, როცა იგი ქმნიდა სამყაროს. ამიტომაც ადამიანმა არ უნდა ისაქმოს ამ დღეს.
5. პატივი ეცათ დედ-მამისათვის, თუ სურდათ დღეგრძელი ყოფილიყვნენ ქვეყანაზე.
6. ნუ იქნებოდნენ კაცისმკვლენი.
7. არ ემრუშათ.
8. არ ექურდათ.
9. არ გამოსულიყვნენ ცრუ მოწმეებად თვისტომის წინააღმდეგ.
10. არ ენდომათ თვისტომის არც სახლი, არც ცოლი, არც ყმა და მხევალი, არც რაიმე მისი საქონელი (გამ. 20:1-17).

როცა მოსე უფლისაგან იღებდა ამ რჯულს და კიდევ სხვა აუცილებელ წესებს საკულტო და საზოგადოებრივი ცხოვრების წარსამართავად, ისრაელის ბანაკში მოსესათვის მოულოდნელი, მაგრამ ეგვიპტიდან გამოსული, ჯერ კიდევ ჩამოუქნელი ხალ-

ხისაგან, ჯერ კიდევ ბრბოსაგან, სრულიად მოსალოდნელი რამ მოხდა. ეს ხალხი ჯერ არ იცნობდა თავის მფარველ და მხსნელ ღმერთს. ის ღმერთი იყო აჰე, მოსეს ღმერთი, „ის კაცი მოსე“ კი, როგორც ხალხი იხსენებდა მას, არ ჩანდა. მათ სულში სიცარიელე გაჩნდა: არც ეგვიპტეში იყვნენ, არც ის ქვეყანა ჩანდა, სადაც უნდა მისულიყვნენ, სადაც მოსეს მიჰყავდა ისინი; არც ღმერთები ჰყავდათ, არც კერპები. ხალხს გაუჩნდა მოთხოვნილება, ეხილა იმ ღმერთების სახე, რომლებმაც ისინი გამოიყვანეს ეგვიპტიდან ამ უდაბნოში. ეხილათ, რომ თავყვანი ეცათ და მშვიდად ყოფილიყვნენ ამ *თოჰუ-ვა-ბოჰუ-ში*, მოსესი კი, „იმ კაცისა“, შესაძლებელია, მათ აღარ სჯეროდათ, რაკი ვეღარ ხედავდნენ. შესაძლებელია, მაცდურ სულადაც კი ჩათვალეს.

ხალხი მიეჭრა აარონს, რომელიც მოსეს მაგიერობას სწევდა მის არყოფნაში, და მოსთხოვა კერპი. „ადექი და გაგვიკეთე ღმერთები, რომლებიც წინ მიგვიძღვოდნენ, – უთხრეს მას, – რადგან არ ვიცით, რა დაემართა იმ კაცს, მოსეს, რომელმაც ეგვიპტიდან გამოგიყვანა“ (გამ. 32:1). ეს იყო ჯანყი, მაგრამ ბუნებრივი გამოხატულება ობლად დარჩენილი ხალხის სულისკვეთებისა: ხალხს სურდა წინამძღოლი ჰყოლოდა, რომელიც მას რელიგიას მისცემდა, ასეთი კაცი კი აარონი იყო, „იმ კაცის, მოსეს“, მაგიერი. ეს ასეც იყო: როცა ხალხის წინამძღოლობის მისიას იღებდა უფლისაგან მოსე, ასე უთხრა მას უფალმა აარონზე: „ის ილაპარაკებს ხალხთან შენს ნაცვლად, ის იქნება შენთვის ბაგე, ხოლო შენ ღმერთი იქნები მისთვის“ (გამ. 4:16). როგორ უნდა მოქცეულიყო აარონი, როგორ გაემტყუნებინა ხალხი, რომელსაც ჯერ არ ჰქონდა ზნეობა და რჯული მიღებული. ბრბო, რომელიც არ ემორჩილებოდა არავითარ კანონს. აარონს გათელავდა ბრბო, რომ მას არ აღმოჩენოდა თეურგიული („ღმერთშემოქმედებითი“) ნიჭი, ალბათ ეგვიპტის ქვეყნიდან გამოყოფილი, „და უთხრა მათ აარონმა: დახსენით საყურეები თქვენს ცოლებს, ვაჟებსა და ასულებს და აქ მომიტანეთ. დაიხსნა მთელმა ხალხმა საყურეები ყურებიდან და მიუტანა აარონს. გამოართვა აარონმა, საჭრეთელით გამოსახა სახე და ჩამოსახა ოქროს ხბო. თქვეს: ესენი არიან, ისრაელი, შენი ღმერთები, რომლებმაც ეგვიპტიდან გამოგიყვანეს...“ (გამ. 32:2-4).

სინაის მთის ძირას დაწესდა კულტი, თუმცა ეფემერული, თავისი სამსხვერპლოთი, მსხვერპლშეწირვებით, დღესასწაულით და დღესასწაულის თანმხლები დრეობით. მსხვერპლშეწირვის შემდეგ „დასხდა ხალხი საჭმელად და სასმელად. მერე ადგნენ და ცეკვა-თამაში გამართეს“ (გამ. 32:6). მთიდან ჩამოსულ მოსეს ბანაკში, მთის ძირას, დახვდა ოქროს ხბოს წინაშე მროკავი ხალხი – მათ უკვე ეპოვნათ თავიანთი ღმერთი. „როგორც კი მოუახლოვდა ბანაკს და დაინახა ხბო და როკვა, რისხვით აღინთო მოსე და ხელიდან გააგდო ფიქალები და მიამსხვრია მთის ძირას“ (გამ. 32:19).

ეს იყო დაუფიქრებელი მოქმედება, რადგან რისხვის დროს არ ფიქრობს ადამიანი. ამავე დროს ეს იყო მოსეს დაცემა (ამას დაემატა სხვა დაცემაც, რისთვისაც მოსე ვერ ეღიბა აღთქმულ მიწაზე ფეხის დადგმას, მხოლოდ თვალი ჰკიდა მას): მან დაამსხვრია ის, რაც აკლდა და რაც უნდა მიეღო ხალხს, რათა ის რჩეული ერი გამხდარიყო. მოსეს შეიძლება მოსჩვენებოდა, რომ ეს ხალხი არ იყო ღირსი და ვერ მიიღებდა ღვთიურ ჭეშმარიტებას, მაგრამ ეს ხალხი ხომ ასეთი იმ მიზეზით იყო, რომ ჯერ არ ჰქონდა გამოცხადებული ჭეშმარიტება, როგორც ნათქვამია „იგავთა წიგნში“, რომ „როცა არ არის გამოცხადება, თავს გადის ხალხი“ (გამ. 29:18). ამ ხალხს, კერპის წინაშე მროკავს, რომელსაც დაკარგული ჰქონდა ღვთის ხატი, რომლის დასაბრუნებლად უნდა მიეღო სიბრძნე. ამიტომაც მოსეს ხელმორედ მოუხდა მთაზე ასვლა. „გამოთავა მოსემ ორი ფიქალი, იმ პირველთა მსგავსი, ადგა დილაადრიანად და ავიდა სინაის მთაზე, როგორც უბრძანა უფალმა. ორი ფიქალი ეჭირა ხელში...“ (გამ. 34:4); „დარჩა იქ, უფალთან ორმოც დღეს და ორმოც ღამეს. პური არ უჭამია და წყალი არ შეუსვამს. დაწერა ფიქალებზე აღთქმის სიტყვები, ათი სიტყვა“ (გამ. 34:28).

„გამოსვლათა წიგნის“ ამ ადგილიდან ჩანს, რომ ის საწყისები, ათი მცნებით გამოხატულნი, რაზედაც დაფუძნებულია მართალი ცხოვრება, არ შეკოწიწებულია თანდათანობით, კაცობრიობის ისტორიის მანძილზე, როგორც შედეგი ხანგრძლივი ცხოვრებისეული გამოცდილებისა, არამედ მიღებულია ერთბაშად, როგორც გამოცხადება. აქ ისიც ჩანს, რომ გამოცხადების მძიმე ტვირთის მზიდველი მხოლოდ პიროვნება შეიძლება იყოს, რომელიც განუზომლად მაღლა დგას მთელ ხალხზე, აარონზეც კი, როგორც მწვერვალი, ხალხი კი მთის ძირშია და დრეობს. ჩანს ისიც, რომ ადამიანში თუ რამ არის მაღალი წარმოშობის, ეს მისი ზნეობის რჯულია, რადგან იგი მთის ძირში

ვერ შეიქმნებოდა. და თუმცა ის ცაშია „გაჩენილი“ ქვეყნის დასაბამიდან, მაინც ადამიანისათვის არის გაჩენილი, ეს არის მისი ადამიანური წილი ცაში. ბიბლიის შემდგომი ტრადიცია ამ რჯულს განძად შერაცხავს და ამგვარად გაიაზრებს მოსეს როლს ამ განძის მოპოებაში:

მოსეს სიტყვისგება

როცა მოსე ღვთის მთაზე ავიდა, ანგელოზებმა ჰკითხეს ღმერთს:

– რა უნდა ჩვენთან ამ დიაცის ნაშობს?

– იგი ამოვიდა, რათა მიიღოს რჯული, – მიუგო ღმერთმა.

– ნუთუ, – განაგრძობდნენ ანგელოზები, – ნუთუ ის განძი, რომელიც ცხრასსამოცდაათოთხმეტ თაობაში ინახებოდა, ადამიანს უნდა მიეცეს? რა არის ადამიანი, რომ ზრუნავ მასზე? რა არის ძე კაცისა, შენს შეხედვად რომ ღირდეს? ყოვლადძლიერია შენი სახელი, უფალო, მთელს ქვეყნიერებაზე და შენი დიდება ცაში ბრწყინავს.

– შენ გაეცი პასუხი, – უთხრა ღმერთმა მოსეს.

– მეშინია, – მიუგო მან, – არ გადამზუგოს შენი ბაგეების სუნთქვამ.

– მოეჭიდე ჩემი დიდების ტახტს და უპასუხე.

– სამყაროს უფალო, – დაიწყო მაშინ მოსემ, – რას ამბობს რჯული, რომლის მოცემასაც მპირდები? განა ასე არ იწყება იგი: მე ვარ უფალი, შენი ღმერთი, რომელმაც ეგვიპტის ქვეყნიდან გამოგიყვანე. მაგრამ განა ანგელოზებს გიცხოვრიათ ეგვიპტეში და ფარაონის მონები ყოფილხართ? აბა რისთვის გინდათ ასეთი რჯული?

მერე ნათქვამია: ნუ გაიხდით ღმერთებად უცხო ღმერთებსო. მაგრამ განა გიცხოვრიათ კერპთაყვანისმცემელთა შორის?

კიდევ ნათქვამია: გახსოვდეთ შაბათი დღეო. მაგრამ განა თქვენ გიმუშავნიათ, რომ დასვენება გჭირდებოდეთ?

კიდევ ნათქვამია: სიცრუეზე ნუ დაიფიცებო. მაგრამ განა ყოფილა ოდესმე თქვენ შორის დავა?

კიდევ ნათქვამია: პატივი მიაგე დედ-მამასო. მაგრამ განა ოდესმე გყოლიათ მშობლები?

და ბოლოს ნათქვამია: კაცს ნუ მოკლავ, ნუ იმრუშებ, ნუ იქურდებო. მაგრამ განა თქვენ შორის მოხდება ამგვარი რამე?

ღმერთმა მოიწონა მოსეს პასუხი, ანგელოზებმა კი შეიყვარეს იგი.

„თქვა იობმა...“

„როცა შევეყურებ შენს ცას, შენი თითების ნამოქმედარს, მთვარეს და ვასკვლავებს, შენ რომ დაადგინე, ვფიქრობ, რა არის კაცი, რომ გახსოვს იგი, და ადამის ძე, რომ ზრუნავ მასზე? კინაღამ ღმერთი გახადე იგი და დიდებითა და პატივით დაავიროგვინე“

(ფსალმ. 8:4-6).

ამას ამბობენ არა უფლის ტახტის წინაშე მდგარი ანგელოზები, რომლებმაც მოსეს სიტყვა-პასუხი მოიწონეს, არამედ თავად „ადამის ძე“ (ბენ ადამი), შეძრული თავისი ბედისა და ადგილის გამო ამ სამყაროში. „როცა შევეყურებ შენს ცასო...“ ამბობს იგი და რისი იმედი უნდა ჰქონდეს, რა სასოება ადამიანს, „მიწისაგან აღებულს“, იმ სხივოსანი უსასრულობის შემყურეს? იგი ძრწოლით განიცდის ამ სიდიადეს, უფლის დიდების მოწმობას მის ქმნილებაში, მაგრამ ისიც იცის, რომ „აჰა, მთვარე რომ მთვარეა, ისიც ბნელდება და ვარსკვლავებიც არ არიან სუფთანი მის თვალში! მით უფრო კაცი, რომელიც ჭიაა, და ადამის ძე, რომელიც მატლია“ (იობ. 25:5-6). თუ ციური მნათობები – კოსმოგონიური მეოთხე დღის ქმნილებანი წარმავალია ღვთის მარადისობის ფონზე, მართლაც, რისი იმედი უნდა ჰქონდეს ჭიას, რაღაც განიცდის თავს ადამის ძე – მეექვსე დღის ქმნილება? როცა სწორედ ის აცხადებს თავს ჭიად და მატლად, რომლისაგანაც ყველაზე ნაკლებად მოვევლით. თუ დავითი, ღვთის რჩეული, ამბობს, „ჭია ვარ მე და არა კაციო“ (ფსალმ 21:7), მას აშკარად განცდილი აქვს უფსკრული ადამის დაცემისა. გაღვიძებულმა სინდისმა დაანახვა თავისი დაცემული სახე და ის „ხატი ღვთისა“, რომელიც დაკარგა. კაცი თუ ეცემა, ის მაღლიდან ეცემა და, რაც უფრო ღრმია დაცემა, მით უფრო მეტ სიმაღლეს ადასტურებს დაცემული. ჭიად მხოლოდ

ადამის ძე თუ განიცდის თავს, ციურ მნათობებს ეს არ მოეწიოთ. ისინი არ დგანან ამის საშიშროების წინაშე.

„ნუ გეშინია, ჭია იაკობ!...“ (ეს. 41:14). ასეთი სიტყვებიც ჩაესმის ადამიანს. ეს ხმა ისმის მის შეგნებაში და განაცდევინებს მას უპირატესობას სამყაროს ყოველი ქმნილების წინაშე, თუნდაც იყოს ეს ცის დიდი მნათობი. რადგან წარმატებულ ნივთთა შორის მხოლოდ ადამის ძეში ჰკვირვებდნენ ღვთის სული, *რუახ ელოჰიმ*, რომელიც კოსმოლონიის გარიჟრაჟზე „ჩეკავდა“ სამყაროს. ერთადერთი ადამის ძეა, რომელიც ატარებს ამ სულს და ეს არის მისი პატივი და დიდება. შინაგანი ხმა ეუბნება ადამის ძეს, რომ ის რჩეულია ამ სამყაროში და რომ შემოქმედმა განსაკუთრებული ნიშნით აღბეჭდა მისი ბუნება და ყოფა. ის განიცდის ღვთის სიახლოვეს და კვლავ და კვლავ გვესმის ამ სიახლოვის გამოძახილი მის გულში: „რა არის კაცი, ასე რომ გაგიდიდებია და მისკენ მიგიპყრია გულისყური? რომ ამოწმებ, ყოველ დღით და ყოველ წამს რომ გამოსცდი?“ (იობ. 7:17).

ადამის ძე განიცდის მასზე მიშუქებულ თვალს ღვთისას და ეს არის მისი უპირატესობაც და განსაცდელიც. ადამის ძე ღვთის ყურადღების შუაგულშია მოქცეული – ღმერთი ამოწმებს, გამოცდის თავის ქმნილებას, შესაქმის გვირგვინს, და ეს მძიმე ასატანია ადამიანისათვის, თუმცა ამაში მდგომარეობს მისი კაცობის, ადამის ძეობის ტვირთი, რომელსაც ვერსად გაექცევა, თუკი სურს ადამიანად დარჩეს.

მას კი ნამდვილად სურს იყოს ადამის ძე, დაიცვას თავისი ადამიანური ღირსება – ვის წინაშე? ცხადია, იმის წინაშე, ვისაც აბარია მისი ბედი. ღმერთმა მისცა ადამიანს შესაძლებლობა, რომ ჰქონოდა მას თავისი საკუთარი სიმართლე და, აჰა, ადამიანი ცდილობს დაიცვას, შეინარჩუნოს ეს სიმართლე.

შესაძლებელია, ბიბლია ერთადერთი წიგნი იყოს რელიგიურ წიგნთა შორის, სადაც დიდი ყურადღება ექცევა ადამიანის პოზიციას. მართალია, ყოველის შემოქმედი არის მთავარი მოქმედი პირი ბიბლიურ ეპიზოდებში, ის არის მამოძრავებელი ისტორიული პროცესისა, მაგრამ ბიბლიური ადამიანი მუდამ ინარჩუნებს დამოუკიდებლობას თავის საქციელში, – ღმერთი თვალყურს ადევნებს მას და არ ახვევს თავის ნებას, – და თავის ზრახვებში. მას აქვს თავისი თვალსაზრისი და ღმერთი ყურს უგდებს ამ თვალსაზრისს. ადამიანს შეუძლია (და ეს არასოდეს არ არის შეფასებული ღვთის წინააღმდეგ ჯახყად) გამოიწვიოს ღმერთი დიალოგში, უფრო მეტიც, დავაში, გაუმართოს მას სამსჯავრო, სადაც დაიცავს იგი თავის სიმართლეს. და ღმერთიც დაჰყვება ადამიანის ნებას, რაკი თავად ეს ნება ღვთიური წარმოშობის არის და ღმერთი არ ცდილობს მის ხელყოფას და აბუჩად აგდებას.

ადამიანი შეიძლება „მტკერი და ნაცარი“ იყოს, მაგრამ მას აქვს უფლება, ის ვალდებულიც არის დაიცვას ადამიანის ინტერესი ყოველადმიერის ნების წინაშე. გვახსოვს, როგორ დამორჩილდა ერთხელ აბრაამი უფლის ნებას, როცა მან მხოლოდშობილი ძის შეწირვა მოითხოვა მამისაგან. მაგრამ უფრო ადრე, სანამ ისაკი – აღთქმის შვილი დაიბადებოდა, აბრაამს ჰქონდა შეხლა და პაექრობა უფალთან სწორედ იმ დღეს, როცა სამმა სტუმარმა, რომლებიც ღვთის ანგელოზები (მაცნენი) აღმოჩნდნენ, შვილის შეძენა უწინასწარმეტყველეს. ეპიზოდი გვაოცებს თავისი სიმართლით, ხოლო აბრაამი თავისი კადნიერებით, მით უფრო, რომ მან იცის, რომ „მტკერი და ნაცარია“.

ეს კაცები, უწინასწარმეტყველეს რა აბრაამსა და სარაის ნანატრი შვილი, სოდომის გასანადგურებლად გაემართნენ, რაკი მისწვდა ღმერთს სოდომელთა ცოდვის ამბავი, რომ სცოდავდნენ ისინი ადამიანის ბუნების წინააღმდეგ. „როგორ დაეუმალო აბრაამს, ჩემს მსახურს, რის გაკეთებასაც ვაპირებ?“ (დაბ. 18:17), ასე გამოხატა ღმერთმა პასუხისმგებლობა მართალი კაცის წინაშე. ხოლო დიალოგი მათ შორის ამგვარად წარიმართა:

„გაბრუნდნენ კაცები იქიდან და წავიდნენ სოდომს, აბრაამი კი კვლავ იდგა უფლის წინაშე. მიეახლა აბრაამი და უთხრა: ნუთუ მართალ კაცს ბოროტეულთან ერთად დაღუპავ? იქნებ აღმოჩნდეს ორმოცდაათი მართალი მაგ ქალაქში? ნუთუ დაღუპავ და არ შეიწყალებ მაგ ადგილს ორმოცდაათი მართალის გულისათვის, მანდ რომ არიან? არ ეგების შენგან ეს საქმე, რომ მოაკვდინო მართალი ბოროტეულთან ერთად და არ იყოს გარჩევა მართალსა და ბოროტეულს შორის. არ ეგების! არ იქნება, რომ მთელი ქვეყნიერების მსაჯულმა სამართლიანად არ განსაჯოს. უთხრა უფალმა: თუ ვპოვე სოდომ-ქალაქში ორმოცდაათი მართალი, შევიწყალებ მთელს მაგ ადგილს მათი

გულისათვის. მიუგო აბრაამმა და უთხრა: აჰა, გაგებდეთ უფალთან ლაპარაკი მე, მტკვერმა და ნაცარმა. ორმოცდაათს რომ ხუთი დააკლდეს? ნუთუ დაღუპავ ამის გამო მთელს ქალაქს? უთხრა: არ დავღუპავ, თუ ვპოვე იქ ორმოცდახუთი. განაგრძო ლაპარაკი აბრაამმა და უთხრა: ორმოცი რომ აღმოჩნდეს? უთხრა: არ ჩავიდენ ამას იმ ორმოცის გულისათვის. თქვა აბრაამმა: ნუ გამიწყრება უფალი და ვიტყვი: ოცდაათი რომ აღმოჩნდეს? უთხრა: არ გააკეთებ ამას, თუ ვპოვე ოცდაათი. თქვა აბრაამმა: აჰა, გაგებდეთ უფალთან ლაპარაკი. ოცი რომ აღმოჩნდეს? უთხრა: არ დავღუპავ იმ ოცის გულისათვის. უთხრა აბრაამმა: ნუ გამიწყრება უფალი და ამ ერთხელაც ვიტყვი: ათი რომ აღმოჩნდეს? უთხრა: არ დავღუპავ იმ ათის გულისათვის. წავიდა უფალი, როგორც კი შეწყვიტა ლაპარაკი აბრაამთან. აბრაამიც დაბრუნდა თავის ადგილას“ (დაბ. 18:22-33).

ბიბლიამ იცის სხვა მოპაექრე უფალთან, ოღონდ არა ისეთი, მშვიდი და გაწონასწორებული, როგორც აბრაამი გამოჩნდა ამ ეპიზოდში, რომელსაც, შესაძლოა, არც კი ჰქონდეს რაიმე მიმართება სოდომის ისტორიასთან, რადგან ვიცით, რომ ცოდვილი ქალაქი მაინც დასაჯა ღმერთმა წუმწუმისა და ცეცხლის წვიმებით, გადარჩა მხოლოდ ოჯახი ლოტისა, აბრაამის სახლიკაცის, რომელიც მზად იყო თავისი ასულების პატივი გაეწირა სტუმართა ღირსების გადასარჩენად სოდომელთა ხელყოფისგან. ეს ფრაგმენტი მაინც აბრაამის სიმართლის მაძიებლური დოკუმენტია.

ის სხვა მოპაექრე განთქმული იობია, ყველაზე ტრაგიკული პირი მთელს ძველ აღთქმაში, საკუთარი და თავის ბედში მყოფთა ადამიანობის ქომაგი ღვთის წინაშე, რომლის პიროვნება უბრალოდ ტანჯულის მაგალითად იქცა.

ვინ იყო იობი? იობი, ჭეშმარიტად, იყო ის მამა, რომლის პირითაც დაღაღებს მართალ ცხოვრებას „იგავთა წიგნი“. ცხადია, ის იყო ის შვილიც, რომელიც ისმენდა მამისაგან ამ მოძღვრებას. და, როგორც აბრაამზე ითქვა, რომ მან „აღთქმა თავის ხორცში გაამყარა და განსაცდელში მტკიცე აღმოჩნდა“ (ზირ. 44:20), ასევე იობის სული და გული, ძვალ-რბილიც კი განიმსჭვალა მამათა სწავლით და ისიც მტკიცე აღმოჩნდა განსაცდელში, როცა დაუდგა გამოცდის უკამი. ნათქვამია ანდაზად „არ არსებობს მართალი კაცი ქვეყანაზე“ (ეკლ. 7:20) ან „შეიძლება მართალი იყოს დიაცის ნაშობიო?“ (იობ. 15:14), მაგრამ იობი კი ნამდვილად იყო მართალი, წესის გამონაკლისი, არა ადამიანის თვალში, არამედ თავად უფლის თვალში. უფალმა კი გაიმეტა იგი განსაცდელად, მაგრამ ესეც ნათქვამია, რომ „უფალი გამოსცდის მართალს“ (ფს. 10:5).

იობის, როგორც მართალი კაცის, თვითშეგნება, მისმიერი შეფასება საკუთარი ცხოვრებისა მისსავე მონოლოგებში ჩანს, წიგნის ავტორი დასაწყისში ბიბლიური დაწურულობით გვამცნობს მის პიროვნებას და ცხოვრების ნირს.

„იყო ერთი კაცი ყუცის ქვეყანაში, სახელად იობი. ალალი, წრფელი, ღვთისმომშიში და ბოროტებას განრიდებული იყო ეს კაცი. ჰყავდა მას შვიდი ვაჟი და სამი ასული. ჰყავდა საქონელი – შვიდიათასი სული ცხვარი, სამიათასი აქლემი, ხუთასი უღელი ხარი, ხუთასი დედალი ვირი, უამრავი მსახური. აღმოსავლელთა შორის ყველაზე სახელოვანი იყო ეს კაცი. სტუმრობდნენ ერთმანეთთან მისი ვაჟები და მორიგეობით მართავდნენ ღვინის, იწვევდნენ თავიანთ სამ დას, რომ ერთად ეჭამათ და ესვათ. როცა ჩამოთავდებოდა ღვინის დღეები, გაგზავნიდა კაცს იობი და განწმედდა მათ. ადგებოდა დილაადრიანად, ადავლენდა აღსავლენ მსხვერპლს მათი რიცხვისდა მიხედვით, რადგან ფიქრობდა იობი, იქნებ რაიმე შესცოდესო ჩემმა ვაჟებმა და დაჰგმესო ღმერთი თავიანთ გულში. მუდამ ასე იქცეოდა იობი“ (იობ. 1:1-5).

იობი ღვთის რჩეულია, ჰყავს თავისი საპატრონებელი ხალხი, რომელიც მისი შვილებისაგან შედგება; ის მათი მზრუნველი, მორალური პასუხისმგებელია მათ ყოფაცხოვრებაზე უფლის წინაშე; ის მღვდლობს მათ, მას მინიჭებული აქვს ეს ფუნქცია, როგორც რჩეულ ერს, რომელზედაც ნათქვამია, რომ იგი მღვდელთა სამეფო იქნებოდა (გამ. 19:6). შექმლო აღველინა სრულადდასაწველი (აღსავლენი) მსხვერპლი მათ განსაწმედელად და ასრულებდა ამას წლიდან წლამდე. ასე ენაცვლებოდა ერთმანეთს ღვინისა და განწმედელი მსხვერპლშეწირვის დღეები.

მაგრამ იობის სიმართლე ვერ შეიქნა საწინდარი მისი შვილების კეთილდღეობისა, როგორც ნათქვამია ეზეკიელის წინასწარმეტყველებაში, რომ „ვერც ნოე, ვერც დანიელი და ვერც იობი (ცოცხალიმც ვარ! ამბობს უფალი) ვერ გადაარჩენენ ვაჟსა და ასულს, მხოლოდ საკუთარ თავს გადაიარჩენენ თავიანთი სიმართლით“ (15:20). მაგრამ

მის მეგობრებს შეიძლება ეფიქრათ, რომ მისმა სიმართლემ თვით იობიც ვერ იხსნა, რადგან ისინი მოწმენი გახდნენ მათი მოყვასის არნახული უბედურებისა: ერთ დღეს დაკარგა იობმა მთელი თავისი ქონება, მონაგარი და შთამომავლობა – ციურმა ცეცხლმა გადაუწვა ცხვარი და მსახურნი, ქალდეველებმა აქლემები წაუსხეს, უფროსი ვაჟის სახლში შეკრებილი მისი შვილები დამხოვილმა ჭერმა მოიყოლა ქვეშ და ამოწყვიტა. ამის შემდეგ არ გასულა დიდი ხანი, რომ თავად იობს შეეყარა უკურნებელი სენი. იმ პირველი უბედურებების შემდეგ „ადგა იობი, შემოიხია მოსასხამი, გადაიპარსა თავი, დაეცა მიწაზე და თაყვანი სცა. თქვა: „შიშველი გამოვედი დედის მუცლიდან და შიშველი დავბრუნდები იქ. უფალმა მომცა, უფალმა წაიღო. კურთხეულ იყოს უფლის სახელი. მაინც არ შეუცოდავს იობს და ღვთის აუგი არ დასცდენია“ (იობ. 1:20-22). როცა თავად იობის სხეულს მისწვდა უბედურება, ცოლის სიტყვებზე, „ახლაც ეჭიდები შენს სიალალეს? ბარემ დაგმე ღმერთი და მოკვდიო“, ნაცარში ჩამჯდარმა იობმა მიუგო: „ერთი უგუნური დედაკაცივით ღაპარაკობ! სიკეთეს კარგად ვიტანთ უფლისაგან, ავის ატანა კი აღარ გეინდა!“ (იობ. 2:9-10).

„არც ახლა სცოდა იობმა თავისი ბაგეებით“, ასკენის ავტორი. მაგრამ ამით არ მთავრდება იობის ამბავი, მხოლოდ ჭირთათმენა არ არის იობის განსაცდელის შინაარსი და აზრი. ამის გარდა კიდევ სხვა რაღაცის თქმა სურს თხზულებას.

ბიბლიის სხვა პერსონაჟთაგან განსხვავებით, რომლებიც ტრაგიკულ ვითარებაში ან სიტყვას არ ძრავენ, – გავისხენოთ მღუმარედ მიმავალი აბრაამი იმ საშინელი დავალების შესასრულებლად, – ან ორიოდ სიტყვას თუ აღმოთქვამენ, როგორც მაგალითად შვილმკვდარი იაკობი და დავითი, ამათგან განსხვავებით იობი ზედმეტად უხვი მოლაპარაკეა. ჩვენთვის სრულიად უცნობია აბრაამის სულის მოძრაობა იმ საბუდისწერო დილას ან მართალი იოსების განცდები იმ დროს, როცა ის ძმებმა მუხანათურად ჩააგდეს ორმოში და მერე გაყიდეს, ან მაშინ, როცა ცილდაწამებული საპყრობილეში იყო ჩაგდებული, ის არავის უმხელს თავის სიმართლეს, როგორც საიდუმლოს, საგულდაგულოდ დასამარხავს, ან გულისწუხილს, რომ მისი ამბის მკითხველს სცოდნოდა მაინც, თუ რა ფიქრებს აღუძრავდა მას მისი ავისმქმნელი, ან უფალი, რომელმაც ჭაბუკობიდანვე გასწირა ამ დღისათვის, თუმცა იგი ახლაც კი ამ დილეგში, გრძნობდა მის თანადგომას, იობის შინაგანი სამყარო კი სააშკარაოზე გამოტანილი. როგორც ზის ის გარეთ, მტვერში და ნაცარში, ყველას დასანახად სამზეოზე გამოტანილი თავისი სამარცხვინო სენით (სენი ყოველთვის, ვისაც არ უნდა შეჰყროდა, ზიზღს იწვევდა ხალხის თვალში), ის ეწვენება ყველას, არ იმალება თავისი ფიზიკური სხეულით, ასევე მისი შინაგანი სამყაროც გადაშლილია მტერ-მოყვარის წინაშე.

მეგობრები, სამნი, თავ-თავისი ადგილებიდან გამოემართნენ მის სანუგეშებლად, „შორიდან გახედეს და ვერ იცნეს, ხმა აიმაღლეს და ატირდნენ. შემოიხია თითოეულმა თავისი მოსასხამი და თავს ზემოთ აპნევდნენ მტვერს“ (იობ. 2:12). ეს იყო თანაგრძნობისა და გლოვის რიტუალური გამოხატულება – მათ გაიმეორეს ყველა მოქმედება, რაც იობმა შეასრულა, როგორც სავადლებულო შესასრულებელი მის დღეში ჩავარდნილთათვის. მაგრამ იობს ალბათ ნუგეშიც სჭირდებოდა და მის მეგობრებსაც უთუოდ ევალებოდათ მისი ნუგეშისცემა; ისინი გრძნობდნენ, რომ არ იქნებოდა საკმარისი რიტუალური ტრადიციული „ჭირის წყენა“, რადგან დაინახეს, რომ იობის მდგომარეობა რაღაც განსაკუთრებული იყო, მაგრამ იგი ვერ თავსდებოდა ტრადიციის არხში, რომ ის ანდრეხად არ იყო თქმული. ამიტომ „ისხდნენ მის წინაშე შვიდი დღე და შვიდი ღამე, არავის არაფერი უთქვამს მისთვის, რადგან ხედავდნენ, რომ მეტისმეტი იყო მისი სატანჯველი“ (იობ. 2:13).

მართალია, იობის მეგობრები ისხდნენ მის პირისპირ, მაგრამ ისინი სრულიად განსხვავებულ რეალობაში იმყოფებოდნენ. მათ ვერ შეძლეს მისი ნუგეშისცემა, რადგან მათ არ შეეძლოთ ჭეშმარიტი თანაგრძნობა, თანაღმობა, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით; მათ ვერ შეძლეს შეედწიათ იმ სამყაროში, სადაც იობმა იხილა შიში, განიცადა „ღვთის საშინელებანი“, როგორც აღიარა მათ წინაშე, „ღვთის საშინელებებმა შემომიტყეს“ (იობ. 6:4), „საშინელებები დამატყდა თავსო“ (იობ. 30:15). თავის საშინელებასთან მარტოდმარტო დარჩენილი იობი უკვე უცხო იყო მათთვის, მათ ვერ იცნეს თავიანთი ძველი მეგობარი, სხვათა მანუგეშებელი და დამრიგებელი თავისი სიბრძნით, რომელიც ახლა თავად მას ვერ შეველოდა. მათ წინ იჯდა სხვა იობი, რომლისაგან მათ შვიდი დღე-ღამის დუმილის შემდეგ მოისმინეს ისეთი სიტყვები, როგორიც

აღბათ არასოდეს მოესმინათ. უსაზარღესი სიტყვები, რომლებიც კი ოდესმე ამოსულა ადამიანის პირიდან. ბევრი რამ, ყველაფერი შეიძლება პირობითი და რიტუალური ყოფილიყო, – თავად ჯდომა მეგობრებისა ამ გაუბედურებული, გაუცხოვებული ადამიანის წინ, – მაგრამ ეს სიტყვები უსათუოდ მისი სულის ამოძახილი იყო. შვიდი დღის შემდეგ იყო, რომ „გახსნა იობმა ბაგე და დასწყევლა თავისი დღე. ალაპარაკდა იობი და თქვა:

„ღაიქცეს ის დღე, როცა მე გავჩნდი, და ღამე, როცა ითქვა, კაცი ჩაისახაო! დაბნელდეს ის დღე, აღარ მოხედოს მას უფალმა ზეგარდამო, აღარ ინათოს მასზე ნათელმა. მოიცვას წყვილიაღმა და აჩრდილმა სიკვდილისა, ღრუბელი გადაეფაროს თავზე და დღის სიშავემ შეაძრწუნოს. ბნელმა წაიღოს ის ღამე, ამოშალოს წელიწადიდან, თვეთა სათვალავში აღარ ითვლებოდეს. აჰა, გაბერწდეს ის ღამე, აღარ ეღირსოს ნეტარება! ...დაბნელდნენ მისი განთიადის ვასკვლავები, ელოდოს ნათელს და არ ჩანდეს, ვერ იხილოს ცისკრის წამწამები. რომ საშოშივე არ ჩამიკეტა კარი და არ განმარიდა ამ სატანჯველს. რატომ არ მოვკვდი დედის მუცელშივე? რატომ არ გავთავდი გამოსვლისთანავე? რისთვის ამიქვეს მე მუხლებმა? რა იყო ის ძუძუ, რომელსაც ვწოვდი?... ახლაც ვიწვებოდი დამშვიდებული, ძილში ვიქნებოდი მოსვენებით... რატომ არა ვარ მკვდრადნაშობივით გადამალული, ახალშობილივით, რომელსაც სინათლე არ უნახავს... რადგან მეწია შიშის ზარი...“ (იობ. 31:1-25).

იობს არ დაუგბია ღმერთი, – არ დაჰყვა ევას რჩევას – არამედ დაგმო საკუთარი თავი, საკუთარი სიცოცხლე, არსებობა („ყოფილიყავი როგორც არყოფილი, საშოდან საფლავში ჩავსულიყავი“, იობ. 10:19), უარჰყო ღვთის მადლი და ინატრა არარაობა, საიდანაც შექმნა ღმერთმა ყოველივე არსებული. ამიტომაც აღიქვეს მისმა მეგობრებმა ამ წყევლის სიტყვები შემოქმედის გმობად. მაგრამ განა ამ გატანჯული კაცის დაძრულმა ბაგეებმა არ წარმოთქვეს კაცთაგან გაუგონარი რწმენით აღსავსე სიტყვები, რომელთა საბედისწერო პათოსს „მდინარის გამოღმა“ მსხდარი მეგობრები ვერ მიხედებოდნენ: „კიდევ რომ მომკლას, მაინც მისი იმედი მაქვს – მაინც დავიცავ ჩემს გზებს მის წინაშეო!“ (იობ. 13:15).

ამ სიტყვებშია სასოება ყოვლადღიერისადმი, როგორც ერთადერთი მსაჯულისადმი, ასევე რწმენა საკუთარ სიმართლეში, რომ ის არსებობს ობიექტურად ანუ ღვთის წინაშე (იობი ხომ „დადიოდა ღვთის წინაშე“ მსგავსად სხვა მართალთა), ამიტომაც, მიუხედავად ძალთა უთანასწორობისა, ის იწვევს სამსჯავროში მას, ვის ხელშია ძალაც და სამართალიც და განმკითხავი არაფერს ჰყავს, თავად კი „ნამცეცია“, „მტვერში და ნაცარში“ დაგდებული. „დადუმდით და მალაპარაკეთო (ეუბნება თავის ნუგეშისმცემელთ ანუ მამხილებელთ), მერე რაც მომივა, მომივიდესო“ (იობ. 13:13), – ასეთია მისი სულისკვეთება. მას არ შეუძლია საკუთარი სიმართლის უარყოფა, როგორც მართალს, გამტყუნება საკუთარი თავისა ღვთის წინაშე, რომელიც ხედავს მის გზებს და დათვლილი აქვს ყოველი მისი ნაბიჯი (იობ. 31:4). ვერ გამოიგონებს ცოდვას, რომელიც არ ჩაუდენია, ღვთის საამებლად ვერ მოიცოდელიებს თავს, ვერ მიეპირფერება, როგორც მისი მეგობრები ეპირფერებიან, როცა ერთმანეთს ეცილებიან იობის კიცხვაში და გამტყუნებაში, და მიაწერენ იობს ყველა ცოდვას და დანაშაულს, რაც ოდესმე ჩაუდენია ადამიანს და რისი ჩადენაც შეუძლია (იობ. 22:5-9), მიაწერენ მხოლოდ იმ მოტივით, რომ იობიც ადამიანია, დიაცის ნაშობი, – ასეთია მათი ლოგიკა. იობი კი ამბობს ალალი გულით: „ღმერთს ვფიცავ, რომელმაც წამართვა სიმართლე და ყოვლადღიერს, რომელმაც გამიმწარა სიცოცხლე! ვიდრე ვსუნთქავ და ღვთის სული მიდგას ნესტოებში, თუ ჩემმა ბაგეებმა თქვან სიცრუე და ჩემს ენას დასცდეს ტყუილი... ჩემს სიმართლეზე ვდგავარ მტკიცედ და არ მოვეშვები, არ დავუგმივარ ჩემს გულს ჩემი დღე და მოსწრება!“ (იობ. 27:2-6). მეგობრებს კი, რომლებმაც ეჭვი შეიტანეს მის სიმართლეში, გულმოკლული ეუბნება: „ღვთისთვის ლაპარაკობთ ტყუილს, მისთვის ლაპარაკობთ სიცრუეს? მას უნდა მიკერძოებოდითო? ღმერთს უნდა გამოსარჩებოდითო?“ (იობ. 13:7-8).

ეს მეგობრები სწორედ ის ხალხია, რომელთაც ეადვილებათ სხვის ომში სიბრძნის გამოჩენა. მაგრამ მათი სიბრძნე გაცამტვერებულია იობის ერთი ამოძახილის წინაშე: „დადუმდებოდეთ მაინც! ეს იქნებოდა თქვენი სიბრძნეო“ (იობ. 13:5). იობი აღბათ გულისხმობს, დარწმუნებულია, რომ მათი შვიდდღიანი დუმილი უფრო მტვერმტყველური და უფრო ღრმა იყო, ვიდრე ახლა მათი ლაპარაკი. მაგრამ ადამიანი პირმეტყველი

არსებაა და არ შეუძლია არ ილაპარაკოს. იმ დუმილის შემდეგ, როცა გავიდა შვიდი დღე, მეგობრებს უნდა დაეკრათ მისთვის თავი და წასულიყვნენ, მაგრამ ისინი ალაპარაკდნენ, და საბოლოოდ, ეს არ მოუწონა მათ უფალმა, რადგან სიწრფელე არ ჩანდა მათ ლაპარაკში („უთხრა უფალმა ელიფაზ თემანელს: აინთო ჩემი რისხვა შენს მიმართ, რადგან ჩემი მორჩილი იობივით გულწრფელად არ ილაპარაკეთ ჩემზე“, იობ. 42:7). მათი სიტყვები სატანჯველში არ იყო გამოტარებული, ამიტომ არც ფასი ჰქონდა მათ იობის თვალში ან უფლის თვალში. ან საერთოდ, რა ფასი ჰქონდა სიტყვას, რა შეეძლო გამოეთქვა სიტყვას? მხოლოდ იობს შეეძლო სცოდნოდა, რომ ყოველი სიტყვა, ადამიანის ბაგეებიდან დაძრული, უძღურია ერთადერთისა და განუმეორებლის გამოსახატავად – ეს კი მისი სიმართლეა; იობიც ადამიანია და ამ დღეში მყოფს მოთხოვნილება აქვს ლაპარაკისა, ოღონდ მას იმედი არა აქვს, რომ სიტყვა იხსნის გასაჭირიდან, რომ სიტყვა გაამართლებს მას. „როგორ შევეპასუხო, როგორ შევარჩიო მისთვის სათქმელი?“ – ამბობს ის, „მართალიც რომ ვიყო არ შევეპასუხები, მხოლოდ შევევედრები ჩემს მსაჯულს“ (იობ. 9:14-15). მხოლოდ იობს თუ შეეძლო ეთქვა „მართალიც რომ ვიყო, ჩემივე ბაგეები გამამტყუნებენო, უმწიკვლოც რომ ვიყო, გამაშავებენო“ (იობ. 9:20). ამას ამბობს იობი. ალბათ იმიტომ ამბობს, რომ არა აქვს იმედი ადამიანური სიტყვისა, რომ ხრწნადმა ბაგეებმა შეძლონ უხრწნელი სიმართლის ანუ უმწიკვლოების გამოხატვა. ან ის შერიგებულია იმ აზრს, რომ ვერასოდეს გაიმართლებს თავს თავისი სიტყვით („ვიცი, მაინც არ გამამართლებ, მე ვაგამტყუნებ! რისთვის უნდა დავშვრე ამოდ?“ იობ. 9:28-29). თუმცა მაინც ლაპარაკობს და აღმოთქვამს საკვირველ სიტყვებს, რომლებიც ამხელენ მათი წარმომთქმელის ზღვარდაუდებელ სულგრძელობას: „კიდევ რომ მომკლას, მისი იმედი მაქვს – მაინც დავიცავ ჩემს გუბებს მის წინაშე. ისიც ხსნა იქნება ჩემთვის, რომ უღვთო კაცი ვერ მივა მის წინაშე“ (იობ. 13:15-16).

იქნებ იობი იმას ამბობს, რომ სიმართლე, თუ მისი არა, სხვისი მაინც გაიმარჯვებს, რადგან მას სწამს, რომ უღვთო ვერ გამართლდება უფლის თვალში; იობი უკუთქმითი ფორმით გამოხატავს იმედს, რომ ღვთისნიერი გამართლდება უფლის წინაშე; მას ხომ არ შეუცოდავს, ხომ არ დაუგმია ღმერთი; როცა ყველაფერი დაკარგა, მან ხომ თქვა მოთმინებით: უფალი იძლევა, უფალს მიაქვსო. როცა ყველაფერი დაკარგა, რაღა დარჩა იობს, გარდა საკუთარი თავისა? თავი არ წაურთმევია მისთვის უფალს, უფრო სწორად სატანას, რომელმაც უფლის მიშვებით მოუტანა იობს ეს უბედურებანი. ახლა იობი მარტო დარჩა საკუთარ თავთან, მას კი ერჩივნა სრულიად დაეკარგა ცნობიერება და ყოფილიყო, როგორც არყოფილი. მას წაერთვა ყველაფერი, რისი შექმნა და მოხვეჭა მას შეეძლო (მატერიალური დოვლათი, შთამომავლობა), მაგრამ შერჩა ის, რაც მონიჭებული ჰქონდა მას ღვთისაგან – სული ანუ ბირთვი მისი პიროვნებისა, რომლის მოსპობა, ცხადია, სატანას – ღვთის წინააღმდეგობს არ შეეძლო.

როცა იობი განშიშვლდა, როგორც თქვა, და უფრო მეტი მოიტანა ამ სიტყვებმა, ვიდრე იყო ნაგულისხმევი მათში, „შიშველი გამოვედი დედის მუცლიდან და შიშველი დავბრუნდებიო იქ“, განშიშვლდა ყოველივე წარმავალისაგან, რაც კი წუთისოფელში მიეწება მას, მაშინ უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა ის ერთადერთი, მისთვის ყველაზე ახლობელი – მისი სული. განშიშვლებული იობის სული პირისპირ დგას ღვთის წინაშე, ამქვეყნიური ილუზიები ვეღარ ფარავს მისგან ღვთის სახეს, ის უშუალოდ განიცდის „მაგარ ხელს“ (იად ხაზაკაჰ), თავის თავზე, იმავე ხელს, რომელმაც აირჩია იაკობი და მერე უხვი ეგვიპტიდან, თითქოს დასახოცად (როგორც უბირ ხალხს ეგონა) ხრიოკ უდაბნოში გაჰყავდა მისი შთამომავლობა. „შემიბრაღეთ, შემიბრაღეთ, მეგობრებო, – გაჰყვირის იობი, – რადგან ღვთის ხელი შემეხო მე!“ (იობ. 19:21); შეხების ნიშანიც თვალსაჩინო იყო ადრეც, როცა იობი დოვლათითა და მონაგარით იყო სავსე და „იტანდა“ ამ სიკეთეს (იობ. 2:10). და ახლაც, როცა მისი უბედურება, როგორც ნიშანი, თვალსაჩინოა ყველასათვის, სამზეოხეა გამოტანილი, და ამ ავსაც იტანს იგი. მაგრამ მეგობრებს არ სურთ დაიჯერონ, რომ იობი განსაკუთრებული ბედის კაცია, რომ ის რჩეულია. ვინ ხარ, ასე რომ ლაპარაკობ ღმერთზე და ადამიანზე, რა გამონაკლისი ხარ კაცთა მოდგმიდანო, „რა იცი ისეთი, რაც ჩვენ არ ვიცით“, „ღვთის საიდუმლო ხომ არ მოგისმენიაო?“

მართლაც არსებობდა „ღვთის საიდუმლო“, რომელიც ეხებოდა იობს, მაგრამ ეს არ იცოდა იობმა, არც მისმა მეგობრებმა იცოდნენ. არ იცოდნენ, რომ მისი რჩეულობა ცაში გადაწყდა, როცა ღვთისშვილები ეახლნენ უფალს, მათ შორის ეშმაკიც – სატანა (სატან „მოწინააღმდეგე“). ეს ამბავი „იობის წიგნის“ დასაწყისშია მოთხრობილი. უფალმა სატანას მიანება მართალი იობი, „ალაღი, წრფელი, ღვთისმოსაობით და ბოროტებას განრიდებული კაცი“, რათა გამოეცადა იგი და უფრო იმიტომ, რომ სატანაზე გაემარჯვა იობით, მისი სიმართლით და მოთმინებით. რადგან სატანა ამბობდა, რომ იობის ღვთისმოსაობა არ იყო უანგარო, უფალი ამაცობდა თავისი მორჩილით, „ხომ არავინ არის მისი მსგავსი ქვეყანაზე“ (იობ. 1:8), სატანა კი ეუბნებოდა: „მერედა, ტყუილ-უბრალოდ არის იობი ღვთისმოსაობით? განა შენ არ გყავს დაცული მთელი მისი სახლ-კართა და საბადებლითურთ? მისი ხელით ნაქმარი შენგან არის კურთხეული... აბა, გაიწოდე ხელი და შეეხე მთელს მის საბადებელს, თუ პირში არ დაგიწყოს გამოება“ (1:9-11).

მაშინ უფალმა ნება მისცა სატანას მის საბადებელზე და მონაგარზე. და დაეღუპა იობს საბადებელი და მონაგარი – შვიდი ვაჟი და სამი ასული. როგორც ვიცით, არ დაუგმია იობს უფალი. იობმა დაითმინა ყველაფერი, შვილმკვდარმა, ეულად დარჩენილმა პატრიარქმა უდრტვივლად მიიღო ეს ხვედრი, მაშინ იყო, რომ თქვა: „შიშველი გამოვედი დედის მუცლიდან და შიშველი დავბრუნდები იქ“. კიდევ შეიკრიბნენ ღვთისშვილები უფლის წინაშე და კიდევ მივიდა მასთან სატანაც. უფალს ჰქონდა საბაბი ეამაყა იობით, თავისი გაჩენილით და მორჩილით. „ხომ არავინ არის მისი მსგავსი ქვეყანაზე?“ სატანამ კი: „აბა, გაიწოდე ხელი და შეეხე თავად მას – მის ძვალსა და ხორცს, თუ პირში არ დაგიწყოს გამოება“ (იობ. 2:5). აი მაშინ იყო, რომ შეეყარა იობს სამარცხვინო სენი, რომ ჩაჯდა ნაცარში და კეცის ნატეხით იჭაგებდა ტანს. მაშინ იყო ცოლის სიტყვებზე „ბარემ დაგმე ღმერთი და მოკვდიო“, რომ უპასუხა „სიკეთეს კარგად ვიტანთ უფლისაგან, ავის ატანა კი აღარ გვინდაო“ (იობ. 2:10).

ამის მეტი რომ არაფერი ეთქვა იობს, მარტო ეს სიტყვები მოუტანდა მას გამარჯვებას. იობის ამ სიტყვებით სძლია ღმერთმა სატანას. იობმა განსაცდელში დაადასტურა, რომ ის ნამდვილად არის უფლის რჩეული და ამიტომაც ყველაფერი დაუბრუნა მას, რაც წართმეული ჰქონდა, და „უკურთხა უფალმა იობს დარჩენილი დღეები წინანდელზე უფრო მეტად“ (იობ. 42:22), და იობიც მოკვდა, როგორც უფლის რჩეული მამამთავარნი კვდებოდნენ და როგორც ყოველი ძველი კაცი ნატრობდა სიკვდილს, „მოხუცებული და დღესრული“ (ანუ „დღეებით მადლარი“ სებაყ ამიმ).

უფალმა გაიმარჯვა იობის მაგალითით. მაგრამ თავად იობისათვის რას ნიშნავდა ეს ექსპერიმენტი, სახიფათო გამოცდა? რისთვის უნდა ჩავარდნილიყო ადამის ძე ამ ტრაგიკულ განსაცდელში? ნუთუ იმის საჩვენებლად, რომ ადამიანის წუთისოფელი არ გაივლის სატანჯველის გარეშე? ან იმ განზრახვით ხომ არ დაიდგა ეს დრამა, რომ თვალსაჩინო ყოფილიყო იობის ერთ-ერთი მანუგეშებლის ნათქვამი – ადამიანი სატანჯველად იბადება და ნაპერწკლები მალა მიფრინავს (იობ. 5:7), სიტყვები, რომლებიც უფრო იობს უნდა წარმოეთქვა. ღმერთმა სძლია სატანას, შეიძლება ითქვას, არ დაუთმო მას იობი და მანვე გაამტყუნა იობის მანუგეშებელი მათი სიბრძნითურთ, – ეს იყო „იგავთა წიგნის“ სიბრძნე, კერძოდ, შეხედულება ადამიანურ სატანჯველზე, როგორც სასჯელზე ცოდვის წილ, – რომელმაც ვერ „გასჭრა“ იობის მაგალითზე. ეს სიბრძნე გაუქმდა უფრო მაღალი სიბრძნის ნათელსაყოფად, სადაც შეეხავა ერთმანეთს ღვთისური და ადამიანური თვალთახედვანი. ეს სიბრძნე სიტყვიერად არ გამოხატულა „იობის წიგნში“, თუმცა მისი ერთ-ერთი დასკვნაა. ის ითქვა გარკვევით იერემიას წინასწარმეტყველებაში: „თქვა უფალმა: შენს სიკეთეს რომ არ ვაპირებდე, არც მტრებს მოგისევდი სიმძიმისა და გასაჭირში“ (იერ. 15:11). უფალი მთელს ერს მიმართავს, მაგრამ თითოეული ერისკაცი თავის თავზე იღებს ამ სიტყვებს.

რა იცი ისეთი, რაც ჩვენ არ ვიცით? – თავზე დასძახიან მანუგეშებელი იობს. მათ ვერ იცნეს იობი ვერც გარეგნულად, – ის „დღეიშობილა“ იჯდა მათ წინაშე, – და ვერც აზრთა წყობით. ის სრულიად გარდაქმნილიყო, ისეთ სიტყვებს ამოისროდა ბაგებიდან, რომელთა მსგავსი არ სმენოდათ მათ. თუმცა მისი სიტყვები მხოლოდ ნაპერწკლები იყო იმ ცეცხლისა, რომელიც მის არსებაში ტრიალებდა. იობი ამ ცეცხლში მყოფი დაუპირისპირდა თავის მეგობართა ტრადიციულ თეოლოგიას – მოძღვრებას ღმერთზე და ადამიანზე. ამ განსაცდელში დაიბადა ჭეშმარიტი ღვთისშემეცნება. „რა-

ში სჭირდება ყოვლადძლიერს შენი სიმართლე? ან რა გამორჩენა ექნება, თუ შენ წრფელი გზებით ივლი?“ (იობ. 22:3) – ეუბნება მეგობარი იობს. ასე ფიქრობენ მისი მანუგეშებელი, მაგრამ იობის მაგალითმა დაამტკიცა, რომ ღმერთს სჭირდება ადამიანის სიმართლე. სიმართლე იარაღია ღვთის ხელში, ეს ითქვა, სატანის წინააღმდეგ. იობის მთელი განსაცდელი იმას ადასტურებს, რომ ღმერთს სჭირდება არა მხოლოდ სიმართლე ადამიანისა, არამედ თავად ადამიანი, როგორც სული და ხორცი. რომ ღმერთს ისევე არ შეუძლია უადამიანოდ, როგორც ადამიანს – უღმერთოდ; რადგან ღმერთმა ადამიანი თავის ხატად შექმნა – ამით ყველაფერი ნათქვამია; რადგან ადამიანი მის სახეს, ხატს ატარებს, ღმერთს სურს ადამიანი მუდამ თავისთან ყავდეს, მისი მხედველობის არეში იყოს; რომ კავშირი – აღთქმა ღმერთსა და ადამიანს შორის მარადიული იყოს; რომ ადამიანი ღვთისათვის არა მხოლოდ სასურველია, არამედ აუცილებელიც და, შეიძლება ითქვას, ავსებს მის ბუნებას, – ეს ინტუიცია გამოსჭვივის იობის მონოლოგებიდან; ამოდის როგორც ნაპერწკალი იმ ბევრი სიტყვების ფონზე, მისი ტკივილების ჩასახშობად რომ არიან მოხმობილნი.

„ოჰ, ნეტავ ქვესკნელში დამმალავდე! შემინახავდე, ვიდრე შენი რისხვა გადაივლიდეს! დროს დამითქვამდე და შერე გამიხსენებდე! თუ მოკვდა კაცი, განა კვლავ იცოცხლებს? მთელი ჩემი მამრალობის დღეები დაველოდებოდი ჩემი ფერისცვალების დადგომამდე; დამიძახებდი და მეც ხმას გაგცემდი – შენ ხელთა ქმნილება მოგენატრებოდა“ (იობ. 14:13-15). თუ ღირდა ეს სიტყვები იობის სატანჯველად? ღირდა, აშკარად ღირდა. ამაზე დაფუძნებული ძველი აღთქმის თეოლოგია და ანთროპოლოგია (მოძღვრება ღმერთის შესახებ და მოძღვრება ადამიანის შესახებ, როგორც ერთიანი მოძღვრება, განუყოფელი – ძველი აღთქმის მთავარი ძარღვი). რას გულისხმობს იობი „მამრალობის დღეებში“? ახლანდელ ყოფას და არა წინანდელს, დაღვინებულს? თუ ასეა, იობს მიუღია სატანჯველი და ამ სატანჯველს უშვია იმედი ღმერთთან შეხვედრისა, მეტიც: შერიგებით შეხვედრისა. უფრო მეტიც: რწმენა იმისა, რომ ღმერთს სწყურია ეს შეხვედრა. „ახლა მიწაში რომ ვიწვე, დილით ძებნას დამიწყებდი და აღარ ვიქნებოდი“ (7:21) – ამბობს იობი; ახლა უკვე ღმერთს, უხილავს, მიმართავს და არა თავის მანუგეშებელთ, რომლებიც ქადაგებენ უპიროვნო ღმერთს და უფსკრულს ღმერთსა და ადამიანს შორის. იობის თეოლოგია კი პიროვნული გამოცდილების შედეგია. როგორც „ღვთის ხატად“ შექმნილი ადამის „აღმოჩენა“. მისი არსია ორმხრივი რწმენა ღმერთსა და ადამიანს შორის: ისევე, როგორც ღმერთს სწამდა იობისა, რომ ის გაუძლებდა განსაცდელს და შეინახავდა ღვთის ხატებას თავის თავში (ანუ არ დაგმობდა თავის პირველსახეს – ღმერთს), ასევე იობს სწამდა, რომ ღმერთი არ დაივიწყებდა მას, მოენატრებოდა და ახილვინებდა თავს, „მე თავად დავინახავ მას და ჩემი თვალები იხილავენ, არა სხვისნიო“ (იობ. 19:27), ანუ საკუთარი გამოცდილებით შევიმეცნებო მას, რომ ამბობდა, ღმერთი მართლაც გამოეცხადა მას სატანჯველის დასასრულს გრიგალში, როგორც ძველ წინასწარმეტყველთ ეცხადებოდა, რათა კაცი დაწაფებოდა ღვთისშემეცნების პირველწყაროს, – ეს იყო იობის საზღაური სატანჯველის წილ, – და მან თქვა მაშინ: „ყურმოკვრით მსმენოდა შენზე, ახლა კი ჩემი თვალით გიხილო“ (იობ. 42:5), სიტყვები, რომლებიც წარმოითქმის ალალი გულით, როცა აქამდე შეუხვედრელი უცნობ-ნაცნობნი ხვდებიან ერთმანეთს.

ბოლო თავი

„ძველ აღთქმაში დაფარულია ახალი აღთქმა,
ახალში გამოცხადებულია ძველი“.

(ნეტარი ავგუსტინე იპონელი)

დაბოლოს, მსურს განვმარტო საზრისი შესიტყვებისა, რომელიც სათაურად უზის ამ წიგნს – „ძველი აღთქმის წუთისოფელი“. შეიძლება ვისმე უადგილოდ მოეჩვენოს მარადიული წიგნის მიმართ წუთისოფლის ცნება, რომელიც ესოდენ ახლოა ქართული მსოფლგანცდისთვის და ზედმიწევნით გამოხატავს ადამიანური (როგორც პიროვნული, ისე საკაცობრიო) ყოფის წარმავლობას. ამ წარმავლობას ექვემდებარება არა თავად წიგნი, არამედ ის ისტორიული პროცესი, რომელიც ავსებს მის შინაარსს, ქვეყნის შესაქმიდან დაწყებული დანგრეული იერუსალიმის და მისი ტაძრის აღდგენით

დამთავრებული. ისტორია დენადია, როგორც მდინარე, ადამიანი კი, ისტორიის სუბიექტი, რომელიც მიაპობს მდინარის ტალღებს, – წარმავალი. მარადიული ღმერთი არა მხოლოდ ზემოდან ადევნებს თვალყურს ამ პროცესს, არამედ მონაწილეობს მასში. ამას ბიბლიის ყოველი მკითხველი გრძნობს და ადასტურებს. ისტორია, დაწვებული ედემი ბაღში საუბრით, ღმერთისა და ადამიანის დიალოგია. არის მასში მარადიული რაღაც, რაც დაფარულია, როგორც საბოლოო მიზანი, და არის მასში წარმავალი ჩენო – მიზნის მისაღწევ, ხშირად კაენურ საშუალებათა მთელი ინდუსტრია.

წუთისოფელი წიგნის სათაურში ნიშნავს იმასვე, რასაც ბერძნული *ეონი* (*აიონ*), რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს ძველათქმისეული *ყოლამ* კონცეპტის ბერძნულ შესატყვისს. ბერძნული *ეონ* (*აიონ*) და ებრაული *ყოლამ* გამოიყენება იმ დროუამული მონაკვეთის მნიშვნელობით, რომელსაც აქვს თავისი დასაწყისი და აქვს თავისი მიზნობრივი დასასრული (ბერძნული *ტელოს* ხომ ორივეს – მიზანსაც და დასასრულსაც აღნიშნავს). არის დიდი წუთი და არის მცირე წუთი. დიდი წუთი მოიცავს მთელს მონაკვეთს ქვეყნის გაჩენიდან („დასაწყისში შექმნა ღმერთმა...“ დაბ. I:1) საბოლოო დასასრულამდე („მოდის უამი ყველა ხალხისა და ენათა შეკრებისა; მოვლენ და იხილავენ ჩემს დიდებას“, ესაია 66:18), მცირე წუთი კი ამ დიდ წუთში მიმდინარე ისტორიის შემადგენელი ნაწილია. თუ დავეუკვირდებით, ბიბლია – ძველი აღთქმა მოქცეულია (ჩართულია) ამ დიდ წუთში, რომელიც ქვეყნის გაჩენით იწყება, მიმდინარეობს მასში და მის ფარგლებშივე პოულობს დასასრულს, როგორც მიზანს. დიდი ეონი, დიდი წუთისოფელი გრძელდება, მცირე კი სადღაც მისი მდინარების ერთ მონაკვეთში მთავრდება. ეს არის ძველი აღთქმის წუთისოფელი, ერთი თვითკმარი მთლიანობა, თუ, რა თქმა უნდა, დაერჩებით ძველი აღთქმისვე თვალსაზრისზე.

ძველი აღთქმის წუთისოფელი, რომელიც რჩეული ხალხის აქტებით არის ავსებული, თავის მთლიანობაში ოთხ ერთმანეთის თანამიმდევრულ, ერთმანეთისგან არსებითად განსხვავებულ ხანას მოიცავს. ესენია ისრაელის სვლანი წუთისოფლის გზებზე: I. მსხემობა (პატრიარქების ხანა ქანაანში); II. მონობა (ეგვიპტური ხანა). III. თავისუფლება (უდაბნოს ხანა). IV. მკვიდრობა ქანაანში.

I. პატრიარქების ხანა ქანაანში მათი მსხემობით აღინიშნება. როგორია აბრაამის ცხოვრების წესი ქანაანში, სადაც შევიდა ის უფლის ნებით? ქანაანი არ არის ის ქვეყანა, სადაც მან უნდა იმკვიდროს. ეს ის ქვეყანაა, სადაც მუდამ უცხო, მსხემად (გერად) უნდა დარჩეს. აბრაამი მუდმივმოარულია. ეს სვლა აბრაამის ცხოვრების წესია. ის არსად არ აშენებს საძირკვლიან სახლს, არამედ მხოლოდ „სამსხვერპლოს უფლისათვის“ – ერთადერთ ქვის ნაგებობას, და ღვამს კარავს, რომელიც მსხემობის ერთ-ერთი ძირითადი ატრიბუტია (ფსალმ. 119:5). მას არა აქვს ერთი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, არსად საფუძვლიანად არ იკიდებს ფეხს. მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე ის რჩება უცხო ადამიანად ქანაანში, მოსულად, არამკვიდრად, რასაც გამოხატავს სიტყვა-ცნება *გერ*.

II. ეგვიპტის ხანა. ეგვიპტეში ჩასვლა ნაწინასწარმეტყველვე იყო აბრაამისთვის მიცემულ აღთქმასთან ერთად. როგორ გამოიხატება ეგვიპტეში ცხოვრების წესი? ეს არის მსხემობის სრულიად საწინააღმდეგო ყოფა: იოსები ფარაონის წყალობით თავის ხალხს დაასახლებს ეგვიპტის საუკეთესო მიწაზე – გოშენში, სადაც ის თითქოს მიწის მკვიდრი უნდა გამხდარიყო. მსხემი იცვლის სტატუსს, მაგრამ არა მკვიდრობისკენ, არამედ მონობისკენ. ეგვიპტეში უცხოობა მონობაში გადაიზრდება; ის ხდება მონა ინდუსტრიული საზოგადოებისა, როგორც იყო ფარაონული ეგვიპტე, ქალაქებისა და პირამიდების მაშენებელი. „კარავში მცხოვრების“ შთამომავალი, რომელსაც საფუძვლიანი სახლი არასოდეს აუშენებია, ახლა ეგვიპტეში აგურებს ამზადებს „საუკუნო“ სახლების ასაგებად. მონობა უცხოობისა და მსხემობის უკიდურესი სახეა, მისი საბოლოო ზღვარია.

III. უდაბნოს ხანა. ეგვიპტის მონობისგან თავდაღწევა და განთავისუფლება იმთავითვე უდაბნოს დაუკავშირდა. „გაგვიშვი უდაბნოში...“ (გამ. 5:3). ეგვიპტიდან გასვლა იყო იმავდროულად უდაბნოში გასვლა – გასვლა თავისუფლებაში. ეგვიპტიდან გასვლით ორი რამ გაკეთდა: ხალხი გათავისუფლდა და, ამასთანავე,

დაიბრუნა მსხემობის საწყისი სტატუსი, მაგრამ გასცდა მას. უდაბნოში ცხოვრებას განვიხილავთ, როგორც მსხემობის ზღვრულ რეალიზაციას, როცა უქმდება მსხემობა და ყოფა უფრო მაღალ საფეხურზე ადის. ორი გზაა მსხემობიდან: ეგვიპტეში ჩასვლით (ეგვიპტე დაბალი ადგილია) მსხემი მონად იქცა; უდაბნოში ასვლით (უდაბნო მაღალი ადგილი) მონამ თავისუფლება მოიპოვა. ამიერიდან არც მონა, არც მსხემი, არამედ თავისუფალი. ეს იყო უდაბნოს ხანაში.

IV. ქანაანში დამკვიდრების ხანა: ცხოვრების წესი იცვლება მსხემობისა და აბელური ყოფის საპირისპიროდ (მიწის დამუშავება, ქალაქების შენება, „მოხეტიალე“ უფლის კარვის სანაცვლოდ საძირკვლიანი ტაძარი). მოძრაობა, მიმოსვლა, რაც დამახასიათებელი იყო პატრიარქებისთვის, ამ ხანაში წყდება. თორმეტი ტომი ინაწილებს ქანაანის მიწას, რათა თითოეულმა იმკვიდროს თავის წილხვედრილზე, რომელიც უფლის ნებამ გადაუწყვიტა მას.

წრე იკვრება: ისრაელი უბრუნდება აბრაამის იმ მკვიდრობის მდგომარეობას, რომელიც ჰქონდა მას ქალდეველთა ურში (ანუ მკვიდრობას), საიდანაც გამოვიდა (დაბ. 11:31). ხალხი დასახლდა მიწაზე, შექმნა სამეფო და ცხოვრობდა, როგორც მკვიდრი, თუმც მაინც უცხო ქანაანის ქვეყანაში ექვსასი წელი. მაგრამ არ იყო სამუდამო მკვიდრობა. კვლავ დგება მსხემობის ხანა, რომელიც განთესვა-განდევნილების ნიშნით მეორდება ხალხის ცხოვრებაში. ამიერიდან ის მსხემობს ბაბილონში და ყველგან სხვაგან, სადაც განიდევნება.

მაგრამ გრძელდება წუთისოფლის გზებზე სვლა: არც ეს მსხემობაა სამუდამო. ისრაელი ბრუნდება ბაბილონიდან, რათა აღადგინოს იერუსალიმი და მისი ტაძარი და კვლავ მოიპოვოს მკვიდრობა.

ამაზე წყდება ძველი აღთქმის ისტორია. ეს არის ძველი აღთქმის წუთისოფელი. ის ჩაკეტილია ამ წიგნში. ის თვითკმარია.

მაგრამ ის, რაც თითქოს ჩაკეტილია და დასრულებული, ღია და განგრძობადია წინასწარმეტყველთა ხილვების ჰორიზონტზე. იშლება ახალი პერსპექტივები.

წინასწარმეტყველთა ხილვებში რამდენიმე ჰორიზონტია. პირველი, რომელიც ძველ აღთქმაშივე პოულობს ახდომას (იერემიას წინასწარმეტყველება ბაბილონის ტყვეობიდან დაბრუნების შესახებ); მეორე: გახლეჩილი სამეფოს გამთლიანების მოლოდინი, რაც ტანჯული მესიის (მაცხოვრის) მოლოდინში გადაიზრდება (ესაია 53, რომელზეც ნეტარი იერონიმუსი წერდა, რომ აქ ესაია უფრო მახარებელია, ვიდრე წინასწარმეტყველი), რაც ასევე ახდა, და საბოლოოდ, მესამე: ესქატოლოგიური იმედი ახალი შესაქმისა კვლავ ესაიას ხილვაში („აჰა, შევქმნი ახალ ცას და ახალ მიწას, და აღარ გაიხსენება წინანდელი...“ 65:17; „მგელი და კრავი ერთად მოძოვენ“, 65:25), რამაც ახალი აღთქმის წიგნებში, კერძოდ, პავლე მოციქულის ეპისტოლეებსა და იოანე ღვთისმეტყველის „გამოცხადებაში“ („ვიხილე ახალი ცა და ახალი მიწა, ვინაიდან პირველი ცა და პირველი მიწა გარდახდა“, 21:1) ჰპოვა დადასტურება.

ბიბლიური ქრონოლოგია
(თარიღები მიახლოებითია)

2167-1992	აბრაამის წლები
2092	აბრაამის შესვლა ქანაანში
2067-1887	ისაკის წლები
2007-1860	იაკობის წლები
1877	იაკობის ჩასვლა ეგვიპტეში
1250-1239	ეგვიპტიდან გამოსვლა
1877-1447	ისრაელი ეგვიპტეში
1527-1407	მოსეს წლები
1447	ეგვიპტიდან გამოსვლა
1407	ქანაანში შესვლა
1351-1051	მსაჯულთა ხანა
1051-1011	საული, ისრაელის ერთიანი სამეფოს პირველი მეფე
1011-971	დავითი
9710-931	სოლომონი
967-960	ტაძრის შენება
929	ერთიანი სამეფოს გაყოფა (ისრაელი და იუდა)
782-753	წინასწარმეტყველნი ოსია და ამოსი
767-739	წინასწარმეტყველნი ესაია და მიქა
626	წინასწარმეტყველი იერემია
593	წინასწარმეტყველი ეზეკიელი
597	იერუსალიმის აღება ბაბილონელთა მიერ
586	იერუსალიმისა და მისი ტაძრის დანგრევა. ხალხის გადასახლება ბაბილონში
536-515	წინასწარმეტყველნი ზაქარია და ანგია
515-445	წინასწარმეტყველი მალაქია
538	ხალხის დაბრუნება იერუსალიმში კიროს სპარსთა მეფის დროს
516	ტაძრის ხელმეორედ აშენება